კვირის პალიტრა

ფეხი

№32 (217) 5/VIII.-11/VIII.2004.

ფასი 60 თ.

1168
2004

როგორი პარტნიორობა და რა ფერის თმაა დღეს მოდაში



ინტერვიუ სასტუმრო

„გარდაცვლილი" სამარიდან მძარცველებმა გამოიხსნეს

მექანიკური თოხის ეფექტი...

ქართველების ორიგინალური გამოგონებები

ქალი-მირაჟი 10 წლის შემდეგ დაბრუნდა

დალი ჩიტალაძე:

„შიშველი მინახავს მადონა, ჯენიფერ ლოპესი, მაიკ ტაისონისა და პრინცის ყველა ახლობელი ქალბატონი..."

კროსვორდების

ფესვები

TV ფესვები

ყველაზე გასართობი ჟურნალები

ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ
№32 (217)
5 — 11 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ 2004
ᲤᲐᲡᲘ 60 ᲗᲗᲘᲗᲘ

ᲛᲘᲜᲘᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘ
„ᲥᲐᲗᲛᲘ ᲭᲘᲠᲘ ᲒᲐᲛᲘᲒᲘᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛᲐ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲔᲑᲘᲡ ᲭᲘᲠᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲛᲔᲡᲛᲘᲡ“... 3

ᲔᲠᲗᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ 4

ᲞᲠᲝᲒᲜᲝᲖᲘ
ᲕᲘᲜ ᲨᲔᲪᲕᲚᲘᲡ ᲐᲠᲐᲫᲘᲜᲔᲑᲐᲡ — ᲠᲐᲡ ᲒᲕᲘᲥᲐᲓᲘᲡ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲓᲔ ᲤᲐᲥᲢᲝ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ 6

ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ
ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲮᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐ — ᲓᲘᲠᲡᲔᲣᲚᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ, ᲓᲘᲠᲡᲔᲣᲚ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲖᲔ 7

ᲡᲐᲡᲘᲥᲝ
„ᲧᲝᲑᲘᲐ, ᲥᲐᲚᲘ ᲪᲐᲠᲘᲔᲚᲘ ᲛᲝᲕᲘᲓᲔᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲘᲧᲝᲡ ᲗᲑᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲚᲔᲠᲡᲘᲐᲜᲘ“ 9

ᲡᲐᲞᲐᲢᲐᲠᲫᲚᲝ
„ᲠᲝᲛ ᲒᲘᲧᲣᲠᲔᲑ, ᲢᲐᲜᲨᲘ ᲛᲑᲣᲠᲫᲒᲚᲐᲕᲡ...“ 11

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲐᲔᲛᲐᲜᲘ
ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ ᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲡ ᲞᲠᲐᲒᲛᲐᲢᲘᲙᲝᲡ ᲔᲙᲐ ᲛᲐᲜᲘᲫᲐᲨᲕᲘᲚᲡ ᲒᲘᲒᲐ ᲙᲕᲔᲜᲔᲢᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ? 12

ᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲚᲘ
- „ᲨᲔᲕᲜᲘᲨᲜᲔ, ᲠᲝᲛ ᲮᲔᲚᲔᲑᲘ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲐᲜᲘ ᲛᲭᲝᲜᲓᲐ...“ 14
- 24-ᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲥᲝᲠᲬᲘᲜᲔᲑᲐ ᲢᲠᲐᲒᲔᲓᲘᲘᲗ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲐ 17

ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ
ᲛᲝᲬᲝᲓᲔᲑᲘᲗ ᲨᲡᲘᲥᲘᲐᲢᲠᲘ ᲐᲜᲣ ᲡᲘᲒᲘᲥᲔ ᲒᲔᲜᲘᲐᲚᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ „ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲡ“ 18

ᲢᲔᲡᲢᲘ
ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲘ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘ 19

ᲗᲔᲛᲐ
ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲙᲐᲪᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲚᲔᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘ 20

ᲛᲐᲠᲢᲘᲕᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ
ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲘᲕᲐᲦᲬᲘᲝᲗ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐᲡ 23

ᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ
„ᲑᲐᲠᲓᲐᲪᲕᲚᲘᲚᲘ“ ᲒᲝᲒᲝᲜᲐ ᲡᲐᲛᲐᲠᲘᲓᲐᲜ ᲛᲫᲐᲠᲪᲕᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲒᲐᲛᲝᲘᲮᲡᲜᲔᲡ 24

ᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲔᲑᲘ
„ᲐᲠ ᲛᲘᲧᲕᲐᲠᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲕᲔᲠ ᲕᲔᲣᲑᲜᲔᲑᲝᲓᲘ“ 27

ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐ
- ᲠᲝᲒᲝᲠ ᲨᲔᲕᲘᲜᲐᲠᲩᲣᲜᲝᲗ ᲛᲔᲮᲡᲘᲔᲠᲔᲑᲐ 30
- ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲓᲠᲝ ᲩᲐᲡᲐᲮᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ 31

ᲡᲐᲛᲝᲡᲘ
ᲢᲘᲜᲔᲯᲔᲠᲣᲚ-ᲐᲕᲐᲜᲒᲐᲠᲓᲣᲚᲘ ᲡᲢᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲓᲘᲐ ᲨᲔᲠᲔᲑᲘ 32

ᲡᲢᲘᲚᲘ
ᲒᲐᲨᲮᲣᲚᲨᲘ ᲗᲛᲐᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲕᲚᲐ ᲔᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲐ 33

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲙᲐᲪᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲚᲔᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘ



ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ, ᲐᲠ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲒᲐᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲘᲜᲭᲘᲜᲠᲝ-ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲬᲧᲕᲔᲢᲐᲓ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚ ᲯᲒᲣᲤᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲐᲠ ᲔᲓᲒᲐ ᲡᲐᲗᲐᲕᲔᲨᲘ... ᲐᲮᲚᲐ, ᲛᲗᲔᲚᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲘᲛᲐᲖᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲕᲘᲢᲐᲜᲝᲗ, ᲠᲐᲛᲐᲪ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲒᲕᲘᲧᲕᲐᲜᲝᲡ: ᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲜᲢᲔᲚᲔᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲝᲢᲔᲜᲪᲘᲐᲚᲘᲐ...

20

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲘᲕᲐᲦᲬᲘᲝᲗ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐᲡ

ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲦᲬᲔᲕᲐᲓ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲖᲐ ᲠᲔᲪᲔᲞᲢᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲓᲐ ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲐᲛ ᲛᲘᲖᲜᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲛᲔᲗᲝᲓᲡ ᲘᲠᲩᲔᲕᲡ. ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝᲐ, ᲠᲐ ᲒᲖᲘᲗ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲔᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲛᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲛᲐ ᲓᲐ ᲠᲐᲡ ᲣᲠᲩᲔᲕᲔᲜ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲡ.

23

ᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ — „ᲑᲐᲠᲓᲐᲪᲕᲚᲘᲚᲘ“ ᲒᲝᲒᲝᲜᲐ ᲡᲐᲛᲐᲠᲘᲓᲐᲜ ᲛᲫᲐᲠᲪᲕᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲒᲐᲛᲝᲘᲮᲡᲜᲔᲡ



„ᲡᲐᲡᲐᲤᲚᲐᲝᲖᲔ ᲣᲙᲕᲔ ᲐᲦᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲘᲧᲝ — ᲡᲘᲩᲣᲛᲔ ᲡᲣᲤᲔᲕᲓᲐ, ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲔᲓᲒᲘᲜᲐ ᲡᲐᲛᲐᲠᲔ. ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲐᲦᲥᲛᲘᲡ ᲣᲜᲐᲠᲘ ᲓᲐᲛᲙᲐᲠᲒᲕᲝᲓᲐ — ᲐᲚᲑᲐᲗ, ᲐᲛᲐᲜ ᲒᲐᲓᲐᲛᲐᲠᲩᲘᲜᲐ ᲘᲛᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲭᲙᲣᲘᲓᲐᲜ ᲐᲠ ᲨᲔᲕᲘᲨᲐᲚᲔ. ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲣᲤᲚᲘᲡ ᲜᲔᲑᲐ ᲘᲧᲝ...“

24

ᲤᲝᲢᲝᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲥᲐᲚᲘᲡ ᲛᲣᲖᲐᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘᲪ ᲓᲐ ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲨᲘᲪ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲘᲐ

„ᲨᲘᲨᲕᲔᲚᲘ ᲛᲘᲜᲐᲮᲐᲕᲡ ᲛᲐᲓᲝᲜᲐ, ᲯᲔᲜᲘᲤᲔᲠ ᲚᲝ�პᲔᲖᲘ, ᲛᲐᲘᲙ ᲢᲐᲘᲡᲝᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲮᲚᲝᲑᲔᲚᲘ ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘ... ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲫᲕᲘᲠᲐᲓ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚ ᲙᲐᲑᲐᲡ ᲛᲔᲪ ᲕᲘᲪᲕᲐᲛᲓᲘ ᲓᲐ ᲡᲣᲠᲐᲗᲡ ᲕᲘᲦᲔᲑᲓᲘ ᲮᲝᲚᲛᲔ... ᲕᲔᲠᲡᲐᲩᲔ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲛᲗᲮᲝᲕᲓᲐ ᲮᲝᲚᲛᲔ ᲐᲛᲐ ᲗᲣ ᲘᲛ ᲙᲐᲑᲘᲡ ᲩᲐᲪᲛᲐᲡ.“

50

ტაძარი
რას გვიკრძალავს მეხუთე მცნება? 34
გახსენება
„...ალბათ მეც ვიგრძნობ, როცა ძალიან-ძალიან მომენატრება“ 35
ანტიდეპრესანტი
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 36
კაცი-ლეგენდა
მუჰამედ ალის „რკინის მაიკის“ გალახვა ჩირადაც არ ულირს 38
სპორტული მოზაიკა 40
ავტო 41
რომანი
რუსუდან ბერიძე.
მტაცებლის ინსტინქტი (გაგრძელება) 42
ვარსკვლავების შემქმნელი
დონ კოპოლა და მისი კინოიმპერია (დასასრული) 46
ბომონდი 48
ფოტოვერნისაჟი
ქალი-მირაჟი – არარსებული რეალობა 49
სახე
ფოტოხელოვანი ქალის მუზას თბილისშიც და ნიუ-იორკშიც ბევრი გაუოცებია 50
მოგზაურის დღიურები
მერილენდის მოხუცთა თავშესაფრიდან ვირჯინიელი სენატორის სახლამდე... 54
ოჯახი
ძირძველ ბათუმელ პოლიტიკოსს ცოლი აჭარულ კერძებს არ უმგზადებს 57
ახალი კოლექცია
„მაკა ასათიანის“ „პრინცესები“ ღია ცის ქვეშ 58
როგორ ვისვენებთ
ნინი ბადურაშვილს „კუპალნიკის“ გამო პლაჟზე ხარი დაედევნა 59
ჰოროსკოპი
კვირის (9-15 აგვისტო) ასტროლოგიური პროგნოზი 60
სკანვორდი 61
იუმორი 62
ტესტი
შეგიძლიათ თუ არა იყოთ ბედნიერი? 63
კალეიდოსკოპი
ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: გიორგი ჟორჟოლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

მერილენდის მოხუცთა თავშესაფრიდან ვირჯინიელი სენატორის სახლამდე...



„მთელი ტრაილერი სპეციალური ხელჯოხით დაათვალიერეს. როცა დარწმუნდნენ, რომ ყველაფერი რიგზე იყო, მცველი მომიახლოვდა და გამეცნო:

– ლეიტენანტი ჯორჯ სმიტი ვარ, ერთად მგზავრობა მოგვიწევს!..“

54

ჯანმრთელობა – საუკეთესო დრო ჩასახვისათვის



...ასე რომ, საუკეთესო დრო ახალი სიცოცხლის შესაქმნელად ზაფხულის დამლევი და შემოდგომის დასაწყისია. თანაც თბილ და ნათელ პერიოდში (გადათვალეთ 9 თვე შემოდგომის დასაწყისიდან) დაბადებული ბავშვები ყოველთვის უფრო ჯანსაღები არიან.

31

სოფი ლორენი კვლავ დედა გახდება

სახელგანთქმული იტალიელი მსახიობი სოფი ლორენი, რომელსაც სექტემბერში 70 წელი უსრულდება, პატარა გოგონას აყვანას აპირებს. ერთ-ერთი ჟურნალისთვის მიცემულ ინტერვიუში მან განაცხადა: „თუმცა ჩემი ვაჟიშვილები ძალიან მიყვარს, ყოველთვის მსურდა, ქალიშვილის დედა ვყოფილიყავი...“

48

მტაცებლის ინსტინქტი

– ნახვამდის.. – მოულოდნელად ლოყაზე ეამბორა მას მეგი და მანქანიდან სასწრაფოდ გადავიდა.

– გადამრევს ეს გოგო!.. – ლოყაზე ხელი ნაზად მოისვა კახამ. – ვეღარ გავიგე, ისევ ვუყვარვარ თუ?..

42

„ქათმი ჭირი გამიგია, მაგრამ ტელევიზიების ჭირი პირველად მესმის"...

კარგია ზაფხული, განსაკუთრებით, ჯიბეში იმდენი ფული თუ გაქვს, რომ რომელიმე უცხოურ კურორტზე თუ არა, ქობულეთის მაზუთიან პლაჟზე მაინც მოახერხო ერთკვირიანი კოტრიალი. ამ დროს კაცს არც პოლიტიკა აინტერესებს, არც ეკონომიკა და საერთოდაც არ ახსოვს ტელევიზორი, რადგან ზღვის ხედი და ბიკინიანი ლამაზმანების ჟრიამული გაცილებით სასიამოვნო საყურებელია, ვიდრე საინფორმაციო პროგრამა, ან თუნდაც, „პირამიდა – თერაპიული სეანსი".

ბევრი კი საერთოდ ვერ ახერხებს ქალაქიდან გასვლას ორიდან ერთ-ერთი მიზეზით: სამსახურებრივი მოუცლელობა ან უფულობა. თუმცა არსებობს განსაკუთრებული კატეგორიაც – „ჩემნაირები", რომლებსაც დასასვენებლად ვერწასვლის ეს ორივე მიზეზი აქვთ. ამიტომ, ზღვის წყალს ვინ დაეძებს, გაყიდვას ძლივს გადარჩენილი სასმელი წყლის გადავლებასაც სჯერდებიან და გართობის ერთადერთ საშუალებად ძველი და ერთგული მეგობარი – ტელევიზორიღა შემორჩათ.

თუმცა, ტელევიზიებსაც დაეტყოთ აგვისტოს დადგომა: ყველა გადაცემა შვებულებაში გავიდა და მხოლოდ საცოდავი საინფორმაციო პროგრამების დასჯილი წამყვანები იხდიან სასჯელს. პირდაპირ გული მეწვება მაგათი საცოდაობით: მე წამოწოლილი მაინც ვუყურებ, ისინი კი მორჩილად სხედან „დუხოვკასავით" გახურებულ სტუდიაში ყელში ყულფივით წაჭერილი ჰალსტუხებით და ისეთი ტანჯული სახეებით ჰყვებიან ბიუჯეტის შევსებისა და ეთნოკონფლიტის მოგვარების ამბებს, რომ ველარ ხვდები, გაგიხარდეს თუ გეწყინოს.

ადრე ერთი რამ მაინც ახარებდა კაცის გულს: ამდენი ქართული ტელეარხი იყო და ნორმალური გადაცემის პოვნის იმედით დიდხანს უნდებოდი გადართვა-გადმორთვას. მაგრამ ესეც აღარ შეგვარჩინეს და ვალების გამო სულს ღაფავენ საცოდავი ტელევიზიები: აჭარის ტელევიზიას სატელიტური მაუწყებლობა შეუწყვიტეს (დაიხურა ვალების გამოო), მალე „კავკასიაც" წაიქცევაო... „პირველი არხია" და, ჯერ არ წაქცეულა, მაგრამ მაინცდამაინც არც მყარად ფეხზე დგომის ეტყობა რამე. ის კი არადა, იმასაც კი ამბობენ, ეს არხი, თანამშრომლების საშუალო ასაკის გამო მალე მოხუცთა პანსიონატად გადაკეთდებაო... „გამარჯვებული ხალხის ტელევიზიაა" და, ისე გამოიყურება, რომ გამარჯვება შეგზარდება თავმოყვარე კაცს.

ამ მთავრობისაც გამკვირვებია: შე დალოცვილო, ტელევიზიებით გიდგას სული, ეს წამყვანები ტვინის გამოლაყებამდე რომ უჩიჩინებენ ხალხს, „ამფერი კაი მთავრობა ჯერ არ გვყოლიაო" და შენ კიდევ ფულს სთხოვ?! განსაკუთრებით, დენის დავალიანება წყვეტთ თურმე წელში ჩვენს ტელემაგნატებს და ნუთუ ვერ ხვდებიან, რომ ელექტროდენი ძვირი სიამოვნებაა. გადააკეთონ მაუწყებლობა გაზზე და მოითქვამენ სულს – ბუნებრივი აირი ხომ გაცილებით იაფი ჯდება.

აბა, ასე თუ გაგრძელდა, ერთადერთი ტელევიზია დაგვრჩება – „ევრიკა", რომელიც მე მგონი უკვე გადაკეთებულია გაზზე და მშვენივრად ართობს ქელეხისა და ქორწილის მოყვარულ მაყურებელს. ამას წინათ, ისეთი „მუზონები" დასცხეს, რომ ლობიო და შილაფლავიღა აკლდა სტუდიას. მართალია, ცოტა ჩვენების ხარისხი ვერაა მთლად კარგი, სიგნალი მოდის სუსტი, მაგრამ ეს ალბათ იმიტომ, რომ ახლა ბუნებრივი აირიც შეწყდა და ეტყობა, ბალონზე არიან.

მოკლედ, რაღაც უნდა მოახერხონ ამ ტელევიზიებმა, თორემ ჩვენს „თერგდალეულ" ეკონომიკის მინისტრს მეტი კი არაფერი უნდა, გამოაცხადებს ტენდერს და ამ შენს ტელევიზიებსაც მიაყიდის მოპარული თხასავით. თუ ეს მართლაც ასე მოხდა, კი იცით, ვინც იყიდის ყველა ტელევიზიას – რა თქმა უნდა, მეორე „თერგდალეული" ბიზნესმენი, რომელიც ყველას და ყველაფერს ყიდულობს.

P.S. ფირუზამ მიხოსთან ტელევიზორი მიიტანა შესაკეთებლად:

– ოსტატოო... ერთი გამისინჯე და მითხარი, რა ჭირს ჩემ „სავეტსკი" ტელევიზორსა...

– ფირუზ, რას უჩივი, გენაცვა?!

– ყველა „კანალზე" ერთი და იგივეებს აჩვენებს და... ერთი და იგივეს უბერამს... ძველი გამოშვებაა და... რავი აბა... ხო არ გაფუჭდა...

– აგე... ხო ხედამ ახალი იაპონურებიც მამიტანეს... ყველასა ჰგონია, რო მაგის ტელევიზორსა ჭირს რაღაცა... არადა, ეგა ახლა ტელევიზიების ჭირია...

– ეე... მაიცა, მაიცა... შენც ხომ არ უბერამ... ქათმი ჭირი გამიგია, მაგრამა ტელევიზიების ჭირი პირველად მესმის...

პროვოკატორი

„რკინიგზელები სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად უნდა დისაჯონ“

— რკინიგზის ტერიტორიულ სამმართველოებში მოკვლეული მასალებით, 8 კორუმპირებული თანამშრომელი გამოავლინეთ. თუმცა ცხადია, თქვენს სისტემაში ბევრად მეტი კანონდამრღვევის მოძებნაა შესაძლებელი...

დავით ონოფრიშვილი, *რკინიგზის დეპარტამენტის ხელმძღვანელი:*

— პირველ ეტაპზე, არსებული მასალების მიხედვით, ამ ადამიანებით შემოვიფარგლეთ. მათ, შემოწმების შედეგად, თითქმის ყველა სახის ეკონომიკური დანაშაულის ჩადენა გამოვლინდა. იმედი მაქვს, რომ მოკვლეულ მასალებზე პროკურატურა შესაბამის რეაგირებას მოახდენს. ცუდი არ იქნება, თუ ამ საქმეს გენერალური პროკურორი პირად კონტროლზე აიყვანს და დამნაშვეები სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად დაისჯებიან. სამწუხაროდ, რკინიგზაში კორუფციის სხვადასხვა ფორმაა განვითარებული. ადამიანთათვის ძალზე იოლად შესამჩნევია სამგზავრო მატარებლების მომსახურე პერსონალთა კორუმპირებული ქმედებები, რაც ძირითადად, ბილეთების დეფიციტის ხელოვნურად შექმნასა და შემდგომ, უფრო ძვირად გაყიდვაში იჩენს თავს. გარდა ამისა, ხდება თავისუფალი ადგილების სადგურებისთვის გადაცემა, რასაც მათი მიღებისა და რეალიზების წესის დარღვევა მოსდევს თან. ამ ოპერაციებით მიღებული უკანონო შემოსავლები კონკრეტული ადამიანების ჯიბეებში მიდის. რაც შეეხება ახლო მანძილებზე მოძრავ მატარებლებს — აქ ბილეთები საერთოდ არ იყიდება: მგზავრები სალაროში ბილეთის შეძენას, გამცილებელთან გარიგებას ამჯობინებენ, რადგან გამცილებლებმა შესაძლებელია, ნახევარ ფასად წაიყვანონ. დარღვევა უხვადაა სატვირთო შემადგენლობების სფეროშიც. ყველა ამ მაქინაციის შედეგად, რკინიგზას 4,6 მილიონი ლარის ზარალი მიადგა!.. ფინანსური დარღვევების შესწავლაზე მუშაობას მომავალშიც გავაგრძელებთ. წლების განმავლობაში შექმნილი კორუფციის ქსელი უნდა დაირღვეს, ჩვენი საქმიანობა კი, გამჭვირვალე გახდეს. ■

„ლევან ოქრუაშვილს ნარკოტიკი ჩაუდეს“

— „სახალხო გაზეთის“ მთავარი რედაქტორი ნარკოტიკების მოხმარების ბრალდებით დაატიმრეს. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ამ ფაქტს პოლიტიკურ ანგარიშსწორებას უკავშირებენ.

სოზარ სუბელიანი, *„თავისუფლების ინსტიტუტი“:*

— „სახალხო გაზეთის“ მთავარი რედაქტორის ლევან ოქრუაშვილის დაპატიმრება სრულიად უკანონოდ, პროცედურული ნორმების დარღვევით მოხდა. როცა ჟურნალისტს იმის გამო აკავებენ, რომ იგი ვიღაცას აკრიტიკებს, ეს ამაზრზენია. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ოქრუაშვილი ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში, ძალიან მწვავე ინფორმაციებს აქვეყნებდა პოლიციისა და ფინანსური პოლიციის საქმიანობის შესახებ. ბოლო ნომერში მათ დაბეჭდეს ინფორმაცია თავად სამხარეო რწმუნებულის საქმიანობასთან დაკავშირებით. ხელისუფლებას კრიტიკის მოსმენა უნდა შეეძლოს. სამწუხაროდ, ბოლო დროს, მისი მხრიდან ანგარიშსწორების არაერთი ფაქტი დაფიქსირდა. გასულ წლებში საზოგადოებას ჰქონდა რეაგირების ისეთი საშუალებები, რომლებიც ხელისუფლებას უკან დახევას აიძულებდა. ახლა სიტუაცია შეიცვალა, რაც შეშფოთების სერიოზულ საფუძველს იძლევა. ლევან ოქრუაშვილს რაიონში კარგი რეპუტაცია აქვს, მისი ნარკომანობის შესახებ არავის არაფერი სმენია. როგორც ჩანს, საქმე გვაქვს წამლის „ჩადების“ მორიგ ფაქტთან. თუ პოლიციელები რამეს ეძებდნენ, ოქრუაშვილის კაბინეტში შეიხედავდნენ და კარადებს მაინც დაათვალიერებდნენ — რაც არ მომხდარა. ჩვენ მისი გათავისუფლების მოთხოვნას ვუერთდებით და იმედი გვაქვს, ამ ოპერაციის შემკვეთი დროულად მიხვდება, რომ ძალადობით ჯანსაღ კრიტიკას ვერ აღკვეთს. ■

„...კოკოითი ჟვანიასთან შეხვედრაზე უარს არ იტყვის“

— პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია ედუარდ კოკოითთან შეხვედრას გეგმავს. შედგება თუ არა მათ შორის დიალოგი და რამდენად განმუხტავს ეს შეხვედრა შექმნილ დაძაბულობას?

ვაჟა ხაჭაპურიძე, *კოკოითის პირადი წარმომადგენელი:*

— ედუარდ კოკოითი ცხინვალში არ ბრძანდება და ალბათ, მან არ იცის ზურაბ ჟვანიას ინიციატივის შესახებ. მათ შესაძლო შეხვედრაზე ინ-

ფორმაცია არც ჩვენ მიგვიღია. დათანხმდება თუ არა კოკოითი ამ შეხვედრაზე, იმაზეა დამოკიდებული, თუ რა საკითხები იქნება დღის წესრიგით გათვალისწინებული. გოგა ხაინდრავამ პირადად მე, რამდენიმე საკითხის კოკოითთან შეთანხმება მთხოვა, მაგრამ პრეზიდენტი აქ არ იმყოფება და მისი საქმის კურსში ჩაყენება ვერ შევძელი. თუ პრემიერ-მინისტრი შეხვედრის დღის წესრიგში იმ საკითხებს შეიტანს, რომელთა გარკვევაც ხაინდრავამ მთხოვა, დარწმუნებული ვარ, კოკოითი ჟვანიასთან შეხვედრაზე უარს არ იტყვის. რაც შეეხება თავად ამ საკითხებს, ესენია: ურთიერთთანამშრომლობა და გაცნობა, უსაფრთხოების გარანტიები, ეკონომიკური თანამშრომლობა და კულტურული ღონისძიებების გამართვა. მე არ გამოვრიცხავ, რომ ზურაბ ჟვანიასთან შეხვედრამდე, კოკოითმა რუსეთსაც ჰკითხოს რჩევა. მთავარია, ეს ვიზიტი ორივე მხარესთან შეთანხმებული ფორმატით შედგეს. უმაღლესი დონის შეხვედრები და კონსტრუქციული დიალოგი სიტუაციის განმუხტვას აუცილებლად შეუწყობს ხელს. ■

„ივერიიდან“ გამოსახლებულებს ქუჩაში არ დატოვებენ“

— სასტუმრო „ივერიიდან“ ლტოლვილების გამოსახლებაზე საუბრობენ. დააკმაყოფილებენ თუ არა ამ სასტუმროში მცხოვრებ 1112 ადამიანს საცხოვრებელი ფართით?

მირზა ქოჩიაშვილი, *ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილე:*

— ამ ეტაპზე, სასტუმრო „ივერიაში“ ლტოლვილთა აღწერა მიმდინარეობს. უახლოეს მომავალში, გამორიცხული არ არის, რომ სასტუმროს რეაბილიტაციის მიზნით, ხელისუფლებამ „ივერიიდან“ დევნილები გამოასახლოს. მაგრამ მათი ქუჩაში, უსახლკაროდ დატოვება გამორიცხულია. ვფიქრობ, ამ ინიციატივის წინააღმდეგი არც თავად იქნებიან, რადგან სასტუმროში აუტანელ პირობებსა და სივიწროვეში უწევთ ცხოვრება. კონკრეტულად რას შესთავაზებენ მათ, ამ საკითხის მოგვარება იმ ინვესტორის კომპეტენციაა, რომელიც სასტუმროს რეაბილიტაციას მოახდენს. არ გამოვრიცხავ, რომ დევნილებს, თუ თავად ექნებათ სურვილი, ფულადი კომპენსაციები დაურიგდეთ. თუმცა, ეს ყველაფერი ჯერჯერობით მხოლოდ საუბრის დონეზეა. სადაც არ უნდა გადავიდნენ ეს ადამიანები, იმაზე უკეთესად ნამდვილად იგრძნობენ თავს, ვიდრე სასტუმროში, რომელიც 500 მოსახლეზეა გათვალისწინებული და დღეს, სამჯერ მეტ ადამიანს იტევს. გარდა ამისა, როგორც პრეზიდენტი ბრძანებს, ცენტრალურ გამზირზე სასტუმროს შენობის ასეთ მოუვლელ მდგომარეობაში დატოვება მართლაც, დაუშვებელია.

■

„ბიუჯეტი „სახელმწიფო რეკეტით“ იზრდება“

— პირველად საქართველოში, წლის ბოლოს, ბიუჯეტის შემცირების ნაცვლად, მის გაზრდაზეა საუბარი. მიუხედავად ამისა, ოპოზიციას არასაგადასახადო შემოსავლებთან დაკავშირებით პრეტენზიები მაინც აქვს...

დავით გამყრელიძე, *„ახალი მემარჯვენეების“ ლიდერი:*

— პროექტის გაცნობის საშუალება პარლამენტის წევრებს უკვე მოგვეცა, მაგრამ მის საბოლოო დამტკიცებამდე, ამ პროექტის საფუძვლიანი შესწავლაა საჭირო. სასიამოვნოა, რომ პრეფიციტი დაფიქსირდა და ბიუჯეტის სეკვესტრის ნაცვლად, მის გაზრდაზეა საუბარი. მაგრამ კითხვის ნიშნები ჩნდება არასაგადასახადო შემოსავლების 125 მლნ-ით გაზრდასთან დაკავშირებით. ეს „სახელმწიფო რეკეტით“ მიღებული შემოსავლებია, რასაც ჩემი აზრით, პოზიტიური შეფასება არ უნდა მივცეთ. არ შეიძლება, სახელმწიფომ წინასწარ დაგეგმოს ის, თუ ყულფში ვის გააყოფინებს თავს. გარდა ამისა, ის ტენდენცია, რომელიც ამ პარლამენტის მუშაობაში თავიდანვე შეინიშნებოდა, კვლავ იჩენს თავს: პროექტების დამტკიცება დაჩქარებული წესით, კანონის დარღვევებით ხდება. როცა მიმდინარე წლის ბიუჯეტის დამტკიცება მიმდინარეობდა, პროექტში ნორმალურად ჩახედვის საშუალებაც არ მოგვცეს: „პარიზის კლუბში“ გვაგვიანდება და მისი განხილვის დრო არ არისო... როგორც შემდეგ გაირკვა, ასეთი სიჩქარე საჭირო ნამდვილად არ იყო. პარლამენტს ამ პროექტის განხილვის დროსაც ცაიტნოტურ სიტუაციაში მოუწევს მუშაობა, რაც თავისთავად შეცდომების ალბათობას ზრდის. ამასთან ერთად, ბიუჯეტის პროექტი განმარტებითი ბარათის გარეშეა შემოსული, რაც კიდევ ერთ კანონდარღვევად უნდა ჩაითვალოს.

■

ზაუსულის „ცხელი პრობლემების“ დასამარცხებლად

მოამზადა ხათუნა მაღრაძემ

სოხუმი, დე ფაქტო პრეზიდენტის რეზიდენცია

სოხუმში, აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების მიერ 3 ოქტომბრისთვის დანიშნული საპრეზიდენტო არჩევნების კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყო. ის 20 დღეს გასტანს. შემდეგ, 40-დღიანი საარჩევნო კამპანია დაიწყება. არჩევნებში სავარაუდოდ, 7-8 კანდიდატი მიიღებს მონაწილეობას. ყველა მათგანს პრაქტიკულად ერთი და იგივე პროგრამა აქვს, რომლის საფუძველს პრორუსული ორიენტაცია და ანტიქართული განწყობა წარმოადგენს. არჩევნების შედეგი იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ ვისზე შეაჩერებს მზერას რუსული ისტებლიშმენტი. მაშ, ვინ არიან რეალურად აფხაზეთის პრეზიდენტობის კანდიდატები და გამარჯვების რა შანსი აქვს თითოეულ მათგანს? ამ კითხვებით აფხაზეთის ლეგიტიმური უზენაესი საბჭოს ყოფილ თავმჯდომარეს თამაზ ნადარეიშვილს მივმართეთ.

ვინ შეცვლის არძინბას

რას გვიქადის აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტის არჩევნები

ხათუნა მაღრაძე

— დაასახელებს თუ არა არძინბა თავის კანდიდატურას?

— ის უკურნებელი სენით არის შეპყრობილი და ბოლო დროს, სრულიად უუნარო გახდა. სამაგიეროდ, არჩევნების შემდეგ, მოვა რომელიმე ახალგაზრდა, ჯანმრთელი ადამიანი, რომელიც მოქმედების სტრატეგიას შეცვლის და მისი ტონიც ბევრად უფრო მკაცრი გახდება. ასეთ შემთხვევაში, ქართულმა მხარემაც ადეკვატური პრინციპულობა და სიმკაცრე უნდა გამოიჩინოს.

— სავარაუდოდ, არძინბა თავის მემკვიდრედ რაულ ხაჯინბას დაასახელებს. ეს ალბათ რუსული დირექტივაა, ხომ?

— ბუნებრივია, რაულ ხაჯინბა რუსული მხარისთვის მისაღები კანდიდატურა რომ არ იყოს, ვერც პრემიერ-მინისტრობას შეინარჩუნებდა და ვერც პრეზიდენტობაზე იოცნებებდა. არძინბა რუსების ხელში სათამაშო პაიკია და რაც უნდოდათ, იმას აკეთებინებდნენ. ხაჯინბა წლების განმავლობაში, უშიშროების სამსახურის უფროსი იყო, ძველი „კაგებეშნიკია". გამოცდილებაც აქვს და თავხედობაც საიმისოდ, რომ პრეზიდენტობა „ჩააბარონ".

— თუმცა, არსებული ინფორმაციით, ადგილობრივ მოსახლეობაში განსაკუთრებული ავტორიტეტით სერგეი შამბა სარგებლობს.

— ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი, არძინბას გუნდის ერთ-ერთი წევრი და მისი იდეოლოგიური მხარდამჭერი იყო. „აიდგილარას" თავმჯდომარე საქართველოსთან მეზობლური ურთიერთობების დამყარებას გეგმავს. ადგილობრივ მოსახლეობაში ის მართლაც, დიდი ავტორიტეტით სარგებლობს, რადგან მის სახელთან არის დაკავშირებული აფხაზეთში ქართველების გენოციდი, სეპარატიზმის გაღვივება და აფხაზეთის დამოუკიდებლობაზე ზრუნვა. ხაჯინბას გამარჯვების მეტი შანსი აქვს, რადგან მის ხელში სახელისუფლებო ბერკეტებია.

— აფხაზეთის ვეტერან-მეომართა ორგანიზაცია ანრი ჯერგენიას უჭერს მხარს. რა შანსი აქვს ჯერგენიას?

— ექსპრემიერი ანრი ჯერგენია, როგორც ცნობილია, არძინბას ცოლის ბიძაა. ისინი ხანგრძლივი დროის მანძილზე ერთიან გუნდს წარმოადგენდნენ. მაგრამ მოგვიანებით, სერიოზულმა დაპირისპირებამ იჩინა თავი და ჯერგენია არძინბას პოლიტიკას გაემიჯნა. აფხაზ მეომარ-ვეტერანთა გაერთიანება „აცხარა" მის მხარდამჭერად მოიაზრება. ეს ძალზე სერიოზული და გავლენიანი ორგანიზაციაა. მიუხედავად ამისა, ჩემი აზრით, ჯერგენიას გამარჯვების შანსი ნაკლებად უნდა ჰქონდეს.

— რაც შეეხება ბაღაფშს და ლაკერბაიას — შეიძლება თუ არა, რუსეთმა რომელიმე მათგანს გამოუცხადოს ნდობა?

— მიუხედავად იმისა, რომ ორივე მათგანი პრორუსული ორიენტაციის პოლიტიკოსია, რუსული მხარე რომელიმეს გაპრეზიდენტებას ძნელად თუ ჩათვლის საჭიროდ. ბაღაფში ჯერ კომკავშირის მდივანი იყო, შემდეგ — ოჩამჩირის ქალაქკომის ხელმძღვანელი. მოგვიანებით, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნა. მას ოჩამჩირეში გარკვეული ავტორიტეტი აქვს... რაც შეეხება ლაკერბაიას — ოპოზიციონერობის თამაშით არის გართული და გამარჯვების მცირე შანსი თავადურმა წარმოშობამ შეიძლება მისცეს. გუდაუთაში ბევრი მისი მოგვარე ცხოვრობს, ისინი მხარს დაუჭერენ. თუმცა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ამომრჩეველთა სიმპათიებს ამ არჩევნებში არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან სამართლიანი არჩევნების ჩატარებაზე ლაპარაკიც ზედმეტია, თუნდაც იმიტომ, რომ ამ არჩევნებს არც ერთი ავტორიტეტული დამკვირვებელი არ დაესწრება. ამომრჩეველთა რაოდენობა, როგორც წესი, იქ წინასწარ იწერება, შემდეგ კი, პროცენტული მაჩვენებლები ისე ნაწილდება, როგორც ხელისუფლებას და რუსულ მხარეს უნდა. ამიტომ ვამბობ, რომ ხაჯინბას გამარჯვების რეალური შანსი აქვს, რადგან მის ხელშია სახელისუფლებო ბერკეტები.

— ბატონო თამაზ, მიუხედავად იმისა, რომ თქვენ ძალის გამოყენების მომხრე ბრძანდებით, როგორ ფიქრობთ — პრეზიდენტობის კანდიდატებს შორის, არც ერთი არაა ისეთი, რომლის გამარჯვების შემთხვევაშიც, პრობლემა მშვიდობიანი მოლაპარაკების შედეგად შეიძლება მოგვარდეს?

— ვისზეც ზემოთ ვისაუბრეთ, თითოეული მათგანი ხელისუფლების ძველი ან ახალი წარმომადგენელია. მათ თუ ჩვენს იურისდიქციაში დაბრუნება უნდოდათ, შეეძლოთ, ამ პროცესისთვის ხელი შეეწყოთ. მაგრამ თითოეული მათგანი წმინდა წყლის სეპარატისტია. ამიტომ რჩება მხოლოდ ერთი გამოსავალი: ვაცნობოთ მთელ მსოფლიოს, თუ რა საშინელება ჩაიდინეს 10 წლის წინ. მსოფლიოს უნდა დავუმტკიცოთ, რომ აფხაზეთი უკონტროლო ტერიტორია და სეპარატიზმის ბუდეა, რომ იქ არის ნარკოტრასები, ჰეროინის ქარხნები; ტერიტორია, სადაც იტაცებენ ხალხს, არიან მონები და ვაჰაბიტები. ამის შემდეგ, უნდა დაიწყოს ეკონომიკური ბლოკადა, გაფრთხილებები, ძალის დემონსტრირება — ანუ ყველაფერი ის, რაც ჩამოყალიბებულია გაეროს წესდების მე-7 თავში. დამიჯერეთ, ამის შემდეგ, მხოლოდ 3-4-დღიანი სპეცოპერაცია იქნება საჭირო საიმისოდ, რომ აფხაზეთში ჩვენი იურისდიქცია აღდგეს... ■

ხალხური სიმღერის ანსამბლ „უნივერსიტეტის“ ძირითადი ბირთვი, ანსამბლ „ხალხური ხმების“ წევრების შვილებით არის დაკომპლექტებული. სწორედ ამიტომ, მათ ხშირად, არაოფიციალურად, „უმცროს ქართულ ხმებსაც“ უწოდებენ. ამრიგად, ეს ანსამბლი „ქართული ხმების“ შვილობილია, როგორც გადატანითი, ასევე პირდაპირი მნიშვნელობითაც — რეპერტუარით, შესრულების მანერით და სტილითაც. რაც შეეხება მიღწევებს — ზოგიერთი სპეციალისტის პროგნოზით, ახალგაზრდა მომღერლებმა შესაძლოა, სულ მალე, „მამებიც“ უკან მოიტოვონ. მისი წარმატებული გამოსვლების რიგს სულ ახლახან კიდევ ერთი, შეიძლება ითქვას უპრეცედენტო შემთხვევა შეემატა: აშშ-ის ქალაქ ნიუპორტში, სადაც ყოველწლიურად, კლასიკური მუსიკის ფესტივალი ეწყობა, ჩვენი „უნივერსიტეტი“ — მონაწილეებს შორის ერთადერთი ფოლკლორული ანსამბლი მიიწვიეს.

გვესაუბრება ანსამბლის მენეჯერი, „ქართული ხმების“ წარ-მომადგენელი, „უნივერსიტეტის“ ორი წევრის მამა თემურ ჭკუასელი.

ქართული მრავალხმიანობა

ღირსეული ადგილი, ღირსეულ ფესტივალზე

ელენე ხირსელი

— რას წარმოადგენს ნიუპორტის კლასიკური მუსიკის ფესტივალი და ვინ არის მისი ორგანიზატორი?

— ნიუპორტი (შტატი როდაილენდი) პატარა ქალაქია, მაგრამ ფესტივალის წყალობით, მთელ მსოფლიოში გაითქვა სახელი. ეს ფესტივალი 36 წელია, ყოველწლიურად იმართება და საკმაო პოპულარობითაც სარგებლობს. 26 წელია, ფესტივალის დირექტორი მარკ მალკოვიჩი (ცნობილი ჰოლივუდელი მსახიობის ჯონ მალკოვიჩის ახლო ნათესავი) გახლავთ. ის 83 წლის ჭარმაგი, საოცრად ენერგიული მამაკაცია, რომელსაც ძალიან უყვარს საქართველო და ქართველები. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ყოველწლიურად ფესტივალზე აუცილებლად მონაწილეობს ერთი ან რამდენიმე ქართველი შემსრულებელი. მაგალითად, წელს მიწვეული იყო ქალბატონი მანანა დოიჯაშვილი და კიდევ 3 ახალგაზრდა პიანისტი.

— რამ განაპირობა ის, რომ კლასიკური მუსიკის ფესტივალზე ხალხური სიმღერის ანსამბლი მიიწვიეს?

— ეს მარკ მალკოვიჩის ინიციატივა გახლდათ. ერთი შეხედვით, მართლაც გასაკვირია და ბუნებრივია, ბევრს უჩნდება მსგავსი კითხვა. მალკოვიჩი ცდილობს გაალამაზოს, გაამრავალფეროვნოს კლასიკური მუსიკის ფესტივალი და როცა საქმე დიდ ხელოვნებას ეხება, ასეთ არაორდინარულ ნაბიჯებს დგამს ხოლმე. წელს, ჩვენი სახით, საინტერესო სიურპრიზი მოუმზადა მსმენელს და ჩემი აზრით, ამით გაწბილებული არავინ დარჩენილა... თუმცა, ჩვენი იქ მოხვედრა, რა თქმა უნდა, მხოლოდ შემთხვევითობას და მალკოვიჩის უცნაურ ახირებას არ უნდა მივაწეროთ. ფესტივალზე წარმოდგენილი იყო რომანტიკული პერიოდის კლასიკა, ქართული სიმღერა კი ახლოა ამ მუსიკასთან. საერთოდ კი, ჩემი აზრით, ხმამაღალი ნათქვამი არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ ქართული ხალხური მუსიკა უფრო მეტად კლასიკაა. ამიტომ ჩვენმა ანსამბლმა ამ ღირსეულ ფესტივალზე ღირსეული ადგილი დაიკავა. სხვათა შორის, კომერციულმა დირექტორმა „უნივერსიტეტის“ მიწვევა კომერციული თვალსაზრისითაც განსაზღვრა: მან კარგად გათვალა, რომ ბევრი მაყურებელი ეყოლებოდა. თუმცა, ასეთ შედეგს ალბათ, თვითონაც არ ელოდნენ. ვფიქრობ, მომავალ წელსაც დაგვპატიჟებენ...

— რა რეპერტუარით წარდგა ჩვენი ანსამბლი ფესტივალზე?

— 9 ივლისს, ფესტივალის გახსნაზე ერთი შემსრულებლის — ცნობილი უნგრელი პიანისტის პროგრამა იყო წარმოდგენილი. ჩვენმა ბიჭებმაც მიიღეს მონაწილეობა — ცნობილი ამერიკული სიმღერა შეასრულეს და ამით გააცნეს იქაურ პუბლიკას თავი. წარმოუდგენელი წარმატება ხვდა წილად: მთელი დარბაზი, დაახლოებით 800 კაცი ფეხზე წამოდგა და ოვაცია 3 წუთის მანძილზე არ ცხრებოდა. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ 2 დღის შემდეგ, ჩვენი ბიჭების კონცერტზე ტევა არ იყო. უამრავი ადამიანი აღმოჩნდა გარეთ — ფეხზე დასადგომი ადგილიც კი აღარ დარჩა. კონცერტი ერთსაათიანი იყო. „უნივერსიტეტმა“ საქართველოს სხვადასხვა კუთხის 20 სიმღერა შეასრულა. ბიჭებს რა თქმა უნდა, ეროვნული ტანსაცმელი ეცვათ. გადაჭარბებული სულაც არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ ქართულმა ანსამბლმა ნამდვილი ფურორი მოახდინა. მე დარბაზში მაყურებლების გვერდით ვიჯექი, ძალიან ვღელავდი. რეაქციაზე მიხვდნენ, რომ მხოლოდ მაყურებელი არ ვიყავი და როცა გაარკვიეს, რომ ანსამბლის მენეჯერი ვიყავი, კონცერტის დამთავრების შემდეგ, იმდენი ხალხი მოვიდა ჩემთან მოსალოცად, რომ სიმართლე გითხრათ, დავიღალე. ხალხი ისეთი აღფრთოვანებული იყო, თქვენ წარმოიდგინეთ, ძალიან ბევრს, განსაკუთრებით კი მანდილოსნებს თვალებზე ცრემლიც კი მოადგათ... ძალიან ბედნიერი ვიყავი. თუმცა მინდა ვთქვა, ამგვარი რეაქცია არ გამკვირვებია: ქართულ სიმღერასთან ერთად თითქმის მთელი მსოფლიო შემოვიარე და ყველგან ანალოგიური სიტუაცია იყო — იმ ქვეყნებშიც, სადაც ისეთი ხალხები ცხოვრობენ, რომლებსაც ნაკლებემოციურ, ცივ ხალხებად მიიჩნევენ. აქედან გამომდინარე, იმ დასკვნამდე მივედი, რომ ეს არის არა გარკვეული ანსამბლებისა თუ მომღერლების დამსახურება, არამედ თვით ქართული სიმღერის. ქართული სიმღერა საოცარი ფენომენია, ის სრულიად გამორჩეულია მსოფლიო მუსიკალურ კულტურაში და ბუნებრივია, მსმენელი ამას გრძნობს.

— ალბათ, ადგილობრივი პრესაც გამოეხმაურა ანსამბლის გამოსვლებს...

ანსამბლი „უნივერსიტეტი“ ბობ მაკფერენთან ერთად

— გაზეთებმა საკმაოდ მაღალი შეფასება მოგვცეს. ნიუპორტის გაზეთ „დეილი ნიუსში“ შტატის გუბერნატორის ინტერვიუ დაიბეჭდა. კორესპონდენტის კითხვაზე, თუ რას იტყოდა ქართული ანსამბლის შესახებ? — მან უპასუხა — ნამდვილი ფანტასტიკა იყოო!.. სხვათა შორის, გაზეთებში იმასაც წერდნენ, რომ „უნივერსიტეტის“ წარმომადგენლები, ლეგენდარული ანსამბლის — „ქართული ხმების“ წევრების შვილები არიან. არ ვიცი, როგორ ჩააღწია იქ ამ ინფორმაციამ, შესაძლოა, თვითონ მარკ მალკოვიჩი იყო ინფორმირებული. ეს ორმაგი კომპლიმენტი ძალზე სასიამოვნო იყო ჩვენთვის.

— **ჩანაწერები თუ ჩამოიტანეთ ფესტივალიდან და ჩვენს მაყურებელს თუ ექნება ამის ხილვის საშუალება?**

— სამოყვარულო კამერით ვიღებდით. ჯერ არ მინახავს და არ ვიცი, რა ხარისხისაა და გამოდგება თუ არა ეთერში გასაშვებად. ამერიკელებმა, რა თქმა უნდა, მთელი ფესტივალი აღბეჭდეს ფირზე. ბოსტონის რადიომ რამდენიმე საკმაოდ მაღალი ხარისხის ჩანაწერი გადმოგვცა, მას აუცილებლად გამოვიყენებთ.

— **როგორც ვიცი, ანსამბლი ადრეც გამოსულა უცხოელი მსმენელების წინაშე...**

— დიახ. რამდენიმე ქვეყანაში არიან ნამყოფი: საბერძნეთში, იტალიაში, რუსეთში. ყველგან დიდი წარმატება ჰქონდათ. თუმცა, ასეთი მაღალი რანგის ფესტივალში პირველად მონაწილეობდნენ. ბიჭებმა იგრძნეს, თუ რამხელა პასუხისმგებლობა დაეკისრათ.

— **ფესტივალზე გამგზავრება ალბათ, საკმაოდ ძვირიც დაჯდებოდა...**

— ამაში დაგვეხმარა საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიის ხელმძღვანელი ბატონი მამუკა ხაზარაძე, ჩვენი სახელმწიფო უნივერსიტეტი, კერძოდ, მისი რექტორი, ბატონი როინ მეტრეველი... ხელოვნების განვითარებას ჩვენში უსახსრობა უშლის ხელს. ამ მხრივ დღეს განსაკუთრებით ხალხურ შემოქმედებას უჭირს. მართალია, ცოტ-ცოტა, რაღაცას გვეხმარებიან, მაგრამ ეს მხოლოდ აქ არსებობას სწვდება — საზღვარგარეთ გასამგზავრებლად, ბევრად მეტია საჭირო. ფესტივალზე მონაწილეობისთვის დიდ გასამრჯელოს არ ვიღებთ, თუმცა ეს საკმარისია იმისთვის, რომ იქ იცხოვრო და ცოტა ჯიბის ფულიც დაგრჩეს. ზოგი ფესტივალი არაფერს გიხდის: იმდენად პრესტიჟულია, რომ საკუთარი სახსრებით უნდა ჩახვიდე, ამის გამო, ბევრი პრობლემა გვექმნება ხოლმე. ძალზე ძნელია ენთუზიაზმზე მუშაობა...

— **უახლოეს მომავალში თუ გაქვთ დაგეგმილი საზღვარგარეთ გამგზავრება?**

— „ქართული ხმები“ ყოველ წელს, კორსიკაზე პოლიფონიური მუსიკის ფესტივალში მონაწილეობს. წლეულს პირველად, უკვე უმცროსი „ქართული ხმები“ მიიწვიეს. ექნებათ ერთი მთავარი კონცერტი და რამდენიმე გამოსვლა. კორსიკაში 13 სექტემბერს გავემგზავრებით. იქ მსოფლიოს ხალხთა შემოქმედება იქნება წარმოდგენილი. ჩავლენ იმ ერების წარმომადგენლები, ვის მუსიკალურ შემოქმედებასაც მრავალხმიანობა ახასიათებს: აფრიკიდან, იტალიიდან... ახლა ბიჭები კორსიკულ სიმღერებს ამზადებენ... საშობაოდ, გერმანიაში წავალთ. წლეულს მიწვეული ვართ ფინეთშიც. საერთო ევროპული არხი „არტი“, რომელიც ევროპული კულტურის პოპულარიზაციას ემსახურება, იღებს ფილმს საქართველოზე, სადაც დიდი ნაწილი ანსამბლ „უნივერსიტეტს“ დაეთმობა.

— **ანსამბლში ყველანი, „ქართული ხმების“ წევრების შვილები არიან?**

— ყველა — არა. „უნივერსიტეტში“ მისი სამხატვრო ხელმძღვანელის, რობერტ გოგოლაშვილის შვილი — დათო გოგოლაშვილი, დათო აბესაძის — გიგა და ჩემი შვილები — დათო და მამუკა მღერიან. თუმცა, ამას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს — აქ ყველა ჩვენი შვილია. ანსამბლში სულ 11 წევრია — 24-დან 29 წლამდე ასაკის ბიჭები. ხუთი მათგანი დაქორწინებულია.

— **ანსამბლი 7 წელია არსებობს. ამ ხნის მანძილზე, შემადგენლობა თუ შეიცვალა?**

— შემადგენლობა — არა, მაგრამ შეიცვალა რაოდენობა: თავიდან, უფრო მეტნი იყვნენ. ეს ძალიან გულდასაწყვეტია. თუმცა, ანსამბლის განვითარებისთვის ბუნებრივი და კანონზომიერი პროცესია. ახლა ყველას საკუთარი ფუნქცია აქვს. მომღერალი, რომელსაც კონკრეტული ფუნქცია არა აქვს, ანსამბლში აღარ უნდა დარჩეს...

— **ბიჭებმა უკვე დაამთავრეს უნივერსიტეტი. ანსამბლისთვის სახელის შეცვლას ხომ არ აპირებთ?**

— ბიჭებს ძალიან უყვართ მშობლიური უნივერსიტეტი, ასევე უნივერსიტეტსაც უყვარს ისინი, ამიტომ ისევ ამ სახელით გამოდიან. თუმცა, უმცროს „ქართულ ხმებად“ მათი მონათვლა იმდენად ბუნებრივად მოხდა, რომ ალბათ მალე მოვა ის დრო, როცა ეს სახელი ოფიციალურადაც დაერქმევა. „უნივერსიტეტი“ „ქართული ხმების“ გზას აგრძელებს, ძირითადი რეპერტუარიც იგივეა. თუმცა, ბევრი ახალი სიმღერაც აქვთ.

— **როგორ ფიქრობთ — „შვილები“ ხომ არ სჯობნიან „მამებს“?..**

— შეიძლება იმღერო ძალიან სწორად და ძალიან კარგად, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. ბიჭებს აქვთ კიდევ რაღაც სხვა ძალა, რომლის წყალობითაც, ძალზე მოკლე ხანში მოიპოვეს საყოველთაო სიყვარული: ეს ძალა — ხიბლია, მათი განსაკუთრებული, განუმეორებელი ხიბლი... ჩემი აზრით, მთავარია, მოხიბლო ქართული მსმენელი. თუ ეს შეძელი, უცხოელი მაყურებლის დაპყრობას წინ აღარაფერი უდგას. სხვათა შორის, ამერიკაში გამგზავრებამდე ცოტა ხნით ადრე, მოხდა ძალზე საინტერესო ფაქტი: ჩვენმა ბიჭებმა ფილარმონიაში ცნობილ ამერიკელ მომღერალთან, რომელსაც ადამიანორკესტრს და ცოცხალ ლეგენდას უწოდებენ — ბობ მაკფერენთან ერთად იმღერეს. ერთ-ერთ რეპეტიციაზე მან ბიჭებს უთხრა: ნეტავ შემეძლოს, დარბაზში დავჯდე და თქვენს კონცერტს თავიდან ბოლომდე მოვუსმინოო... ეს დიდი მუსიკოსის დიდი შეფასებაა. სხვათა შორის, ამერიკაში რომ ვთქვი — მაკფერენთან ერთად იმღერესმეთქი, — ყველა აღტაცებული დარჩა. მათ იციან საკუთარი მუსიკოსის ფასი... „უნივერსიტეტში“ შესანიშნავი ბიჭები არიან. როცა მათ ვუსმენ, ტანში ჟრუანტელი მივლის. ზოგი ამბობს — უკვე გაჯობესო, ზოგი — უფრო ძლიერები იყავითო. თვითონ ბიჭები საკმაოდ თვითკრიტიკულნი არიან და ჩვენ ბევრად მაღლა გვაყენებენ. მე საკმაოდ დადებითად ვაფასებ მათ შემოქმედებას და ჩემი აზრით, რეალიზდება ქართული ანდაზა: „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა“. ■

«დ ე ლ ტ ა»
მეტალოპლასტმასის
ძარ-შანჯრებისა და
ლამინირებული ავეჯის
დამზადება
ბრტყელი გადახურვები
ფოს: მ.ლალიძის ქ.№9 ტ: 92 32 08; 92 14 95.

როგორც ახალგაზრდა პარლამენტარი ბეჟან კალანდაძე ამბობს, მისი ოჯახის წევრებს დავიწყებიათ, რომ გაიზარდა და დროა, ცოლი მოიყვანოს. სამაგიეროდ, ჩვენ გაგვახსენდა. მაგრამ ჩვენი შეხვედრის მიზანი მხოლოდ მას შემდეგ გავუმხილე, რაც დიქტოფონი ჩავრთე. ისიც, ნელა-ნელა შევაპარე: ახლა მოემზადე იმისთვის, რომ ცოლი უნდა მოიყვანო-მეთქი... ჯერ, როგორც გურულს შეეფერის, გაჯიუტდა, მაგრამ მერე დავიყოლიე და კუს ტბის გრილი ნიავის „ფონზე“ საკმაოდ ხალისიანი საუბარი გამოგვივიდა.

„ჭიკია, ჭალი ცარიელი ქმევიდეს, ქაჯრაქ იყოს თბილი და ალერსიანი“

მარი ჯაფარიძე

— **ბეჟან, გაგვაცანი შენი ოჯახი.**

— მყავს დედა, არის პროვიზორი და მუშაობს აფთიაქში. მამა ტიპური ქართველი მეწარმეა. კიდევ მყავს და.

— **და გასათხოვარია?**

— სტუდენტია, მისი გათხოვება ჯერ ადრეა. პრინციპში, პატარა აღარ არის, მაგრამ... ჩვენ შორის სხვაობა 5 წელია. ბავშვობის პერიოდში ეს განსხვავება საკმაოდ აშკარაა, ახლა ის უკვე დიდი გოგოა, განსხვავებაც თითქოს აღარ არსებობს. მაგრამ გასათხოვარ გოგონად ჯერ ვერ აღვიქვამ...

— **შენ რამდენი წლის ხარ?**

— 27-ის... 26-ის... მოკლედ, 7 აგვისტოს 27-ის ვხდები.

— **რამდენადაც ვიცი, კალანდაძე გურული გვარია...**

— კი, გურული ვარ, კერძოდ — ჩოხატაურის რაიონის სოფელ ხიდისთავიდან. ეს არის ყველაზე ლამაზი სოფელი, სადაც ყველაზე კოლორიტული ხალხი ცხოვრობს. მოგეხსენებათ, რომ ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებების გმირები სწორედ ამ სოფლიდან არიან. სამწუხაროდ, ხშირად ვერ ვახერხებ იქ ჩასვლას, მაგრამ ხიდისთავი ძალიან მიყვარს.

— **რა პროფესიის ხარ?**

— ჯერ ტექნიკური უნივერსიტეტის მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი დავამთავრე, შემდეგ ისევ მოვიწადინე სტუდენტობა და იურიდიულ ფაკულტეტზე ჩავირიცხე. ასე რომ, „ინჟინერ-იურისტი“ ვარ.

— **რას აკეთებდი მანამ, სანამ დეპუტატი გახდებოდი?**

— იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, ვმუშაობდი იურისტთა არასამთავრობო ორგანიზაციაში, მერე — იუსტიციის სამინისტროში დეპარტამენტის უფროსად, შემდეგ ვიყავი თბილისის საკრებულოს წევრი. „ნაციონალურ მოძრაობაში“ კი, მისი ჩამოყალიბების პირველსავე დღეებიდან ვარ და ეს ძალზე მეამყება, რადგან ამ პარტიამ საქართველოს ისტორია შეცვალა.

— **ახლა შენი პროვინული ღირსებები და ნაკლიც გაგვაცანი.**

— მახსოვს, ბავშვობაში რომ შემეკითხებოდნენ — ვინ ხარო? — ვპასუხობდი — უბანში გაიკითხე და გაიგებ-მეთქი...

— **მაშ, კითხვა ასე უნდა დამესვა: რა უბნელი ხარ, ბიჭო?..**

— *(იცინის)* კრწანისელი.

— **თუ იმავე სტილში გავაგრძელებთ, შემდეგი კითხვა ასეთია: სად „აბირჟავებ“ ხოლმე და „ძველი ბიჭებიდან“ ვის იცნობ?**

— ახლა პარლამენტში „ვაბირჟავებ“ და „ძველი ბიჭებიდან“ ვინ გაინტერესებს?

— **მე ახლა შენი დაქორწინება უფრო მაინტერესებს და ამიტომ, დაგვიხასიათე შენი თავი.**

— რა ვიცი, მიჭირს თავის ქება. ამიტომ უფრო „ნაკლებზე“ გეტყვი და ჩათვალე, რომ დანარჩენი ყველაფერი საუკეთესო მაქვს. ძალზე არ მომწონს ის, რომ დილის ძილი მიყვარს და ადრე ვერ ვდგები. სამაგიეროდ, ღამით ძალზე გვიან ვიძინებ. კიდევ ის, რომ... ვაა, ხედავ, ცუდსაც ვერაფერს ვიგონებ... არა, განა ცუდი თვისებები არ მაქვს?! ისეთი საშინელი ხასიათი მაქვს, რომ... მაგალითად, ჩემი მეგობრები მეუბნებიან ხოლმე — შენთან ურთიერთობა არ შეიძლებაო...

— **იოლად ბრაზდები ხოლმე?**

— კი, ფეთქებადი ხასიათი მაქვს, მაგრამ იშვიათად ვფეთქდები. გურული კაცისთვის დამახასიათებელი ყველა თვისებაა ჩემში თავმოყრილი, მაგალითად — „გლობალური“ აზროვნება, იუმორი, ერთგულება...

— **გაბრაზებულ გულზე თუ იგინები და ბილწსიტყვაობ ხოლმე?**

— შენ მაჩვენე ერთი ქართველი კაცი მაინც, რომელიც არ იგინება... გინება ვიცი, თანაც ძალზე საშინელი, მაგრამ წესიერად ლაპარაკიც ვიცი და თბილი სიტყვების თქმაც მეხერხება.

— **გული იოლად გიბრუნდება თუ ბოღმიანი ხარ?**

— საერთოდ, ძალზე იოლად ვამყარებ ურთიერთობას ნებისმიერ ადამიანთან. მაგრამ გარკვეული პერიოდის შემდეგ შესაძლოა, ეს ადამიანი საერთოდ ვერ ავიტანო. ზომიერებას ვერასოდეს ვიცავ, მაქსიმალისტი ვარ. ამის გამო, ადამიანებთან მაქვს ან ძალზე კარგი, ან ძალზე ცუდი ურთიერთობა. თუ ვინმემ მაწყენინა, სამაგიეროს არ გადავუხდი, მაგრამ არც ძველებურ ურთიერთობას შევინარჩუნებ.

— **უხერხული სიტუაციებიდან გამოსავალს იოლად პოულობ ხოლმე?**

— ამაში ყოველთვის იუმორი მეხმარება. ხუმრობა ნებისმიერი სიტუაციიდან გამოგაძვრენს.

— **ხშირად იტყუები?**

— კი, ტყუილები მიყვარს. როცა ტყუილს ვამბობ, ისე დამაჯერებლად ვახერხებ ამას, რომ ყველა იჯერებს. მაგრამ გავა დრო, დამავიწყდება ჩემი ნათქვამი ტყუილი და უნებურად გამოვტყდები ხოლმე... ტყუილი ხშირად კეთილ საქმეს აკეთებს და უფრო ჯანსაღ ურთიერთობას აყალიბებს...

— **ქალის შესაბმელად რაიმე ორიგინალური მეთოდი ხომ არ გაქვს?**

— კი, მაქვს რამდენიმე ვარიანტი, მაგრამ აქ ამის გამხელა არ ღირს, რადგან შესაძლოა, ძალზე ბევრი პრეტენზია წამოიყენონ *(იცინის)*.

— **საყვარელი ფრაზა თუ გაქვს, რომელსაც ხშირად იყენებ საუბრისას?**

— ამ ბოლო დროს ავიკვიატე „ვასტერჯი“. ეს ოსური სიტყვაა და მისი მნიშვნელობა ბოლომდე მეც არ ვიცი. უბრალოდ, სიტყვა მომეწონა და ავიკვიატე. მე და გივი თარგამაძე ამ ცოტა ხნის წინ ვლადიკავკაზში ვიყავით და ოსური კარგად ვისწავლე, თუმცა, ამ სი-

ტყვის მნიშვნელობა მაინც არ ვიცი. თბილისური გამოთქმებიც მაქვს – მაგალითად, ასეთი: „ოქრო ხარ! გაიხარე!“ ასეთ გამოთქმას ხშირად, „ზე-ემ-კელი“ სომხები ხმარობენ, მაგრამ ახლობლები ამ გამოთქმებიანად მიტანენ.

— როგორია შენი გემოვნება ქალებთან მიმართებაში?

– ყველა ქალი თავისებურად ლამაზია – გაჩნია, როგორი კუთხით შეხედავ მას; ყველანაირი გარეგნობის ქალი მომწონს. ამ ბოლო დროს, ძალიან მომწონს ოსი ეროვნების ქალბატონები. ძალზე კარგი აქცენტი აქვთ, განსაკუთრებით – „ორნახად“ ოსებს.

— ეს რას ნიშნავს?

– ასე უწოდებენ ისინი საკუთარ თავს, როდესაც დედაც და მამაც ოსი ჰყავთ. ვლადიკავკაზელი ოსები კიდევ, „ჩრდილოეთ სამაჩაბლოელ“ ოსებს უწოდებენ თავს.

— ჩვენ ქალებზე ვსაუბრობდით...

– ჰო... მომწონს ლამაზი ქალები... ბავშვობაში ძალზე მომწონდა კიმ ბესინჯერი.

ჩვენი მამების თაობისთვის ცხოვრების ძირითადი მიზანი, სწორედ ლარისა ივანოვნა იყო. ჯერ ის ნახეთ, რა ლამაზად ჟღერს!..

— უკაცრიელ კუნძულზე რომ გაემგზავრო, თან ვის წაიყვანდი?

– ვაიმე, ეს რა კითხვა დამისვი?! არავისაც არ წავიყვან...

— ასე არ შეიძლება, აუცილებლად უნდა წაიყვანო.

– მაშინ ახლანდელი უიმბლდონის ტურნირის გამარჯვებულს, მარია შარაპოვას წავიყვანდი. მაგრად მომწონს. არავითარ შემთხვევაში არ წავიყვანდი ქართველს...

— მოდი, გავარჩიოთ „გრამატიკულად“ ფრაზა — ღვინო, დუდუკი, ქალები...

– რაც შეეხება ღვინოს, კარგ ქართულ ღვინოს რა სჯობს?! თუმცა, ამ ბოლო დროს, დასალევად ვეღარ ვიცლი. მოლხენის დროს, მუსიკა და ცეკვა-სიმღერა აუცილებელია; თუ დუდუკებზე იქეიფებ, ამას რა სჯობს?! რაც შეეხება ქალებს, ჰმ... უცოლო კაცი ვარ და ხომ იცი, როგორი დამოკიდებულებაც მექნება?.. სამივე „კომპონენტი“ ერთად – იდეალური ვარიანტია და ქართველი მამაკაცის ცხოვრების წესის სიმბოლო. „მიმინოში“ რომ ლარისა ივანოვნაა, ხომ იცი? ის არის ქართველი კაცის ბედნიერი ცხოვრების სიმბოლო. ეს მარტო პერსონაჟი კი არა, მთელი ფილოსოფიაა. ჩვენი მამების თაობისთვის ცხოვრების ძირითადი მიზანი, სწორედ ლარისა ივანოვნა იყო. ჯერ ის ნახეთ, რა ლამაზად ჟღერს!..

— მამების ძირითად მიზნებში კარგად ყოფილხარ გარკვეული. შენი ძირითადი მიზანი რა არის?

– ოო, ჩემი ძირითადი მიზანი ბევრი რამ არის, მაგრამ ხშირად, ლარისა ივანოვნამდეც „დავდივარ“ ხოლმე. ჩემი თაობა, მამების ღირსეული მემკვიდრეები ვართ და იმასაც ვამართლებთ, მამულს რომ ურჩევნია – ანუ „შვილი რომ სჯობდეს მამასა“.

— რა უნდა ჰქონდეს მზითვად შენს რჩეულს?

– საერთოდ, ქალის მოტანილი არაფერი არ უნდა გინდოდეს, რადგან რასაც მოგცემს, ყველაფერს ათასჯერ ამოგადენს ცხვირში. არავისი არაფერი არ მინდა. მთავარია, მშვიდად იყოს, ნაკლები ილაპარაკოს და თმაში „პერო“ არ ჰქონდეს გარჭობილი... სულ მიკვირს, ამდენ „პეროს“ სად შოულობენ გოგონები? ჯობია, ქალი ცარიელი მოვიდეს, მაგრამ იყოს თბილი და ალერსიანი.

— როგორც ჩანს, მოფერება ძალზე გიყვარს...

– მოფერება ვის არ უყვარს?.. შინ მყავს თუთიყუში. მე და ჩემი თუთიყუში მოფერების დროს, ზუსტად ერთნაირ ხმას გამოვცემთ ხოლმე.

— ახლა შენი „მზითვი“ და ავლა-დიდებაც ჩამოთვალე, რომელსაც მშვიდ და ალერსიან ცოლს დაახვედრებ.

– მე დავახვედრებ დიდ გულს, სითბოს და ჩემს თავს.

— მოკლედ, ფიქრობ, რომ აუწონავი ოქრო და ბედის საჩუქარი ხარ, ხომ?

– რა თქმა უნდა. ჩემს მომავალ მეუღლეს შეეძლება თქვას, რომ ბედნიერი ადამიანია, რადგან მე მისი მეუღლე ვიქნები... აუჰ, როგორ მომწონს ჩემი თავი!.. ერთ ანეკდოტს გეტყვით. ავტობუსი მიდის გურიაში. მგზავრების უმეტესობას მოხუცები და ბავშვიანი ქალები შეადგენენ. მათ შორის, ერთი ახალგაზრდა, გურული და ჩემსავით საკუთარ თავზე შეყვარებული კაცია, რომელიც მთელი გზა სიგარეტს ეწევა და ავტობუსში კვამლს აყენებს. ერთმა კაცმა ვეღარ მოითმინა და უსაყვედურა: – კაცო, როგორ შეიძლება ამდენი სიგარეტის მოწევაო? გურულმა დაამშვიდა: – არ ვყლაპავ, ბატონო, კვამლს არ ვყლაპავო...

— ასეთი კარგი და საკუთარ თავზე მზრუნველი თუ ხარ, რატომ ხარ აქამდე უცოლოდ?

– ვერ შევარჩიე, ბატონო. მეც მიკვირს, რატომ ვარ უცოლოდ. ადრე ოჯახში თვლიდნენ, რომ პატარა ვიყავი და ცოლის მოყვანა ადრე იყო. ახლა გავიზარდე და რატომ არ მეუბნებიან, დაქორწინდიო, არ ვიცი. ეს ძალზე მაღიზიანებს. ისევე, როგორც წინათ, მათი სატელეფონო ზარები მაღიზიანებდა – სად ხარ? შინ დროზე მოდიო!.. მერე კი ის მაღიზიანებდა, რომ აღარ მირეკავდნენ: გამოდის, დავავიწყდი ოჯახის წევრებს... მოკლედ, ოჯახის წევრებს დაავიწყდათ, რომ უცოლო ვარ ან შესაძლოა, ნაკლებ ყურადღებას მითმობენ და იმიტომ...

— ოჯახის წევრების დამოკიდებულება ხომ არ შეიცვალა შენ მიმართ მას შემდეგ, რაც დეპუტატი გახდი?

– თითქმის არა, მაგრამ რაღაცნაირად მეტი პრეტენზია გაუჩნდათ ჩემ მიმართ: ამას დახმარება სჭირდებაო, იმას ხელის წაკვრაო... მე ვცდილობ, ეს პრეტენზიები პრეტენზიებად დარჩეს და თავზე არ მოვიხვიო...

— მოწყრიგებული ადამიანი თუ ხარ?

– არა, ძალზე მოუწესრიგებელი ვარ, მაგრამ ამით საქმეს არ ვაფუჭებ. მაქვს ჩემი რეჟიმი და მიყვარს ამ რეჟიმში მუშაობა, ამიტომ კარგად გამომდის ის საქმე, რომელსაც მარტო ვაკეთებ. თუ ვინმეს უნდა შევუთანხმო დრო, საშინლად ვიტანჯები ხოლმე. ყველაფერი ბოლომდე მოწესრიგებული რომ აქვთ, ასეთ ადამიანებსაც ძნელად ვეწყობი. ხანდახან თავისუფლება უნდა მისცე თავს, შემოქმედებითად მიუდგე საქმეს და წინასწარი გეგმით არ მოქმედებდე...

იმედია, მოგეწონათ ჩვენი გურული და „ნაციონალი“ „სასიძო“. მაშ, გამოეხმაურეთ და სცადეთ მისი გულის დაპყრობა. გამოგზავნეთ მესიჯები ან დარეკეთ ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61. ბეჟანი ყველა თქვენს თვისებას აწონ-დაწონის და... მყარს – ღვინო და დუდუკი, მას კი – თბილი და ალერსიანი გოგო ვუსურვოთ.

■

ჩვენმა „საპატარძლომ“ ნინა წკრიალაშვილმა თაყვანისმცემლების გამოხმაურებების გარდა, საქმიანი წინადადებაც მიიღო: ერთ-ერთი მკითხველი დაჟინებით ითხოვს მასთან დუეტის ჩაწერას. დილით რამდენიმე მესიჯი გამოგვიგზავნა, ხოლო საღამოს აღშფოთებულმა გვისაყვედურა: მე მხოლოდ მასთან სიმღერა მინდა და თქვენგან ასეთ უყურადღებობას არ ველოდიო!... იმედია, ნინა ყურადღებით წაიკითხავს მის მესიჯს და გადაწყვეტილებასაც თავად მიიღებს... ახლა კი „საპატარძლოს“ სახელზე მოსულ გამოხმაურებებს გავეცნოთ.

„ამიტ გიყურებ, ღანში ეშურძგლავს...“

მარი ჯაფარიძე

„არც ნინას ცოლად მოყვანა მინდა, არც ბოიფრენდობა. მინდა, მასთან ერთად ვიმღერო. ძალიან ტკბილი და თბილი ხმა აქვს. სხვათა შორის, მეც. ვარ 31 წლის ქართველი მამაკაცი, ალეკო. ვფიქრობ, ასეთი მესიჯი არც მოგივათ. მხოლოდ ერთი, თუნდაც უძველესი სიმღერა მინდა შევასრულო მასთან ერთად. დამიკავშირდით და შევთანხმდეთ. გვარიც ძალზე მათრობელა და ტკბილი მაქვს“.

„თუ შეიძლება, ნინას სიმაღლისა და ზოდიაქოს ნიშნის გაგება? ბოდიშს ვიხდი, თუ რამე „ისეთი“ ვიკითხე. უბრალოდ, ფოტოზე ჩემსავით მარტოსული ადამიანი ვიხილე“.

„მოგესალმები, ძვირფასო ნინა, ციდან მოწყვეტილო ვარსკვლავო. იმედია, უყურადღებოდ არ დამტოვებ და მიპასუხებ. ძალიან მინდა შენი გაცნობა, ჩემო პატარა და მარწყვო გოგო“.

„გული არ გაიტეხო, ჩემო ლამაზო. პირველი ოჯახის შექმნა თუ happy end-ით არ დასრულდა, მეორედ უნდა სცადო ბედი. ისეთი კარგი თვისებები გქონია, რომ აუცილებლად გეწვევა ნანატრი ბედნიერება. გისურვებ წარმატებას“.

„ძალზე მომეწონა ნინას ინტერვიუ. დიდი სურვილი მაქვს, ჩემი გახდეს. ვმუშაობ პრეზიდენტის სპეცრაზმში. გთხოვთ, გამომეხმაუროთ“.

„შენ ამბობ, რომ ღამით ჭამა გიყვარს? მეც ასევე, მაგრამ სულ წონის პრობლემა მაქვს. ვარ მაღალი, 197 სმ სიმაღლის და 112 კილო. ასეთი კაცები მოგწონს?.. მაშინ დამირეკე“.

„შავგვრემანი მამაკაცი ვარ, მწვანე თვალებით, ოდნავ შეჭაღარავებული, საკმაოდ კარგი გარეგნობისა და სოციალური მდგომარეობის. ამჟამად ვცხოვრობ უკრაინაში, თბილისში ჩამოვალ ოქტომბერში. აუცილებლად დავიკავშირდები, ჩემო ნინა და თუ ერთმანეთს გავუგებთ, საუკეთესო წყვილი ვიქნებით. გკოცნი, ჯერჯერობით – შორიდან. იმედი მაქვს, ერთმანეთს შევხვდებით“.

„მერე რა, რომ მკაცრი მამა გყავს? მივალ და პირდაპირ ვეტყვი, რომ მიყვარხარ. სიყვარულს წინ ვინ დაუდგება? მასაც ხომ უყვარდა დედაშენი?! სიმამრს რომ არ მიეთხოვებინა მისთვის, შენ ხომ ვეღარ დაიბადებოდი?! მამაშენს ჩემს თავზე ვიღებ, მთავარია, შენ იყო თანახმა“.

„ნინა, ძალიან მომწონხარ, მაგრამ იცი, როგორი ეჭვიანი ვარ? შენ რომ ჩემი ცოლი გახდე, ეჭვიანობით გავსკდები, რომ სხვამაც არ შემოგხედოს, არ მოეწონო და შენი ხელში ჩაგდების სურვილი არ გაუჩნდეს. სულს ამოგხდი ჩემი ეჭვიანობით. სადაც წახვალ, თან გამოგყვები, უჩემოდ ნაბიჯსაც არ გადაგადგმევინებ. თუ გეყვარები, არც შენ უნდა იყო იმის წინააღმდეგი, რომ ღღედაღამ ერთად ვიყოთ. „ოტელო“.

„ნინას დიდი ხანია ვიცნობ, აღფრთოვანებული ვარ მისი ქალურობით, მომხიბვლელობითა და სექსუალურობით. ვერასოდეს გავბედე, რომ მივსულიყავი და მისთვის ჩემი გრძნობა გამემხილა. ახლა თქვენ გიმესიჯებთ, ოღონდ, სხვისი ტელეფონით. იქნებ, ნინა მიხვდეს, ვინ ვარ. მხოლოდ სახელს გეტყვით – მამუკა“.

„ნინუცი, შენ შემოგევლე, ჩემო ანგელოზო, ეს რა კარგი ვინმე ყოფილხარ! სად იყავი, გოგო, აქამდე?.. მე ისე მინდა შენი ალერსი, როგორც წვიმები – სამყაროს, ერთხელაც ისე გაკოცებ, ვერავინ რომ ვერ გაგვყაროს. რომ გიყურებ, ტანში მბურძგლავს, ჩემო სიცოცხლევ“. ■

მშობლების, მოსწავლეებისა და მასწავლებლების საყურადღებოდ!

ს ტ ი პ ე ნ დ ი ე ბ ი!

19 სექტემბრიდან ყოველ კვირა დღეს ტელეკომპანია „მზეზე“,
„ეტალონი“ – ყველაზე ეროვნული მედიაპროექტი.

მიიღეთ მონაწილეობა! ორშაბათობით იკითხეთ ჟურნალი „რეიტინგი“,
შეავსეთ „ცოდნის კუპონი“ და ჩაერთეთ საგანმანათლებლო-შემეცნებით პროექტში.

თქვენ 1-წლიანი ყოველთვიური სტიპენდია გეკუთვნით!

*პროექტი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა
და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა კურთხევით ხორციელდება.*

შეხვედრამდე „მზეზე“

დებს — ეკა და ია მანიჟაშვილებს უკვე 4 წელია, მსმენელი „ემის“ სახელით იცნობს. დღეს ეკას პირველი პაემნის გასახსენებლად შევხვდით. თურმე ეკას გარეგნობაში ბიჭებს მისი მომხიბლავი ღიმილი მოსწონთ. რა მოსწონს მამაკაცებში თავად?.. მას ქართველ მამაკაცებთანაც თურმე, გარკვეული პრეტენზიები ჰქონია. მაგალითად, ეკას თქმით, მათ შორის, ბევრი „დედიკოს ბიჭია“...

როგორი მეგობრობა აკავშირებს პრაგმატიკოს ეკა მანიჟაშვილს გიგა კვენეტაძესთან?

მერი კობიაშვილი

— ინტერვიუზე რომ დაგთანხმდი, ია მაშაყირებდა: იმდენი თაყვანისმცემელი გყავდა, გახსოვს კი, პირველად ვისთან იყავი პაემანზეო?.. მეც დიდხანს ვფიქრობდი, სასიყვარულო ამბების გახსენება ბაღიდან დავიწყე. იქაც იყვნენ ბიჭები, რომლებსაც ვეპრანჭებოდი. სკოლიდან კი, ყველაზე სასიამოვნო მოგონება ერთმა ბიჭმა დამიტოვა. მერვე კლასში რომ ვიყავი, კომაროვის სკოლაში გადავედი. ერთ უფროსკლასელ ბიჭს მოვეწონე. სკოლაში მაცილებდა ხოლმე. მეც მომწონდა, მაგრამ არ ვამჟღავნებდი. ალბათ პატარა ვიყავი და მეგონა, რომ გოგოს სიყვარულის გამჟღავნება უნდა მორიდებოდა. თუმცა, ახლაც მგონია, რომ გოგო ბიჭთან ურთიერთობის საწყის ეტაპზე, გრძნობის გამხელას უნდა მოერიდოს.

— პირველ პაემანზე წასვლის წინ, ძალიან ღელავდი?

— რომ არ მოგატყუო, პირველი პაემანი (როცა გაცნობიერებული მქონდა, თუ რას ნიშნავდა ბიჭთან პაემანზე მისვლა) რამდენიმე წლის წინ მქონდა. ამ ნაბიჯის გადადგმამდე, დიდხანს ვიფიქრე. საერთოდ, მთელი წელი ვფიქრობდი იმაზე, შევხვედროდი თუ არა ამ ბიჭს. მერე კი, როცა გადავწყვიტე, ძალიან ვინერვიულე, მაგრამ ყველაფერმა კარგად ჩაიარა. პაემნიდან რომ დავბრუნდი, ძალიან კარგ ხასიათზე ვიყავი და თავს ბედნიერად ვგრძნობდი. იმ ბიჭის მიმართ გრძნობა დიდხანს არ გამყოლია, მაგრამ ის ემოცია და ნერვიულობა, რომელიც მასთან შეხვედრის წინ მქონდა, დღემდე მახსოვს.

— შეყვარებულს, ბევრი კაპრიზი გაქვს ხოლმე?

— ვფიქრობ, რომ ძალიან თბილი ვარ, მაგრამ ეს მამაკაცებისგან არ მომისმენია. ყველა ამბობს, რომ ურთიერთობაში ცივი ვარ... ალბათ მართლაც ასეა, არ ვიცი... საერთოდ, აშკარად რეალისტი ვარ. იმ ადამიანთა რიგს არ მივეკუთვნები, სიყვარულის გამო რაიმეს რომ გვერდზე გადადებენ და იტყვიან — სიყვარული მთავარიაო. ასეთი რეალისტობა მამაკაცებთან ურთიერთობაში ხელს მიშლის. მაგრამ დღეს ვერ იცხოვრებ, რეალურობის შეგრძნება თუ დაკარგე.

— შოუბიზნესში რამდენიმე ხნის წინ გავრცელდა ჭორი, თითქოს შენ და გიგა კვენტაძეს ერთმანეთი გიყვართ. თუ ჰქონდა ამ ჭორს რაიმე საფუძველი?

— მე და გიგა მეგობრები ვართ. ეს ნამდვილად არ არის „შოუბიზნესური“ მეგობრობა. ჩვენი შეყვარებულობის ამბავი, ჟურნალისტების მოგონილი ჭორია. ერთ-ერთ კონცერტზე მე და გიგამ ერთმანეთი გადავკოცნეთ, ჟურნალისტმა ფოტოც გადაგვიღო და ამით თითქოს დამამტკიცებელი საბუთიც გაჩნდა. მერე გიგამ ერთ-ერთ ინტერვიუში თქვა — ხალიანი გოგონები მომწონსო. ჰოდა, რადგან ლოყაზე ხალი მეც მაქვს, ჭორიც აგორდა. მიუხედავად იმისა, რომ სიმართლეს ის ნამდვილად არ შეესაბამება.

— პაემანზე წასვლის წინ, დიდხანს ფიქრობ იმაზე, თუ რა ჩაიცვა? და კიდევ: ახლობლებს გულს ხომ არ უწვრილებ შეკითხვებით, თუ როგორ უნდა მოიქცე შეხვედრისას?

— შეიძლება, ჩემი ზედმეტი თავდაჯერებულობის ბრალია, მაგრამ ოჯახის წევრებისთვის არასდროს მიკითხავს, რა ჩავიცვა-მეთქი. მით უფრო არ მეპარება ეჭვი ჩემს გონებრივ შესაძლებლობებში და ვიცი, რომ საჭირო დროს საჭირო სიტყვას ვიტყვი...

— ქართველ მამაკაცებზე რა აზრის ხარ?

— ქართველი მამაკაცების დედებთან დამოკიდებულება მაოცებს. შეიძლება, ქუჩაში ძალიან მაგარ ბიჭობას თამაშობდნენ, მაგრამ შინ, დედებზე იყვნენ მიჯაჭვული. ამიტომაა, რომ ბიჭი ოჯახში, დედასთან ურთიერთობისას უნდა ნახო, როგორია. ყოფილა ისეთი შემთხვევები, როცა ბიჭს, დედის ზედმეტად ჩარევის გამო დავშორებივარ. ბევრი მაგალითი ვიცი იმისა, როცა ბიჭი და დედა ერთმანეთთან ჯაჭვის რგოლებივით არიან გადაბმული. ასეთი რამ ქართველი ბიჭების თითქმის 80%-ს სჭირს... ■

ერთი ტაბლეტი ხეტოჰოლი
თქვენს ტკივილს
სწრაფად და უკვალოდ გააქრობს!
ხეტოჰოლი - დაემშვიდობეთ ტკივილს!
GMP
ჯი-ემ-პი

ქალური პრობლემების ბრძნული მაღალწყვეტა

დღესდღეობით, რთული ეკოლოგიური მდგომარეობის, მუდმივი სტრესისა და დატვირთვის ეპოქაში, ჩვენს ორგანიზმს მხარდაჭერა ესაჭიროება. ამ ფაქტორების გამო, განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაში ქალის ორგანიზმია. ორსულობისა და მეძუძურობის პერიოდში სერიოზული დატვირთვები, და ზოგადად, სამყაროსადმი ქალის ემოციური დამოკიდებულება გამოიხატება მენსტრუალური ციკლისა და ჰორმონალურ დარღვევებში, რომლებიც შემდგომში შესაძლოა გახდეს მასტოპათიის, ადრეული კლიმაქსის, უარეს შემთხვევაში კი, მკერდის ჭირკვლოვანი უჯრედების ავთვისებიანი გადაგვარების მიზეზი.

თანამედროვე ქალი, უმეტესწილად ფიქრობს კარიერაზე, წარმატებასა და ოჯახზე. ყველაზე ნაკლებად კი – საკუთარ ჯანმრთელობასა და მის შემანარჩუნებელ საშუალებებზე. ინფორმაცია – ქალის უმთავრესი იარაღია ყოველგვარი მოულოდნელობების წინააღმდეგ და ჩვენ, შევეცდებით ოპტიმალურად მოგაწოდოთ ეს ინფორმაცია.

დღეს, დაბინძურებული ეკოლოგიის, „ფასთ-ფუდის“ სტილის არაადეკვატური კვების, ხშირი ემოციური დატვირთვების ფონზე, ახალგაზრდა ქალის ორგანიზმში ვითარდება ჰორმონალური დისბალანსი, პრემენსტრუალური სინდრომის ტიპით. იგი ვლინდება მენსტრუაციამდე სარძევე ჯირკვლების მტკივნეული დაბერვით, შეშუპებით, თავის ტკივილით, გაღიზიანებადობით, ზოგჯერ აგრესიულობით. სიმპტომები არა მარტო ფიზიკურ დისკომფორტს იწვევენ, არამედ შეიძლება გახდეს მასტოპათიის მიზეზი, რომელსაც უფრო რთულ დაავადებებამდე მივყავართ (მათ შორის ონკოლოგიური), მეორად ამენორეამდე (მენსტრუაციის დაკარგვა), აგრეთვე უნაყოფობამდე.

პმს სინდრომის მიზეზებს ასევე ხშირად წარმოადგენენ უროგენიტალური ინფექციები, ანთებითი პროცესები, რომლებსაც საკვერცხეებში კვერცხუჯრედის მომწიფების დარღვევებსა და ჰორმონალურ დისბალანსამდე მივყავართ.

კომპანია „შიფ“-ის მცენარეული ექსტრაქტების, ვიტამინების, მინერალებისა და მიკროელემენტების სპეციფიკური კომპოზიცია **„პმს-ფორმულა“**, უზრუნველყოფს პრემენსტრუალური სინდრომის პერიოდში ჰორმონალური პროცესების რეგულაციას. პრეპარატმა არაერთხელ გაიარა გამოკვლევა ამერიკისა და გერმანიის კლინიკებში. **„პმს-ფორმულა“** საშუალებას მოგცემთ ეფექტურად და უსაფრთხოდ მართოთ დისჰორმონალური პროცესი. ჰიპოფიზის დონეზე ხდება პროლაქტინის სინთეზის დათრგუნვა და პროგესტერონის სინთეზის მეორადი გაზრდა. პროგესტერონისა და პროლაქტინის ადეკვატური კონცენტრაცია, სწრაფად დაუბრუნებს ქალს ნორმალურ ფიზიოლოგიურ მდგომარეობას – აარიდებს ტკივილს სარძევე ჯირკვლებში, დაარეგულირებს მენსტრუალურ ციკლს, შეამცირებს ციკლთან დაკავშირებულ თავის ტკივილებსა და გაღიზიანებადობას.

ე.წ. „ბალზაკის ასაკის“ ქალებს, რომლებსაც აწუხებთ ალები, გახშირებული გულისცემა, ოფლიანობა, არასტაბილური არტერიული წნევა, არაერთხელ დაეხმარა პრეპარატი **„მენოპაუზ-ფორმულა“**.

აღსანიშნავია, რომ პრეპარატი არაჰორმონალურია და არ ახასიათებს სხვა საშუალებების მსგავსი გვერდითი მოვლენები. ესტროგენების მიმართ მგრძნობიარე ორგანიზმში ჰიპოფიზის, ჰიპოთალამუსისა და მიომეტრიუმის რეცეპტორებთან დაკავშირებით, იგი თითქოსდა კონკურენტულ ურთიერთობაშია ესტროგენებთან. ქალური სქესობრივი ჰორმონების ნიველირებით, **„მენოპაუზ-ფორმულა“** აღადგენს ენდოკრინული ჯირკვლების ჰარმონიას, რომლის ბალანსის დარღვევასაც ასაკი ცდილობს, აიძულებს მათ ისევე აწყობილად იმოქმედონ, როგორც ახალგაზრდულ წლებში.

სხვა, არანაკლებ აქტუალურ დაავადებას ქალისთვის წარმოადგენს სარძევე ჯირკვლის კისტოზური და ფიბროადენომატოზური დაზიანება. დოქტორმა ტომ სლაგამ – სარძევე ჯირკვლის ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობისა და პროფილაქტიკის საკითხებში ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტი – კომპანია **„შიფ“**-ის სამეცნიერო ლაბორატორიასთან ერთად შეიმუშავა ნატურალური პრეპარატი **„ბრესთ ჰელსი“**. ფორმულა უზრუნველყოფს სარძევე ჯირკვლის უჯრედების სტრუქტურის დაცვას არასასურველი სახეცვლილებებისაგან, მასში შემავალი აქტიური, ნატურალური კომპონენტებისა და მიკროელემენტების წყალობით.

ძვირფასო ქალბატონებო! გიყვარდეთ ქალი საკუთარ თავში და გაუფრთხილდით მის ჯანმრთელობას!

ჩვენთან მოქმედებს ფასდაკლების ახალი სისტემა. აგრეთვე ფასდაკლების კუპონები მეორე ვიზიტისთვის.

„ჯეოვიტი“ – თქვენი ჯანმრთელობის თანამგზავრი!

ამერიკული კომპანია „შიფ“-ის ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში კომპანია „ჯეოვიტი“

ჯეოვიტი GEOVIT

მის: ილია ჭავჭავაძის 41 (ვაკის პარკის პირდაპირ),

☎29-20-91; 899 10-99-20; 899 14-35-56

ყოველდღე, შაბათ-კვირის ჩათვლით

www.schiffvitamins.com

Schiff 60

„შევნიშნე, რომ ხელები სისხლიანი მქონდა...“

პოლიციამ მდინარე ალაზანში ახალგაზრდა მამაკაცის ყელგამოჭრილი და ქვებით დამძიმებული გვამი აღმოაჩინა

თელავის რაიონის სოფელ ართანაში მეგობრებს შორის გამართული ქეიფი სისხლიანი ანგარიშსწორებითა და მუხანათური მკვლელობით დასრულდა. გამოძიების მასალების მიხედვით, სუფრის ერთ-ერთმა წევრმა საკუთარი დედისა და ძმის სისხლის აღება გადაწყვიტა, თუმცა მან არა უშუალოდ მკვლელობის თანამონაწილის, არამედ მისი ნათესავის სიცოცხლე შეიწირა... ახალგაზრდა, ცოლშვილიან მამაკაცს ჯერ სასაფლაოზე გამოსჭრეს ყელი, შემდეგ კი მისი გვამი მდინარე ალაზანში მოისროლეს. პოლიციამ მოკლულის ნეშტი მკვლელობიდან მეოთხე დღეს, მდინარეში აღმოაჩინა.

სადისტური დანაშაული, რომელშიც პროკურატურის მასალების თანახმად, ოთხი მამაკაცი (მათგან სამი, წარსულში არაერთხელ ნასამართლევი) მონაწილეობდა, ექვსი თვის წინ – 2004 წლის 9 თებერვალს მოხდა. თელავის რაიონის სოფელ ართანაში მცხოვრებმა ხვიჩა ობგაიძემ თანასოფლელებთან – ზაზა ლაზარაშვილთან, თემურ მაისურაძესა და სხვებთან ერთად ადგილობრივი მცხოვრების – თამაზ მამუკაშვილის ოჯახში იქეიფა. იქ ლხინს რომ მორჩნენ, გადაწყვიტეს, ქეიფი ობგაიძის სიმამრის – ტარიელ ბეჟანიშვილის სახლში გაეგრძელებინათ. ბეჟანიშვილის ოჯახში მათ შეუერთდა თანასოფლელი გელა ჩაკვეტაძე თავის ცოლთან და მცირეწლოვან შვილთან ერთად.

საღამოს 10 საათისთვის, ლაზარაშვილი და მაისურაძე სუფრიდან წამოდგნენ და შინ წასასვლელად მოემზადნენ. მათთან ერთად წასვლა გადაწყვიტა ჩაკვეტაძის ცოლმაც, რომელიც შვილთან ერთად შინ მიაცილეს ლაზარაშვილმა და მაისურაძემ, თავად ჩაკვეტაძე კი ობგაიძესთან დარჩა. წინასწარი გამოძიების მასალების მიხედვით, გელა ჩაკვეტაძემ სწორედ მაშინ გაანდო თავისი განზრახვა ობგაიძეს. უთხრა, რომ ლაზარაშვილი დედამისისა და ძმის – ნანა და იოსებ ჩაკვეტაძეების მკვლელობის ერთ-ერთი თანამონაწილის – ზაზა მამუკაშვილის ნათესავი იყო. მამუკაშვილი იმ დროისთვის მიმალული გახლდათ და ჩაკვეტაძეს სწორედ მისი ადგილსამყოფლის დადგენა სურდა, რათა შური ეძია მასზე. თუ სად იმალებოდა მამუკაშვილი, ჩაკვეტაძის აზრით, ზაზა ლაზარაშვილს უეჭველად ეცოდინებოდა, მაგრამ საკუთარი ნებით ამას არასდროს იტყოდა და ამიტომაც განიზრახა, მოეტაცებინა იგი და ეიძულებინა, გაეთქვა ნათესავი.

ჩაკვეტაძემ დახმარება სთხოვა ობგაიძეს. იმავე დროს, მობილურით დაურეკა მეგობარს – დავით წულაიას და შეხვედრაზე შეუთანხმდა. წულაიამ სოფელ ნაფარეულიდან „ნივით“ მიაკითხა მათ, მანქანას იგი მინდობილობით მართავდა. სამივენი ქუჩაში შეხვდნენ მაისურაძესა და ლაზარაშვილს და ქეიფის გაგრძელება შესთავაზეს მათ. ჩაკვეტაძის თხოვნით, ყველანი „ნივაში“ მოთავსდნენ და ვითომდა სამწვადე ხორცის საყიდლად გასწიეს ნაფარეულისკენ. თუმცა, მწვადისთვის თადარიგის დაჭერის ნაცვლად, ჩაკვეტაძემ ერთ-ერთი სახლიდან მეგობარი – დავით პაპუაშვილი (მეტსახელად დიმედროლა, ობგაიძის თქმით) გამოიყვანა და ისიც მანქანაში ჩასვა. გამოძიების თანახმად, ჩაკვეტაძემ მას მანამდე უთხრა განზრახვის თაობაზე და დაითანხმა კიდეც.

გეზი თელავისკენ აიღეს. გზაში მანქანის საჭესთან მჯდომი წულაია ლაზარაშვილს უმიზეზოდ აუხირდა და კამათი დაუწყო, თუმცა მალე დაწყნარდნენ. ამასობაში, ჩაკვეტაძე კიდევ ერთ მეგობარს – ზურაბ გზირიშვილს დაუკავშირდა მობილური ტელეფონით და მასაც შეხვედრა სთხოვა. გზირიშვილს ალაზნის გამზირზე შეხვდნენ. როცა ამ უკანასკნელმა შეიტყო, თუ რა ხდებოდა, დანაშაულში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. ობგაიძის გარდა, ყველა გადავიდა ავტომანქანიდან. წულაიამ და პაპუაშვილმა კვლავ დაუწყეს, უმნიშვნელო საბაბით კამათი ლაზარაშვილს, შემდეგ კი მას კატეგორიულად მოსთხოვეს ზაზა მამუკაშვილის ადგილსამყოფლის გამხელა. ლაზარაშვილი ირწმუნებოდა, რომ ნათესავის შესახებ დიდი ხანია, არაფერი იცოდა.

ჩხუბში ჩაკვეტაძეც ჩაება, ლაზარაშვილს ხელი ჰკრა და ავტომანქანისკენ უბიძგა. როგორც ჩანს, ამ არეულობით ისარგებლა მაისურაძემ და შეუმჩნევლად დატოვა იქაურობა. შინ წავიდა გზირიშვილიც. პაპუაშვილი, წულაია და ობგაიძე კი, გამოძიების მასალების თანახმად, ბოლომდე ჩაკვეტაძის ერთგულები დარჩნენ და ერთობლივად აიძულეს ლაზარაშვილი, მანქანაში ჩამჯდარიყო. ის მათ თელავის რაონის სოფელ გულგულის სასაფლაოზე მიიყვანეს.

გამოძიების მასალების მიხედვით, ლაზარაშვილი მანქანიდან ძალით გადაიყვანეს. ჯერ სცემეს, შემდეგ ჩაკვეტაძემ დანა ამოიღო და სხეულის სხვადასხვა ადგილას მიაყენა დაზიანება. ბოლოს, კისერზე წინა მხარეს დაუსვა. ღია ჭრილობამ ძლიერი სისხლდენა გამოიწვია და ლაზარაშვილი ადგილზე გარდაიცვალა.

ზემოთ ხსენებულმა პირებმა, დანაშაულის კვალის დაფარვის მიზნით, ლაზარაშვილის გვამი მანქანის საბარგულში მოათავსეს და თელავი-ყვარლის ცენტრალურ გზაზე მდებარე ხიდთან წაიღეს. მდინარე ალაზნის ნაპირთან მოაგროვეს ქვები, რომლებიც გარდაცვლილს ტანსაცმელში ჩაულაგეს, შემდეგ მანქანაში ნაპოვნი საბუქსირე თოკით ხელ-ფეხი შეუკრეს და მდინარეში გადაგდეს. კვალის დაფარვის მიზნით, მათ ასევე ავტომანქანის სალონი დაშალეს და მიიმალნენ.

ყველაზე ადრე – მკვლელობიდან მეოთხე დღეს, პოლიციამ პაპუაშვილი დააკავა. შემდეგ – 2 მარტს დაიჭირეს ობგაიძე, ხოლო ჩაკვეტაძე – 2 აპრილს. რაც შეეხება წულაიას, იგი დღემდე იმალება.

თემურ მაისურაძე:

„ჩაკვეტაძის მეუღლე და ბავშვი შინ მივაცილეთ და ამის შემდეგ, ქუჩაში ჩაკვეტაძეს და ობგაიძეს შევხვდით. მათ ჩვენთვის უცნობი პიროვნება, როგორც მოგვიანებით გაირკვა, დავით წულაია ახლდა. იგი „ნივით“ მოძრაობდა... თელავში წასვლა არ გვინდოდა. მე და ზაზა ლაზარაშვილმა მძღოლს მანქანა გავაჩერებინეთ კიდეც, ვთქვით, რომ შინ ვაპირებდით დაბრუნებას, მაგრამ ავტომანქანში მსხდომმა პირებმა მაინც მოახერხეს ჩვენი დაყოლიება... ალაზნის გამზირზე წულაიამ, პაპუაშვილმა და ჩაკვეტაძემ ლაზარაშვილს კამათი დაუ-

წყეს. როცა მათ მივუახლოვდი, წულაია გადამიდგა წინ და არ მიმიშვა. მივხვდი, რომ ეს პირები პრობლემებს მიქმნიდნენ და გადავწყვიტე, გავქცეულიყავი. ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე მივედი, იქ ნაცნობი ბიჭები ვნახე, ვთხოვე, გამყოლოდნენ. მათთან ერთად დავბრუნდი ალაზნის გამზირზე, მაგრამ იქ აღარავინ დაგვხვდა...“

თამარ ლაზარაშვილი, მოკლულის ცოლი:

„ზაზა შინიდან დღისით გავიდა. ვიცოდი, რომ მამუკაშვილის ოჯახში ქეიფობდა თანასოფლელებთან ერთად. დაღამდა, ის კი შინ არ დაბრუნებულა. მეორე დღეს, თემურ მაისურაძისგან შევიტყვე, რომ ჩემი ქმარი ჩაკვეტაძეს მოტყუებით თელავში წაუყვანია. მითხრა, მე გაქცევა მოვახერხე, შენი მეუღლე კი — გაიტაცესო. რამდენიმე დღის მანძილზე მის შესახებ არაფერი ვიცოდი. 12 თებერვალს ჩემი ქმრის გვამი მდინარეში იპოვეს...“

ბრალდებულებმა წინასწარი გამოძიების ეტაპზე, თავი დამნაშავედ არ ცნეს და დუმილის უფლება გამოიყენეს. ბრალდებულად დაკითხვის დროს, სამართალდამცავებს ჩვენება მხოლოდ ობგაიძემ მისცა.

ხვიჩა ობგაიძე:

„...გელა დაეჭვდა, რომ ლაზარაშვილი თავის ნათესავ მამუკაშვილს მასთან მიიყვანდა და მას მოაკვლევინებდა. ამიტომაც მთხოვა, გავყვეთ მაისურაძეს და ლაზარაშვილს, ვნახოთ, სად მიდიანო... როცა ერთმანეთს შევხვდით, გელამ ყველას შემოგვთავაზა — ჩემი გარდაცვლილი ძმის შესანდობარი დავლიოთო, — და ამ მიზნით, ყველას მანქანაში ჩაჯდომა გვთხოვა... მანქანაში მუსიკა იყო ჩართული. მძღოლი ლაზარაშვილს რაღაცაზე ეკამათებოდა, მაგრამ მუსიკის ხმაში ვერაფერი გავარკვიე... სასაფლაოზე, ჩემთვის უცნობ ადგილას გავჩერდით. მაშინ გელამ ზაზა ლაზარაშვილს უთხრა — როგორ უნდა ჩემი ძმის და დედის მკვლელის დამალვა, გაჩვენებო!.. მან, პაპუაშვილმა და წულაიამ ძალით გადაიყვანეს ზაზა მანქანიდან. მე ავტომანქანაში დავრჩი. ყვირილის და გინების ხმა მესმოდა. ისიც მესმოდა, რომ ლაზარაშვილს რაღაცას ურტყამდნენ. მაშინ გადავედი მანქანიდან და ბიჭებს ვთხოვე, თავი დაენებებინათ ზაზასთვის. ამ დროს დავინახე, რომ ლაზარაშვილი სისხლიანი ეგდო ძირს“.

წინასწარი გამოძიებისას მიცემული, ზემოთ მოყვანილი ჩვენებით, ობგაიძე ამტკიცებს, რომ მას არც მკვლელობასა და არც კვალის დაფარვაში არ მიუღია მონაწილეობა. სამაგიეროდ, დანაშაულში როგორც ჩაკვეტაძეს, ასევე წულაიასა და პაპუაშვილსაც ამხელს.

სამსჯავროს წინაშე წარდგომისას, გელა ჩაკვეტაძემ პროკურატურის მიერ საბრალდებო დასკვნაში აღწერილი ფაქტები უარყო. მისი თქმით, მას არც ლაზარაშვილის გატაცების განზრახვა ჰქონია და არც ვინმეზე შურისძიება ნდომებია. ჩაკვეტაძე აცხადებს, რომ 2004 წლის 9 თებერვალს მან მართლაც, მოკლა ლაზარაშვილი, მაგრამ არა წინასწარი განზრახვით, არამედ — აფექტის მდგომარეობაში მყოფმა. მისივე თქმით, აწ გარდაცვლილი მას დედისა და ძმის მკვლელობის თანამონაწილეობაში გამოუტყდა.

გელა ჩაკვეტაძე:

„შინ ვიყავი, როცა ხვიჩა ობგაიძემ დამირეკა. მთხოვა, ვქეიფობთ და ამოდი, თან ზაზა ლაზარაშვილს აქვს შენთან საქმეო. გადავწყვიტე, წავსულიყავი, თან ცოლ-შვილიც წავიყვანე. ზაზამ მითხრა — შენთან ერთად მინდოდა დალევაო. — არ ვსვამ-მეთქი, — ვუპასუხე, მაგრამ ცოტა მაინც დავლიე. ცოტა ხანში, ბავშვმა ტირილი დაიწყო, ეძინებოდა. იქვე ახლოს ჩემი სიდედრი ცხოვრობს და მეუღლემ გადაწყვიტა, ბავშვი იქ წაეყვანა. მაშინ ზაზამ მითხრა — შენ აქ დარჩი, შენს ცოლს სახლამდე მე მივაცილებ, არსად წახვიდე, დავბრუნდები, რაღაც უნდა გითხრაო. მას მაისურაძეც გაჰყვა... ზაზას მაინც არ დაველოდე. მე და ობგაიძე შემთხვევით შევხვდით მათ ქუჩაში. არც წულაიასთვის დამირეკავს წინასწარ, ისიც სრულიად მოულოდნელად წამოგვეწია „ნივით“.

ზაზამ დაიჩემა, ისევ ხვიჩასთან ავიდეთო. მერიდებოდა ობგაიძესთან დაბრუნება და შევთავაზე, ჩემთან წავსულიყავით. მართლაც, მივედით ჩემს სახლთან, მაგრამ რადგან მამაჩემი წასული იყო და არც გასაღები ჰქონდა დატოვებული, ჭიშკარი ვერ გავაღე. სწორედ მაშინ, წულაიამ გამოთქვა სურვილი, ნაფარეულში პაპუაშვილის სანახავად წასვლის თაობაზე. დანარჩენებისთვის, კერძოდ — ლაზარაშვილისა და მაისურაძისთვის არც შეგვითავაზებია ჩვენთან ერთად წამოსვლა. თავიანთი სურვილით დარჩნენ ავტომანქანაში, ხმა არ ამოუღიათ, არც ჩვენ გვითქვამს რაიმე და წავედით...

საჭაშნიკეს ვეძებდით... გზაზე, სასაფლაოს რომ მივუახლოვდით, ზაზამ თქვა — აქ ჩემი ახლობლის საფლავია და ძალიან მინდა ვნახო, ცოტა ხნით შევჩერდეთო. მოისურვა, მეც თან გავყოლოდი. წინააღმდეგობა არ გამიწევია. მხოლოდ ჩვენ ორნი გადავედით მანქანიდან. ზაზამ იპოვა კიდეც ახლობლის საფლავი, მერე მე მომიბრუნდა და მითხრა — დღეს შენ სიკვდილს გადაურჩი, ზაზა მამუკაშვილი ჩასაფრებული იყო და მოკვლას გიპირებდაო. თან გამომიტყდა — იმ დღეს, როცა შენ სახლში შემოგიცვივდნენ, მამუკაშვილს მეც თან ვახლდი, ოღონდ, მათგან მოშორებით, ეზოში ვიდექიო. ამ სიტყვებმა წონასწორობიდან გამომიყვანა. ამის შემდეგ რა ჩავიდინე, არ მახსოვს. გონს რომ მოვედი, მიწაზე ვიწექი. თითქმის გადაფარებული ვიყავი ზევიდან ასევე ძირს დაცემულ ლაზარაშვილზე. შევნიშნე, რომ ხელები სისხლიანი მქონდა. ლაზარაშვილისთვის ყურადღება აღარ მიმიქცევია, წამოვდექი თუ არა, მაშინვე ავტომანქანისკენ გავიქეცი. მანქანა სასაფლაოს გარეთ იდგა. ბიჭებს ვუთხარი — მგონი, ზაზა მოვკალი-მეთქი. წულაიამ დაიყვირა — ეს რა შარში გამხვიეთ?! — და გაიქცა. ობგაიძე მანქანაში დარჩა. ჩემით მივათრიე გვამი მანქანამდე და საბარგულში მოვათავსე. მდინარესთან ქვებიც თავად მოვაგროვე და ისინი ზაზას ტანსაცმელში ჩავუწყვე, რათა ჩაძირულიყო, ხელ-ფეხიც შევუკარი და შემდეგ წყალში შევაცურე...“

რაც შეეხება მესამე ბრალდებულს – დავით პაპუაშვილს, სასამართლოზე მან კატეგორიულად უარყო დანაშაულში მონაწილეობა. თქვა, რომ ნაფარეულში ჩაკვეტაძეს და მის თანმხლებ პირებს მართლაც ჩაუჯდა ავტომანქანაში, მაგრამ იგი თავისი დის სახლთან ჩამოსვეს, თავად კი გზა განაგრძეს. პაპუაშვილი აცხადებს, რომ მათთან დაშორების შემდეგ რა მოხდა, არ იცის. მისი სიტყვები, სხვათა შორის, ჩაკვეტაძემაც დაადასტურა. მისი თქმით, შემთხვევის ადგილზე, მის გარდა, მხოლოდ ობგაიძე და წულაია იყვნენ. სასამართლოზე ეს ობგაიძემაც დაადასტურა, თუმცა, პაპუაშვილს ჩადენილ დანაშაულში, სწორედ ობგაიძის მიერ წინასწარი გამოძიებისას მიცემული ჩვენება ამხელს.

ჩაკვეტაძის ადვოკატმა შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს, განსასჯელისთვის ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების თაობაზე. ადვოკატის თქმით, ექსპერტები გაარკვევენ, ნამდვილად აფექტურ მდგომარეობაში ჩაიდინა ჩაკვეტაძემ მკვლელობა თუ არა. სასამართლო კოლეგიამ შუამდგომლობა დააკმაყოფილა და საქმეც ექსპერტიზას გადაეგზავნა. ამის გამო, პროცესი გაურკვეველი ვადით გადაიდო.

გელა ჩაკვეტაძის სიტყვები სახელმწიფო ბრალმდებელს სარწმუნოდ არ მიაჩნია. პროკურორი აცხადებს, რომ ჩაკვეტაძე გაცილებით სუსტი აღნაგობისაა, ვიდრე აწ გარდაცვლილი გახლდათ და ამდენად, ის მას მარტო ვერ მოერეოდა. ბრალდების პოზიცია ასეთია: ჩაკვეტაძე ხელს აფარებს დანაშაულში თანამონაწილეებს და ამასთანავე, პასუხისმგებლობის შემსუბუქების მიზნით, იგონებს ჩვენებას აფექტის თაობაზე.

აღსანიშნავია, რომ სამივე ბრალდებული წარსულში ნასამართლევი გახლდათ. 1970 წელს დაბადებული გელა ჩაკვეტაძე, პროკურატურის ინფორმაციით, სხვადასხვა დანაშაულისთვის ჯერ გლდანის, შემდეგ თელავისა და ყვარლის რაიონულმა სასამართლოებმა გაასამართლეს. 1969 წელს დაბადებული დავით პაპუაშვილი ორჯერ გახლდათ სამართალში ნამყოფი, მათ შორის ერთხელ – პოლიციელების სიცოცხლის ხელყოფისთვის. რაც შეეხება ხვიჩა ობგაიძეს (დაბადებული 1965 წელს), ის წარსულში თელავისა და ქუთაისის სასამართლოების წინაშე წარმდგარა. 1993 წელს, განზრახ მკვლელობისთვის თელავის რაიონულმა სასამართლომ მას 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ■

პოლიციელებს დაკავებული გაექცათ და ამისათვის მკაცრად დაისაჯნენ

ქუთაისის საოლქო სასამართლომ ხონის რაიონის პოლიციელებს – გრიგოლ კალანდაძესა და ნოდარ ხელაიას 6 თვით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. ამის მიზეზი ის გახდა, რომ მიმდინარე წლის მაისში კალანდაძესა და ხელაიას დაკავებული კრიმინალური ავტორიტეტი – მელიტონ ჯიშკარიანი გაექცათ. მსჯავრდებული პოლიციელები უკმაყოფილებას გამოთქვამენ განაჩენთან დაკავშირებით. მათი თქმით, განაჩენი მკაცრია, რადგან სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ ბადრაგში მხოლოდ ორნი იყვნენ და ვერ შეძლეს მასთან გამკლავება. ისინი სასჯელის სხვა ფორმით შეცვლას ითხოვენ. მსჯავრდებულებმა განაჩენი უკვე გაასაჩივრეს. ■

მობილური ტელეფონისთვის 32 წლის მამაკაცი მოკლეს

2 აგვისტოს დილით, პოლიციამ მკვლელობაში ეჭვმიტანილი, წარსულში ოთხჯერ ნასამართლევი – ვაჟა ხუცუნაშვილი დაიკავა. სამართალდამცავთა ინფორმაციით, მან პირველ აგვისტოს, საღამოს, დაახლოებით 10-ის ნახევრისთვის, ურთიერთშელაპარაკებისას, დანით გულმკერდის არეში სასიკვდილოდ დაჭრა 32 წლის მალხაზ დეკანოსიძე. მკვლელობა რუსთავში, ტაშკენტის ქუჩაზე მოხდა. დაჭრილი რუსთავის საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

ქვემო ქართლის სამხარეო პოლიციის ინფორმაციით, მკვლელობა მობილური ტელეფონის გამო მოხდა. ხუცუნაშვილის თქმით, ტელეფონი მას დეკანოსიძემ მოჰპარა, მან კი პასუხი მოსთხოვა და ჩხუბიც ამ მიზეზით დაიწყეს. როგორც სამართალდამცავები ამბობენ, ხუცუნაშვილი წარსულში ნარკოტიკებისთვის, ყაჩაღური თავდასხმისა და ხულიგნობისთვის გახლდათ ნასამართლევი. ■

სამართალდამცავთა თქმით, ცნობილი ნარკობარონი დანაშაულს უარყოფს

თელავის ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე, სამართალდამცავთა თქმით, ცნობილი ნარკობარონი – იური ბაღაკაშვილი დააკავეს. ოპერაციაში კახეთის მთავარი სამმართველოს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურმა და შს თელავის სამმართველოს თანამშრომლებმა მიიღეს მონაწილეობა. შს სამინისტროს ინფორმაციით, ბაღაკაშვილი ნარკოტიკების რეალიზაციისათვის წარსულშიც გახლდათ ნასამართლევი.

ამჯერად, მისი ავტომანქანისა და პირადი ჩხრეკისას სამართალდამცავებმა გაურკვეველი ნივთიერება აღმოაჩინეს. ნივთიერება დასადგენად ექსპერტიზაზე გადაიგზავნა. ბაღაკაშვილი პანკისის ხეობის სოფელ დუისში ცხოვრობდა. მისი ახლობლები აცხადებენ, რომ ნარკოტიკი მას ავტომანქანაში პოლიციამ ჩაუდო.

დაკავებული შს სამმართველოს წინასწარი დაკავების საკანში გადაიყვანეს. ■

ეზოში გაშლილ სუფრას ცეცხლი გაუხსნეს

25 ივლისის ღამეს, გარდაბნის რაიონის სოფელ ახალსოფელში მკვლელობა მოხდა. ადგილობრივი ჯონი წივილაშვილი ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით თავის არეში სასიკვდილოდ დაჭრეს. ტყვია წივილაშვილს კეფაში მოხვდა და თბილისში, ქალაქის №1 საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

აწ გარდაცვლილი შემთხვევის დროს ნათესავის ოჯახში იმყოფებოდა. იმ ოჯახში წინა დღით ქორწილი იყო გამართული. სწორედ ქორწილთან დაკავშირებით სუფრა მეორე დღესაც გაშალა. ეზოში დაახლოებით თხუთმეტი კაცი, მათ გარდა ათამდე მცირეწლოვანი ბავშვი იჯდა. სროლა სწორედ მათ თვალწინ ატყდა. როგორც თვითმხილველები ამბობენ, ეზოს გარედან, ერთდროულად რამდენიმე მხრიდან ისროდნენ. სამართალდამცავთა ინფორმაციით, წივილაშვილს მხოლოდ ერთი ტყვია მოხვდა.

მომხდართან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება. ბოროტმოქმედთა ვინაობა ჯერჯერობით დაუდგენელია. ■

უშიშროების სამინისტრომ თბილისში 500 გრამი ტროტილი აღმოაჩინა

უშიშროების სამინისტროს თანამშრომლებმა, თბილისში, ისნის რაიონში 500 გრამი ასაფეთქებელი ნივთიერება ტროტილი და 6 კაფსულა – დეტონატორი აღმოაჩინეს. უშიშროების სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, ასაფეთქებელ მოწყობილობებს სამხედრო კონტრდაზვერვის პირველმა განყოფილებამ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გვარდიის პოლკის ტერიტორიაზე მიაკვლია. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მოკვლევა მიმდინარეობს. ■

24-წლიანი ქორწინება ტრაგედიით დასრულდა

ქმარმა ცოლი მოკლა, სიდედრი კი სასიკვდილოდ დაჭრა

ეს ტრაგედია 3 თვის წინ, ბოლნისის რაიონის სოფელ მამხუტში აზერბაიჯანელების ოჯახში დატრიალდა. ქმრის ეჭვიანობას ადგილობრივი სკოლის მასწავლებლის — ჰეირან ბაირამოვას სიცოცხლე შეეწირა, დედამისი — თოუზ კარანიზადე კი სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს. ეს სასტიკი დანაშაული 47 წლის ალაზ ბაირამოვმა დანით, მცირეწლოვანი ბავშვის თვალწინ ჩაიდინა...

ჰეირან და ალაზ ბაირამოვების ოჯახი 24 წლის წინ შეიქმნა. ისინი, როგორც ამბობენ, სიყვარულით შეუღლდნენ, თუმცა მალე მათ ცოლქმრულ ცხოვრებას ბზარი გაუჩნდა. ალაზ ბაირამოვი ძალზე ეჭვიანი აღმოჩნდა და ცოლს გვერდზე გახედვის საშუალებასაც არ აძლევდა. უმნიშვნელო საბაბიც საკმარისი იყო იმისთვის, რომ ოჯახში დიდი სკანდალი მოეწყო. როგორც დაზარალებულის ოჯახის წევრები ამბობენ, ბაირამოვი ხშირად სცემდა ცოლს. ჰეირანიც არ ურიგდებოდა შეურაცხყოფას და ყოველი ჩხუბის შემდეგ, საცხოვრებლად დედასთან გადადიოდა. თუმცა, გარკვეული ხნის შემდეგ, ქმარს ისევ ურიგდებოდა. ერთ-ერთი ასეთი ოჯახური სკანდალისას, ჰეირანმა გადაწყვიტა, საბოლოოდ გაჰყროდა მეუღლეს, დატოვა ქმრის სახლი და თავისი ნივთები დედასთან გადაიტანა. მაშინ ყველა ფიქრობდა, რომ მის გადაწყვეტილებას ალაზ ბაირამოვიც შეურიგდა.

2004 წლის 23 აპრილს, მამხუტის საკრებულოს თანამშრომელთა თანდასწრებით, ჰეირან და ალაზ ბაირამოვებმა ქორწინების პერიოდში შეძენილი ქონება გაიყვეს. ეს საკრებულოს თავმჯდომარემ ოფიციალურად დაადასტურა და სათანადო აქტიც შეადგინა.

მეუღლის საქციელით განაწყენებულმა ალაზ ბაიარამოვმა იმავე დღეს, თანასოფლელებთან ერთად, მამხუტის ცენტრში მდებარე ერთ-ერთ ჯიხურში არაყი დალია და დათვრა. მთვრალმა შურისძიება განიზრახა. ბრალდების თანახმად, მან გადაწყვიტა, მოეკლა მეუღლე, სიდედრი და ცოლისძმა – ნაზიმ კარანიზადე.

ამ განზრახვით, დაახლოებით საღამოს 11 საათზე, იგი დანით შეიარაღებული მიუვარდა თოუზ კარანიზადეს სახლში, მაგრამ იქ არავინ დახვდა. იმ დროისთვის, ოჯახის ყველა წევრი მეზობელთან – ჰაჯიმამედთან სტუმრად იმყოფებოდა. ალაზმა გადაწყვიტა, დალოდებოდა მათ დაბრუნებას და იქვე, აივანზე, სიბნელეში დაიმალა. დაახლოებით 25 წუთში ჰეირანი, დედამისი, მისი ძმა – ნაზიმი, ამ უკანასკნელის ცოლი და პატარა შვილი – ხადიჯა დაბრუნდნენ და სახლში შევიდნენ. თოუზ კარანიზადე აივანზე გამოვიდა და სწორედ მაშინ გამოვარდა ალაზი სამალავიდან. იგი ყვირილითა და მუქარით, დანით ხელში მიეჭრა სიდედრს და იარაღი ზურგში ჩასცხო. ყვირილის ხმაზე ოთახიდან ნაზიმი გამოვარდა. ალაზმა მის თვალწინ თოუზ კარანიზადეს მეორედ ჩაარტყა დანა ზურგში, შემდეგ კი ცოლისძმისკენ გაიწია. შეშინებული ნაზიმი კიბეზე დაეშვა და ჭიშკრისკენ გაიქცა. ამ დროს მისი მცირეწლოვანი შვილი – ხადიჯა და და – ჰეირანი ოთახში იყვნენ. ალაზმაც დრო იხელთა და ახლა ჰეირანს დაედევნა. დანა მას ზურგში ერთხელ ჩაარტყა. ჭრილობა სასიკვდილო აღმოჩნდა და ჰეირანი ადგილზე გარდაიცვალა. რაც შეეხება თოუზ კარანიზადეს, მან მიღებული ჭრილობების მიუხედავად, მეზობლის სახლამდე მიღწევა შეძლო, იქიდან კი დაუყოვნებლივ, ბოლნისის რაიონის საავადმყოფოში წაიყვანეს. ექიმებმა კარანიზადეს გადარჩენა მოახერხეს.

„ფანჯრიდან დავინახე, თუ როგორ ჩაარტყა ალაზმა ჩემს დას დანა ზურგში. შემდეგ აივნის კიბეზე დაეშვა და სადღაც გაიქცა“, – ამბობს ნაზიმ კარანიზადე.

ალაზ ბაირამოვი, როგორც თავად ამბობს, ხუთი დღის განმავლობაში ტყეში იმალებოდა. შემდეგ კი, ბრალის აღიარებით, პოლიციაში გამოცხადდა. სასამართლოზე ჩვენების მიცემისას განაცხადა, რომ გულწრფელად ინანიებს ჩადენილ დანაშაულს. თუმცა, მისივე თქმით, როგორ და რა ვითარებაში ჩაიდინა მკვლელობა, არ ახსოვს.

ალაზ ბაირამოვი:

„24 წლის მანძილზე, ჰეირანი ცოლად მყავდა. მასთან სამი შვილი გამიჩნდა – ორი გოგო და ერთი ბიჭი. ოჯახის შექმნის შემდეგ, ხშირად ვკამათობდით. კონფლიქტური ურთიერთობა გვქონდა. ცოლზე ვეჭვიანობდი და ამის საბაბიც მქონდა. ჰეირანი სხვა კაცებისკენ მიილტვოდა და მე არ ვაინტერესებდი. ამიტომ ხშირად ვცემდი და მოკვლითაც ვემუქრებოდი.

2004 წლის აპრილის შუა რიცხვებში, საბოლოოდ დავშორდით ერთმანეთს. ქონების გაყოფის შემდეგ, შინ ნასვამი დავბრუნდი. სახლში არავინ დამხვდა. ცარიელი კედლები რომ დავინახე, ძალიან დავღონდი. გაბრაზებულ გულზე ბოთლი მოვიყუდე და ერთიანად დავცალე სასმელი. ისე დავთვერი, რომ ამის შემდეგ რა გავაკეთე, არაფერი მახსოვს. გონს რომ მოვედი, მამხუტის რომელიღაც ქუჩაზე, წვიმაში ფეხით მივდიოდი. უცებ პიჯაკის ჯიბეში დანა ვნახე. გავიფიქრე, ალბათ, რაღაც ცუდი ჩავიდინე-მეთქი. შინ მივედი, ტანსაცმელი გამოვიცვალე და სიდედრის სახლისკენ გავეშურე. გზაში მეშინოდა – ცოლი ხომ არ მოკალი-მეთქი? სახლს რომ მივუახლოვდი, მართლაც, ტირილი, კივილი და ხმამაღალი ყვირილი მომესმა – ეს რა ჩაიდინა ალაზამო?!. მივხვდი, რომ რაღაც უბედურება ჩავიდინე და შეშინებული გავიქეცი. იქვე ახლოს, ერთ მიტოვებულ სახლს შევაფარე თავი. იქიდან კარგად ვხედავდი, რაც ხდებოდა ჩემი სიდედრის ოჯახში. როცა დავრწმუნდი, რომ ჰეირანი მართლაც მოკალი, ტყეში გავიქეცი დასამალად. იქ დიდხანს ვერ დავიმალებოდი და 28 აპრილს, ბრალის აღიარებით, გამოვცხადდი პოლიციაში“.

ალაზ ბაირამოვს კომპლექსური ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიური ექსპერტიზა ჩაუტარდა. ექსპერტებმა გამორიცხეს ფიზიოლოგიურ აფექტში დანაშაულის ჩადენა და აღნიშნეს, რომ ბაირამოვი შერაცხადია. სახელმწიფო ბრალმდებელმა უარყო განსასჯელის სიტყვები იმის თაობაზე, თითქოს ჰეირანი ქმარს ღალატობდა. პროკურორის თქმით, გამოძიების ეტაპზე ეს არ დადასტურდა, მოსახლეობა პირიქით, ყოველმხრივ დადებითად ახასიათებს აწ გარდაცვლილს. სასამართლო კოლეგია ბრალმდებლის წინადადებას სასჯელის განსაზღვრის საკითხში დაეთანხმა და ბაირამოვს ჩადენილი დანაშაულისთვის 17 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

■

მონოლოგით ფსიქიატრი ანუ სიგიჟე გენიალობასთან „მეგობრობს“

ინგა ჯაყელი

დიდობაში რამდენი მეობარიც არ უნდა შეიძინო, ბავშვობაში განცდილს ვერც ერთი ვერ შეგიცვლის. ამიტომ ბავშვობის მეგობარს ვერ გავიწყებს ვერც დრო და ვერც ახალი ურთიერთობები. არც მე ვარ ამ მხრივ გამონაკლისი და შემთხვევას არ ვუშვებ ხელიდან, ის ადამიანები არ გავიხსენო, რომლებმაც ჩემი ბავშვობა ერთ დიდ დღესასწაულად აქციეს...

ჩემზე ორი წლით უფროსი ვანიკო განსაკუთრებით მიყვარდა და ყურადღებას არ ვაქცევდი ბებიაჩემის ვიშვიშს: დავიღუპეთ, ესეც იმ საცოდავი ბიჭივით გიჟიაო!..

მარტო ბებიაჩემისგან კი არა, სხვა მეზობლებისგანაც გამიგონია დანანებით ნათქვამი: ვაი, უბედური სიმონიკას ოჯახი, რავა გადაშენებისკენ მიდის ამ ბიჭის შემყურეო!..

მოკლედ, უფროსები ვანიკოს გიჟად თვლიდნენ, რაც ბავშვებისთვის ყოვლად გაუგებარი იყო, რადგან, ვანიკოს გარეშე ცხოვრება ვერ წარმოგვედგინა და ყველა მისი იდეა ლამაზ ზღაპარს ამსგავსებდა ჩვენს ყოველდღიურობას... დაგვსვამდა, მოგვიყვებოდა ვარსკვლავეთში არსებული ქვეყნის შესახებ, სადაც არც სკოლა იყო, არც მასწავლებლები, მხოლოდ კარუსელები და უფასო ნაყინი... რა თქმა უნდა, ამ ქვეყანაში მოხვედრა ძალიან გვინდოდა და ვარსკვლავეთში ასაფრენად თვითმფრინავის გატაცების გეგმაც დავსახეთ... ქუთაისთან ახლომდებარე კოპიტნარის აეროპორტშიც შევიპარეთ და „კუკურუზნიკ“ თვითმფრინავის სალონშიც შევაღწიეთ — მართალია (ჩვენდა საბედნიეროდ!), აფრენა ვერ მოვახერხეთ, მაგრამ ისე დავაზიანეთ მისი სამართავი პულტი, რომ მშობლები სასამართლომდეც კი მივიყვანეთ...

მერე რაკეტას ვაწყობდით და „ვუშვებდით“ — ეს საქმიანობა მანამ გაგრძელდა, ვიდრე ვანიკოს ბიძის სახლის ნახევარი არ გადავწვით...

ვანიკოს იზოლაცია კი მაშინ გადაწყვიტეს, როცა სათაფლიის ნაკრძალში წავიყვანა და დაგვკარგა დინოზავრებზე „ნადირობაში“ გართულები. დინოზავრის მოკვლა კი არ გვსურდა, მისი კვერცხის პოვნა გვინდოდა, რომ მერე ძაღლის ლეკვივით გაგვეზარდა პატარა „დინოზავრუკა“...

ძლივს გვიპოვეს ორი დღის ძიების შემდეგ მართლაც გაველურებული და მაიმუნებს დამსგავსებული, მშივრები და ჭუჭყიანები...

ამის შემდეგ შეიკრიბნენ მეზობლები და ულტიმატუმი წაუყენეს ვანიკოს მამას: ან თქვენ და ან ჩვენ, თუ არ აიყრება თქვენი ოჯახი ჩვენი ეზოდან, მაშინ ჩვენ უნდა გადავსახლდეთო! — უთხრეს.

დაირცხვინა ვანიკოს მამამ, სიმონა ბიძიამ: მაპატიეთ, მეზობლებო! — გაყიდა ქუთაისში ყველაფერი და ოჯახით თბილისში გადავიდა საცხოვრებლად. რამდენი ვიტირეთ მაშინ ბავშვებმა, ვინ იცის... სიცხემაც აგვიწია ზოგიერთს და დიდხანს ვიავადმყოფეთ... მერე კი, ლამაზ სიზმრად გვექცა ვანიკო და სხვა მოგონებებში „აიზილა“: ალბათ, ვერც წარმოვიდგენდი, თუ ოდესმე, ისევ შეგვყრიდა განგება, მაგრამ...

ერთ დღეს, მეგობარმა დამირეკა, ვიცოდი — მამიდა გაუგიჟდა: გაუთხოვარ ქალს ჯერ ნევროზი დაემართა და მერე „ყველა ოფოფი ერთად ააფრინა“; პატიოსნებით და თავშეკავებულობით განთქმულ ქალს შინაურები სიბერეში ველარ აკავებდნენ: გამიშვით, საუნაში უნდა დავიწყო მუშაობაო!.. არადა, ვის რაში სჭირდებოდა 72 წლის ქალი, როცა 20 წლისასაც „პენსიაში უშვებენ“ ხსენებული დაწესებულებიდან?!.

ჰოდა, სხვა გზა არ ჰქონდათ და საწყალი თაფლო მამიდა საგიჟეთში მოთავსეს.

— ნეტავი, იცოდე, ვინ ვნახე საგიჟეთში?!. — ისეთმა გაბარებულმა მითხრა ნიკამ, მეგონა, მანაც გააფრინა... —

— თაფლო მამიდა ხომ კარგადაა?! — ვცადე მწუხარე კილოთი წარმომეთქვა.

— გადასარევად! ისეთი ექიმი შეხვდა, ხელად მოიყვანა ჭკუაზე. ახლა ეს ექიმი უნდა განახვო სწორედ! — და ჩემი უარის გაგონებაც არ ისურვა: — უკვე მანქანაში ვარ, გამოგვილი, ქალაქის ყველაზე პოპულარული ფსიქიატრი გველოდება!

ნიკამ მანქანაში მიამბო, თუ როგორ მოარჩინა მისი თაფლო მამიდა ხსენებულმა ფსიქიატრმა:

— სიტყვით რომ ვერაფერი გააგებინა, ჩააგდო მანქანაში და მიიყვანა ერთ-ერთ საუნაში: აქ ჩემი მეგობარია დირექტორი და რადგან ასე გინდა, ვთხოვ და ნიკას ხათრით მივაღებინებ შენს თავსო! დირექტორიც მართლა ჩვენი ფსიქიატრის „ჭკუის“ აღმოჩნდა; შეხედა ამ ჩემს გამოშტერებულ თაფლოს, შეატრიალ-შემოატრიალა და გაშალა ხელები: სწორედ ასეთ ქალს ვეძებდით, კლიენტიც უკვე გელოდებაო! — და სასწრაფოდ გახდა უბრძანა, ხელში ბიკინი, უფრო სწორად — რამდენიმე ვიწრო ზოლისგან შეკრული საცვალი შეაჩეჩა!.. დაირცხვინა თაფლომ: — ასე უცებ არა, ჯერ შევეჩვიოო, — მაგრამ ეცა „დირექტორი“ და შემოახ-

ია ტანსაცმელი, თან სახეშიც გაულაწუნა: ხალხი დოლარებს მიხდის, შენ კიდევ, რას მიბედავო?! იკივლა თაფლომ — მიშველეთო! — შევარდა კაბინეტში „დაცვა“. გაკოჭა საწყალი მამიდაჩემი, დირექტორმა კი უბრძანა ბიჭებს: გახადეთ სასწრაფოდ და შეუგდეთ თურქ შოფრებსო! — აუ, უფროსო, ისეთი მთვრალები არიან, დანებს ატრიალებენ, არ შემოაკვდეთო! — „შეიცოდეს“ დაცვის ბიჭებმა. — რას დავეძებ, მთავარია, ფული არ დავკარგოთო!.. — უპასუხა „დირექტორმა“. ახლა ბიჭებმა დაუწყეს თაფლოს ტანსაცმლის „შემოხევა“ და გულიც წაუვიდა საბრალოს. — საკმარისიაო! — ჩაერთო საქმეში ფსიქიატრი, — მერწმუნეთ, ეგ ცხოვრებაში აღარ ახსენებს აღარც საუნას და აღარც კაცის სახელსო! — და გამომატანა სახლში.... ნეტავ განახვა თაფლო მამიდა, აბრეშუმივით გახდა. ზედმეტ სიტყვას არ ამბობს და თუ გაბრაზება შეგვატყო, გვეხვეწება: ოღონდ საუნაში არ გამიშვათ და რაც გინდათ, დამავალეთო...

ამ ლაპარაკში საგიჟეთსაც მივადექით და როცა დაცვას მოვახსენეთ, ვინც გველოდებოდა, უპრობლემოდ გაგვატარეს...

...შევხედე, თუ არა, მაშინვე ვიცანი — ისევ ის, „ეშმაკუნებით“ სავსე თვალები, ჭორფლიანი ცხვირი და წითური თმა ჰქონდა. ასაკიც სულ არ ეტყობოდა. მოგვიანებით იხუმრა: ხომ იცით, ჭკუამხიარულები ადვილად არ ბერდებიანო!..

ისე გამიხარდა ვანიკოს დანახვა, ხელები გავშალე და კისერზე ყელსახვევივით დავეკიდე: მე შენ შტერი მეგონე და ექიმი როგორ გახდი-მეთქი?! — მოურიდებლად მივახალე.

— ერთი მეორეს ხელს არ უშლის! — როგორც ბავშვობაში იცოდა, ისე მომწიწკნა კუდივით შეკრული თმა და მეც ისე ჩამოვქაჩე ყური, რომელმა უფრო მეტად ვიყვირეთ, არ ვიცი; ნიკა რომ არ ჩაგვდგომოდა შუაში, არ ვიცი, რით დამთავრდებოდა ჩვენი ჯიბრიანი შეხლა-შემოხლა...

— ერთ ავადმყოფს მივიღებ და მერე რესტორანში წავიდეთ, ჩვენი შეხვედრა აღვნიშნოთ! — გვითხრა ვანიკომ, იქვე კუთხეში დაგვსვა და გაგვაფრთხილა: რაც არ უნდა ნახოთ, არც ხმა ამოიღოთ და არც გაიცინოთო.

25-27 წლის ახალგაზრდა კაცი შემოიყვანეს, რომელსაც მუცელზე მიეჭირა ხელი და გამწვანებული კანკალებდა:

— აი, ისევ ყიყინებს, თქვენ კიდევ მეუბნებით, რომ ბაყაყი არ გადამიყლაპავს!..

ვანიკო დაიხარა და ყური დაადო მუცელზე:

— ვა-ა, მართლა ყიყინებს!.. ბოდიში, ძმაო, რომ ეჭვი შემეპარა შენს სიმართლეში!..

მერე სტომატოლოგის სკამის მსგავს სავარძელში ჩასვა და პირის ღრმად გაღება უბრძანა, თან გააფრთხილა:

— ხელი კუჭში უნდა ჩაგიყო და ძალიან მტკივნეული იქნება, მაგრამ არ იყვირო, თორემ ბაყაყი შეშინდება და თუ ხელიდან გამისხლტა, ველარასოდეს ამოვიტყუებთ ზევით!..

კაცმა პირი დააღო და შიშით თვალები დახუჭა. ვანიკომ ხელი არა, მაგრამ იმისისქე ზონდი ჩასთხარა პირში, მეც დავხუჭე შიშისგან თვალები და ყველაზე მნიშვნელოვანი — ბაყაყის „ამოყვანის“ მომენტი გამომრჩა. როცა ვანიკომ დაიძახა — დავიჭირე, აგერ მყავსო! — პინცეტზე ცალი ფეხით დაკიდებული და ჰაერში აფართხალებული მოზრდილი ბაყაყი დავინახე...

„მორჩენილი“ ავადმყოფი კი საკაცეზე გადაასვენეს და ვანიკო „დანიშნულებას“ აძლევდა:

— ორ დღეში გაგიშვებთ შინ. ორი კვირა — წოლითი რეჟიმი, ორი თვე შინიდან არ გახვიდეთ, მერე კონსულტაციაზე მოხვალ და დანარჩენსაც გეტყვი.

ავადმყოფი ვანიკოს, როგორც ღმერთს, ისე უცქერდა და როგორც „მძიმე“ ოპერაციაგადატანილს შეეფერება, თითსაც არ ანძრევდა...

— ფსიქიატრია რამ აგარჩევინა?! — ვკითხე მოგვიანებით, უკვე რესტორანში რომ ვუსხედით სუფრას.

— რაც მამაჩემმა ბავშვობაში ფსიქიატრებთან მატარა, აბა, სხვა რა გამოვიდოდა ჩემგან?.. თანაც, მთლად ნორმალური მართლა რომ არ ვარ, თქვენზე უკეთ, ვინ იცის... მეცნიერულ ცოდნას გიჟის ბუნებრივ თვისებებთან ვაზავებ, მათი ფსიქიკის წესებზე ვაგებ ჩემს პრაქტიკას და არ მახსოვს, ჯერ რომელიმე ავადმყოფი ვერ მომერჩინოს. ხომ გაგიგონია — სიგიჟე გენიალობასთან „მეგობრობსო“?!

გამიგონია და ვანიკოს მაგალითზე დავრწმუნდი, რომ ჭეშმარიტად ასე ყოფილა!..

P.S. რესტორნიდან წამოსულები, კაზინოში შეგვიყვანა და „რულეტკა“ დაატრიალა. დიდი ფსონის დადება რომ დააპირა, ნიკამ გააფრთხილა: შენ გიჟი ხომ არ ხარ? წააგებო!.. ვანიკომ მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა და... მოიგო, ისევ ნიშნის მოგებით გადმოგვხედა: რით ვერ გაიგეთ, რომ ეს ქვეყანა გიჟებისაა და არ შეიძლება, ყველაფერს სერიოზულად უყურაო?! ■

ერთგული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. მაიმუნეგის რომელ სახეობას ეღიტინება ისევე, როგორც ადამიანს?

ა) შიმპანზეს;
ბ) მაკაკას;
გ) გორილას.

2. „აბსტრაქცია“ ლათინური სიტყვაა და ნიშნავს:

ა) ყურადღების გადატანას;
ბ) აზროვნებას;
გ) ოცნებას.

3. რას ეძახდნენ ძველი ბერძნები ადამიანს, რომელიც რაიმეს გულმოდგინედ ათვალიერებდა?

ა) ესთეტიკოსს;
ბ) სკეპტიკოსს;
გ) პრაგმატიკოსს.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

ქართველი კაცის ინტელექტუალური კაპიტალი

როგორია ჩვენი ინტელექტუალური პოტენციალი? რა შეგვიძლია შევთავაზოთ მსოფლიოს ამ თვალსაზრისით და რამდენად რეალურია, რომ ეს პოტენციალი კაპიტალად — როგორც ფინანსური, ისე „იდეოლოგიური“ თვალსაზრისით — ვაქციოთ? თემაზე მუშაობისას აღმოვაჩინე, რომ თურმე, იმდენი გამომგონებელი და ნოვატორი გვყავს, მხოლოდ მათი ჩამოთვლაც კი შორს წაგვიყვანდა. ზღვა მასალაში არ მიცდია, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ან მეტად ორიგინალური გამოგონებები გამომეყო — ამჯერად გადავწყვიტე, რამდენიმე გამომგონებელი წარმომედგინა თქვენთვის, სხვებზე კი, მომავალში გიამბობთ.

იოლი ხომ არ არის, ქარისგან ელექტროენერგიის მიღება, მაშინ, როცა საქართველოში წელიწადში 122 დღე ქარიანია?.. ან ხელოვნური ალმასის მიღების ახალი მეთოდის შექმნა, თხილისა და კაკლის სატეხის გამოგონება ან კიდევ, ერთი შეხედვით მარტივი, ჩაის საკრეფი ორიგინალური ხელსაწყოს გაკეთება!.. გამოგონება მართლაც, უამრავია. არც მისი ავტორები არიან რთული მოსაძებნი, მით უმეტეს, რომ თითოეული მათგანის შესახებ სრულ ინფორმაციას ფლობს ჩვენი კოლეგა — ტელეჟურნალისტი მერაბ ბერაძე, რომელიც წლების მანძილზე, „I არხის“ პროგრამა „ენერგიის“ წამყვანად გვევლინებოდა.

ლელა ჭანკოტაძე

მერაბ ბერაძე:

— ქართველი კაცის ყველაზე დიდი ნიჭი საინჟინრო საქმიანობაში გამოვლინდა. საბჭოთა კავშირის დროს, არ ყოფილა არც ერთი გასაიდუმლოებული საინჟინრო-სამხედრო პრობლემა, რომლის გადასაწყვეტად შექმნილ ჯგუფს ქართველი კაცი არ ედგა სათავეში ან რაღაც საპასუხისმგებლო პოსტი არ ეკავა. კონსტრუქტორმა ბერიშვილმა გამოიგონა სრულიად განსხვავებული ტიპის ვერტმფრენი. ალექსანდრე ქართველმა, მხატვარ დიმა ერისთავის დედის ძმამ, საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ავიაციას და ამ საქმეში ამერიკაში პირველ კაცად იყო მიჩნეული. ახლა, როცა ჩვენი ქვეყანა სერიოზული პრობლემების წინაშე დგას, მთელი ყურადღება იმაზე უნდა გადავიტანოთ, რამაც შეიძლება კრიზისიდან გამოგვიყვანოს. ეს არის უპირველესად, ჩვენი ინტელექტუალური პოტენციალი. 1945 წელს, მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე, მიწასთან გასწორებულმა იაპონიამ ძლივს შეაგროვა პირველი ბიუჯეტი და 33% გამოყო ინოვაციების, სამეცნიერო-ტექნიკური სამუშაოების დასაფინანსებლად. შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ამუშავდა მრეწველობა. ნებისმიერ საწარმოში იდგა სპეციალური ყუთი, რომელშიც თითოეულ მუშას შეეძლო ჩაეგდო თავისი წინადადება. ყველაზე სულელურ წინადადებაშიც კი 5 იენს იხდიდნენ. თუ ისეთ რამეს შესთავაზებდი, რაც ეკონომიკას წაადგებოდა, უმალ მდიდარი კაცი ხდებოდი. ამ მიდგომამ ბიძგი მისცა საინჟინრო წარმოებას. ყველა ქვეყანამ, სადაც საკუთარ ინტელექტუალურ პოტენციალს სათანადო ყურადღებით ეპყრობოდნენ, დიდ წარმატებას მიაღწია.

ყველა ქვეყანამ, სადაც საკუთარ ინტელექტუალურ პოტენციალს სათანადო ყურადღებით ეპყრობოდნენ, დიდ წარმატებას მიაღწია

— თუ შეგიძლიათ, გაიხსენოთ ყველაზე განსაკუთრებული გამოგონება, რომელიც თქვენს გადაცემაში გაგიშუქებიათ?

— საქართველოში პირველი ბიოდანადგარი **გიორგი ანანიაშვილმა** გააკეთა. ხის მოჭრა, დაჩეხა და მისი შეშად გამოყენება ხომ გლეხისთვის რთული და შრომატევადი საქმიანობაა, ხოლო ქვეყნისთვის — დამღუპველი. მორების დაცურებას მსხვერპლიც ახლავს ხოლმე თან. პრობლემებს ხსნის ბიოდანადგარი. ამ მოწყობილობის მეშვეობით, 21 დღეში ნებისმიერი ორგანული მასა (დაღუპული ძაღლი, კატა, ნაკელი, ვაშლი, მსხალი და ა.შ.) გარდაიქმნება ბუნებრივ აირად. 3 ძროხის ნაკელი და შარდი სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ ერთ ოჯახს გაზი ჰქონდეს. საბედნიეროდ, უკვე უამრავ ადგილას ვნახე ამოქმედებული ბიოდანადგარი. ამის მერე, გლეხი ტყეს აღარ გაკაფავს. შესაბამისად გადარჩება წყარო, ჰაერი, სოფელი შეინარჩუნებს სისუფთავეს და გლეხიც, ბინის გასათბობად ტიტანურ შრომას აღარ გასწევს. ბიოდანადგარი ჩვენი ჯანმრთელობის დამცველიცაა. ოჯახს, რომელსაც 3 ძროხაზე მეტი ჰყავს, შეუძლია, მეტი გაზი მიიღოს და შესაბამისად, სათბური მოაწყოს, კიტრი, პამიდორი, სოკო, ყვავილები მოიყვანოს. გაზით ელექტროენერგიასაც მიიღებს. ყველა გლეხმა, რომელმაც ბიოდანადგარი დანერგა, ამოისუნთქა, წელში გასწორდა. ბიოდანადგარების მოწყობა ყველა სოფელშია შესაძლებელი.

— სხვა გამომგონებლებიდან ვის გამოარჩევთ?

— ბრწყინვალე გამომგონებელია **თამაზ ქვლივიძე**, რომელმაც ვენახის გაშენების სრულიად ახალი სისტემა შექმნა. კახეთში თავისი ვენახები ორკაპა სისტემად გააშენა. ჭიგოები ტროლეიბუსის ხაზებივით გაჭიმა. ვენახი რომ გაიზარ-

და და ჭიგოს მოეკიდა, დერეფანი გაკეთდა, შეიქმნა მიკროსამყარო, რომელსაც სეტყვაც ვეღარ ერევა. შეწამვლა აღარ სჭირდება. თუ ასეთი სისტემით გაშენდება ვენახები, ყურძნის მოსავალი ყოველთვის დაცული იქნება. მოგება, რომელიც ასეთმა ვენახებმა შეიძლება საქართველოს მოუტანოს, წელიწადში 800 ათას დოლარადაა შეფასებული!.. უნდა გამოვყო **გოგი კვარაცხელიაც** – კაცი, რომელმაც მფრინავი თეფში შექმნა. უმაღლესი რანგის ექსპერტებმა შეაფასეს მისი თეფში. მას მსოფლიოში ანალოგი არა აქვს. უნიჭიერესი ადამიანები გვყავს, ჩვენ კი საქართველოს წარმოჩენას მხოლოდ „ხვანჭკარითა“ და ხაჭაპურით ვცდილობთ. არადა, წლების მანძილზე, საქართველოში უზარმაზარი ინტელექტუალური სიმდიდრე დაგროვდა. და ამ სიმდიდრის წარმოსაჩენად, სახელმწიფო ტელევიზიამ კვირაში 25 წუთი არ გამოყო – მაშინ, როცა ზოგიერთ გასართობ გადაცემას კვირაში 3, ზოგს კი – 6 საათი ეთმობა.

ხერხემლის განტვირთვის პრაქტიკის ისტორიაში, ჰიპოკრატედან მოყოლებული დღემდე, მნიშვნელოვანი ცვლილება არ მომხდარა. ჰიპოკრატე ხერხემალს დაჭიმვის მეთოდით მკურნალობდა. მაგრამ ეს მეთოდი კისრის მალათა პათოლოგიების შემთხვევაში გამოუსადეგარია, არაეფექტურია გულმკერდის მალათა ზონისთვისაც. არადა, მსოფლიო მასშტაბით ყოველ მეხუთე ადამიანს კისრის, გულმკერდისა და გავაწელის ზონებში პირველადი გრავიტაციული დაავადებები აწუხებს. ქართველმა მეცნიერმა გაიოზ ერაძემ ხერხემლის გაჭიმვის ახალი მეთოდი შექმნა. როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, არსებობს ხერხემლის 116 დაავადება, „ერაძის სავარძელი“ კი 102 დაავადებას შველის.

გაიოზ ერაძე:

– ჩემი სავარძლით შესაძლებელია ხერხემლის ყველა დაავადების პროფილაქტიკა ოჯახურ პირობებში. თუ ეს სავარძლები სკოლებში დაიდგმება და ბავშვები შეძლებენ თუნდაც, 10-15 წუთით ამ სავარძელში ჩასხდომას, ხერხემლის გამრუდების შემთხვევათა რაოდენობა განახევრდება და შეიძლება, მთლიანადაც აღმოიფხვრას. ეს სავარძელი დაპატენტებულია, თუმცა, სერიული წარმოება არ დაწყებულა. მე სხვა გამოგონებებიც მაქვს, კერძოდ – პნევმოჩაქუჩი, რომელიც საავიაციო წარმოებაში ნამდვილ სასწაულს მოახდენს. ჩვეულებრივი პნევმოჩაქუჩით თვითმფრინავის „აბშივკა“ ხდება, რაც სისხლის უმძიმეს და უკურნებელ დაავადებებს იწვევს, ამიტომ ამ სფეროს მუშაკები ადრეულ ასაკში წყვეტენ შრომით ბიოგრაფიას და სახელმწიფო მათ სოლიდურ პენსიას უხდის. მე ისეთი ჩაქუჩი გამოვიგონე, რომელსაც ვიბრაცია არა აქვს, ამიტომ არც ჯანმრთელობის გაუარესებას გამოიწვევს. სხვათა შორის, თავის დროზე, კომუნისტურმა მთავრობამ 30.000 რუბლი გამოგვიყო, რათა ჩემი ჩაქუჩი სერიულ წარმოებაში ჩაშვებულიყო. მაგრამ ყოველ კარგ წამოწყებას სამწუხაროდ, ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდება ხოლმე. არადა, შეგვეძლო, ეს ჩაქუჩი მთელი მსოფლიოსთვის მიგვეწოდებინა, ეს უდიდეს მოგებას მოგვიტანდა. არც ერთი საავიაციო ქარხანა აღარ გამოიყენებდა სხვა ჩაქუჩს, რადგან ჩემი ჩაქუჩი ჯანმრთელობისთვის უსაფრთხოა.

— სხვა გამოგონებებზეც მიამბეთ.

– შევქმენი მექანიკური თოხი, რომელიც ერთ საათში 5 კაცის შრომას ასრულებს, 8 საათში კი, 700-800 კვმ მიწის ფართობს ამუშავებს. ჩვეულებრივი თოხი კი, წამების ის იარაღია, რომელსაც გლეხი სოფლიდან გამოექცა. მექანიკური თოხი ბულგარეთში გამოფენაზე გავიტანე. იქ მნახა ტელეჟურნალისტმა სოლოვიოვმა და მიმიწვია გადაცემაში – „Это вы можете“. მაშინ ჩემი თოხი საკავშირო ტელევიზიამ ოთხჯერ აჩვენა. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ქართული გამოგონება ასე გაახმაურეს. თუ სიმინდს კვალში დათესთ, რიგში ჩაუდგებით, მექანიკურ თოხს ხელს მოჰკიდებთ და გაატარებთ, საოცარ ეფექტს მიიღებთ. მაგრამ ეს თოხი სხვა გამოგონებებთან ერთად, ჩემს სამუშაო ოთახში ინახება... ყველამ, ვინც ცხვირის პლასტიკური ოპერაცია გაიკეთა, იცის, თუ რა ძნელია ჩაქუჩით კეხის მომტვრევა; ქირურგები დღესაც, როგორც ოდესღაც, მუშაობენ, როგორც სკულპტორები – ერთ ხელში ღოჯი უჭირავთ, მეორეში – ჩაქუჩი. ჩემი ხელსაწყოთი ქირურგი 10-ჯერ უფრო იოლად გააკეთებს ოპერაციას, რადგან ჩემი ხელსაწყო, როგორც დანა – ყველს, ისე თლის ძვალს.

როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, არსებობს ხერხემლის 116 დაავადება, „ერაძის სავარძელი“ კი 102 დაავადებას შველის

— თქვენს სამუშაო ოთახში ავტომატური იარაღის ნახაზებია. გამოგონება ამ სფეროშიც ხომ არ გაქვთ?

– 1990 წელს, ავტომატური პისტოლეტი – „აია“ შევქმენი. „კაგებე“ სახლში დამადგა და წამართვა. ეს არ იყო გამოგონება – უბრალოდ, ახალი კონსტრუქციის პისტოლეტი გავაკეთე. მაინც არ გავჩერდი. ტყვია-წამლის კეთება დავიწყე. „კალაშნიკოვის“ ვაზნა დავამზადე. გახარებული გავიქეცი ზვიად გამსახურდიასთან, ვახარე ჩემი საოცარი მიღწევის შესახებ. სხვა ქვეყნებიდან შემოტანას, ცხადია, სჯობია, ტყვია-წამალი თავად აწარმოო, გაცილებით იაფი ჯდება. მაგრამ ეს ტყვიები ახლა უჯრაში მიყრია. ზოგჯერ მათი არსებობაც მავიწყდება...

ირაკლი გელაძის გამოგონება უკვე 20 წლისაა...

1903 წელს საფრანგეთში გაზის პირველი ტურბინა ამუშავდა. ხოლო 1920 წლიდან, რობერტ ჯიდარდმა მყარ და თხევად საწვავზე მომუშავე რეაქტიული ძრავების წარმოება დანერგა. წლების განმავლობაში ფართოვდებოდა ძრავაში გამოყენებული საწვავის არეალი, იზრდებოდა მისი სიმძლავრე, მაგრამ არ იცვლებოდა ძირითადი პრინციპი – ნაპერწკლით საწვავის აალება. მხოლოდ ქართველმა ინჟინერმა ირაკლი გელაძემ შეძლო, შიგაწვის ძრავის ანთების სრულიად განსხვავებული ხერხი შექმნა. მან გამოიგონა ხელსაწყო, რომელიც ავტომობილზე დამონტაჟების შემთხვევაში, 35%-ით შეამცირებს საწვავის ხარჯს და 2-ჯერ – გამონაბოლქვს, სრული წვის ხარჯზე.

გელაძეების ოჯახში ავტოსაქმისადმი ლტოლვას გასული საუკუნის დასაწყისში ჩაეყარა საფუძველი. ბატონი ირაკლის მამა ალექსანდრე გელაძე საქართველოში პირველი ავტომობილისტი იყო... ირაკლი გელაძემ თავის გამოგონებას მეუღლის სახელი – „მარგალიტა“ უწოდა და სწორედ ამ სახელწოდებით დააპატენტა. გელაძის გამოგონებას მსოფლიოში ანალოგი არ გააჩნია. ამიტომაც სთხოვდნენ „ვოლვო“, „ჯენერალ-მოტორსი“, „მერსედესი“, „რენო“, მათთვის მიეყიდა ნაშრომი. მაგრამ ირაკლი გელაძემ თავისი გამოგონება არ გაყიდა. ასეთ შემთხვევაში, საქართველოს გამოგონებაზე არანაირი უფლება აღარ ექნებოდა...

ბევრი მსგავსი შემთხვევა ყოფილა. ირაკლი გელაძის გამოგონება უკვე 20 წლისაა. თავად გამომგონებელი კი, ჩვენ შორის აღარაა... მის საქმეს ინჟინერი ოთარ ქინქლაძე და მისი შვილიშვილი ბაჩო შავლაძე აგრძელებენ. მათი ოცნება უნივერსალური ძრავას დანერგვაა.

აპოლონ ჯინჭარაძე – გენური დაქტილოსკოპიის მეთოდის ავტორი

დაახლოებით 15 წლის წინ გარდაიცვალა ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, რუსეთის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი აპოლონ ჯინჭარაძე. ივი მაშინ მხოლოდ 28 წლის იყო და მიუხედავად ამისა, მოასწრო, მეცნიერების ისეთ დარგში ეთქვა თავისი წონიანი სიტყვა, რომელსაც შეუძლია, გარდატეხა მოახდინოს კაცობრიობის განვითარებაში. მან გენის მოლეკულური ბიოლოგიის მოსკოვის ინსტიტუტში მუშაობისას, გენური დაქტილოსკოპიის მეთოდი შეიმუშავა. ეს ამოცანა ადამიანებთან მიმართებაში, ინგლისელმა ჯეფრისმა გადაჭრა, აპოლონ ჯინჭარაძემ კი, მთელ ცოცხალ ორგანიზმებზე განავრცო. გარდაცვალებიდან 7 წლის შემდეგ, მას ამ აღმოჩენისთვის რუსეთის სახელმწიფო პრემია (უწინ, სტალინის პრემია ერქვა) მიენიჭა, რომელიც მანამდე, მხოლოდ ივანე ბერიტაშვილს ჰქონდა მიღებული.

რას ეფუძნება გენური დაქტილოსკოპიის მეთოდი? 1984 წელს, 28 წლის ინგლისელმა მეცნიერმა ალეკ ჯეფრისმა აღმოაჩინა, რომ ადამიანები ერთმანეთისგან განსხვავდებიან ე.წ. მინისატელიტური დნმ-ის მოლეკულების აღნაგობით; თითოეული ადამიანი, თითების ანაბეჭდების მსგავსად, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მინისატელიტების „ანაბეჭდით“ გამოირჩევა. ამ მეთოდს დნმ-ის ტესტს უწოდებენ. მისი მეშვეობით, მრავალ ძველ და ახალ საიდუმლოს აეხადა ფარდა – დნმ ხომ 100000 წელი ინახება ძვალში. აპოლონ ჯინჭარაძემ ამ მეთოდის ნებისმიერ ცოცხალ ორგანიზმზე გამოყენების საიდუმლოს ახადა ფარდა, რასაც მცენარეებისა და ცხოველების სელექციის სფეროში ნამდვილი რევოლუციის მოხდენა შეუძლია. სამწუხაროდ, ჯინჭარაძის მეთოდი საქართველოში დღემდე არ დანერგილა. ამ მეთოდით რუსი მეცნიერები და ალბათ, უცხოელებიც სარგებლობენ.

მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევებზე, ახალ აღმოჩენებსა და ორიგინალურ იდეებზე ირინა კეშელავა წლების განმავლობაში მუშაობდა. მის მეხსიერებაში ქართველი გამომგონებლების შესახებ უამრავი ინფორმაცია ინახება.

ირინე კეშელავა:

– 1982 წლიდან, საქართველოს რადიოში ვამზადებდი გადაცემას – „ახალი იდეა“. საერთოდ, რადიოს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების რედაქციას კვირაში 3 გადაცემა უნდა მოემზადებინა. ამის გარდა, გვქონდა რადიო-ჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა“. თითოეული გადაცემა ეძღვნებოდა ახალ გამოგონებას. მასში უზარმაზარი პოტენციალი იყო ასახული, რომელიც სამწუხაროდ, გამოუყენებელი დარჩა...

— თუ შეგიძლიათ, რამდენიმე გამომგონებელი გაიხსენოთ?

– საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ძილ-ღვიძილის ნეირობიოლოგიის ლაბორატორიის მეცნიერმა თანამშრომლებმა შეძლეს სიზმრის გაშიფვრა. სპეციალურ ხელსაწყოზე იწერება ადამიანის ტვინიდან ძილის დროს წამოსული იმპულსები. ამის შედეგად შესაძლებელია ისეთი რთული დაავადების დიაგნოსტირება, როგორიცაა შიზოფრენია – ე.ი. რეალური გახდა სიზმრის შინაარსის მიხედვით ზოგიერთი დაავადების დიაგნოზის დასმა. ეს უნიკალური მეთოდი აკადემიკოს თენგიზ ონიანის ლაბორატორიაში შემუშავდა. სამწუხაროდ, ამ ლაბორატორიას დახურვა ემუქრება.

კასპის რაიონის სოფელ ახალციხეში ცხოვრობს თვითნასწავლი გამომგონებელი **მალხაზ მანძულაშვილი.** მან შექმნა სათესი მოწყობილობა, რომელიც ერთდროულად თესავს სიმინდს და ლობიოს, პატარა გუთნის მსგავსია და საოცრად ამსუბუქებს გლეხის შრომას. ორი წლის წინ ამ კაცმა საქართველოდან წასვლა და სხვა ქვეყანაში შავ მუშად შრომა განიზრახა. არადა, მისი გამოგონება რომ დანერგილიყო, გლეხები შვებით ამოისუნთქავდნენ. სათესი მოწყობილობის თვითღირებულება 150 ლარს შეადგენს, რადგან ის მანძულაშვილმა ძველი სარეცხი მანქანის ნაწილებისგან ააწყო.

ნებისმიერი მეთოდი, რომელიც ხელს უწყობს ონკოლოგიური ავადმყოფებისთვის დროული და ზუსტი დიაგნოზის დასმას, უდიდესი ყურადღების ღირსია. მისი შესწავლა და ცხოვრებაში დანერგვა სასწრაფოდ უნდა მოხდეს, რადგან ის არაერთ ადამიანს შეუმსუბუქებს ტანჯვას. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის თანამშრომლებმა – **გია გიორგაძემ, თამაზ მედოიძემ** და **ზაზა მელიქიშვილმა** შეძლეს ლაზერით ავთვისებიანი სიმსივნის ადრეულ ეტაპზე დიაგნოსტიკა, რაც მედიცინაში სასწაულად აღიქმება. ასეთი ხელსაწყოთი ჩატარებული დიაგნოსტიკა იოლად გადასატანია ავადმყოფისთვის – არ მოითხოვს სხეულიდან ანათალის გაკეთებას, – ამასთან გაცილებით იაფია. მეცნიერთა თქმით, ეს მეთოდი კიდევ ერთი დიდი ღირსებით გამოირჩევა: ლაზერი სხვა უჯრედებს შორის უშეცდომოდ ამოიცნობს ერთადერთ დაზიანებულ უჯრედსაც კი, რაც ნებისმიერი სხვა მეთოდით ჯერჯერობით შეუძლებელია. ეს კი სიმსივნის ადრეულ ეტაპზე დიაგნოსტიკის, მისი დროული მკურნალობისა და საბოლოო ჯამში, პაციენტის სრული განკურნების ერთ-ერთი გარანტიაცაა.

ჩვენ გვყავდა ნიჭიერი ფიზიკოსი ყაყიჩაშვილი, რომელსაც ჰქონდა აღმოჩენები ჰოლოგრაფიაში. ერთ-ერთის წყალობით, შესაძლებელი გახდა, ნებისმიერ საგანში (დაწყებული უბრალო ჭანჭიკით, დამთავრებული გიგანტური ელექტროსადგურის კაშხლით) თვალით შეუმჩნეველი „შინაგანი დაძაბულობის“ აღმოჩენა; ლაპარაკია იმგვარ „დაძაბულობაზე“, რომელმაც შეიძლება, კონსტრუქციის მსხვრევა გამოიწვიოს. თუ კაშხალს ბზარი გაუჩნდა, რომელიც თვალით უხილავია, მაგრამ 10 წლის შემდეგ ნგრევას გამოიწვევს, ეს ჰოლოგრაფიის წყალობით, წინასწარ იქნება დანახული.

აღნიშნული გამოგონება შეიძლება, უმნიშვნელოდ მოგეჩვენოთ, **ჯემალ ბახტაძის** მეთოდთან შედარებით: მშენებლობის პერიოდში, ნაგებობას „შემოახვევენ“ ოპტიკურ ბოჭკოს, რომლის ბოლოები შეერთებულია კომპიუტერთან; სულ უმნიშვნელო ბიძგის დროს, კომპიუტერზე გაჩნდება ჩანაწერი... ეს არის სიახლე და მსოფლიო მიღწევა. ეს მეთოდი ბატონმა ჯემალმა ირლანდიაში ფიმიგის ინსტიტუტის შენობაში განახორციელა. მიწისძვრით მიყენებული ზიანი გაცილებით უმნიშვნელო იქნება, თუ ამ მეთოდს დავნერგავთ. ბოჭკოვან-ოპტიკური სადენებისა და მათი შესაძლებლობების კვლევა ჯემალ ბახტაძემ 1962 წელს დაიწყო. სტატიები უცხოეთის უამრავ წამყვან სამეცნიერო ჟურნალში დაიბეჭდა. ამ საქმეში იაპონია თითქმის ათი წლით ჩამორჩა საქართველოს და მიუხედავად ამისა, პროფესორი ოოკორი მაინც იჩემებს პრიორიტეტს. უფრო მეტიც, ამ მეთოდის დამუშავებისთვის ის იაპონელ მეცნიერთათვის ნობელის პრემიის მინიჭებასაც კი ითხოვს. თუმცა ქართველების პრიორიტეტი დოკუმენტურად მტკიცდება. ჯემალ ბახტაძეს უნდოდა, ბოჭკოვან-ოპტიკური სადენები წმინდა სამების ეკლესიაზე გაეკეთებინა, მაგრამ უარი უთხრეს. ამიტომ ამ დამცავ „სახვევს“ ის ფერისცვალების ეკლესიაზე აკეთებს. ყველაზე დიდი პარადოქსი ის გახლავთ, რომ ეს მეთოდი, საქართველოს გარდა, თითქმის ყველა ქვეყანაში დაინერგა...

■

რითი მივაღწიოთ წარმატებას

წარმატების მისაღწევად უნივერსალური მზა რეცეპტი არ არსებობს და თითოეული ადამიანი ამ მიზნისაკენ საკუთარ მეთოდს ირჩევს. საინტერესოა, რა გზით მიაღწიეს წარმატებას ცნობილმა ადამიანებმა და რას ურჩევენ ისინი ჩვენს მკითხველს.

სოფო ყარალაშვილი

გურამ ფირცხალავა:

— მთავარია, ადამიანი ნიჭიერი და შრომისმოყვარე იყოს და ყველაფერი კარგად იქნება.

გოდერძი ჩოხელი:

— პირველ რიგში, უნდა გიყვარდეს და დიდი ენთუზიაზმით აკეთო შენი საქმე. არ ვეთანხმები მათ, ვინც ამბობს — მიზნის მისაღწევად ყველა ხერხი დაშვებულიაო. უნდა გამოიყენო მხოლოდ კეთილშობილური ხერხები. ყველა ღონე უნდა იხმარო, რომ შენი საქმის პროფესიონალი გახდე. ყველაზე მთავარი ის არის, რომ წარმატების მიღწევა მხოლოდ შენთვის კი არა, შენი ერისთვისაც უნდა გინდოდეს.

კახა მამულაშვილი (მამულიჩა):

— ჭკვიანი თუ ხარ, წარმატებასაც მიაღწევ. ინტუიცია უნდა გქონდეს კარგი და ყველანაირ ვითარებაში გამტანი უნდა იყო. ასე რომ, წარმატების მიღწევას ბევრი ფული კი არა, სხარტი გონება სჭირდება.

მალხაზ ქვრივიშვილი:

— როდესაც ადამიანი მიზანდასახული, შრომისმოყვარე და თანაც იღბლიანია, წარმატებას ყოველთვის მიაღწევს. რა თქმა უნდა, ცოტა უკანალიც უნდა გაანძრიოს...

თამთა ჭელიძე:

— პირველ რიგში, ნიჭიერი უნდა იყო, თანაც მიზანდასახული. აუცილებელია ბევრი ფული: კარგია, თუ ლამაზიც ხარ. ამ ყველაფერთან ერთად, იღბლიანიც უნდა იყო, რომ წარმატებას მიაღწიო.

ირინა სარიშვილი:

— არასოდეს არ უნდა იფიქრო წარმატებაზე და აუცილებლად მიაღწევ!

მარიანა ნინიაშვილი:

— ნიჭი პლუს იღბალი, მაგრამ თუ მოხერხებულობა არ გაქვს, ნიჭსაც ვერ გამოიყენებ. ამიტომ, გამბედავიც უნდა იყო. საერთოდ, ღმერთი წყვეტს ყველაფერს, მაგრამ ღმერთმა ისიც თქვა — ხელი გაანძრიე და არ დაიხრჩობიო. შეიძლება, ნიჭიც გქონდეს, სილამაზეც და სხვა დადებითი თვისებებიც, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწიო. არიან ისეთებიც, ვისაც არაფრის გაკეთება არ შეუ-

ძლია, მაგრამ ღმერთი წყალობს. მე წარმატების მისაღწევად მზა რეცეპტი არ მქონია. თუ რამეს მივაღწიე, ეს ღმერთის წყალობაა. თუმცა, ცოტა ჩემი დამსახურებაცაა.

ნინო ქათამაძე:

— არასოდეს სხვა არ უნდა განვიკითხოთ, უნდა ვიყოთ მომტევებლები, უნდა გვწამდეს, გვჯეროდეს სასწაულის. უნდა გვქონდეს სხვა ადამიანის ნიჭის შეფასების და აღიარების უნარი. რა თქმა უნდა, ბევრი შრომაც აუცილებ-

ლია, რომ ცხოვრებაში წარმატებას მივაღწიოთ.

ვახტანგ ჯაფარიძე, *ფსიქოლოგი:*

— ზუსტად უნდა იცოდე, თუ რას გინდა მიაღწიო, განსაზღვრო, რა მიგანიშნებს იმაზე, რომ შენს მოქმედებას მიზნისკენ მიჰყავხარ. ერთი და იმავე მიზნის მიღწევის რამდენიმე გზა არსებობს. უნდა იცვლებოდეს მისი მიღწევის გზა და არა მიზანი. თუ დარწმუნდები, რომ ამ მისწრაფებას შენში არაფერი ეწინააღმდეგება, წარმატებას აუცილებლად მიაღწევ. ■

ნაირა ჩახუნამვილი (მარჯვნივ) მეგობართან ერთად

ხალხური ტრადიციის მიხედვით, გარდაცვლილი გარკვეული დროის შემდეგ უნდა დაიკრძალოს: იქნებ, მიცვალებული მობრუნდესო? — ფიქრობდნენ ჩვენი წინაპრები და თქვენ წარმოიდგინეთ, არცთუ ისე უსაფუძვლოდ. საქმე ისაა, რომ ზოგჯერ ადამიანის ორგანიზმში ყველა სასიცოცხლო პროცესი ჩერდება — ანუ ამ დროს ეს პროცესები იმდენად შენელებულია, რომ ამის დაფიქსირება, მხოლოდ სპეციალური მაღალკვალიფიციური სამედიცინო კვლევის შედეგად არის შესაძლებელი, თუმცა ესეც ყოველთვის როდი ამართლებს. მედიცინა შორს წავიდა, მაგრამ ადამიანის ორგანიზმი მეცნიერებისთვის მაინც იდუმალებით მოცული, შეუცნობელი სამყაროა.

"გარდაცვლილი" გოგონა

სამარიდან მძარცველებმა გამოიხსნეს

ელენე ხირსელი

შუა საუკუნეების დიდი პოეტი პეტრარკა თურმე 20 საათის განმავლობაში იწვა უსულოდ, დასაფლავებამდე 4 საათით ადრე კი, სარეცლიდან წამოდგა და მოსამსახურეები გამოლანძღა. ამის შემდეგ მან კიდევ 40 წელი იცოცხლა და თავისი საუკეთესო სონეტები შექმნა.

ბოლომდე აუხსნელი დარჩა რუსი მწერლის ნიკოლაი გოგოლის იდუმალებით მოცული სიკვდილი. ზოგიერთი მონაცემის მიხედვით, როდესაც მისი კუბო გახსნეს, მწერალი გვერდზე გადაბრუნებული ნახეს. გამოდის, რომ ის ცოცხლად დაუსაფლავებიათ (რატომღაც, ყოველთვის ეშინოდა ამის).

ცოცხლად დამარხვის შიში აწუხებდა შვედ გამომგონებელ ემანუელ ნობელსაც. მის შვილს კი – ალფრედს, დინამიტის გამომგონებელსა და ნობელის პრემიის დამაარსებელს, ასეთი შიში მანიად ექცა.

ასეთი შემთხვევა მრავლადაა მოყვანილი პლატონის „დიალოგებში“, პლინიუს უფროსის „ბუნებრივ ისტორიაშიც“ და პლუტარქეს „ცხოვრების შედარებით აღმწერლობაშიც“.

1972 წელს ოჩამჩირის რაიონში სოფელ ტამიშში მოულოდნელად გარდაიცვალა სრულიად ჯანმრთელი, 13 წლის გოგონა. ბავშვი დაკრძალეს, მალე აღმოჩნდა, რომ „მიცვალებული“ სულაც არ ყოფილა „მიცვალებული“, ბედნიერი შემთხვევის წყალობით ყველაფერი კარგად დასრულდა. სოფლის მკვიდრთ დღესაც კარგად ახსოვთ ეს შემზარავი ამბავი...

მას შემდეგ, 30 წელზე მეტი გავიდა, ის გოგონა ***ნაირა ჩახუნაშვილი*** *დღეს უკვე ბებიაა და ნორმალურ ცხოვრებას განაგრძობს.*

– ეს ამბავი ჰიჩკოკის საშინელებათა ფილმს ჰგავს. ღმერთმა დიდი განსაცდელი მომივლინა, ამავე დროს, მომანიჭა იმდენი ძალაც, რომ ჭკუიდან არ გადავსულიყავი. მთელი ცხოვრება ვცდილობდი დამევიწყებინა ის ავადსახსენებელი დღე. საშინელი კომპლექსი მტანჯავდა, ავადმყოფურ აკვიატებად მექცა: მეგონა, ყველა ჩემზე ლაპარაკობდა – უცნობებიც კი. მინდოდა, გადავხვეწილიყავი შორს – ცხრა მთას იქით, სადაც არავინ არაფერი იცოდა ამის შესახებ. მთელი ცხოვრება აჩრდილივით დამყვება ბნელი მოგონებები. ბოლოს მივხვდი, რომ მეხსიერებიდან ვერაფერს ამოვშლიდი: როცა ამას ცდილობ, უფრო ირთულებ მდგომარეობას, ამიტომ გადავწყვიტე, სიმართლისთვის თვალი გამესწორებინა და ფართო აუდიტორიისთვის ახლა მაინც მომეთხრო ის, რასაც წლების მანძილზე ვმალავდი – იქნებ, ამით სულიერი სიმშვიდე დავიბრუნო.

— ნაირა, რა იყო შენი „გარდაცვალების“ მიზეზი?

– სამაგალითო მოსწავლე ვიყავი, შრომისმოყვარე, მხიარული, ცეკვასა და სიმღერაში ბადალი არ მყავდა. ყველას ვუყვარდი. ჩემს თანაკლასელსა და უახლოეს მეგობარს მანანა კუკრეიშვილს „წითელა“ ბატონები დაემართა. ავადმყოფობა გაურთულდა და ლოგინში იწვა. თანაკლასელებმა გადავწყვიტეთ, საჩუქარი გვეყიდა და მოგვენახულებინა. იმ პერიოდში დედა ჩემზე გაჯავრებული იყო და ფულის მოცემაზე უარი მითხრა. განერვიულებული ტყეში გავიქეცი და კარგა ხანს, უაზროდ დავეხეტებოდი. საშინლად განვიცდიდი, ამხანაგებს რომ გამოვაკლდი, კარგა ხანს რომ ვიარე, მოულოდნელად, გზაჯვარედინზე გაშლილ „ბატონებზე“ გადალოცვილ სუფრას მივადექი.

— რას წარმოადგენს „ბატონებზე“ გადალოცვილი სუფრა?

– როცა ადამიანს „ბატონები“ ესტუმრება, მას განსაკუთრებული მოპყრობა სჭირდება: სულ უნდა ეფერო, უკითხო სპეციალური ლოცვები, შეძლებისდაგვარად ყველაფერი შეუსრულო და რაც მთავარია, არ უნდა გაანერვიულო. ასეთ დროს წითელბაფთიან მამალს („ბატონებს“ წითელი ფერი უყვარს) უშვებენ ტყეში. ტრადიციის მიხედვით, გზაჯვარედინზე გამვლელებისთვის ტკბილეულის სუფრას შლიან (საკლავი არ შეიძლება). ნუგბარს, ძირითადად, ბავშვები და მაწანწალები მიირთმევენ.

— ეს სუფრა ალბათ, მანანას სახელზე იყო გაშლილი, ხომ?

– მაშინ, სოფელში მოარული იყო „ბატონები“ და შესაძლოა, სხვის სახელზეც ყოფილიყო... სუფრა რომ დავინახე, გავიფიქრე – ხილს წავიღებ და მეგობარს მოვინახულებ-მეთქი. მანანას სახლთან რომ მივედი, უკვე გვიანი იყო და ბავშვებიც რა ხანია, წასულიყვნენ. მშობლებმა შინ არ შემიშვეს – ავადმყოფმა დაიძინა და ვერ გავაღვიძებთო. ამასობაში მანანასაც გამოეღვიძა და ყვირილი ატეხა: ნაირა შემოვიდესო. მაგრამ ვერც მისმა ხვეწნა-მუდარამ გაჭრა,

უკუნეთი სიბნელე კი უფრო გაუსაძლისს ხდიდა ჩემს მდგომარეობას – სწორედ ასეთი წარმომედგინა სამარე

„გარდაცვალებამდე“ ძალიან მშიშარა ვიყავი, კატისაც მეშინოდა. იმ დღის შემდეგ კი, აბსოლუტურად შევიცვალე

დედამისმა კარი ცხვირწინ მომიხურა. უკან რომ მოვდიოდი, ყურში კარგა ხანს ჩამესმოდა მეგობრის ქვითინი. იმ ღამეს სახლში არ მივედი. ისევ ტყეში დავბრუნდი და გათენებამდე იქ დავრჩი. უცნაური რამ მემართებოდა: ძალიან მეშინოდა, სიმწრის ოფლი მასხამდა, მაგრამ თვითგვემა თავისებურ სიამოვნებას მგვრიდა. ცუდი წინათგრძნობა დამეუფლა – დიდი უბედურების მოახლოებას ვგრძნობდი.

— მშობლები ალბათ გეძებდნენ...

– მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავთ. გამთენიისას რომ დავბრუნდი, დედა წკეპლით გამომიდგა. ვუთხარი – ამ დილას მანანას თუ არ ვნახავ, მოკვდებამეთქი. ამ სიტყვებმა დედა უფრო გააცოფა და გამეტებით მცემა. ბოლოს, ტირილისგან დაოსებული, ეზოში გამოვედი და ბალახებში ჩავჯექი... დანარჩენი მხოლოდ გადმოცემით ვიცი. პირველმა მეზობლის ქალმა ნანა ოჩიგავამ დამინახა და დედაჩემს უთხრა – შენი შვილი ბალახებში წევს და არ გაცივდესო, –

სენაკი, 2002 წელი – ქალბატონი ნაირა ნათესავთან ერთად

დედას კი უყვირია – ისემც უქნია, იქვე მომკვდარაო! – მაგრამ ორ წუთში მაინც მომაკითხა. უგონოდ, მიწაზე გაშხლართული რომ დამინახა, წიოკი ატეხა. მეზობლები შეიყარნენ, სოფლის ხანდაზმულ ექიმს დომე ბართაიას დაუძახეს, რომელმაც ჩემი გარდაცვალება დაადასტურა. მანვე ჩემს სხეულზე გამონაყარი დაფიქსირა და გაირკვა, რომ „წითელა“ გადამიტანია. როგორც გასათხოვარს, თურმე საპატარძლო კაბა ჩამაცვეს. ხალხი სამძიმარზე მოდიოდა. დედას მალ-მალე გული მისდიოდა, მამა კი საშინელი ხმით ღრიალებდა. დედაჩემი თავს დამნაშავედ თვლიდა და ეს უფრო ამძიმებდა მის მდგომარეობას. მან გადაწყვიტა, რაც კი ფული და ძვირფასეულობა გაგვაჩნდა, სულ ჩემთვის ჩაეყოლებინა. ეს ამბავი, რა თქმა უნდა, უმალ გავრცელდა. კუბოში ჩემი სათამაშოები და წიგნებიც ჩააწყვეს. თურმე მეზობლები ლაპარაკობდნენ – რად უნდა ამდენი რამე? საცოდავი ბავშვი იქ მაინც დაასვენონო... საღამოს 7 საათისთვის დაკრძალვის ცერემონია დასრულებული იყო. დასავლეთ საქართველოს სოფლებში ასეთი წესია: ჯერ სუფრასთან სხდებიან და მერე კრძალავენ მიცვალებულს.

— გონს როდის მოხვედი?

– ზუსტად რა დრო იყო, ვერ გეტყვით. სასაფლაოზე უკვე აღარავინ იყო – მართლაც, სამარისებური სიჩუმე სუფევდა, უკუნეთი სიბნელე კი უფრო გაუსაძლისს ხდიდა ჩემს მდგომარეობას – სწორედ ასეთი წარმომედგინა სამარე. გონება თითქოს დაბინდული მქონდა და მოვლენების რეალურად აღქმის უნარი დამკარგვოდა – ალბათ, ამან გადამარჩინა იმას, რომ ჭკუიდან არ შევიშალე. თუმცა, ყველაფერი მაინც უფლის ნება იყო... მეგონა, ღამე იყო და საკუთარ საწოლში ვიწექი, სუნთქვა უფრო და უფრო მიძნელდებოდა, ვიგუდებოდი... წამოდგომაც ვცადე, მაგრამ თავი სახურავს ავარტყი. შორიდან უცნაური ხმა მომესმა, ის თანდათან ძლიერდებოდა. ცოტა ხანში კი, ტკივილი ვიგრძენი და ვიკივლე. ამ დროს საიდანღაც ჰაერის ნაკადი შემოვიდა და ცოტა შვება მომეცა.

— ამის მიზეზი რა იყო?

– როგორც უკვე გითხარით, კუბოში ოქრო და ფული ჩამაყოლეს. ხომ იცით ხალხის ამბავი: ყველაფრის გაზვიადება და გაბუქება უყვართ. ჭორაობდნენ, მიცვალებულს აურაცხელი სიმდიდრე ჩააყოლესო, თურმე საოცრად მდიდრები ყოფილან და რა ოსტატურად ინიღბებოდნენო... მეზობელ სოფელში ყველაფერზე წამსვლელი ქურდბაცაცა ბიჭები ცხოვრობდნენ (თანაც, ერთ-ერთს დიდი ფული წაუგია და თანხა სასწრაფოდ სჭირდებოდა) და მათ ჩემი საფლავის გაძარცვა გადაწყვიტეს. როგორც კი მოსაღამოდა, ნიჩბებითა და ბარებით შეიარაღებულები მოვიდნენ და საქმეს შეუდგნენ. მიზანთან ძალიან ახლოს იყვნენ, როცა ერთ-ერთის ნიჩაბი კუბოს თავსახურს მოხვდა და გაბზარა. ნაპრალი ისეთი ზომის იყო, რომ ჰაერის მცირე ნაკადი თავისუფლად შემოდიოდა. ნიჩბის ბასრი პირი კი მკლავზე მომხვდა. ხომ წარმოგიდგენიათ, რა დაემართებოდათ მძარცველებს, კუბოდან განწირული კივილი რომ მოესმათ?!. შიშისგან თავზარდაცემულებმა ყველაფერი იქვე მიატოვეს და უკანმოუხედავად გაიქცნენ.

— მათი ვინაობა თუ გაირკვა?

– რა თქმა უნდა. ერთ-ერთს – მერაბ ჯღამაიას იმ ღამეს ინფარქტმა დაარტყა. მათ მიმართ მხოლოდ მადლიერების გრძნობა მაქვს, ისინი რომ არა, რა დამემართებოდა, ამის წარმოდგენაც კი მზარავს... მოგვიანებით, ყველანი გავიცანი და მათთან ახლაც ვმეგობრობ. ისინი დღესაც ვერ მისწორებენ თვალს. მას შემდეგ ბიჭები პატიოსან გზას დაადგნენ, ერთი მათგანი დღეს ეკლესიის მოძღვარია.

— ქურდები რომ გაიქცნენ, მერე რა მოხდა?

– დილით სასაფლაოს დარაჯმა ამოთხრილი მიწა და დაყრილი ნიჩბები რომ დაინახა, იფიქრა, სასაფლაო გაუძარცვავთო და ჩემს ოჯახს შეატყობინა. დანაშაულის ადგილზე მთელი სოფელი შეიკრიბა. ხალხი ამხედრებული იყო ვანდალების წინააღმდეგ და მათ საჯაროდ დასჯას მოითხოვდა... მესაფლავემ კუბო რომ გახსნა... მომენტალურად გაჭაღარავდა... სასწაულის მომსწრე მთელი სოფელი გახდა: „სასახლიდან“ რომ ამომიყვანეს, ფეხებს ძლივს ვადგამდი, მეგონა, საშინელი კოშმარი მესიზმრებოდა და გამოღვიძებას ვნატრობდი... იმ დღიდან მეტყველების უნარი დავკარგე და 6 წელი „ენა არ მქონდა“, როგორც მატყობთ, გამართულად ახლაც ვერ ვლაპარაკობ... ჩვენს ოჯახში მწუხარების სუფრა ბედნიერების სუფრამ შეცვალა: მთელი სოფელი ჩემს „გაცოცხლებას“ ზეიმობდა. რაც შეეხება ექიმ ბართაიას, რამდენიმე დღეში გულის შეტევით გარდაიცვალა.

— მომხდარის შემდეგ ნაცნობების დამოკიდებულება თუ შეიცვალა შენ მიმართ?

– უმეტესობა ფიქრობდა, რომ „იმ ქვეყნიდან“ მოვბრუნდი. ისინი ვერ იგებდნენ (ან არ სურდათ გაეგოთ), რომ მე ექიმის შეცდომის მსხვერპლი გავხდი. ღმერთმა ყველა დაიფაროს, მაგრამ არც ერთი ადამიანი არ არის დაზღვეული მსგავსი შემთხვევისგან. იმ დღიდან ყველა რადიკალურად შეიცვალა ჩემ მიმართ. როგორც მოჩვენებას, ისე

სხვათა შორის, ოთხივე შვილი საკუთარ სახლში ყოველგვარი დახმარების გარეშე (მხოლოდ მეუღლე ესწრებოდა) გავაჩინე

მიყურებდნენ, ჩემთან შეხვედრას გაურბოდნენ. არავინ მეკარებოდა და თავს მარტოსულად ვგრძნობდი. მხოლოდ უახლოესი ადამიანები დარჩნენ ჩემ გვერდით, თუმცა, ისინიც შეიცვალნენ თავისებურად: აღარ მიყვიროდნენ, ზედმეტად მიფრთხილდებოდნენ. მე კი ეს მაღიზიანებდა, მერჩივნა ყველაფერი ძველებურად ყოფილიყო. რადგან ბავშვებს ჩემი ეშინოდათ, სკოლაში სიარულს თავი დავანებე. შემთხვევით ვისარგებლებ და დიდ მადლობას გადავუხდი ჩემს ყოფილ პედაგოგებს – ლუბა ჭანტურიას და სანდრო შურღაიას, რომლებიც სახლში მიტარებდნენ გაკვეთილებს. 9 კლასი მათი წყალობით დავამთავრე.

— სასწაულის შემდეგ, შენში თუ მოხდა რაიმე ცვლილება? შენს ფსიქიკაზე თუ დატოვა კვალი?

– „გარდაცვალებამდე“ ძალიან მშიშარა ვიყავი, კატისაც მეშინოდა. იმ დღის შემდეგ კი, აბსოლუტურად შევიცვალე – აღარაფრის მეშინოდა, თითქოს ერთ დღეში დავბერდი: მხიარული, ცელქი ბავშვისგან, სევდიან, გულჩათხრობილ „ქალად“ ვიქეცი. საოცარი ინტუიციის გრძნობა გამიჩნდა, ბედნიერებასა და უბედურებას წინასწარ ვგრძნობდი. ხშირად, გამოცხადებაც მაქვს; სამედიცინო ენით, ალბათ ამას ჰალუცინაციებს უწოდებენ – რაც გინდათ დაარქვით, მთავარი ის არის, რომ ამის წყალობით თავიც განვიკურნე და სხვებსაც ვმკურნალობ. უხილავი ხმა წამლების კეთებას მასწავლის, ზოგჯერ ვიზუალურადაც ვხედავ „მასწავლებელს“... იმ ავადსახსენებელი დღიდან 6 წლის შემდეგ, საღამო ხანს, მინდორში მოვდიოდი და გზად თეთრ სამოსში გამოწყობილი 3 მამაკაცი შემომხვდა. ესა და ეს ბალახი მოკრიფეო – მასწავლიდნენ. – შინ რომ მიხვალ, მისგან ნაყენი დააყენე და ერთი თვის მანძილზე სვიო. მითითებები ზედმიწევნით შევასრულე... როგორც პატარა ბავშვი იწყებს ლაპარაკს, მეც ასევე ერთი თვის მანძილზე ბგერა-ბგერის წარმოთქმით ამოვიდგი ენა...

დედასთან და შვილებთან ერთად

— ნაირა, ცოცხლად დამარხვის სხვა შემთხვევებზეც თუ გსმენია რამე?

– მსოფლიოში საუკუნეების მანძილზე, რამდენი გახსნილი თუ გაუხსნელი შემთხვევა იქნებოდა, ვინ მოთვლის?.. მინდა მხოლოდ იმ შემთხვევებზე ვისაუბრო, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში ბოლო ათწლეულების მანძილზე დაფიქსირდა. ერთი ხანობა ძალიან დაინტერესებული ვიყავი ამ თემით და დიდი ინტერესით ვკითხულობდი შესაბამის ლიტერატურას. მოგეხსენებათ, საბჭოთა კავშირში ბევრი რამ აკრძალული იყო, ასეთ საკითხებზე არ წერდნენ, არც ინტერნეტის საშუალება იყო მაშინ. ამიტომაც ამგვარი ინფორმაციის მოძიება ძალიან ძნელი იყო. ძირითადად, უცხოურ გამოცემებს ვეყრდნობოდი (მითარგმნიდნენ ხოლმე), ქვას გავხეთქავდი და მაინც მოვიპოვებდი ხოლმე ჩემთვის საინტერესო მასალას. მიზნად დავისახე, საქართველოში აღმომეჩინა ადამიანები, რომლებმაც იგივე გადაიტანეს, მომეძებნა და მათთან კონტაქტი დამემყარებინა. დიდი ძალისხმევის შედეგად, მიზანს მივაღწიე და ჩვენს ქვეყანაში 3 ასეთი ადამიანი ვიპოვე, გავიცანი და დავუმეგობრდი კიდეც. სამივე შემთხვევა 20-30 წლის წინ მოხდა. ორის ვინაობას მათი თანხმობის გარეშე ვერ გავამხელ – ამის უფლება არ მაქვს. რაც შეეხება მესამეს, მისი პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე, დარწმუნებული ვარ, წინააღმდეგი არ იქნება. ეს გახლავთ 60 წელს გადაცილებული მიშა ნონგურაშვილი, რომელიც დღეს მოსკოვში საკმაოდ წარმატებული ბიზნესმენია.

— შემდგომი ცხოვრება როგორ წარმართა? შენს ოჯახზეც მოგვიყევი.

– 19 წლის ვიყავი, როცა 45 წლის ვანელმა კაცმა (გვარად ჩახუნაშვილმა) მომიტაცა. ჩემ შესახებ ყველაფერი იცოდა, მაგრამ ამის გამო უკან არ დაუხევია. ეს არასდროს დამვიწყებია და მთელი ცხოვრება მისი მადლიერი ვიყავი. ძალიან თბილი და მეგობრული ურთიერთობა გვქონდა, სამწუხაროდ, 3 წლის წინ გარდაიცვალა. მყავს 4 შვილი – 2 ქალი და 2 ვაჟი. გოგონები გათხოვდნენ და 4 შვილიშვილი მაჩუქეს. დღეს თუ ვცოცხლობ, მხოლოდ მათი გულისთვის. ისინი რომ არა, ალბათ ყველაფერზე ავიღებდი ხელს. ოჯახს დიდი ძალა აქვს, მან გადამატანინა სულიერი კრიზისი და დეპრესიისგან მიხსნა. ჩემი 3 შვილი ვანში ცხოვრობს, მე კი დროებით თბილისში, ჩემს უფროს ბიჭთან ვარ (დღეს მას უფრო ვჭირდები). სხვათა შორის, ოთხივე შვილი საკუთარ სახლში ყოველგვარი დახმარების გარეშე (მხოლოდ მეუღლე ესწრებოდა) გავაჩინე. რამდენჯერაც სამშობიაროში წამიყვანეს, იმდენჯერ გამოვიპარე: მას შემდეგ, რაც ექიმის შეცდომის გამო, ცოცხალი მიმაბარეს მიწას, ექიმების მიმართ უნდობლობა გამიჩნდა, მათთან საქმის დაჭერას ვერიდები. არც ჩემი შვილები და შვილიშვილები ყოფილან ექიმთან, თუ რაიმე გაუჭირდებათ, საკუთარი რეცეპტით ვმუკურნალობ. წამლების შემადგენლობას საიდუმლოდ არ ვინახავ, ავადმყოფს რომ ეს დავუმალო, უფალი არ მაპატიებს!.. სხვათა შორის, ადამიანებს აბსოლუტურად უანგაროდ, არა მხოლოდ წამლებით, არამედ რჩევებითაც ვეხმარები. მაგალითად, ფეხმძიმე ქალებს ვურჩევდი (საკუთარ თავზე მაქვს გამოცდილი), ბავშვი რომ ჯანმრთელი დაიბადოს და მთელი ცხოვრება სატკივარი არ ჰქონდეს, პირველად რომ მუცელში ნაყოფი გაინძრევა, თუ დღეა, მზეს შეხედონ, თუ ღამეა – მთვარეს. სხვათა შორის, მთვარეს არაერთი სასწაულებრივი თვისება აქვს: სავსე მთვარის დროს, 20 წუთის განმავლობაში თვალი რომ არ მოაცილოთ, უამრავ ფიგურას დაინახავთ, რომელიც მომავლის წაკითხვაში დაგეხმარებათ. სავსე მთვარის დროს არავინ დაწყევლოთ (არავითარ შემთხვევაში!), რადგან აუცილებლად ახდება. ხომ გაგიგონიათ ხალხური სიბრძნე – წყევლა მაწყევარისაო. გახსოვდეთ – წყევლა, რომელიც მტრისთვის გაიმეტეთ, აუცილებლად უკან დაგიბრუნდებათ!..

■

ჩემი მესაიდუმლე

„არ მიყვარდა, მაგრამ ვერ ვეუბნებოდი“

მარი ჯაფარიძე

ყველა ადამიანს თავისი საიდუმლო აქვს. ზოგს დიდი, ზოგს – პატარა, ზოგს – „საშინელი“, ზოგიერთს – სანუკვარი. ხშირად, სხვისი საიდუმლოს გაგება მტერსაც გვიჩენს, მაგრამ ადამიანის ბუნება ხომ ასეთია, სწორედ ის აინტერესებს, რაც იდუმალებითაა მოცული. ჩვენ გარშემოც ბევრი ისეთი რამ არსებობს, რომლის ამოხსნაც ძალზე ძნელია. მაგალითად, როგორ ახერხებს ზოგიერთი ადამიანი გამდიდრებას? რაზე საუბრობენ ოთახში, როდესაც ჩვენ იქიდან გამოვდივართ? რა არის „ნაციონალური იდეა“? რა პროფესიაზე ოცნებობდნენ ბავშვობაში მკითხავები, ინსპექტორები და დამკრძალავი ბიუროს თანამშრომლები?.. მსგავსი კითხვების ჩამონათვალს დროდადრო, მესიჯსა და მესიჯს შუა კიდევ მოვაწვდით, ახლა კი პირველ რესპონდენტს მოვუსმინოთ...

ცნობისმოყვარეობა ადამიანის ბუნების უმთავრესი თვისებაა, მაგრამ მის დასაკმაყოფილებლად მეზობლის საწოლ ოთახში ჩუმ-ჩუმად ვჭვრეტა, ვფიქრობ, არცთუ ისე მოსაწონი საქციელია. 30 წლის სოსო მეზობლის საიდუმლოს გვიმხელს.

ცნობისმოყვარე მეზობელი

„თელაველი ბიჭი ვარ, უცოლო. ჩემს მეზობლად ჩემი ბავშვობის მეგობარი ცხოვრობს. ბუნებით კარგი ბიჭია გია, ახალგაზრდობაში კარგი გარეგნობაც ჰქონდა, სპორტსმენი გახლდათ, მაგრამ როგორც კი ვარჯიშს თავი დაანება, უზომოდ გასუქდა, უშველებელი ღიპი დაედო. ხშირად დავცინოდი – რამდენი წელია, შენი მამაკაცური ღირსება თვალით არ გინახავს-მეთქი? ხშირად გვიწევდა თბილისში ჩამოსვლა და ქალებშიც დავდიოდით, მაგრამ სულ მიკვირდა, როგორ ახერხებდა მათთან ურთიერთობას? მიკითხავს კიდეც ამის შესახებ, მაგრამ მრავალმნიშვნელოვნად ჩაიცინებდა ხოლმე და – შენი საქმე არ არისო, – მეტყოდა. ცნობისმოყვარეობა მკლავდა, მაგრამ რა უნდა მექნა? ბოლოს, ისეთი შემთხვევა ჩამივარდა, რომ მისი ხელიდან გაშვება არაფრით შეიძლებოდა. ერთი თელაველი გოგო გაიცნო, დაუახლოვდა და ერთ საღამოს გამიმხილა, დედაჩემი და მამაჩემი რომ დაიძინებენ, ნათია ჩუმად უნდა შევაპარო და მეორე სართულზე ავიყვანოო. მისი სახლის წინ, ქვაზე ჩამომჯდარი ველოდით გიას ტურფას. როგორც იქნა, გამოჩნდა და ისეთი ჩაპუტკუნებული გოგო აღმოჩნდა, სულ გადავირიე, ამასთან დაწოლა როგორ უნდა მოახერხოს-მეთქი? როგორც იქნა, შევაპარეთ ეს გოგო სახლში და ოთახში შუქი ჩააქრეს, აივანზე გადავძვერი და ფანჯრიდან დავუწყე ჭვრეტა. ოთახში ძალზე ბნელოდა, მაგრამ როგორც იქნა, მათი სილუეტები გავარჩიე. მათი ყურებით კარგად გავერთე, ყველაფერი ბოლომდე ვიხილე და თან გულიანად ვხითხითებდი. როგორ მინდოდა, ეს ყველაფერი უბნის ბიჭებს ენახათ! მერე მათმა შეხვედრებმა სისტემატური ხასიათი მიიღო, მეც უკვე მოთხოვნად გადამექცა მათი თვალთვალი და ყველა „სეანსს“ ვესწრებოდი. ყველა წვრილმანში რომ გავერკვიე, ერთ საღამოს გიას ვუთხარი, თუ გინდა გამოვიცნობ, როგორ ახერხებ ქალთან ურთიერთობას-მეთქი და ყველაფერი დაწვრილებით აღვუწერე. ის ისე მიბღვერდა, ვიფიქრე, ცოცხალი ვერ გადავურჩები-მეთქი, მაგრამ არაფერი უთქვამს. რამდენიმე დღის შემდეგ კი მკითხა: – ასე დაწვრილებით საიდან იცი, ნათიასგან ხომ არაო? – მე არც ჰო ვუთხარი და არც – არა. შემდეგ გავიგე, ჩხუბიც მოსვლიათ ამის თაობაზე, საწყალი გოგო თავგადაკლული უმტკიცებდა, რომ ჩემთან სიტყვაც არ დაუძრავს, მაგრამ გიამ მაინც აითვალწუნა და ურთიერთობა გაუფუჭდათ. ახლა კი მინდა, რომ საიდუმლო გავუმეღავნო და ვუთხრა, რომ ნათია არაფერ შუაშია. აი, ეს იყო სულ, რისი თქმაც მინდოდა“.

ვფიქრობ, თქვენც გაინტერესებთ, რა იქნება 200 წლის შემდეგ ან სად მთავრდება უსასრულობა? რაზე ფიქრობს მაიკლ ჯექსონი, როდესაც დასაძინებლად წვება? რა მოხდება, თუ ერთი დღის განმავლობაში ადამიანები იტყვიან იმას, რასაც ფიქრობენ? ვინ იგონებს ანეკდოტებს სვანებზე? ის, ვინც გურულებზე ან კახელებზე, თუ ვინმე სხვა? ანეკდოტზე გამახსენდა: მიხოს მეზობელმა რამდენიმე საათით მანქანა სთხოვა. მიხომ გასაღები უხმოდ მიაწოდა, მაგრამ ზაქრომ მისი დაქოქვა ვერაფრით მოახერხა და პატრონს გასძახა: – მიხო, ვერა ვქოქავ, კაცო და რამე „სეკრეტი“ ხო არა გაქ? – მიხო მიუახლოვდა, მიიხედ-მიიხედა და ყურში ჩასჩურჩულა: – „სეკრეტი“ მაქ, ცოლისდასა ვყვარობ, მაგრამ ეგ მანქანი დაქოქვაი რას უშველის?.. ლირიკული გადახვევა არ გეგონოთ, ეს ანეკდოტი ისეთივე „ნათესაურ“ კავშირშია მომდევნო ამბავთან, როგორშიც მიხო თავის ცოლისდასთან და ჩვენი რესპონდენტი – საყვარელ ქალთან.

„ვიცი, რომ ეს არ არის მოსაწონი საქციელი...“

„ოცი წლის, სიმპათიური ბიჭი ვარ. მინდა, ჩემი საიდუმლო გაგიმხილოთ. ასე, 10-11 წლის ვიქნებოდი, როდესაც ბიძაჩემი დაქორწინდა. ცოლად ბერძენი ქალი მოიყვანა. ბიცოლაჩემით ყოველთვის აღფრთოვანებული ვიყავი. სულ კანფეტებსა და ნაირ-ნაირ საჩუქარს მიძღვნიდა ხოლმე. გავიდა წლები... ბიძაჩემს უკვე სამი შვილი ჰყავდა, როდესაც სამუშაოდ საბერძნეთში, საქართველოს საელჩოში მიავლინეს და მთელი ოჯახით იქ გადაბარგდა. მხოლოდ ერთი, უმცროსი შვილი დატოვეს თბილისში, რადგან იქაურ ჰავას ვერ შეეგუა და ხშირად ავადმყოფობდა. ბიცოლაჩემი შვილის სანახავად სისტემატურად ჩამოდიოდა. ბუნებრივია, ჩვენც გვსტუმრობდა და დედაჩემს ხშირად ესაუბრებოდა ქმრის შესახებ. კერძოდ, ყოველთვის უკმაყოფილებას გამოხატავდა, – უყურადღებოა და საქმის მეტი არაფერი ახსოვსო, – ამბობდა ხოლმე... შარშან ზაფხულს მაია ბიცოლა ჩვეულებისამებრ ეწვია თბილისს

და გადაწყვიტა, ქობულეთში, ზღვაზე დაესვენა. მარტო წასვლა არ უნდოდა, დედაჩემს არ ეცალა და მე შემომთავაზა, – ჩემთან ერთად წამოდიო. უარი არ მითქვამს, სიამოვნებით გავემზადე და აჭარაში გავემგზავრეთ. რაღა თქმა უნდა, საუკეთესო სასტუმროში დავბინავდით, თანაც ერთ ნომერში, რადგან სულაც არანაირ პრობლემას არ წარმოადგენდა ჩვენი ერთად ყოფნა – მე ხომ მისი გაზრდილი ვარ. კარგად ვერთობოდით, დისკოთეკებზეც დავდიოდით, გასარუჯი კრემის წასმაშიც ვეხმარებოდი, მაგრამ არასოდეს მიფიქრია მასზე, როგორც ქალზე. ერთხელ მის დაჟინებულ მზერას წავაწყდი და ძალიან დავიბენი. ამის შემდეგ, თითქოს ყველაფერი ძველებურად წარიმართა, მაგრამ ჩვენ შორის ურთიერთობა დაიძაბა, თუმცა ორივე ვცდილობდით, თავი ისე დაგვეჭირა, თითქოს ყველაფერი ჩვეულებრივად იყო. ერთ დილას, ბიცოლაჩემმა გუდა-ნაბადი აიკრა, სევდიანი თვალებით დამემშვიდობა, შემდეგ თბილისში დაბრუნდა და მალე საბერძნეთში გაფრინდა. მე ორი კვირის შემდეგ დავბრუნდი შინ. უკვე სექტემბერი იდგა, მთელი თვე იყო გასული მაიას წასვლიდან, მაგრამ მისი თვალები და გამოხედვა მეხსიერებიდან არ ამომდიოდა. ჰოდა, ერთ დღეს ავკრიბე ტელეფონზე სასიყვარულო მესიჯი და მაიასთან გავაგზავნე. პასუხად ისეთი მზურვალე სიტყვები მოვიდა, რომ გაოცებული დავრჩი. ამის შემდეგ დავიწყეთ ასე მიმოწერა. სულ მალე სიყვარულს მეფიცებოდა. მე არ მიყვარდა, მაგრამ ამას ვერ ვეუბნებოდი, თუმცა, რაღაც ძალა მისკენ მიზიდავდა და არ მინდოდა ამ ურთიერთობის გაწყვეტა. სექტემბრის ბოლოს მოიმიზეზა, თბილისში დარჩენილი შვილი მენატრებაო და საქართველოში ჩამოვიდა. აქ ჩემ გარდა არავინ იცოდა, რომ უნდა ჩამოსულიყო. აეროპორტში დავხვდი და პირდაპირ ერთ-ერთი სასტუმროსკენ გავემართეთ. ერთმანეთს თვალებით ველაპარაკებოდით მთელი გზა, იქაც, ნომერში უხმოდ შევედით და ერთმანეთს ჩავეხვიეთ... შემდეგ მაია დიდხანს ტიროდა, თავს იდანაშაულებდა, მე ვამშვიდებდი და ცრემლიან თვალებს ვუკოცნიდი. ორი კვირით დარჩა თბილისში და ერთმანეთს ყოველდღე ვხვდებოდით. შემდეგ უკან გაემგზავრა და მთელი წლის განმავლობაში ერთმანეთს ტელეფონით ვეკონტაქტებოდით. ახლა კვლავ აპირებს ჩამოსვლას, მაგრამ სიმართლე რომ გითხრათ, მაინცდამაინც დიდი სიხარულით არ ველი. პირიქით, ვნატრობ, რომ არ ჩამოვიდეს. აი, ეს იყო ჩემი საიდუმლო. ვიცი, რომ ეს არ არის მოსაწონი საქციელი, მაგრამ... მიშა".

საინტერესოა, რას დაგვიმესიჯებდა კოკითი, ჩვენი რუბრიკა რომ წაეკითხა? დავიბრუნებთ თუ არა აფხაზეთს? გაძვირდებოდა თუ არა სიგარეტი და ბენზინი, ჩვენი პრეზიდენტი შალვა ნათელაშვილი რომ ყოფილიყო? რისგან კეთდება „კოკაკოლა"? როგორ აღმოაჩინეს, რომ ყურძნისგან შესაძლებელია მათრობელა სითხის მიღება? რატომ იტყუებიან ადამიანები? – ამ ბოლო კითხვაზე შესაძლოა, პასუხი ნაწილობრივ მივიღოთ, თუ მომდევნო რესპონდენტის მესიჯს წავიკითხავთ.

„დამლაგებელს ფული „მოვუტეხე"...

„ერთი საიდუმლო უნდა გაგიმხილოთ და ამასთან, ჩემი ცოდვაც ვაღიარო, რომ რამდენიმე წლის წინ სამსახურში, დამლაგებელ სირანას ფული „მოვუტეხე". ეს კი ასე მოხდა: საკმაოდ დიდ თანამდებობაზე ვმუშაობდი (ახლა პენსიაზე ვარ). ერთ ზაფხულს, შვებულებაში წასვლის წინადღეს კაბინეტის კარი ახალგაზრდა მამაკაცმა მორიდებით შემოაღო. მასთან რაღაც საქმიან გარიგებას ვაწარმოებდი და ეს საქმე იმ დღეს უნდა დასრულებულიყო. მისი მოსვლის მიზანი, საკმაოდ სოლიდური თანხის გადმოცემა იყო (ვაღიარებ, რომ კორუმპირებული ვიყავი და ქრთამსაც ვიღებდი). ჰოდა, როცა ქაღალდში შეხვეული ფული უნდა გადმოეცა, სწორედ მაშინ, კარზე მოაკაკუნეს. შეკვრა გამოვართვი და იქვე, დივნის ქვეშ მოვისროლე. შემდეგ, კაბინეტიდან გავედი, კარი ჩავკეტე და შინ წავედი. მეორე დღეს კი მთელი ორმოცი დღით ქალაქიდან წავედი ისე, რომ ის ფული არც გამხსენებია. შვებულებიდან რომ დავბრუნდი, კაბინეტში შესვლისთანავე დამლაგებელს დავუძახე და ვთხოვე, ოთახი ძირფესვიანად დალაგებინა, მე კი საბუთებს მივუბრუნდი და საქმეში ჩავიძირე. ცოტა ხნის შემდეგ სირანა მეუბნება: – უფროსოჯან, დივნის ქვეშ რაღაც შეკრული გდია... – უცებ გამახსენდა, რაც უნდა ყოფილიყო და ვუთხარი: – სირან, ეგ სულ აღარ მახსოვდა, რადგან შენ იპოვე, ნახევარს მოგცემ-მეთქი. – სირანა რომ წავიდა, ფული გადავთვალე და ნახევარი ძალზე მებევრა... ავდექი და მეოთხედი მივეცი, მეოთხედი – „მოვუტეხე". სიტყვა სიტყვა იყო, მაგრამ სირანას ამდენი ფულისთვის რა უნდა ექნა? ერთი თვის მერე, სირანამ ახალსახლობაზე დამპატიჟა. თურმე საბურთალოზე მშვენიერი, სამოთახიანი ბინა უყიდია. ცოტა ხნის შემდეგ, კვლავ დამპატიჟა, ამჯერად მანქანა უყიდია და იმას აღნიშნავდა... კიდევ ერთი თვის შემდეგ კი, მაგიდაზე განცხადება დამიდო, სამსახურიდან გამათავისუფლეთო, მთხოვდა. – სად მიდიხარ-მეთქი? – ვკითხე. – უფროსოჯან, პატარა ადგილი ვიყიდე, სილამაზის სალონი გავხსენი და სამსახურში სასიარულოდ ველარ ვიცლიო. – კი, მაგრამ ასე უცებ ფული სად იშოვე-მეთქი? გაოცებული მიყურებდა: – უფროსოჯან, შენს სახელზე ვლოცულობ, შენ რომ ის ფული არ მოგეცა, ავლაბრის „პადვალში" და ცოცხით ხელში დავბერდებოდიო... სირანა რომ წავიდა, მერე გადავიანგარიშე ის თანხა, რომელიც მივეცი და მივხვდი, რომ მართლაც ეყოფოდა ამ ყველაფრისთვის... მოკლედ, ჩემი საიდუმლო ეს იყო, რომ დამლაგებელს ფული „მოვუტეხე", მაგრამ კეთილი საქმე მაინც ხომ გაკეთდა?"

თუ კაცი ჭკვიანია, არასოდეს გააბამს სამსახურებრივ რომანს... მოკლედ, შეფთან და ხელქვეითთან რომანის გაბმა ძალზე სახიფათო და საფრთხილოა. დიდი ძალისხმევა დაგჭირდება საიმისოდ, რომ სამსახურიც შეინარჩუნო და შეფთან სასიყვარულო ურთიერთობაც. გვიამბობს 29 წლის რეზიკო.

შეფის სიყვარული ძვირი ჯდება...

„ერთ-ერთ სამინისტროში ვმუშაობდი, ჩემი განყოფილების უფროსი ორმოცი წლის ქალი იყო. მიუხედავად იმისა, რომ განყოფილების 12 თანამშრომლიდან უმეტესობა ქალი გახლდათ, თანაც ყველა – შეფზე უფრო ახალგაზრდა, მაინც მას დავადგი თვალი. გარეგნობა კარგი ჰქონდა, მაგრამ ის უფრო მხიბლავდა, რომ მასთან ურთიერთობას თუ დავამყარებდი, მერე მაგრად „გავბლატავდებოდი" და ყველაფერი დაშვებული იქნებოდა ჩემთვის. ძალზე ფრთხილად ვმოქმედებდი, რომ არ დამეფრთხო. დავიწყე იმით, რომ მის დანახვაზე ძალზე დაბნეულ სახეს მივიღებდი ხოლმე. საერთოდ, მხიარული და ხმაურიანი ადამიანი, ნინოს (სახელი შევუცვალე) გამოჩენისას ჭუმდებოდი და თავს დავხრიდი ხოლმე, თუ მასთან კაბინეტში შევდიოდი, მოკრძალებით ვექცეოდი. ერთხელ, თვალი თვალში გავუყარე და შემდეგ, დარცხვენილმა დავხარე თავი. ვგრძნობდი, რომ ჩემი ასეთი საქციელი მასაც აბნევდა. შემდეგ, ვითომ შემთხვევით, ხელი ხელზე შევახე და რამდენიმე წამით შევყოვნდი. შემდეგ დავიწყე თითო ყვავილის მის მაგიდაზე ჩუმად დადება. ერთხელ, თათბირის დროს, როდესაც ყველა თანამშრომელი მაგიდის გარშემო ვისხედით და ვსაუბრობდით, ფურცელზე დავწერე: „ძალზე ლამაზი ხარ" – და დემონსტრაციულად გადავაწოდე მის გვერდით მჯდომ გოგონას, მისთვის გადასაცემად. თათბირის შემდეგ კაბინეტში დამტოვა და პირდაპირ მკითხა: – მითხარი, რა გინდა, ასე რატომ იქცევიო? – მეც, ვითომ თავი ვერ შევიკავე, მისი ხელი ხელში მოვიქციე და მხურვალე სიტყვებით ავუხსენი სიყვარული. – შენ იცი, რამდენი წლით უმცროსი ხარ ჩემზეო? – მაგას ნუ შემახსენებთ, ყველაზე მეტად ეგ

მიკლავს გულს-მეთქი. – არაფერი უთქვამს, უხმოდ მანიშნა, წადიო. ამის შემდეგ მოვუხშირე მასთან კაბინეტში შესვლას და ისეთ სიტყვებს ვეუბნებოდი, წითლდებოდა და უხერხულად იშმუშნებოდა. ერთ საღამოს კი, გვიანობამდე კაბინეტში დარჩა, მეც ჩემს ოთახში ვიჯექი და ველოდი, როდის წავიდოდა. კარი ღია იყო და შეუძლებელი გახლდათ, არ შეენიშნა, იქ რომ ვიყავი. მართლაც, გვიან, ასე 11 საათი იქნებოდა, როცა მისი კაბინეტის კარის ხმა გავიგონე, თავი არ ამიწევია, ისე განვაგრძე წერა; შემნიშნა და ოთახში შემოვიდა. მის ზურგს უკან კარი მივხურე, მოვეხვიე და ისე ვაკოცე, რომ ლამის ხელში ჩამაკვდა. ხელი გავუშვი, უსიტყვოდ გამოვაღე კარი და კიბეზე დავეშვი. მეორე დღეს დამიბარა და მითხრა: – ესა და ეს საბუთები მოაწესრიგე, მაგრამ დღის განმავლობაში მაგისთვის ვერ მოვიცლი, საღამოს შინ მოდი და იქ გავარკვიოთო. სიხარულისგან დავფრინავდი. ჩემმა მონდომებამ შედეგი გამოიღო. საღამოს უზარმაზარი ვარდების თაიგულითა და შამპანურით მივადექი, იღლიაში კი საბუთები მქონდა ამოჩრილი. ვიჭუკჭუკეთ, ვიხითხითეთ და... იმ ღამით მასთან დავრჩი. მეორე დღეს კი, მამალი ინდაურივით გაფხორილი მივედი სამსახურში. მინდოდა, ხმამაღლა მეყვირა და ყველას გაეგო, როგორი სექსუალური შეფი გვყავდა, მაგრამ ვიცოდი, რომ ამის გაკეთება არაფრით არ შეიძლებოდა. თუმცა გარკვეული დროის შემდეგ, ჩვენი კურკური თანამშრომლებს არ გამოჰპარვიათ და ხანდახან სიტყვას გადამიკრავდნენ ხოლმე. მაგრამ მე შორს ვიჭერდი, ჯიუტად ვუარობდი... ნინოს თავდავიწყებით შევუყვარდი, ისეთი თბილი და ალერსიანი იყო, უკეთესს ვერც ინატრებდით. უჩემოდ ველარ ძლებდა. ერთხელ კი ის თავის უფროსს დაუბარებია და ჩემზე უკითხავს, არც ის დაუმალავს, რომ ჩვენზე ჭორაობდნენ. ძალზე გაბრაზებული და აღელვებული გამოვიდა უფროსის კაბინეტიდან, დამიბარა და მთხოვა, თავი შემეკავებინა კომპლიმენტებისა და თბილი სიტყვებისგან და რაც შეიძლება მალე გამექარწყლებინა თანამშრომლების ეჭვი. შემდგომი პერიოდის განმავლობაში, თავს არიდებდა ჩემთან ურთიერთობას, ცოტა ხნის შემდეგ კი, მის გვერდით ჭაღარა, სიმპათიური მამაკაცი გამოჩნდა. მე ეჭვიანობის სცენებს ვაწყობდი, ვეჩხუბებოდი, მაგიდაზე მუშტს ვურტყამდი, მაგრამ ის მშვიდი სახით მისმენდა ხოლმე და კარისკენ მითითებდა. ერთხელაც, ასეთი ჩხუბის დროს მითხრა: – განცხადება დაწერე წასვლაზეო. მოულოდნელობისგან შევხტი და ფერი მეცვალა. მან ისევ გამიმეორა, წამოდგა, კაბინეტის კარი გააღო და თითით მანიშნა, რომ იქაურობა დამეტოვებინა. რაღას ვიზამდი? დავწერე განცხადება და წამოვედი... შემრჩა ის ერთი წელი გართობა და ჩემს ნებაზე სიარული. იმ საიდუმლოს კი, რომ მასთან ურთიერთობა წინასწარ დაგეგმილი იყო, ახლა, თქვენი საშუალებით გაიგებს. „გზა“ მისი საყვარელი ჟურნალია. ყოველ ხუთშაბათს მე ვყიდულობდი ხოლმე მისთვის და მაგიდაზე ვახვედრებდი“.

ახლა კი მოკლე მესიჯებს გადავხედოთ

„მაპატიე, რომ ცხოვრება აგირიე“...

„ყველაფერი 21 სექტემბერს დაიწყო, ერთი წლის წინ. მეგობრის ტელეფონის ნომერი შემეშალა და ზარი სხვა ნომერზე გავუშვი. ამას მაშინ მივხვდი, როცა ვიღაც ბიჭმა დამირეკა და ჩემი ვინაობა იკითხა. საუბარი მშვენივრად ავაწყვეთ, ცოტა ხანში კი სიყვარულიც ამიხსნა. მეც შემიყვარდა გიო. თანაც ისე, რომ ერთმანეთი არ გვენახა. ეს უბრალო გატაცება რომ არ იყო, ვხვდებოდი, ამიტომ რაღაცებს ვატყუებდი ხოლმე, რომ თვითონ დამშორებოდა. ბოლოს კი სიმართლე ვუთხარი, გამიგო და მაპატია. დედას ჰგონია, დავშორდი, მაგრამ... გიოს დღემდე ვერ შევხვდი. თუმცა ერთმანეთი ისევ გვიყვარს. არც გიჟი ვარ და არც გრძნობებს აყოლილი პატარა გოგო. მშობლები სულ მეუბნებოდნენ, რომ გიო მატყუებდა, მიბრაზდებოდნენ და მკაცრად მთხოვდნენ მასთან ურთიერთობის გაწყვეტას. მე კი მის გარეშე არ შემიძლია, სწორედ იმის გამო ვატყუებდი და ათას სისულელეს ვიგონებდი, რომ ნამდვილ მიზეზს ვერ ვუმხელდი. გიოს სექტემბერში ვხვდები. ვიცი, ბედნიერები ვიქნებით. ამიტომ, ყველას ვთხოვ, ნუ დამინგრევენ ბედნიერებას, რომელსაც მთელი წელი ველი და ველოლიავები. დე, მართლა ძალიან გთხოვ!“

„ეს ჩემი პირველი მესიჯია, თუმცა თქვენს ჟურნალს მუდმივად ვკითხულობ. მინდა გაგიმხილოთ პატარა საიდუმლო: უკვე ორი წელია, შეყვარებული ვარ. გუშინ გადავწყვიტეთ, რომ 9 აგვისტოს გავიპარებით. მანამდე კი ყველაფერი უნდა მოვაგვაროთ. უზომოდ ბედნიერი ვარ. ს.ნ. – 16 წლის“.

„ია კ-შვილო, სიგიჟემდე მიყვარხარ, ლამაზო, გთხოვ, ყველაფერი მაპატიო. გკოცნი. შენი მეზობელი მამუკა“.

„ორი წლის წინ, ქობულეთში თვალცრემლიანი გოგიტა დავტოვე. მთხოვა, არ დამკარგო, მენდე, თბილისში რომ იქნები, დამირეკეო. ტელეფონზე ქალმა მიპასუხა: – მე გოგიტას მეუღლე ვარ, ჩემი ქმარი ქობულეთში სამუშაოდ წავიდა, რომ სექტემბრისთვის ბავშვს „დედაენა“ და ჩანთა ვუყიდოთო...“

„ჩემი ერთადერთი მესაიდუმლე ჩემი დღიურია. მხოლოდ მას „ველაპარაკები“ გულახდილად. უკვე დიდი ხანია, რაც მისი სახით საყვარელი მეგობარი მყავს. ირინა“.

„ეჰ, მარი, მარი, რა მტკივნეულ თემას „მიუკაკუნე“. ისეთ მდგომარეობაში ვარ, რომ მგონია, ჩემზე უბედური არავინ არის მთელ სამყაროში. პრინციპში, ასეცაა. ძალიან მიყვარს ერთი ბიჭი. მასაც ვუყვარვარ. თითქოს ყველაფერი რიგზეა, მაგრამ... ჩემო სიცოცხლევ, ძალიან მიყვარხარ, მიუხედავად იმისა, რომ მთელმა სამყარომ ომი გამოგვიცხადა... თ.კ.“

„ვიორგი, შენ ჩემი ცხოვრების ყველაზე დიდი საიდუმლო და ნათელი მოგონება ხარ. მაპატიე, რომ ცხოვრება აგირიე, მაპატიე, რომ არ მჯეროდა შენი... უბრალოდ, იმ ჩაკეტილ სივრცეში, სადაც ჩვენ ცნობილი სახეები ვართ, სხვანაირად ვერც მოვიქცეოდი... მაპატიე...“

„მარი, ჩემი მესაიდუმლე შენ ხარ და მინდა, დამეხმარო, რომ ხმა მივაწვდინო თიკა წ-ურს, რომელსაც 6 წელია უშედეგოდ ვეძებ. მინდა ვუთხრა, რომ მიყვარს და მუდამ მეყვარება. ტარიელ მკლავაძე. P.S. თქვენ ჩემი ბოლო შანსი ხართ“.

„მინდა გაგიმხილოთ ჩემი სანუკვარი საიდუმლო. ძალიან მიყვარს ჩემი შეფი, დათო ჩ-ძე, მაგრამ მას არ ვეუბნები. რომ წაიკითხავს, მიხვდება, ვინც ვარ. თანაც, პირველ აგვისტოს დაბადების დღე ჰქონდა და მინდა ვუსურვო ჩემთან ერთად ოჯახის შექმნა. თუ მიხვდება, გამიმეხმაუროს თქვენი საშუალებით. მიყვარს და რა ვქნა? 8.03.1.08“

„უკვე 6-ჯერ წავშალე დაწერილი მესიჯი. მაინც გადავწყვიტე, ჩემი საიდუმლო გაგიმხილოთ: მეგობრებს დავენაძლევე, რომ ერთ ნაცნობ ბიჭს ტელეფონით „შემთხვევით“ გავეცნობოდი, დავაინტერესებდი და დეპოზიტს დავახარჯვინებდი. ნაძლევი მოვიგე, მაგრამ ეს საიდუმლო მისმა მეგობარმა გაიგო, ერთი დღეც კი არ შეინახა და იმ ბიჭს ყველაფერი უამბო. დავურეკე და ბოდიში მოვუხადე. ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა, მაგრამ ვის გავუმხილო, რომ ის ბიჭი, რომელსაც ვერც კი ვამჩნევდი, სიგიჟემდე შემიყვარდა? საკუთარი თავის, მისი და ყველა საერთო ნაცნობის მრცხვენია, ასე რომ მოვიქეცი, მაგრამ ბედნიერი ვარ, სიყვარული რომ ვიპოვე“.

დღეს „გზავნილებს“ ამით ვამთავრებთ. მომდევნო ნომრის თემად კი გთავაზობთ – რა შეუძლია ქალს. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე 8(77) 45.68.61. გაგვიმხილეთ თქვენი აზრი სუსტი სქესის შესაძლებლობების შესახებ. გეშშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.

■

როგორ შევინარჩუნოთ მეხსიერება

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

„ეს მახსოვს, ეს მახსოვს, ეს კი არ მახსოვს“ — ამ ცნობილ ფრაზას ასაკის მატებისას სულ უფრო და უფრო მეტი ადამიანი ამბობს. ზოგჯერ კი მეხსიერების თავისებური „გადატვირთვა“ ხდება და მაშინ გულმავიწყობა ინტენსიური, ყველასათვის შესამჩნევია. ადამიანები ყველაფერს ასაკობრივ სკლეროზს აბრალებენ, მიიჩნევენ, რომ ნერვული უჯრედები მაინც აღარ აღდგება და არაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ შეაფერხონ მეხსიერების დაქვეითების პროცესი. მეხსიერების ფუნქცია ასაკთან ერთად მართლაც ქვეითდება, მაგრამ რაც უფრო ადრე იწყება მკურნალობა, მით მეტია შანსი, შეინარჩუნოთ ის, რაც გაქვთ. ვარჯიშისა და სწორად შერჩეული პრეპარატების მეშვეობით კი შესაძლებელია, მრავალი წლის განმავლობაში იქნას შენარჩუნებული ნათელი გონება და კარგი მეხსიერება.

რა იწვევს მეხსიერების გაუარესებას?

მეხსიერება რთული ცნებაა. სპეციალისტები გამოყოფენ წარმოსახვით, ლოგიკურ და მექანიკურ მეხსიერებას. დღეისათვის ექიმები ასახელებენ სამ ძირითად მიზეზს, რომელიც მეხსიერების ცვლილებას იწვევს. ***პირველი მიზეზია მაღალი წნევა — ჰიპერტონია,*** რომლის დროსაც აუცილებელია წნევის ციფრების კონტროლი. ***მეორე — ალცჰაიმერის დაავადება.*** მის შესახებ ბევრმა აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტის — რონალდ რეიგანის ავადმყოფობის შემდეგ შეიტყო. იგი თანდათანობით კარგავდა მეხსიერებას და ვეღარ ცნობდა ახლობლებს, საყვარელ ცოლსაც კი. ამ დაავადების ნიშნებია: მეხსიერებისა და ყურადღების დაქვეითება, აზროვნების პროცესების რღვევა, დეზორიენტაცია დროსა და სივრცეში, პიროვნების შეცვლა. ჭკუასუსტობა იმდენად პროგრესირებს, რომ ადამიანი ელემენტარული ყოფითი მოქმედების უნარსაც კი კარგავს. ***მესამე — ალკოჰოლიზმი***. კორსაკოვის სინდრომის დროს პაციენტებს ფხიზელ მდგომარეობაშიც კი ავიწყდებათ, ერთი წუთის წინ მომხდარი მოვლენები. თუმცა მათი ინტელექტი შენარჩუნებულია.

მეხსიერების შენარჩუნებისათვის ყველაზე მთავარი ფაქტორია შემოქმედებითი საწყისის არსებობა ანუ ის, რომ ტვინი არ გაზარმაცდეს. ადამიანებს, რომლებიც გამუდმებით კითხულობენ, სიახლეებს გებულობენ, აინტერესებთ ცხოვრება, შეუძლიათ იქონიონ იმედი, რომ საჭირო მომენტში მეხსიერება მათ არ უღალატებს. სიბერის ჟამსაც კი ადამიანმა უნდა შეინარჩუნოს გონებრივი აქტიურობა.

სიახლეების მხოლოდ ტელევიზორის საშუალებით მოსმენა, ინფორმაციის პასიური მიღებაა და თუკი მთელი სიცოცხლე ცისფერი ეკრანით შემოიფარგლება (რაც საკმაოდ ხშირია), მეხსიერება მხოლოდ უარესდება. საჭიროა სიახლის ანალიზი, მიმდინარე მოვლენების განსჯა ახლობლებსა და მეგობრებთან ერთად. ადამიანს უნდა ჰქონდეს საყვარელი საქმიანობა — ჰობი. თითოეული ჩვენგანი შემოქმედია — შეგიძლიათ, დარგოთ ყვავილები, იმღეროთ გუნდში, წეროთ მემუარები — მთავარია, რომ ეს საქმე გიყვარდეთ.

ყველაფერი, რაც არ მუშაობს, კვდება და ტვინიც არ არის გამონაკლისი. ამიტომ იგი უნდა აიძულოთ, დაიძაბოს და მუდმივად იმუშაოს. საამისოდ მრავალი მეთოდი არსებობს. ერთ-ერთი ყველასათვის კარგადაა ცნობილი: როცა რაიმის გახსენება გვინდა, ხელზე ვინიშნავთ ხოლმე და მისთვის თვალის შევლებისას მაშინვე ვიხსენებთ მივიწყებული საქმის შესახებ. რაიმის დახსომება ასოციაციების გამოყენებითაც შეიძლება. მეხსიერების ვარჯიშის ყველაზე მარტივი ხერხი, ლექსების სწავლაა — თავიდან მცირე ზომის, შემდგომ კი — უფრო მოზრდილების.

მათ, ვინც ინტელექტუალური, შემოქმედებითი საქმიანობითაა დაკავებული, ხანგრძლივად უნარჩუნდებათ ცოცხალი გონება და მეხსიერება. მათ ტვინში ყველა სტრუქტურა ამოქმედებულია და ატროფია არ ვითარდება. ალცჰაიმერის დაავადების დროსაც კი პროფესიონალური მეხსიერება და ინტელექტი ყველაზე დიდხანსაა შენარჩუნებული. ამიტომ, როგორც არ უნდა გადაიღალოთ და დასვენების სურვილი გაგიჩნდეთ, გამუდმებით ეძებეთ საკვები ტვინისათვის, შეინარჩუნეთ ცხოვრებისადმი ინტერესი — ეს განსაკუთრებით მოხუცებს ეხება.

ერთი აბიც საკმარისია

არსებობს პრეპარატები, რომლებიც უშუალო ზემოქმედებას ახდენს მეხსიერებაზე. ასეთებია ნოოტროპული პრეპარატები, რომლებიც აუმჯობესებს ნერვული უჯრედების ენერგეტიკას. ამ ჯგუფის წამლების მიღებისას ხდება ჟანგბადის და გლუკოზის ეკონომიური ხარჯვა და იზრდება ამ უჯრედთა ენერგეტიკა. ალცჰაიმერის დაავადების დროს გამოიყენება ქოლინის ალფოსცერატი (გლიატილინი), რომელიც აკლია ორგანიზმს ამ დაავადებისას. ექიმებმა შენიშნეს, რომ ეს პრეპარატი კარგად მოქმედებს სისხლძარღვოვანი პათოლოგიით გამოწვეული მეხსიერების დაქვეითებისას.

კიდევ ერთი ჯგუფია ანეიროპეპტიდები (ნეიროცილები), რომლებიც აკლდება ჩვენს ტვინს და მათაც წარმატებით იყენებენ მეხსიერების დაქვეითებისას.

ამ ჩამოთვლილი სამი ჯგუფის პრეპარატების გარდა, სხვა პრეპარატები შესწავლის და აპრობაციის სტადიაშია.

დიეტა მეხსიერებისათვის

მეხსიერების გაუმჯობესებისათვის სასარგებლოა კვების რაციონში დიდი რაოდენობით ხილის, ბოსტნეულის, თევზეულის, ზეითუნის ზეთის შეტანა და მარილისა და ცხოველური ცხიმის შეზღუდვა. აუცილებელია C, E და B ჯგუფის ვიტამინები და იოდი. ბევრი პაციენტი საგრძნობლად აუმჯობესებს ხანმოკლე მეხსიერებას (სწორედ იგი ზარალდება უპირველესად) რაციონში მარწყვის, მოცვის, ისპანახის შეტანით – ეს მცენარეები ხომ ანტიოქსიდანტებია.

საერთოდ კი რაიმე სპეციალური დიეტა მეხსიერებისთვის არ არსებობს. პაციენტებს ურჩევენ ისეთსავე კვებას, რომელიც აუცილებელია ლიპიდური ცვლის თავიდან ასაცილებლად.

50 წლის შემდეგ ბევრ ქალს (ზოგი სპეციალისტის გამოთვლით – 10%-მდე) აქვს ჰიპოტოზი (ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის დაქვეითება). ეს დაავადება კი ხელს უწყობს ათეროსკლეროზის განვითარებას და მეხსიერების დაქვეითებას იწვევს. ნერვული სისტემის გამოკვლევისას რაიმე სპეციფიკური დარღვევა არ აღინიშნება. ფარისებრი ჯირკვლის გამოკვლევისას კი დგინდება, რომ პრობლემა სწორედ მასშია. სპეციალური პრეპარატების დანიშვნისას ყველაფერი სწორდება და მეხსიერებაც მნიშვნელოვნად უმჯობესდება. ეს აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ. ■

საუკეთესო დრო ჩასახვისათვის

ძველად მიაჩნდათ, რომ ბავშვის ჩასახვის დრო განსაზღვრავს მის სქესსა და ბედს. დღეს, როცა მეცნიერებისათვის ცნობილია ბიორიტმების არსებობის შესახებ, ჩასახვასთან დაკავშირებული ძველი მოსაზრებები არც ისე გულუბრყვილო ჩანს.

არსებობს მოსაზრება, რომ *ჩასახვისათვის საუკეთესო დრო გაზაფხული და ზაფხულია.*

გაზაფხულსა და ზაფხულში ადამიანების სექსუალური აქტივობა მართლაც, მატულობს. დღის ხანგრძლივობა იზრდება, მასთან ერთად მატულობს ჰიპოფიზის აქტივობა და ორგანიზმი მეტი რაოდენობით გამოიმუშავებს როგორც სასქესო ჰორმონებს, ასევე სიამოვნების ჰორმონებსაც. მოკლე, ღრუბლიან დღეებში ორგანიზმში წარმოიქმნება სულ უფრო მეტი მელატონინი, რომელიც დეპრესიას ან აგრესიას იწვევს – ეს კი წარმატებულ სექსს ნამდვილად არ უწყობს ხელს. მამაკაცური სასქესო ჰორმონებიც, მზიანი დღეების მატებასთან ერთად, საჭირო რაოდენობით გამოყოფას იწყებს. ადრე გაზაფხულზე, მზის პირველსავე გამოჩენისას, მათი რაოდენობა საკმარისი არ არის – ორგანიზმს დრო სჭირდება სასქესო ჰორმონების კონცენტრაციის ზრდისთვის. ასე რომ, საუკეთესო დრო ახალი სიცოცხლის შესაქმნელად ზაფხულის დამლევი და შემოდგომის დასაწყისია. თანაც თბილ და ნათელ პერიოდში (გადათვალეთ 9 თვე შემოდგომის დასაწყისიდან) დაბადებული ბავშვები ყოველთვის უფრო ჯანსაღები არიან.

არსებობს მოსაზრება, თითქოს *რაც უფრო გრილია ამინდი, მით მაღალია სპერმის ხარისხი. ამიტომ ჩასახვისთვის ზამთარია უკეთესი.*



მაგრამ ეს მთლად ასე არ არის. ტემპერატურა მართლაც ახდენს გავლენას სპერმატოგენეზზე: ძალიან მაღალი ტემპერატურა ხელს უშლის საჭირო რაოდენობის სპერმატოზოიდების გამომუშავებას, ამიტომ ზაფხულის სიცხე ხელს არ უწყობს ჩასახვას, მაგრამ არც ზამთრის ყინვაა სასარგებლო მამაკაცის სასქესო სისტემისათვის. სპერმატოგენეზისთვის ოპტიმალურ ტემპერატურად სათესლე პარკში, 33 გრადუსია მიჩნეული. მისი შენარჩუნება შესაძლებელია, წლის ზომიერად გრილ პერიოდში – ე.ი. გაზაფხულზე ან ადრეულ შემოდგომაზე. თუ გავიხსენებთ, რომ გაზაფხულზე ორგანიზმი ჯერ კიდევ ვერ ასწრებს მზით სათანადოდ გათბობას, ჩვენი გამოთვლები ისევ ადრეული შემოდგომისკენ იხრება.

არსებობს მოსაზრება, რომ *თუ ჩასახვა წლის თბილ პერიოდში მოხდა, გოგოს დაბადების ალბათობაა მეტი, ხოლო სიცივეში უფრო ხშირად, ბიჭის ჩასახვა ხდება.*

● სერიოზული სამეცნიერო გამოკვლევები ამ თემაზე არ ჩატარებულა, ამიტომ ეს მეტისმეტად ზედაპირული მოსაზრებაა.

ჩასახვის სიხშირე ჩვენს სინამდვილეში ხშირად, ცხოვრების წესთან იყო დაკავშირებული: სოფლად ქორწილები შემოდგომით იმართებოდა და ბავშვებიც უფრო ხშირად ზაფხულობით იბადებოდნენ. ეს ტრადიცია იმასთან იყო დაკავშირებული, რომ ქორწილს მოსავლის აღების პერიოდისთვის გეგმავდნენ, რათა თავისუფალი დროც მეტი ჰქონოდათ და სტუმრების გამასპინძლების შესაძლებლობაც.

წელიწადის დროსთან ერთად ჩასახვისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს კვების თავისებურებას. მარხვაში ჩასახვა, რელიგიური მოსაზრების გარდა იმიტომაცაა მიუღებელი, რომ მომავალი მშობლების კვება მათი შვილების ჯანმრთელობაზე აისახება. თუ თქვენი ორგანიზმი ვერ იღებს საჭირო მიკრო და მაკროელემენტებს, ცხოველურ ცილებსა და ვიტამინებს, ეს გავლენას მოახდენს პატარის ორგანიზმის განვითარებაზე. ■

tineijerul-avangarduli stili da RRaa ferebi

ნინო მაჭავარიანი

წლეულს ჩვენს ქუჩებში უფრო თვალში საცემი გახდა ე.წ. „ტინეიჯერულ-ავანგარდული სტილის ჩაცმულობა, რაც, ბუნებრივია, მოდელიერ-დიზაინერთა ყურადღებასაც იპყრობს. სწორედ ამ სტილში მუშაობს სოფო შოთნიაშვილი, რომელმაც არაერთი ტინეიჯერულ-ავანგარდული კოსტიუმი შექმნა.

— სოფო, როგორ მოხვედით მოდაში?

— ხელოვნებასთან თავიდანვე მქონდა შეხება. 5 წელი ვმღეროდი ანსამბლში, ხატვის გარკვეული ნიჭიც აღმომაჩნდა და სამხატვრო აკადემიაში ჩაბარება გადავწყვიტე. დღეს კი უკვე მხატვარ-მოდელიერის პროფესიით ვმუშაობ. ჩემი პირველი ჩვენება მოეწყო „ლაგუნა ვერეზე“, სადაც 5 დიზაინერთან ერთად წარმოვადგინე ტინეიჯერულ-ავანგარდული სტილის კოლექცია. ამჯერად მასში საღამოს კაბებიც დავამატე.

— რა ცვლილებები შეიტანეთ საზაფხულო კოლექციაში?

— კოლექციას შევმატე გამოსასვლელი კაბები, რომლებსაც ისევ და ისევ ტინეიჯერულ-ავანგარდული ელემენტები ახლავს თან. ახალი კოლექცია, რომელიც ცოტა ხნის წინ წარმოვადგინე, 40 კოსტიუმისგან შედგება.

— რა კრიტერიუმებით ხელმძღვანელობთ ამა თუ იმ მოდელის შექმნისას?

— უპირველესი ფაქტორი, ქსოვილია, მასზე მნიშვნელოვანწილად ხარ დამოკიდებული. გაფორმებისათვის სხვადასხვა კომპოზიციას ვიყენებ — მაგალითად, ყვავილებს, რომბებს... სულ ქსოვილის ირგვლივ ვტრიალებ და მისგან აქსესუარების შექმნასაც ვახერხებ.

— რატომ ანიჭებთ უპირატესობას ტინეიჯერულ-ავანგარდულ სტილს?

— ეს სტილი უფრო მიზიდავს. თუმცა, კლასიკური ჩაცმულობაც მომწონს. ჩემ მიერ შექმნილი ქურთუკების კომპოზიციაშიც კი, არის ტინეიჯერული ელემენტები. მაგალითად, მასზე ღილები ასიმეტრიულად მაქვს განლაგებული.

— აბა, როგორი სამოსი მოსწონთ წელს ტინეიჯერებს ყველაზე მეტად?

— ავანგარდული სტილი აქსესუარებით გამოირჩევა — მაგალითად, ამ სტილისთვის შესაფერისი ყელსაბამითა და ხელთათმანით, ფეხზე გამაშით და ა.შ. ასეთი სამოსის აღქმა ზოგს ცოტა უჭირს, მაგრამ თანდათან ეს სტილი ყველასათვის მისაღები გახდება. ავანგარდული სტილი ყველასაგან გამორჩეული და თვალში საცემია.

— ახლა ფერებისა და ქსოვილის სახეობებზეც გვითხარით რამდენიმე სიტყვა.

— ვიყენებ მუქ ტონებს, ჩამუქდარ, არამყირალა, დახვეწილ ფერებს. თუმცა, ჩემს ახალ კოლექციაში უფრო ღია ტონების სამოსი ფიგურირებს, რადგანაც ზაფხული ნათელი ფერების სეზონია. რაც შეეხება ქსოვილს — შიფონი, ტიული, ხელოვნური ტყავი წელსაც მოდაშია და მეც ხშირად ვიყენებ სხვადასხვა სტილის კოსტიუმების შესაქმნელად.

— რამდენად ითვალისწინებთ ქალის გარეგნობის სხვა კომპონენტებს ვთქვათ, ვარცხნილობას?

— ვარცხნილობას, როგორი იქნება ის — კლასიკური თუ ავანგარდული — დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ. მთავარია, თმა ლამაზად იყოს დავარცხნილი. პირადად მე ვარცხნილობაზე დამოკიდებული არასოდეს ვყოფილვარ. ვფიქრობ, კოსტიუმი ისეთი გემოვნებით უნდა იყოს შექმნილი, რომ ადამიანმა პირველ რიგში, მისი აღქმა ვარცხნილობით ან აქსესუარით არ დაიწყოს.

— გაქვთ თუ არა გამორჩეული კოსტიუმი, რომელიც რაღაც ნიშან-თვისების გამო განსაკუთრებით მოგწონთ?

— ჩემთვის გამორჩეული, პირველ ჩვენებაზე გატანილი, შავ-თეთრი კაბა გახლავთ, რომლის სახელწოდებაც „ჯოკერია“. ყოველი ჩვენების შემდეგ, ზოგიერთ კოსტიუმს საკუთარი სახელი ერქმევა. მაგალითად, კოსტიუმს, რომელიც ნაომის მეტსახელით ცნობილ მოდელ გოგონას ჩავაცვით, შემდეგ „ნაომი“ დაერქვა.

— თქვენი ვარაუდით, ტინეიჯერულ-ავანგარდული სტილი ჩვენში მყარად მოიკიდებს ფეხს?

— ვფიქრობ, მოიკიდებს. ტინეიჯერულ-ავანგარდული სტილი ჩვენში მხოლოდ ახლა შემოდის, მაგრამ იმედია, ამას თავისი გაგრძელება ექნება. დიზაინერის ვალია, შექმნას ისეთი კოსტიუმები, რომლებიც საზოგადოებისათვის აქტუალური იქნება, მაგრამ თუ ამ სტილზე მოთხოვნა შენელდა, ჩვენც შევიცვლებით და იმ მიმართულებას ავირჩევთ, რომელიც უფრო მართებული იქნება.

■

დღეს თბილისში უამრავი სილამაზის სალონია, რომელშიც ნებისმიერ ქალს თავის წესრიგში მოყვანა შეუძლია. მათგან ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულს ვესტუმრეთ და სტილისტ ბადრი ფეიფაძეს ვთხოვეთ, მოეთხრო ჩვენთვის, თუ როგორი ვარცხნილობები და რა ფერის თმა ითვლება დღეს ყველაზე მოდურად.

ზაფხულში თმას განსაკუთრებული მოვლა ესაჭიროება

ეკა მინდაძე

— დღეს რა სტილის ვარცხნილობაა მოდაში?

— მოდაშია გრძელი თმა, ბუნებრივად აჭრილი, არეული ვარცხნილობით. ძალიან სწორი თმა მოდაში აღარ არის.

— ფერზე რას იტყვი? რომელია მოდაში?

— ამ ზაფხულს მოდაშია ქერა თმა, ძირითადად — ჩალისფერი, ღია შოკოლადისფერი და სველი ასფალტისფერი. წითელი და შავი მოდაში აღარ არის.

— ცნობილი პიროვნებებიდან ვინ გსტუმრობთ ხშირად?

— შოუბიზნესის წარმომადგენლები, მსახიობები და მთელი თბილისის ელიტა. ბასა ფოცხიშვილს ვარცხნილობის გასაკეთებლად კლიპების გადაღებისას ყოველთვის მე მივყვები. უცნობის ახალი კლიპის თითქმის ყველა მონაწილე ჩემი დავარცხნილია.

— პოლიტიკოსები თუ არიან შენი კლიენტები?

— ხშირად დადის სესილი გოგიბერიძე, სოფო შევარდნაძე და გაჩეჩილაძის მეუღლე. ჩემი მუდმივი კლიენტები არიან საბერძნეთის, ისრაელის, იტალიის, თურქეთის და დანიის ელჩები.

— კლიენტები შენს გემოვნებას ყოველთვის ენდობიან?

— თავიდან პირველად მოსულს ყოველთვის ეშინია, ხოლო ვინც ჩემი მუდმივი კლიენტია, მე მას არც ვეკითხები, თუ რა უნდა, იმდენად კარგად ვიცი მისი გემოვნება და სტილი.

— რას ურჩევდით მანდილოსნებს — როგორ უნდა მოუარონ თმას?

— დაბანის დროს, თმის ძირებს ფრჩხილები არ მიაკაროთ. თმა თითის ბალიშების ნაზი და რბილი წრიული მოძრაობით უნდა დაიბანოთ, რათა თმის ძირი არ დაზიანდეს. თუ ბალზამს ხმარობთ, სასურველია, თმის ძირიდან ორი სანტიმენტის დაშორებით წაისვათ; დავარცხნამდე ბალზამი არასოდეს შეიზილოთ, რადგანაც თმაზე ბალზამის გაჩერება იწვევს თმის ცვენას და დაზიანებას. ნიღაბი შეიზილეთ მხოლოდ დაბანის შემდეგ და 15 წუთში ჩამოიბანეთ. ასევე არ შეიძლება თმაზე მუსის და ჟელეს დატოვება. ეცადეთ, დღის ბოლოს თმა დაიბანოთ; თუ ცხიმიანი თმა გაქვთ, სასურველია ყოველდღე დაბანა, რათა თმა ცხიმისაგან გათავისუფლდეს. თმის ძირმა და კანმა უნდა ისუნთქოს. თუ სახლის პირობებში იღებავთ თმას, შეგახსენებთ, რომ საღებავის გაჩერების მაქსიმალური დრო, 40 წუთია; თუ თმა გცვივათ, აიღეთ კვერცხის გული, ზეითუნის ზეთი და ხახვის წვენი, ერთმანეთში აურიეთ და შეიზილეთ თმის ძირებში. გაიჩერეთ 1 საათი, ხოლო შემდეგ, ისევ კვერცხის გულით ჩამოიბანეთ. თმისთვის კარგია რუსეთის წარმოების მაიონეზის შეზელვაც. გირჩევთ კვირაში ორჯერ დაივარცხნოთ თმა სალონში.

— ზაფხულში როგორ უნდა მოვუაროთ თმას?

— ზაფხულში თმას განსაკუთრებული მოვლა ესაჭიროება, მით უმეტეს — ზღვაზე ყოფნისას. გირჩევთ, იხმაროთ ფირმა „ლორეალის“ შამპუნი — „კერასტასი“, ბალზამი და თმის სტრუქტურის აღმდგენი ნიღაბი. პლაჟზე წასვლის წინ, თმა არ შეიღებოთ: წყალში და მზეზე თმა ისედაც ხუნდება და ახალშეღებილი თმა ორმაგად ზიანდება. ზღვაზე გასვლის წინ, თმაში შეიზილეთ ქოქოსის ზეთი ან „კერასტასის“ ნიღაბი. ამით თმა იკვებება და მზის სხივებისაგან დაცულია. კარგი იქნება თუ ზაფხულში თმას ბუნებრივად გაიშრობთ ხოლმე.

— რატომ აირჩიე ეს პროფესია?

— თავიდანვე მომწონა პარიკმახეობა. პირველად, ბავშვს შევაჭერი თმა და ძალიან მომეწონა, მერე სხვაზე ვსინჯე. აი, ასე დავიწყე ამ სფეროში მუშაობა. სხვათა შორის, არავის მოსწავლე არ ვყოფილვარ, სულ ჩემით ვისწავლე შეჭრა. სალონში ოფიციალურად 17 წლის ასაკიდან ვმუშაობ. ეს პროფესია ჩემთვის ყველაფერია. თუმცა, სამედიცინოზე ვსწავლობდი და მეოთხე კურსიდან გამოვედი, რათა ეს საქმე გამეგრძელებინა.

— შენი აზრით, ქალის სტილისტობა ვის უფრო კარგად გამოსდის — მამაკაცს თუ ქალს?

— ჩემი აზრით, მამაკაცს, რადგანაც მამაკაცმა უფრო კარგად იცის, ქალს რა მოუხდება. სხვათა შორის, ქალებიც მამაკაცის გემოვნებას უფრო ენდობიან.

■



რას გვიკრძალავს მეხუთე მცნება?

ყველა ქრისტიანმა იცის, რომ ებრაელთა წინამძღოლმა — მოსე წინასწარმეტყველმა ღვთისგან მიიღო სჯული და ებრძანა, რომ უმთავრესი მცნებანი ამ სჯულისა დაეწერა ქვის ორ ფიქალზე: პირველზე დაწერილი მცნებები (პირველიდან მეხუთემდე) განსაზღვრავს ადამიანის ვალდებულებას ღვთის წინაშე, მეორე ფიქალზე დაწერილი მცნებები (მეხუთიდან მეათემდე) — ადამიანის ვალდებულებას ადამიანთა წინაშე. ე.ი. განსაზღვრავს ადამიანის ვალდებულებას მოყვასის წინაშე: „ყველა მცნება, რომელიც ღმერთისადმი და მოყვასისადმი სიყვარულს განეკუთვნება, უნდა აღსრულებულ იქნას ქრისტიანის მიერ, რამეთუ სწორედ ამ ორგვარ სიყვარულზეა დაფუძნებული მთელი სჯული და წინასწარმეტყველებანი“ — განმარტებულია „სარწმუნოების მართლმადიდებლურ აღსარებაში“.

ღვთის მიერ მოცემული ათი მცნებიდან, რომელთა დაცვაც ყველა ადამიანს მოეთხოვება ღმერთისგან, მეხუთე მცნებაა: „პატივ ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელ იყვე ქვეყანასა ზედა“ (გამოსვ. 20, 12).

მორენა მერკვილაძე

რას გვიბრძანებს ღმერთი მეხუთე მცნებით?

ეს მცნება უპირველესად გვავალდებულებს დედ-მამის პატივისცემას – ე.ი. მეხუთე მცნებით უფალი გვიბრძანებს, პატივი ვცეთ ჩვენს მშობლებს, ვუცხადებდეთ მათ მორჩილებას და გვქონდეს მათი რიდი, რადგან მშობლებმა მოგვავლინეს ამქვეყნად და აღგვზარდეს. მაგალითი მშობლების მორჩილებისა და პატივისცემისა გვიჩვენა თვით მაცხოვარმა, როდესაც ემორჩილებოდა და კრძალვით ეპყრობოდა მართალ იოსებსა და ყოვლადწმინდა მარიამს. გარდა მორჩილებისა და პატივისცემისა, შვილები ვალდებულნი არიან, სიყვარულით ლოცულობდნენ თავიანთი მშობლებისთვის ღვთის წინაშე, ავედრებდნენ მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას უფალსა და მის წმინდანებს, ასევე ილოცონ მშობელთა სულის საოხად მათი გარდაცვალების შემდეგაც. ამასთანავე შვილები მშობლებზე უნდა ზრუნავდნენ, მათი ავადმყოფობისა და მოხუცებულობის ჟამს, ზუსტად აღასრულონ მათი ანდერძი, თუკი ის საღვთო სჯულსა და სამოქალაქო კანონს არ ეწინააღმდეგება.

მეხუთე მცნება გვავალდებულებს არა მხოლოდ ხორციელი მშობლების პატივისცემასა და მორჩილებას, არამედ ყველა უფროსი ადამიანის და აგრეთვე, სულიერი მამების – მოძღვართა მორჩილებას.

შესაძლებელია თუ არა, რომელიმე შემთხვევაში, შვილი წინ აღუდგეს მშობლების ნებას?

იმ ადამიანებს, რომლებიც არ ემორჩილებიან თავიანთ მშობლებს, პავლე მოციქული „უგულისხმოთ“ – ანუ უგნურებს უწოდებს, მაგრამ ეს არ ეხება იმ შვილებს, რომლებიც მშობლებს ეურჩებიან ღმერთის გამო – ე.ი. იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე ღმერთის დიდებას ან მისი წმინდა მცნებების დაცვას შეეხება. აქედან გამომდინარე, შვილები არ არიან ვალდებულნი, დაემორჩილონ მშობლებს, უფროსებსა და ხელისუფალთ იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი ღვთის სჯულისა და სარწმუნოების საწინააღმდეგო საქმის აღსრულებას მოითხოვენ, რადგან არც ერთ ადამიანს არა აქვს უფლება, შეეხოს ღვთის დადგენილებებს და აკრძალოს ღვთისგან ნებადართული ან დაგვავალოს ისეთი საქმის აღსრულება, რომელსაც ღმერთი გვიკრძალავს. უფალი ბრძანებს: „რომელსა უყვარდეს მამაი, ანუ დედაი უფროის ჩემსა, არა არს იგი ჩემდა ღირს“ (მათე 10, 37). ქრისტეს ამ სწავლების თანახმად, როდესაც საქმე ღმერთის ნების აღსრულებას ეხება, უფრო მეტად ღმერთს უნდა დავემორჩილოთ, ვიდრე მშობლებსა და უფროსებს. მსგავს სიტუაციაში თუკი აღმოვჩნდებით, უფროსებს შეიძლება ვუპასუხოთ ისე, როგორც მოციქულებმა – პეტრემ და იოანემ უპასუხეს სინედრიონის წევრებს, რომლებიც მათ ღვთის სჯულის ქადაგებას უკრძალავდნენ: „უკეთუ სამართალ არს წინაშე ღმრთისა თქვენი სმენა უფროს, ანუ ღმრთისა საჯეთ?“ (საქმე მოციქ. 4, 19) – ე.ი. განსაჯეთ, განა მართებულია ღმერთის წინაშე – თქვენ უფრო მოგისმინოთ, ვიდრე ღმერთს.

როგორია იმ შვილთა მისაგებელი, რომლებიც მშობლებს სათანადო პატივს არ სცემენ და არ ემორჩილებიან?

იმის გამო, რომ ჩვენში სულიერება სათანადო დონეზე არ დგას, მართლაც, ხშირად ხდება, რომ შვილები საკადრის პატივს არ სცემენ მშობლებს: ეკამათებიან, განიკითხავენ, უხეშად მიმართავენ, არ იჩენენ მათ მიმართ სათანადო ყურადღებას ავადმყოფობისა და მოხუცებულობის ჟამს და სხვა. ასეთი საქციელი ადამიანს დიდ ცოდვად ეთვლება და მოუნანიებლობის შემთხვევაში, ღვთის სამსჯავროს წინაშე წარდგომის დროს მოეკითხება კიდეც და ღვთისგან სათანადო სასჯელსაც მიიღებს. თუმცა, უფალი მათ ამქვეყნიური ცხოვრების დროსაც მოუვლენს სასჯელს, ავადმყოფობისა თუ სხვა განსაცდელის სახით, რათა დააფიქროს ადამიანი და გაახსენოს საკუთარი მოვალეობა უფლისა და მშობლების წინაშე. ამიტომ, როდესაც შვილი ხშირად სცოდავს მშობლების წინაშე, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მათ ნაკლოვანებას ხედავს, ვალდებულია, მოინანიოს და განიწმინდოს ამ ცოდვათაგან აღსარების საიდუმლოს გზით, რათა ღვთის მცნების დარღვევა მომავალ ცხოვრებაში, საუკუნო სასჯელად არ ექცეს. ხოლო შვილები, რომლებიც მეხუთე მცნებას ღვთის ნებისამებრ აღასრულებენ ანუ სიყვარულითა და მორჩილებით ეპყრობიან მშობლებსა და უფროსებს, ღმერთისგან ჯილდოდ, კეთილდღეობასა და დღეგრძელ ცხოვრებას მიიღებენ, სწორედ ამას ნიშნავს სიტყვები: „კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელ იყვე ქვეყანასა ზედა“. ■

„ბავშვობაში ძალიან მინდოდა, ძლიერი ქირურგი ვყოფილიყავი. სასწაულია, როცა შეგიძლია, სიცოცხლე შეუნარჩუნო ადამიანს... თუმცა, რაც დრო გადის, უფრო და უფრო ვრწმუნდები, რომ ჩემგან მსახიობის მეტი არაფერი გამოვიდოდა. 50 ფილმში ვარ გადაღებული, მაგრამ არც ერთს არ ახსენებს არავინ, მარტო „ღიმილის ბიჭები“ ახსოვთ. პოპულარობის თვალსაზრისით, დიდი როლი ითამაშა ამ ფილმმა ჩემს ცხოვრებაში“, — მითხრა 2 წლის წინ „გზისთვის“ ჩაწერილ ინტერვიუს დროს მსახიობმა თაზო თოლორაიამ. იმავე ინტერვიუში ის ამბობს: „ცხოვრება ისეა მოწყობილი, რომ მარტო იუმორი თუ გამოგიყვანს მდგომარეობიდან. ერთხელ ფრუნზიკ მკრტიჩიანმა მითხრა: თაზოჯან, единственный выход в этой жизни – это юмор. Надо дурака валять. იუმორია მთავარი ამ ცხოვრებაში“...

„...ალბათ მეც ვიგრძნობ, რომელ ძალიან-ძალიან მომენატრება“

ნათია თენიეშვილი

მარჯანიშვილის თეატრის ცნობილი მსახიობების კოტე თოლორაიასა და თამარ სხირტლაძის ერთადერთი შვილი შეიძლება ითქვას, თეატრში გაიზარდა. მისთვისაც მთავარი ცხოვრებაში თეატრი იყო. ბატონი თაზოს მოსაგონებლად, რა თქმა უნდა, კინომსახიობის თეატრს ვეწვიე — იმ თეატრს, სადაც მსახიობი დაარსების დღიდან სიცოცხლის ბოლომდე, 26 წელი მუშაობდა.

ბუნებრივია, მის კოლეგებს თვალზე ცრემლი ადგებათ, მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ „ღიმილის ბიჭის“ მოგონებას, ცრემლებთან ერთად, ხშირი ღიმილიც სდევს თან. და კიდევ ერთი — ყველა მისი მეგობარი აღნიშნავს, რომ ახლაც ყურში ჩაესმის თაზოს ხმა და მეტყველების სპეციფიკური მანერა.

გია აბესალაშვილი:

— სკოლის დამთავრების შემდეგ, 1979 წელს მოვედი თეატრში. ჯერ გამნათებლად ვმუშაობდი. მაშინ შევხვდით მე და თაზო ერთმანეთს და ძალიან დავმეგობრდით. საქეიფოდაც ერთად დავდიოდით. თუ სადმე დაპატიჟებდნენ, ჩვენც მივყავდით ხოლმე. ერთხელ, სიმონეთში ვიყავით წასული გასტროლებზე. 1982 წელია. იქიდან სასცენო კოსტიუმებში გამოწყობილები წამოვედით და ფუნიკულორზე გავაგრძელეთ ტაშ-ფანდური. ვიღაცებმა ჩხუბი ატეხეს და ვიტრინები დალეწეს. თაზომ თქვა — ვუშველოთ, დაიჭერენ მაგ საწყლებსო. ერთ-ერთი მოჩხუბარი, მისი ნაცნობი აღმოჩნდა. ძნელაძეზე მილიციაში გავყევით, ჩოხა-ახალუხში გამოწყობილები. ცხადია, ხანჯლებიც გვქონდა. მილიციელი ამბობდა — პირველად ხდება, რომ ცივიარაღიანი ხალხი მყავს მილიციაში და ვერ ვიჭერო... გამოვაშვებინეთ ის ბიჭი. რუსთავიდან იყო და სახლამდე მივაცილეთ... „ბაკულას ღორებში“ ერთ სცენაში ვთამაშობდით. რაღაც შეეშალა, დროზე არ გავიდა სცენიდან. კულისებში რომ გამოვიდა, ეკითხე — რატომ არ გამოდიოდი-მეთქი? — რა ვიცი, ძალიან სუსტად ვარო... წარმოიდგინეთ, ფილტვები წყლით ჰქონდა სავსე და ერთს არ დაიწუწუნებდა. მოვიდა და სპექტაკლი ითამაშა. ეს არის პროფესიონალიზმი და თეატრის დიდი სიყვარული. არავის დააბრკოლებდა თავისი ცუდად ყოფნის გამო. ბოლოს ძალიან ცუდად იყო. მეგობრები დაეხმარნენ და აღსარება თქვა, ეზიარა და ისე წავიდა ამ ქვეყნიდან... საერთოდ, არ იყო ეკლესიური ადამიანი, თან ცუდად იყო და როგორ გინდა უთხრა, მღვდელს მოგიყვანო?.. ჩვენი მეგობარი კოტე ლეკიშვილი, რომელიც ადრე, ჩვენი თეატრის მსახიობი იყო და თაზოსთან ერთად იდგა სცენაზე, ახლა მღვდელია. კოტე მივიდა, მოიკითხა, მერე უთხრა — მოდი, აღსარება თქვი, არასდროს გითქვამსო. კოტემ მოიყვანა ჩვენი მამაო, მამა მიქაელი. სხვათა შორის, მასაც აქვს ნათამაშები კინოში, ფილმში — „უკვდავების თეთრი ვარდი“, პრინცის როლს ასრულებს. თაზო ძალიან აგვყვა ამ ამბავში, ჩამოგვაწერინა ლოცვები, მოემზადა აღსარებისთვის... მამა მიქაელი 20 წუთზე მეტხანს ელაპარაკა, აზიარა კიდეც. რა სჭირდა კონკრეტულად, არ იცოდა. მაგრამ უკეთესობა რომ არ იყო და უფრო და უფრო მძიმდებოდა მისი მდგომარეობა, ამას კი ხედავდა...

რუსუდან გოლძვაძე:

— თეატრში რომ მივედი, თაზო და ზურა ყიფშიძე იყვნენ პირველები, ვინც გვერდში დამიდგნენ. ძალიან დავმეგობრდით მე და თაზო. სულ ამბობდა — მე და არ მყავს და რუსიკო არის ჩემი დაო. 22 წელი შეუჩერებლივ ვთამაშობდით სპექტაკლს — „ბნელ ოთახში“. მიხეილ თუმანიშვილს ძალიან მოსწონდა და უყვარდა ეს სპექტაკლი. გასტროლებზე რა ქვეყანაშიც ჩავიდოდით, იმ ენაზე ვსწავლობდით ფრაზებს და ნათამაშები გვაქვს რუსულად, ესპანურად, ინგლისურად, ლატვიურად და ა.შ. ეს ვოდევილია და, რა თქმა უნდა, ხშირად მივმართავდით იმპროვიზაციას. ყოველ სპექტაკლზე თაზო რაღაც ახალს იგონებდა. არც მე ვაკლებდი და ის ამას დიდი აღტაცებით იღებდა. შეჯიბრი გვქონდა გაჩაღებული: სპექტაკლის ბოლოს, ჩარლსტონს ვცეკვავდით; ერთ-ერთ მომენტში, ერთმანეთთან ახლოს მივდიოდით და ხან მე ვბრუნდებოდი მაყურებლისკენ ზურგით, ხან — თაზო; როცა მე ვიყავი ზურგით და თაზოს ვუყურებდი, ვეუბნებოდი — ერთით ნული; მოტრიალდებოდა და მეტყოდა — დღეს მოგიგეო, — და ა.შ. თაზოს საოცარი იუმორი ჰქონდა, ოპტიმისტი და კეთილი კაცი იყო. შეყვარებული იყო ამ თეატრზე და ბოლო წუთამდე მისი ფიქრი სწორად აქ დაფრინავდა. ბოლოს მასთან ხშირად დავდიოდით, მაგრამ ოთახში არ შევდიოდით: ცუდად იყო და უცებ იღლებოდა... ბოლო დღეს რომ მივედი, ჩემდა საბედნიეროდ, შევედი, მოვახერხე და დავემშვიდობე. ძალიან ბევრი ვეფერე — ჩემო კარგო, ძალიან მიყვარხარ-მეთქი... — რა იყო, რამ გაგაგიჟაო?! — ლუღლუღებდა. — მომენატრე; მიყვარხარ, არ შეიძლება, მოგეფერო-მეთქი?.. — მეც მიყვარხარ, მაგრამ ასე კი არ ვყვირიო, — მითხრა და — აბა, ვაჟკაცურად იყავიო! — დაამატა... არ ვიცი, ეს რას ნიშნავს. ხომ ამბობენ, რომ ყველა შენობას თავისი ანგელოზი ჰყავს. ამ შენობის მფარველი ანგელოზი და კეთილი სული თაზო იქნება.

ზურაბ ყიფშიძე:

— მე და თაზო ერთად გავიზარდეთ. პლეხანოვზე მეზობლები ვიყავით. ჩვენი

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალის უბის წიგნაკიდან:

1. „ნოკია“ ფინური ფირმაა.
2. ქოლგა ჩინეთში გამოიგონეს.
3. არმსტრონგი მომღერალ დაიდოს გვარია.

4. პირველი ტელესკოპი გალილეო გალილეიმ 1609 წელს შექმნა.
5. მოსკოვის ცირკი „ცვეტნოი ბულვარზე“ იური ნიკულინის სახელობისაა.
6. 1976 წელს აშშ-ში შეწყდა ორდოლარიანი კუპიურების გამოშვება.
7. თესპისი მსოფლიოს ისტორიაში პირველ მსახიობად არის მიჩნეული.
8. ბილიარდის მოთამაშეები ბურთულას, რომელზეც ერთიანია გამოსახული, ტუზს ეძახიან.
9. ანტარქტიდის მახლობლად მობინადრე თევზების სისხლის ტემპერატურა –1,7 გრადუსამდე ეცემა.
10. აკადემიკოს გიორგი წერეთლის ინგლისელი მეუღლე დორა, გელა ჩარკვიანის ინგლისურის პედაგოგი იყო.
11. ლონდონი–ნიუ-იორკი ყველაზე დატვირთული საჰაერო მარშრუტია: ამ ხაზით ყოველწლიურად 3,3 მილიონი მგზავრი სარგებლობს.
12. ჩვეულებრივი ობობა სიცოცხლის განმავლობაში იმდენ აბლაბუდას ქსოვს, რაც ბრუკლინის ხიდს სამჯერ დაფარავდა.
13. „ონ პაკაზალ პრატივნიკუ კუზკინუ მატ“, – ამბობდნენ ჟურნალისტები ფეხბურთელ ვიქტორ კუზკინის შესახებ.
14. პირველი ტკივილგამაყუჩებელი საშუალება ანტიპირინი 1883 წელს გერმანელმა ქიმიკოსმა და ექიმმა კნორმა დაამზადა.
15. კინემატოგრაფიაში ყველაზე პოპულარული ლიტერატურული გმირი შერლოკ ჰოლმსია: სახელგანთქმული მაძებარი, 1900 წლიდან დაწყებული, 75-მა მსახიობმა 211-ზე მეტ ფილმში განასახიერა.
16. ელენა დიმიტრის ასული დიაკონოვა, სანამ სალვადორ დალის მეუღლე გახდებოდა, ფრანგი პოეტის პოლ ელუარის ცოლი იყო.
17. ყველაზე დიდი მოთხოვნით მსოფლიოში აგატა კრისტის დეტექტივები სარგებლობს: მისი 78 რომანი 2 მილიარდ ეგზემპლარად 44 ენაზეა გამოცემული.
18. პრეპარატი პანტოკრინი, რომელსაც სხვადასხვა დაავადებისას ტონუ-

ყოველ სპექტაკლზე თაზო რაღაც ახალს იგონებდა. არც მე ვაკლებდი და ის ამას დიდი აღტაცებით ილებდა. შეჯიბრი გვქონდა გაჩაღებული... რუსულან ბოლქვაძესთან ერთად

მშობლები, კოლეგები და ახლობლები იყვნენ. მოსკოვში რომ ვსწავლობდი, იქაც ჩამოდიოდა ჩემთან, აქაც, კინომსახიობის თეატრშიც ერთად ვიყავით. მთელი ცხოვრება ერთად გვაქვს გავლილი. ვიპარებოდით ხოლმე, „პაბეგებში“ დავდიოდით... არაჩვეულებრივი მამა ჰყავს... ძალიან ძნელია, როცა ბუნების კანონი ირღვევა და მამა ასაფლავებს შვილს. ბატონი კოტე მართლა გამორჩეული მამა იყო. იმ „პაბეგებში“ ჩამოდიოდა და გვეუბნებოდა – მე ნუ მაქცევთ ყურადღებას, ვითომ აქ არა ვარო... თაზო ძალიან ჯანიანი იყო. 10 წლის წინ, ავარია მოუვიდა: ის რომ არ მომხდარიყო, კიდევ ბევრს გაუძლებდა მისი ორგანიზმი. მე სულ რაღაცები მტკიოდა და მეძახდა – შე ჭირიანოო!.. კიევში ჩამოვიდა ჩემთან, დროს სატარებლად და მეორე დღესვე, 40 მისცა სიცხე. მანიშნა, რაღაც მტკივაო. მე ვუთხარი – მაგის ბრალი



ხომ ამბობენ, რომ ყველა შენობას თავისი ანგელოზი ჰყავს. ამ შენობის მფარველი ანგელოზი და კეთილი სული თაზო იქნება... მისეულ თუმანიშვილთან ერთად

არ არის, ეს პარაპროქტიტია-მეთქი. – გიჟი ხარ შენო, – მითხრა. ჩამოვიდა თბილისში და მუხაშავრიამ პარაპროქტიტის ოპერაცია გაუკეთა... გაგიჟდა. ამის შემდეგ დამარქვა – „თეატრის მთავარი გინეკოლოგი“. რატომ გინეკოლოგი, არ ვიცი. მე ჟან-პოლს ვეძახდი. სპექტაკლში – „დარაბებს მიღმა გაზაფხულია“ – ბელმონდოს ტრიუკი გვქონდა გაკეთებული. მაღალი დეკორაცია იყო, თაზო იქიდან ვარდებოდა, წინ მე ვიყავი ჩაცუცქული, ის რომ ჩამოვარდებოდა, მე ავძვრებოდი და ვამბობდი – Я еще не докурил свою последнюю сигарету. ამის მერე ერთხელ, ხელფასს ვიღებდით და მოაწერა ხელი – ჟ.პ.ბ. ეს რა არის-მეთქი? – ვკითხე. ჟან-პოლო, – მიპასუხა. ბელმონდო უყვარდა ძალიან... ვიპარებოდით-მეთქი, რომ ვთქვი, ერთი შემთხვევა გამახსენდა: მე, თაზო და მერაბ ხარაძე გავიპარეთ. მერაბი პირველი იყო ჩვენს სამმაკაცოში, ვინც დაიღუპა... მოკლედ, სამნი ვართ, მატარებელში დილით გავიღვიძეთ და ფანჯრიდან ვხედავთ, ყველა ჭიშკარზე სამი მტრედია გაკეთებული. ამაზე ბევრი ვიცინეთ; სამტრედიაში იმიტომ მივდივართ, რომ სამი მტრედი ვართ-თქო. ბილეთები იქამდე გვქონდა და მატარებლიდან ჩამოგვყარეს... ძალიან ძნელია მისი გახსენება: უახლოესი ძმაკაცი იყო, მოსაგონარი ბევრია და არ იცი, რა უნდა მოჰყვე...

ცოტნე ნაკაშიძე:

– ჩემდა სამწუხაროდ, საქართველოში არ ვარ, ანკარაში ვმუშაობ, უნივერსიტეტში ვასწავლი. ისინი, ვინც აქ არიან, გებულობენ, რომ ვიღაც ავად ხდება, მდგომარეობა რთულდება და რაღაცნაირად უფრო იოლად ეგუებიან ასეთ რაღაცებს. მე ჩამოვედი და ფაქტის წინაშე დავდექი. რამდენიმე დღე ჰქონდა დარჩენილი. მასთან ვიყავი ის დღეები. ბოლო მომენტამდე, გონებაზე იყო. ჩვენ რომ ვლაპარაკობდით, მასაც უნდოდა, რომ ჩართულიყო ლაპარაკში, მაგრამ ენერგია აღარ ჰქონდა და თუ შეწუხდებოდა – გადითო, – გვეუბნებოდა... მე როგორც რეჟისორს რამდენიმე სპექტაკლზე მუშაობისას მქონდა მასთან ურთიერთობა. ძალიან დამყოლი და ამავე

მე თითქმის თაზოს გაზრდილი ვარ. ვხუმრობ ხოლმე – დედას არც გაუგია, სკოლაში როგორ დავდიოდი-მეთქი

დროს პრინციპული იყო, თავის მოსაზრებას ძალიან რბილად გამოთქვამდა, მაგრამ ბოლომდე გაიტანდა... სპორტული კაცი იყო, სულ ვარჯიშობდა. ვიღაც ჰყვებოდა – კიევში ჩასულა გადაღებაზე, ჩემოდანი გაუხსნია და შიგ ორი წინდა, ერთი მაისური და ჰანტელები ედოო... იმ დღეს ვეძებდი გაზეთს, რომელშიც თაზოზე იყო დაბეჭდილი წერილი. ჯიხურის გამყიდველ ქალს, რომელიც რაღაცას კითხულობდა, ვკითხე – ხომ არ გაქვთ ეს გაზეთი-მეთქი? – არა, ეს ერთი მაქვს (თურმე, სწორედ ის გაზეთი ეჭირა ხელში) და ვკითხულობ, ნახე, „ღიმილის ბიჭი“ გარდაცვლილაო, – თან ტიროდა... ალბათ ეს არის ყველაზე ფასეული, როცა უცხო ადამიანის ცრემლი გაგყვება...

ბატონ თაზოს ორი შვილი – რუსუდანი და თაკო და ორი შვილიშვილი – 13 წლის დიმიტრი და 6 წლის ნინო დარჩა. მისი გახსენება თაკოს ვთხოვეთ.

თაკო თოლორაია;

– მე თითქმის თაზოს გაზრდილი ვარ. ვხუმრობ ხოლმე – დედას არც გაუგია, სკოლაში როგორ დავდიოდი-მეთქი: დილით თაზო მაღვიძებდა, მასაუზმებდა და სკოლაში მივყავდი... ძალიან ვმეგობრობდით. ფანატიკური დამოკიდებულება მქონდა მის მიმართ. თვითონაც მეუბნებოდა ბოლოს – მე და შენ ხომ სხვანაირი მამაშვილობა გვაქვსო?!. ძალიან მიყვარდა მასთან ერთად ფეხით სეირნობა. ჯერ ის მსიამოვნებდა, ქუჩაში რომ ცნობდნენ, უღიმოდნენ და ა.შ. გარდა ამისა, ცდილობდა ჩემს გახალისებას: შეეძლო, უცებ დაეწყო ქუჩაში ცეკვა, სიმღერა, სირბილი და ა.შ. პატარა ბავშვივით. მე ვეხვეწებოდი: გთხოვ, გაჩერდი-მეთქი! – მრცხვენოდა და თან ვხალისობდი... თუ ცუდ ხასიათზე იყო, მაშინ ხელების ქნევით შეეძლო, ბოლო ხმაზე ეყვირა და ეჩხუბა. მაშინ გავრბოდი ხოლმე... მოკლედ, ძალიან ვერთობოდი მასთან ერთად სიარულით. ბოლო დროს, ღამღამობით ვლაპარაკობდით ხოლმე ძალიან დიდხანს. საუბარი სტალინიდან იწყებოდა: მაგარი სტალინისტი იყო. რამდენჯერაც შუქი ჩაქრებოდა, იმდენჯერ იძახდა – სტალინი იყოს ახლა ცოცხალიო!.. ბოლოს, უკვე ჩემს რაღაცებს შევაპარებდი, რომ მისი რეაქცია გამეგო. როცა გათხოვება გადავწყვიტე, ჯერ დედას ვუთხარი. იმან უთხრა თაზოს. ძალიან ინერვიულა, მაგრამ წინააღმდეგობა არ გაუწევია. 14 მაისს მქონდა ნიშნობა, 6 ივნისს ქორწილი უნდა მქონოდა. მოვემზადე, კაბა შევიკერე. არ ვიცოდი, რა სჭირდა, 4-ში გავიგე. ჩემი ნიშნობის დღეს უკვე ცუდად იყო. გადიგამოდიოდა. წავიდოდა და დაწვებოდა, მერე ისევ გამოვიდოდა... ჩემს ქმართან, გიორგისთან დიდი ხნის ურთიერთობა არ ჰქონია, მაგრამ მისი შეყვარება მოასწრო... საავადმყოფოში ძალიან დაუახლოვდა ექთანებს. ყველასი ყველაფერი იცოდა. რომ მივიდოდი, მიყვებოდა – ამას ქმარ-შვილი ჰყავს, ის იქ სწავლობსო და ა.შ. რომ წამოვიყვანეთ სახლში, ვეუბნებოდი – ამ ექთანებს როგორ შეელევი-მეთქი?!. – რატომ შეველევი? – მოვაკითხავ ხოლმე, სპექტაკლზე დავპატიჟებო. იყო კიდეც ამის გამკეთებელი. დიაგნოზი რომ გავიგე, თითქოს უნდა შევგუებოდი, მაგრამ ასე არ არის, დღემდე არ მჯერა, არ მაქვს გაცნობიერებული... ამას ალბათ მერე უფრო ვიგრძნობ, როცა ძალიან-ძალიან მომენატრება... ■



მის კოლეგებს თვალზე ცრემლი ადგებათ, მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ „ღიმილის ბიჭის“ მოგონებას, ცრემლებთან ერთად, ხშირი ღიმილიც სდევს თან...

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალის უბის წიგნაკიდან:

სის ასაწევად იყენებენ, ირმის რქისაგან მზადდება.

19. რუსეთში 8 იანვარი სამშობიარო სახლების მუშაკთა პროფესიული დღესასწაულია. ამ დღეს ეკლესიურად, ბებიაქალთა ხსენების დღეა.

20. 1993 წლის 11 დეკემბერს ნიუიორკში, სოთბის აუქციონზე იტალიელმა ალბერტო ბოლაფიმ ერთ დეპეშაში 68.500 დოლარი გადაიხადა. ეს დეპეშა ნიკიტა ხრუშჩოვის მიერ იყო გაგზავნილი: ცეკას პირველი მდივანი იური გაგარინს კოსმოსში გაფრენას ულოცავდა.

21. სტივენ სპილბერგის „იურული პერიოდის პარკის“ სარეკლამოდ, 68 მილიონი დოლარი დაიხარჯა, რამაც თავად ფილმის ხარჯებს გადააჭარბა.

22. ჯეკი ჩანს რეკორდული რაოდენობის ტრიუკები აქვს შესრულებული: იგი 70-მდე ფილმშია გადაღებული. არც ერთი სადაზღვევო კომპანია არ აზღვევს ფილმს, რომელშიც ჯეკი ჩანი ასრულებს ტრიუკებს.

23. 1795 წელს საფრანგეთის მთავრობამ დააარსა 12-ათასფრანკიანი პრემია, კვების პროდუქტების ხანგრძლივი შენახვის საშუალების გამოგონებისთვის, რაც მას არმიის მომარაგებისთვის სჭირდებოდა. 1810 წელს ჯილდო ნიკოლა აპერმა მიიღო – მან ადუღების გზით ჰერმეტულად დახურულ ჭურჭელში საკვების შენახვის საშუალება გამოიგონა. P.S. სახელგანთქმული ბულიონის კუბურების მოყვარულნიც, მათ არსებობას ნიკოლა აპერს უნდა უმადლოდნენ.

24. რამდენიმე წლის წინ დასავლეთის ერთ-ერთი სატელეფონო კომპანია დადგა პრობლემის წინაშე: ტარიფის გაუზრდელად როგორ მიეღწია იმისთვის, რომ ხალხს ცოტა ხანს ელაპარაკა სატელეფონო ჯიხურებიდან. პრობლემა ასე გადაჭრეს: ტელეფონის ყურმილები ისე დაამძიმეს, რომ მოსაუბრე მალე იღლებოდა მისი ხელში ჭერით და საუბარს ჩვეულებრივზე უფრო სწრაფად ამთავრებდა.

25. მეორე მსოფლიო ომის საბრძოლო მოქმედებებმა ეგვიპტის პირამიდების წინ მდგარი სფინქსის ქანდაკების წვერი შეიწირა. მომტვრეული ნაწილი ინგლისელებმა მიითვისეს და თავიანთ სამშობლოში გადააგზავნეს. ■

მსოფლიო ექსჩემპიონი კრივში მუჰამედ ალი დღემდე საყოველთაო ყურადღების ცენტრში იმყოფება, თუმცა მისგან ინტერვიუს აღება მაინც შეუძლებლად ითვლება. უკვე 20 წელზე მეტია, რაც პლანეტის ყველაზე სახელგანთქმული მოკრივე ცენტრალური ნერვული სისტემის უმძიმესი სენით — პარკინსონით იტანჯება. მას კიდურები მუდმივად უკანკალებს, უჭირს ლაპარაკი და საუბრისას ხშირად ეძინება. მიუხედავად ამისა, ალი ბედს მაინც არ ეპუება და საკმაოდ აქტიურ ცხოვრებას ეწევა. ის ერთდროულად რამდენიმე საქველმოქმედო ორგანიზაციას ხელმძღვანელობს.



ინტერვიუ, რომელსაც გთავაზობთ, მაიკ ტაისონისა და დენი უილიამსის მატჩამდე ცოტა ხნით ადრეა ჩაწერილი. ინტერნეტის საშუალებით კრივის ცოცხალ ლეგენდასთან გასაუბრება ერთ-ერთმა უცხოელმა ჟურნალისტმა მოახერხა, თუმცა ის ალის ახლობლებისგან წინასწარ იყო გაფრთხილებული, რომ საუბრისას, ათლეტის ავადმყოფობის შესახებ კრინტიც არ უნდა დაეძრა.

ქალიშვილმა „ულამაზეს ქალებში“ ჰეავიჩმეტ სმაილვეის ეს გამოთ

— უკვე 23 წელია, რაც რინგზე აღარ გასულხართ. როგორ უყურებთ დღეს კრივს?

— ცხადია, დაკვირვებით ვადევნებ თვალს ყველა ჩემპიონატს. ხანდახან, როდესაც კრივს ტელევიზორში ვუყურებ, უჩვეულო რეაქცია მაქვს — ხელს ჰაერში სწორედ იმ მომენტში ვიქნევ, როდესაც გადამწყვეტი დარტყმის განხორციელებაა ხოლმე საჭირო...

— მართალია, რომ თქვენ დღემდე საკუთარ თავს უდიდეს მოკრივედ მიიჩნევთ?

— სწორედ ასეა. ჯანმრთელი რომ ვიყო, ღირსეული მეტოქე უბრალოდ, არ მეყოლებოდა...

— ვისთან შეხვედრას ისურვებდით რინგზე?

— ჯო ფრეზერთან. ჩემს სიცოცხლეში მხოლოდ სამჯერ მაქვს ორთაბრძოლა წაგებული — ერთ-ერთი მათგანი სწორედ ფრეზერთან, 1971 წელს. 4 წლის შემდეგ იგი მატჩ-რევანშზე გამოვიწვიე. ორთაბრძოლა ფილიპინებზე გაიმართა და მას „მანილის სასაკლაო“ უწოდეს. ჯომ 14 რაუნდი გამიძლო და მისი ნოკაუტირება ვერ შევძელი. მას შემდეგ, სულ ეს მესიზმრება. ცოლი კი მეუბნება, რომ ძილში ხშირად ვიქნევ ხელებს და ფრეზერის სახელის ძახილის თანხლებით მისთვის დარტყმის მიყენებას ვცდილობ.

— მაიკ ტაისონთან შეხვედრას არ ისურვებდით?

— ეს ჩემთვის უინტერესოა, რადგან ტაისონს იოლად დავამარცხებდი. ის ჩემთან ბრძოლისას ერთ რაუნდსაც ვერ გაუძლებდა, რადგან პირველსავე დარტყმით ძირს დავცემდი. არსებობენ მეტოქეები, რომლებსაც იგი ყურს მოაჭამს, მაგრამ არიან ისეთი მოკრივეებიც, რომლებსაც მაიკისთვის თავის „მოჭმა“ არ გაუჭირდებათ.

— რამდენიმე წლის წინ, თქვენმა ქალიშვილმა ლეილა ალიმ, რომელიც ქალთა კრივში იკეთებს კარიერას, ორთაბრძოლაში ჯო ფრეზერის შვილი — ჯეკი დაამარცხა. ალბათ მომავალში უკვე თქვენი შვილიშვილები შეხვდებიან რინგზე ერთმანეთს...

— მეც იგივე აზრი დამებადა მაშინ, როდესაც ლეილამ მაცნობა, რომ რინგზე ჯეკის უნდა დაჰპირისპირებოდა. მისი იდეა მაშინვე არ მომეწონა და არც ამ მატჩს დავსწრებივარ. ლეილა იმავე ილეთებს იყენებდა, რომლებსაც მე ჯო ფრეზერთან შეხვედრისას და მანაც ვერ შეძლო მეტოქის ნოკაუტში გაგზავნა. როგორც ჩანს, გამძლეობა ფრეზერებს ძვალ-რბილში აქვთ გამჯდარი.

— ჩვენს დროში კრივს ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს: მას სპორტის ყველაზე სისხლიან სახეობად მოიხსენიებენ, რომელშიც ერთმანეთს თანამედროვე გლადიატორები უპირისპირდებიან. მაყურებლების ბრბო უყურებს, თუ როგორი სისასტიკით ურტყამს ორი ათლეტი ერთმანეთს, რომლებიც ხშირად გონსაც კარგავენ. ბევრ მოკრივეს კი, ტვინის ხშირი შერყევის გამო, ჯანმრთელობასთან დაკავშირებით მძიმე პრობლემები ექმნება.

— მე ჯერ კიდევ კარგა ხნის წინ განვმარტე, თუ რა არის კრივი: ესაა სპორტი, რომელშიც უამრავი თეთრკანიანი ფულს იხდის იმისთვის, რომ ორმა შავკანიანმა ერთმანეთს ცხვირ-პირი დაუნგრიოს. მაგრამ კრივი რომ აიკრძალოს კიდეც, ხალხი მატჩების მოწყობასა და მათ ყურებას მაინც მოახერხებს, რადგან ასეთია ადამიანის ბუნება. ეს უკვე იატაკქვეშა ორთაბრძოლები



მას კიდურები მუდმივად უკანკალებს, უჭირს ლაპარაკი და საუბრისას ხშირად ეძინება



ის ჩემთან ბრძოლისას ერთ რაუნდსაც ვერ გაუძლებდა, რადგან პირველსავე დარტყმით ძირს დავცემდი

იქნება, რომლებიც კიდევ უფრო მეტი სისასტიკით წარიმართება.

— ცხოვრებაში რაიმეზე თუ გწყდებათ გული?

— რა თქმა უნდა. ცხოვრება თავიდან რომ გამევლო, ისლამს 10 წლის ასაკში მივიღებდი. კიდევ იმაზე მწყდება გული, რომ ადრე გამართულ მატჩებში ჯო ფრეზერს შეურაცხყოფას ვაყენებდი, როდესაც ვეუბნებოდი — მახინჯები ჩემპიონები არ ხდებიან-მეთქი. 30 წლის შემდეგ, ჯოს ბოდიში მოვუხადე და მანაც მაპატია.

— ერაყში მიმდინარე ომს როგორ აფასებთ?

— უარყოფითად. ყოველგვარი ომის წინააღმდეგი ვარ და სწორედ ამიტომ არ წავედი თავის დროზე ვიეტნამში, თუმცა ამისთვის თავისუფლების აღკვეთით მემუქრებოდნენ და ჩემპიონის ტიტულიც ჩამომართვეს. ჩემთვის ეს ორმაგი დარტყმა გახლდათ. ამერიკელი ვარ და ძალიან განვიცდი, როდესაც ვიგებ, თუ როგორ იღუპებიან ჩემი ქვეყნის ჯარისკაცები ერაყში. ხოლო როგორც მუსლიმანს და უბრალო ადამიანს, მშვიდობიანი ერაყელებიც მეცოდებიან.

— ამბობენ, 1978 წელს, როცა მოსკოვს ეწვიეთ, თქვენმა მაშინდელმა ცოლმა საბჭოთა კავშირში გამართული ყოველი მიღებიდან სუფრის ვერცხლეული მოიპარაო, მართალია?

— ის ამ მხრივ მართლაც, „ხელმარჯვე“ გახლდათ. მან არა მხოლოდ მისტერ ბრეჟნევი გაძარცვა, არამედ მეც. სხვათა შორის, ჩემი ყველა ყოფილი ცოლი ქურდი იყო და ჩემს პირველ განქორწინებასაც დღემდე ყველაზე მძიმე მომენტად მივიჩნევ.

— ყველაზე დიდ მიღწევად რაღას თვლით?

— იმას, რომ ისლამი მივიღე. თავიდან რეპორტიორები ჩემს ახალ სახელს იგნორირებას უკეთებდნენ და ძველს — კასიუს კლეის მეძახდნენ. მე კი თითოეულ მათგანს მკაცრად ვახსენებდი: „მე სხვა სახელი მქვია!“ სამაგიეროდ, დღეს მთელი მსოფლიო მუჰამედ ალის სახელით მიცნობს.

— როგორ ატარებთ ამჟამად დროს?

— სხვადასხვა ჟანრის წიგნს ვკითხულობ. ჩემი საყვარელი საკითხავი კი, „ყურანია“. ახალგაზრდობაში კითხვა მაინცდამაინც არ მიყვარდა — ასე რომ, დღეს დაკარგულის დაბრუნებას ვცდილობ... გაჭირვებულებს ვეხმარები, თუმცა მეუღლე მეჩხუბება, როდესაც ხედავს, რომ ქუჩაში მჯდომ უსახლკაროს ვაძლევ ფულს. ბავშვებისთვის სპორტულ დარბაზებს ვაშენებ, იმიტომ, რომ როდესაც პატარა ვიყავი, დარბაზში სავარჯიშოდ არ მიშვებდნენ — ყველგან გამოკიდებული იყო აბრა, რომელზეც ეწერა: „მხოლოდ თეთრკანიანთათვის“. მაგრამ დღეს ჩემი ცხოვრების მთავარი მიზანი, ღმერთის დიდება და ისლამის პროპაგანდაა.

ჩემი ქალიშვილი ლეილა იმავე ილეთებს იყენებს, რომლებსაც მე...

— მთელი კარიერის მანძილზე მხოლოდ სამჯერ დამარცხებულხართ. როგორი რეაქცია გქონდათ ამაზე?

— ცხადია, მარცხი არ გამხარებია, მაგრამ ვიცოდი, რომ გამარჯვებისთვის ყველაფერი გავაკეთე და ძალისხმევა არ დამიშურებია. და თუ მაინც წავაგე, ეს იმას ნიშნავს, რომ ღმერთს ასე სურდა.

— დაბოლოს: თქვენი აზრით, რა აკლია თანამედროვე კრივს?

— მუჰამედ ალის ბრძოლები...

P.S. მუჰამედ ალი (ნამდვილი სახელი — კასიუს კლეი) ქალაქ ლუისვილში 1942 წლის 17 იანვარს დაიბადა. 18 წლის ასაკში იგი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა, ხოლო 22 წლისამ, ჩარლზ ლისტონი დაამარცხა და მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. „ის პეპელასავით დაფარფატებს და ფუტკარივით იკბინება“, — წერდნენ გაზეთები კასიუსის შესახებ. იმავე წელს კლეი ექსტრემისტული დაჯგუფების — „შავი მუსლიმანების“ წევრი გახდა და მუჰამედ ალი დაირქვა. 1974 წლისთვის უკვე სუპერვარსკვლავად აღიარებულ ალის, 25 სატიტულო ორთაბრძოლა ჰქონდა მოგებული. შემდეგ მან კინშასაში ჯორჯ ფორმენი, ხოლო მანილაში — ჯო ფრეზერი დაამარცხა. 1981 წელს ალი დიდ სპორტს გამოეთხოვა, ხოლო სულ მალე, მას პარკინსონის დაავადება აღმოაჩნდა. ■

რკინის მაიკის ეპოქა დასრულდა

რამდენიმე დღის წინ ლუისვილში (კენტუკის შტატი) 18 ათასი მაყურებლის თვალწინ გამართულ მატჩში ბრიტანელმა დენი უილიამსმა მეოთხე რაუნდის მესამე წუთზე ნოკაუტში ჩააგდო მაიკ ტაისონი. ძლიერი დარტყმების მიღების შემდეგ, ამერიკელი მძიმეწონოსანი რინგზე დავარდა და ორთაბრძოლის გაგრძელება ვეღარ შეძლო. არადა, პირველ რაუნდში ის საკმაოდ მწვავედ უტევდა მეტოქეს და ერთ-ერთ მომენტში, უილიამსი კინაღამ ნოკდაუნშიც აღმოჩნდა. „ყველას დავუმტკიცე, რომ ნამდვილი მებრძოლი ვარ. მან მატჩის დასაწყისში რამდენიმე ძლიერი დარტყმა მომაყენა, მაგრამ სამაგიერო მალევე გადავუხადე. ჩემს გამარჯვებაში დარწმუნებული ვიყავი. ვიცოდი, რომ ტაისონზე გამარჯვება შემეძლო“, – თქვა შეხვედრის შემდეგ უილიამსმა, რომელსაც ეგონა, რომ მეტოქე გონზე მოსვლისთანავე მოითხოვდა მატჩ-რევანშის გამართვას, მაგრამ მაიკს ამის თავი ნამდვილად არ ჰქონდა. იგი გამოკვლევის ჩასატარებლად მალე წაიყვანეს საავადმყოფოში. „რკინის მაიკის“ მწვრთნელის ფრედი როაჩის თქმით, ამერიკელ მძიმეწონოსანს პირველსავე რაუნდში, მუხლი უტკენია. რაც შეეხება უშუალოდ ორთაბრძოლას – როაჩი იმითიც კი ამაყობს, რომ ტაისონი რინგზე გამოვიდა. „დენიმ ყველა გაგვაკვირვა, – ამბობს იგი, – მან გალახა მაიკი, რომლისგანაც ბევრი რამ ჰქონდა ნასწავლი. დენიმ დაამტკიცა, რომ ორთაბრძოლის კარგ გეგმას დიდი მნიშვნელობა აქვს“. შეგახსენებთ, რომ ტაისონი პროფესიონალურ რინგზე 17-თვიანი პაუზის შემდეგ დაბრუნდა. ბრიტანელ ლენოქს ლუისთან მარცხის შემდეგ, სკანდალისტი მძიმეწონოსნის ქომაგები დარწმუნებული იყვნენ, რომ მათი კერპი დიდებას დაიბრუნებდა. ასეთი განწყობის შექმნას თავად მაიკის განცხადებებიც უწყობდა ხელს, რომელიც ამა თუ იმ რანგის ჩემპიონებს „დუელში იწვევდა“ (მათ შორის, უკრაინელი ვიტალი კლიჩკოც მოხვდა). მაგრამ უილიამსთან გამართულმა მატჩმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ მრისხანე ტაისონის ეპოქა დასრულდა (38 წლის ამერიკელ მოკრივეს დღემდე ჩატარებული 57 ორთაბრძოლიდან, 50 აქვს მოგებული, მათ შორის 44 – ნოკაუტით). რაც შეეხება 31 წლის დენი უილიამსს, რომელსაც აქამდე არც ევროპასა და არც ამერიკაში ფაქტობრივად არავინ იცნობდა, სულ 32 ბრძოლა აქვს მოგებული, აქედან 27 – ნოკაუტით. ბრიტანელმა სულ სამჯერ იწვნია მარცხი. საინტერესოა ისიც, რომ იგი ტაისონზე 15 კგ-ით მძიმე გახლავთ („რკინის მაიკი“ 105,7 კგ იწონის, ხოლო უილიამსი – 120,2 კგ-ს). აღნიშნული გამარჯვებით დენიმ კრივის მსოფლიო საბჭოს (IBU) ვერსიით საკონტინენტთაშორისო ჩემპიონის ტიტული დაიცვა. ■

რაიკონენი დაოჯახდა

McLaren-Mercedes-ის 24 წლის პილოტმა კიმი რაიკონენმა თავის პირად ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი გადადგა – ფინელ ფოტომოდელ ჯენი დალმანზე იქორწინა, რომელსაც ბოლო წლებში ხვდებოდა. ამბობენ, რომ ოჯახური მდგომარეობის შეცვლა ურყოფითად მოქმედებს „ფორმულა-1“-ის პილოტებზე, თუმცა მიხაელ შუმახერის მაგალითი ამ მოსაზრებას აბათილებს. ვნახოთ, რას იზამს რაიკონენი... ■

რუნი ორგული ყოფილა

უეინ რუნის დიდი უსიამოვნება შეემთხვა. მას შემდეგ, რაც ინგლისური ფეხბურთის ვარსკვლავის საცოლემ შეიტყო, რომ „ევერტონის“ ფორვარდს 2 წლის წინ, მეძავთან ჰქონდა ურთიერთობა, თავის რჩეულს უმალვე დაშორდა. 18 წლის კოლინ მაკლაგლინმა ნამდვილი სკანდალი მოაწყო, როდესაც გაიგო, რომ 2002 წლის დეკემბერში უეინს ვინმე შარლოტა გლოვერისთვის მომსახურების საფასურად, 140 გირვანქა სტერლინგი გადაუხდია. ამბობენ, რომ ამის გამო მაკლაგლინმა მწვავე კამათის დროს, რუნის ხელიც კი გაარტყა. „არ ვიცოდი, თუ ის ასეთი ორგული იყო“, – ამბობს შარლოტა გლოვერი.

აღსანიშნავია, რომ სწორედ იმ დღეს, როდესაც შარლოტასთან ერთობოდა, ფეხბურთელს საცოლისთვის სასიყვარულო შეტყობინებაც კი გაუგზავნია... ■

რონალდო მალე იქორწინებს

რონალდომ ბრაზილიური MTV-ის წამყვანსა და ცნობილ მოდელს დანიელა სისარელის ხელი სთხოვა. როგორც ჩანს, კიჭა ლამაზმანის ეროტიკულმა ფოტოებმა მოხიბლა. ბრაზილიურ საინფორმაციო საშუალებათა ცნობით, ფეხბურთის ვარსკვლავი 2 თვის შემდეგ, პარიზში იქორწინებს დანიელაზე და ალბათ „რეალის“ ფორვარდს პრიმერადივიზიონისა და ჩემპიონთა ლიგის სეზონის დაწყებაც ვერ შეაფერხებს. შეგახსენებთ, რომ რონალდო ერთხელ უკვე იყო დაქორწინებული. ბრაზილიელ ფეხბურთელ ქალს მილენე დომინგეშს ის 4-წლიანი თანაცხოვრების შემდეგ გაეყარა. კიჭას მილენესთან ვაჟიშვილი ჰყავს. განქორწინების შემდეგ, რონიმ არაერთი საყვარელი გამოიცვალა და წონაშიც საგრძნობლად მოიმატა. სხვათა შორის, მისი ქომაგები იმედოვნებენ, რომ ახალი მეგობარი გოგონა ფეხბურთელს ზედმეტი კილოგრამების დაკლებაში დაეხმარება. როგორც ცნობილია, მისი მომავალი მეუღლე ტრიატლონითაა გატაცებული და ყოველ დილით დარბის კიდეც. ■

რუბრიკა მოამზადა ალექსი რეხვიაშვილმა

Chrysler-ს შეცდომების გასწორება უნევს

კორპორაცია „დაიმლერ კრაისლერში“ შემავალი კომპანია იძულებული გახდა, დაიბრუნოს 2001–2004 წლებში წარმოებული PT Cruiser-ის მოდელის მანქანები: ამის მიზეზი, საჭის ჰიდროგამაძლიერებლის მაღალი წნევის მილაკის უსწორო განთავსება აღმოჩნდა. მილაკი გადაცემათა კოლოფს ეხახუნება და მისი ჰერმეტიზაციის დარღვევას იწვევს.

კორპორაციის მიერ შედგენილი პროგრამა საერთო ჯამში, 438 ათას მანქანას მოიცავს. მაგრამ ყველაზე ცუდი კომპანიისთვის ისაა, რომ ეს PT Cruiser-ის დაბრუნების პირველი შემთხვევა როდია: 2002 წელს, მწარმოებელს საწვავის დგუშის ჰერმეტულობის შეცვლა მოუხდა. ამერიკელმა ექსპერტებმა დაადგინეს, რომ არსებულ კონსტრუქციას ძრავას დანაყოფში ხანძრის გაჩენა შეეძლო.

რეტროს სტილში შესრულებული PT Cruiser დღესაც „კრაისლერის“ ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ მოდელად რჩება. ფართო პუბლიკის სამსჯავროზე ის პირველად, 1999 წლის იანვარში წარდგა და უმალ დიდი მოწონება ხვდა წილად. პრემიერიდან სულ ცოტა ხანში, კომპანიამ პოტენციურ მყიდველთა 300 ათასამდე განაცხადი მიიღო. სერიულ წარმოებაში ეს მოდელი 2000 წელს ჩაუშვეს და მოთხოვნამ ძალზე სწრაფად გადააჭარბა წინადადებას. PT Cruiser იმ მცირერიცხოვან ამერიკულ ავტონაწარმთაგანია, რომელსაც ევროპულ ბაზარზე ფართოდ ეტანებიან. ამ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, 2001 წელს „კრაისლერმა“ მისი გამოშვება ავსტრიის ქალაქ გრაცში მდებარე საწარმოში დაიწყო. PT Cruiser-ის ძირითადი საწარმოო ბაზა კი, მექსიკაში, ქალაქ ტოლუკაშია, საიდანაც აშშ-ის ავტობაზარი მარაგდება. ავსტრიული ქარხანა ამ მანქანებით ევროპასა და სხვა ბაზრებს (გარდა ლათინურამერიკულისა) უზრუნველყოფს. გრაცის ქარხნის სიმძლავრე ყოველწლიურად, 50 ათასი მანქანის გამოშვებას ითვალისწინებს.

■

იაპონური „ხაჯაზმით“ აღჭურვილი Pininfarina

იტალიურმა სადიზაინერო ფირმა Pininfarina-მ სპორტული მოდელი – Enjoy შექმნა. მისი დებიუტი რეტროავტომობილების ტრადიციულ დათვალიერებაზე – Louis Vuitton Classic – ინგლისის ქალაქ უადერსდონში შედგა. მანქანის კონსტრუქციაში გამოყენებულია ინგლისური სპორტული მოდელის – „ლოტუსის“ ალუმინისგან დამზადებული შასი და იაპონური „ტოიოტის“ ძრავა, რომლის სამუშაო მოცულობა 1,9 ლ-ს, ხოლო სიმძლავრე – 192 ცხ.ძ-ს შეადგენს. „ინჯოი“ აღჭურვილია 6-საფეხურიან გადაცემათა კოლოფით, რომელიც ასევე იაპონელმა ინჟინრებმა შეიმუშავეს. Pininfarina Enjoy-ის ორგვარი დანიშნულება აქვს: მისი ფრთები იოლად იხსნება და მანქანა ტიპურ სარბოლო მოდელად გარდაიქმნება. ამ ვარიანტში ის სულ 800 კგ-ს იწონის. სახურავახდილი მანქანის სალონი ნატურალური წითელი ტყავითაა გაწყობილი და ძვირად ღირებული აუდიოსისტემით – Bang&Olafsen-ითაა აღჭურვილი. უახლოეს მომავალში მწარმოებლები ამ მანქანის ბევრ ქვეყანაში ჩვენებას გეგმავენ. საქმე ის გახლავთ, რომ ფირმა Pininfarina 2005 წელს, თავის 75-წლიან იუბილეს აღნიშნავს და ამასთან დაკავშირებით, 75 Enjoy-ს გამოშვებას აპირებს.

■

Audi-ის ახალი ჯეესი



გერმანული ფირმა ემშვიდობება მოდელს – A6-ს და მის სპორტულ მოდიფიკაციას – Audi RS 6 Plus-ის წარმოებას იწყებს. მანქანა აღჭურვილი იქნება 8-ცილინდრიანი V ტიპის ძრავათი, რომლის სიმძლავრე 480 ცხ.ძ-ს ავითარებს. 100 კმ/სთ სიჩქარეს ის 4,6 წმ-ში, 200 კმ/სთ-ს – 18 წმ-ში აღწევს, ხოლო მისი მაქსიმალური სიჩქარე 280 კმ/სთ-ია, ამიტომ ბუნებრივია, მანქანა სიჩქარის ელექტროშემზღუდავითაა აღჭურვილი. რაც შეეხება საწვავის ხარჯს, ის ყოველ 100 კმ-ზე 15,7 ლ ბენზინს დაწვავს.

სპორტული „აუდი“ სრულამძრავიანია, ტრასებზე მის სტაბილურობას კი, ელექტრონული სისტემა – Dynamic Ride Control – უზრუნველყოფს. Audi RS 6 Plus სპორტული მოძრაობის მოყვარულთათვისაა განკუთვნილი, ამიტომ ხისტი საკიდარი აქვს. ავტომობილის ტირაჟი ლიმიტირებულია და 999 ცალით შემოიფარგლება. მისი მინიმალური ფასი 101.050 ევრო იქნება.

■

(დასაწყისი იხ. „გზა“ № 26-31)

მცოცავლის ინსტინქტი

რუსუდან ბერიძე

ახალგაზრდა ბიზნესმენ ანდრო სვანიძეს თავისი ბიზნესპარტნიორი შალვა ოშხერელი მცხეთაში, ნარკოტიკების გამსაღებლებთან სალაპარაკოდ ჩაიტყუებს. ანდროს თავისი თანამშრომელი და საყვარელი, დალი ხაჩიძე ახლავს თან. რესტორანში, სადაც ანდრო და შალვა მოდავეებს ხვდებიან, ვიღაც უმისამართო სროლას ატეხს და ერთ ტყვიას კინაღამ ანდროსაც მოარტყამს. პასუხად, ანდროც რამდენჯერმე გაისვრის ჰაერში. სწორედ იმწუთას, მეზობელ მაგიდასთან მჯდარი ახალგაზრდა კაცი იატაკზე უსულოდ დაეცემა. სროლის ხმაზე გასაკვირი ოპერატიულობით მოვარდნილი პოლიციელები ანდროს იარაღით ხელში დააკავებენ...

მას ეჭვმიტანილად ცნობენ და წინასწარი დაკავების იზოლატორში მოათავსებენ. ანდროს ფირმის ადვოკატი — არჩილ ხომასურიძე მოულოდნელად ავტოკატასტროფაში მოყვება. მისი რჩევით, დალი ხაჩიძე დახმარებისთვის თავის ძველ მეგობარს მეგი ლაღიძეს მიმართავს.

ანდროს საქმეს ადამიანების დაშანტაჟებაში დახელოვნებული გამომძიებელი სულიკო ჟვანია იძიებს. ის ანდროსაც მალე გამოიყვანს წონასწორობიდან: როცა ერთ-ერთი დაკითხვის დროს ირონიულად შენიშნავს — შენს ცოლყოფილს დაკითხვაზე ხშირად ვატარებო, — გაცოფებული ანდრო გამომძიებელს ყელში სწვდება... თავზარდაცემული მეგი ანდროს მკლავებში კივილით ჩააფრინდება: ხელი გაუშვი, არ შემოგაკვდესო! კივილზე ოთახში ბადრაგი შემოვარდება... იმავე დღეს, მოსამართლე, ანდროს წინასწარ სამთვიან პატიმრობას მიუსჯის.

მომხდარის შემდეგ შინ დაბრუნებულ დათრგუნვილ მეგის კარზე ყოფილი დიდი სიყვარული კახა სუთიძე მიადგება. კახა მეგის, ანდრო სვანიძის საქმეზე უარის თქმას სთხოვს, მაგრამ მეგის ამის გაგონებაც კი არ სურს. მეორე დილით კახა მეგის კარზე დალი ხაჩიძეს მიაყენებს: აქაოდა, ადვოკატის შეცვლა თავად ანდროს აქვს გადაწყვეტილიო. სიმართლის გასარკვევად, მეგი მაშინვე ანდროსთან მიდის. მაგრამ ანდრო მის ადვოკატობაზე უარს არ ამბობს. ამით კმაყოფილი მეგი, არჩილ ხომასურიძის სანახავად, ბათუმში წასვლას გადაწყვეტს, ის შემთხვევით კახა სუთიძეს შეხვდება და თავისთვისაც მოულოდნელად, მისი მანქანით გაემგზავრება. მაგრამ ბათუმში ჩასულებს, საავადმყოფოში ადვოკატი აღარ დახვდებათ, თუმცა, მის დატოვებულ საბუთებს მეგის სხვები გადასცემენ. მეგი მოუთმენლად ელოდება იმ მომენტს, როცა სასტუმროში განმარტოვდება, რათა ხომასურიძის საბუთებს გაეცნოს...

მეგიმ ნომრის კარი კახას ზედ ცხვირწინ მიუხურა და მაშინვე სააბაზანოში შევარდა... მოგვიანებით, როცა უკვე რესტორანში ისხდნენ და თიკნის მწვადს გემრიელად შეექცეოდნენ, კახამ პოზიციები კიდევ ერთხელ მოსინჯა:

— ამაღამ მართლა მარტო აპირებ ძილს?..

— რა თქმა უნდა, — მშვიდად უპასუხა მეგიმ. — აბა, რა გეგონა? ჩემი საყვარელი მწვადი რაკი მაჭამე, აზრს შევიცვლიდი და კისერზე ჩამოგეკიდებოდი?..

— რა თქმა უნდა, არა. ასე მარტივად ხომ ათი წლის წინაც ვერ ვახერხებდი შენს დათანხმებას?!. — უკბილოდ იხუმრა კახამ.

— ათი წლის წინ რასაც ახერხებდი, ის სამუდამოდ დაივიწყე! — ხელსახოცი თეფშზე ნერვიულად დააგდო მეგიმ და ფეხზე წამოდგა: — ღამე მშვიდობისა! ძალიან დავიღალე და უნდა დავიძინო.

— კარგი, კარგი, ბოდიშს გიხდი! — უმალვე ფეხზე წამოხტა კახაც. — ოღონდ ახლა დაჯექი და ხმას საერთოდ აღარ ამოვიღებ... ჯერ მხოლოდ 10 საათია, ასე ადრიანად რა დაგაძინებს?!. ან მე რა უნდა ვაკეთო აქ მარტომ?..

— რატომ — მარტომ? ბათუმში საშენო ქალები დაილია?.. — გესლიანად ჰკითხა მეგიმ, მაგრამ დაჯდომით, მაინც დაჯდა.

— საჩემო — ეს როგორი?

— ძალიან კარგად იცი, როგორიც!..

— შენ საჩემო აღარასოდეს გახდები?..

— პირიქით — შენ ვეღარასოდეს გახდები საჩემო!..

მეგი და კახა ასე ალბათ, კიდევ კარგა ხანს იკენწლავებდნენ, მათ სუფრას ოფიციანტი რომ არ მიახლოებოდა. მან მოკრძალებით დაუკრა თავი მეგის, შემდეგ კახა გვერდზე გაიხმო და ხმადაბლა რაღაც უთხრა. კახამ ოფიციანტს ჯიბეში ფული ჩაუკუჭა და გაისტუმრა.

მოგვიანებით, ოფიციანტი ვარდების დიდი თაიგულით ხელში დაბრუნდა და მეგის მიართვა. ვარდებს შამპანურის „წვიმაც“ მოჰყვა, შამპანურს — სანთლების შუქზე ცეკვა... ასე რომ, საკუთარ ნომრამდე მეგი კახამ კარგა ხნის შემდეგ მიაცილა და სანამ დაემშვიდობებოდა, შეპარვით ჰკითხა:

— კმაყოფილი ხარ?

— შენ წარმოიდგინე, რომ კმაყოფილი ვარ, — გამოუტყდა მეგი. — ამ საღამოს ბოლო ნაწილისთვის მართლაც, დიდი მადლობა!

— მე კი საერთოდ მადლობელი ვარ!.. — ხელისგულზე ნაზად ეამბორა კახა ქალს და დილამდე დაემშვიდობა...

ნომერში შესულმა მეგიმ შუქი აანთო, კარი ფრთხილად მიხურა და წამით გაიტრუნა: „მგონი, ეს კაცი ისევ მიყვარს... — არა, არა, არც იფიქრო!“ — თავადვე შეუძახა მან საკუთარ თავს და ნომრის კარის საკეტი კიდევ ერთხელ

გადაატრიალა. „მე აქ ვიგინდარა კახასთან სასიყვარულოდ კი არა, უდანაშაულო ადამიანის გადასარჩენად ვარ ჩამოსული!..“

მოგვიანებით, საბაზანოდან გამოსული მეგი ლოგინში მოხერხებულად მოეწყო, ბალიშის ქვემოდან საგულდაგულოდ გადამალული, სულხან ხომასურიძის მიერ დატოვებული საქაღალდე გამოაძრო, ფრთხილად გახსნა და... კინაღამ თვალთ დაუბნელდა: საქაღალდეში მხოლოდ სუფთა ფურცლების მოზრდილი დასტა იდო...

გაოგნებულმა მეგიმ საქაღალდიდან ფურცლები ლოგინზე გადმოყარა, ყველა სათითაოდ გადაათვალიერა და ციებიანივით აჩურჩულდა:

— არა, არა!.. ეს შეუძლებელია!.. მე ხომ საკუთარი თვალით ვნახე, რომ ამ საქაღალდეში საბუთები იყო, რამდენიმე წავიკითხე კიდეც!.. მაშ, ეს ცარიელი ფურცლები საიდან გაჩნდა?.. ან საბუთები სადღაა?.. გამოდის, რომ ვიღაც შემოვიდა და... — ბოლოს, როგორც იქნა, გონება გაუნათდა და თოფნაკრავივით ფეხზე წამოხტა.

მეგის წამოხტომისას, ლოგინზე უწესრიგოდ მიმობნეული ფურცლების ნაწილი ძირს ჩასრიალდა და იატაკზე მიმოიფანტა. გამწარებულმა მეგიმ დარჩენილ ფურცლებსაც იატაკზე გადაუმახა, თავად მოშორებით მდგარ სავარძელში ჩაესვენა და ბავშვივით ასლუკუნდა:

— ახია ჩემზე! ყველაფერი ახია!.. კახა სუთიძის გაიძვერობაზე სხვებს საგანგებოდ ვაფრთხილებდი, თავად კი მის დაგებულ ხაფანგში სულელივით გავები!.. ცხადია, საბუთები ამ არაკაცმა მოაპარვინა, მაგრამ როგორ უნდა დავუმტკიცო?!. ან რომც დავუმტკიცო, გამომიჩენს თუ რა?.. ახლა რაღა ვქნა?!. — მეგიმ ოთახს ცრემლიანი თვალები მოავლო. — რომელ კედელს ვახალო თავი?!.

სავარძელში ნაცემი ბავშვივით მიგდებულ-მიყუჩებული მეგი ერთხანს უძრავად იჯდა, შემდეგ ნელ-ნელა წამოდგა და იატაკზე მიმოფანტული ფურცლების მოგროვება დაიწყო. ერთი ფურცელი საწოლქვეშ შესრიალებულიყო და იქიდან მხოლოდ მისი კუთხე მოჩანდა. მეგი მის ასაღებად დაიხარა და საწოლქვეშ კიდევ რამდენიმე ფურცელი დაინახა:

— ჯანდაბას ამათი თავი! ეყაროს! — ფეხზე წამოდგა, მტვრიანი ხელები ნერვიულად დაიფერთხა და ისევ სავარძელში ჩაჯდა. — ისე გულმოდგინედ ვაგროვებ, თითქოს რამეში გამომადგება!..

უცბად მეგის ხელჩანთაში მობილური ტელეფონი აწკრიალდა.

— ეს ვინღა ეშმაკია?!. — სავარძელში მოიკუნტა მეგი. — არ ვუპასუხებ და მორჩა!..

ტელეფონი კი, არა და არ ჩერდებოდა.

— იქნებ, კახაა და მამოწმებს?.. — გონებაში გაუელვა მას და მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ, ჩანთიდან ტელეფონი ამოიღო:

— გისმენთ... — რამდენადაც შეეძლო, მშვიდად წარმოთქვა მან.

— გამოჩნდი, დაკარგულო? — გაისმა ყურმილში ანის ხმა.

— რომელი ხარ? — სიყრმის მეგობრის ხმაც კი ვეღარ იცნო მეგიმ.

— ანი ვარ, გოგო, რამ დაგაბნია?!

— აჰ, ანი... — როგორც იქნა, შვებით ამოისუნთქა მეგიმ. — მაპატიე, უცბად ვერ გიცანი.

— რაღას მიცნობ, გენაცვალე!.. რაც დალი ხაჩიძეს „ჩაუსასტავდი“, ძველი დაქალები ისე მოგვიძულე, რომ... — წაკბინა ანიმ.

— რას ჰქვია, მოგიძულეთ?!. — შეპასუხება სცადა მეგიმ, მაგრამ ანი ისევ თავისას განაგრძობდა:

— გავიგე, შენთვის ძველ სიყვარულსაც შეუხსენებია თავი...

— რომელ ძველ სიყვარულს?.. — გააწყვეტინა მეგიმ. — რაებს იგონებ?! ან ამ შუაღამისას ამის სათქმელად უნდა დამირეკო?!.

— რა ვქნა, ბატონო, ღღისით ტელეფონი ან გამორთული გაქვს, ან მომსახურების ზონიდან ხარ გაბრძანებული და აბა, შენი ამბავი როდისღა ვიკითხო?! — არ შეეპუა მეგობარს ანი. — ახლა მაინც მითხარი, სად ხარ, ვის ქვეშ ან ვის ზემოთ?..

— მორჩი, რა, სისულელეებს! — გააწყვეტინა გაღიზიანებულმა მეგიმ. — ბათუმში, სასტუმროს ნომერში, მარტოდმარტო ვგდივარ...

— ბათუმში და თანაც მარტო?.. — გაუკვირდა ანის. — კი, მაგრამ კაცი სადღა გყავს?..

— ვინ კაცი?.. მართლა ნუ სულელობ, რა! — თავი შორს დაიჭირა მეგიმ.

— ვის მანქანაშიც ამ დილით გნახეს.

— მაინც, ვინ მნახა? — თავი უცბად გაყიდა მეგიმ.

— ვინ და ვახომ.

— ვახო ვინღაა?

— ე, გოგო, შენ მართლა ხომ არ აურიე?!. ვახო არ იცი, ვინ არის?.. ჩვენი ლიკას ქმარი!..

— ა-ა?!.

— ა-ა შენ და თხა!.. სწორედ ვახომ მოგვახარა — მგონი, მეგის ბედი ეხსნება, ვიღაც კაი ტიპის მანქანით სადღაც მიქროდაო... მე და ლიკა მაშინვე ტელეფონს ვეცით, მაგრამ მობილური გამორთული გქონდა... მერე უცბად „მოვტვინე“, რომ შენი ამბავი დალისაც ეცოდინებოდა და...

— დალიმ რა გითხრა? — გააწყვეტინა მეგიმ.

— მაშინვე „ჩაგიშვა“: ის ტიპი კახა სუთიძე იქნებოდაო...

— ყოჩაღ! დალის ჭორბიურო ნამდვილად კარგად მუშაობს! — ჩაიბურტყუნა დაბოღმილმა მეგიმ.

— არც იმდენად... — არხეინად განაგრძო ანიმ. — თავიდან დალიმ იხუმრა კიდეც — მგონი, კახა მეგის მოტაცებას აპირებდაო, — მაგრამ მერე რომ ჩავაცივდით, ბავშვი დაიფიცა, ნამდვილად ვერ ვხვდები, სად უნდა წასულიყვნენო... თქვენ კი, თურმე, ბათუმში არ „გულაობთ“?..

— ისე „იგულავა“ ჩემმა მტერმა!.. — ამოიოხრა უცბად მეგიმ.

— რა იყო?!. — ჩაეძია ანი. — კახამ ძველებურად ხომ არაფერი გიახვრა?

— არა, ახლებურად...

— მართლა?!. ახლა სად გდია?

— ალბათ, თავის ნომერშია და ტკბილად სძინავს...

— არა, რა! ეს კაცები ნამდვილად აღარ არიან თავიანთ მოტორზე!.. — სასწრაფოდ აქოთქოთდა ანი.

— ანი, გეხვეწები!.. — ამოიკვნესა მეგობრის უსაგნო ლაქლაქით დაღლილმა მეგიმ. — იცი, რომელი საათია?.. ძალიან მეძინება!.. ჩამოვალ თბილისში და კაცების მოტორებზე მერე ვილაპარაკოთ.

— თუ დაგიჭირე — კი! — ხმაში წყენა დაეტყო ანის. — დღე შენთვის აღარ არსებობს და ღამე! არა, მაინც, რა ჩემდა ჭირად დაგაკავშირე ამ გოიმ დალი ხაჩიძესთან! მას მერე ჩემი და ლიკას არსებობა საერთოდ აღარ გახსოვს!..

— თავიდან არ დაიწყო, რა! — შეეხვეწა მეგი. — თქვენ თუ არ მახსოვხართ, აბა, ვინ მახსოვს?!. უბრალოდ, დალიმ ისეთი კლიენტი მომიყვანა, რომ ძალიან ბევრი საქმე და სარბენიც გამიჩნდა — ეს არის და ეს!

— კარგი, ბატონო, ირბინე! — ამოიოხრა ანიმ. — მაგრამ მეშინია, ამ გაუთავებელ სირბილში სადმე კისერიც არ წაიტეხო! იცი, შენს ახალ კლიენტს რამდენი მტერი ჰყოლია?!.

— მე კი ვიცი, მაგრამ საინტერესოა, შენ ვინღამ „გაგანათლა“? — დაინტერესდა მეგი.

— ვინ და ვახომ. ანდრო სვანიძეს, თურმე, ძალიან კარგად იცნობს.

— მართლა?!. საიდან?

— სამი წელი მაგის ფირმაში უმუშავია და კარგ ფულსაც უხდიდა თურმე. მაგრამ მერე სვანიძეს ვიღაც ძმაკაცი შეუჩნდა და სანამ ვახო არ გამოაშვებინა, არ მოისვენა...

— შემთხვევით, ვახოს იმ ძმაკაცის გვარიც ხომ არ უხსენებია?..

— კი, გვითხრა, მაგრამ ვერ დავიმახსოვრე... რაღაც უცნაური გვარი აქვს...

— ოშხერელი ხომ არა?

— კი, კი, ნამდვილად ოშხერელი! — გაუხარდა ანის. — უკვე შენც იცნობ?

— სამწუხაროდ, კი... — ამოიოხრა მეგიმ. — ვახოს იმ კაცზე სხვა არაფერი მოუყოლია?

— იმ კაცზე — არა, მაგრამ შენ რაც შეგეხება, მე და ლიკა საგანგებოდ გაგვაფრთხილა — მეგი მომიძებნეთ, რაღაც პირადად უნდა ავუხსნა და თანაც, სასწრაფოდო!..

— მერე აქამდე რატომ არ მომძებნეთ?

— შენ მართლა გადამრევ, ხომ იცი! — შეიცხადა ანიმ. — წეღან კინაღამ შემჭამე — შუაღამისას ძილს რატომ მიფრთხობო და ახლა იმაზე მედავები, უფრო ადრე რატომ არ მომძებნეთო?!.

— კარგი, კარგი! მართლა თითოეულ სიტყვას კი ნუ გამოეკიდები! — ისევ გაღმა შეედავა მეგობარს მეგი. — ვახოს გადაეცი, რომ ხვალ ნაშუადღევს უკვე თბილისში ვიქნები და სამსახურში ვნახავ.

— ან ნახავ და ან — ვერა! — ნიშნის მოგებით უთხრა ანიმ.

— რას ჰქვია, ვერ ვნახავ?! ვახოს რაღა დაემართა?

— ვახოს — არაფერი. აი, მისი ფირმა კი...

— დაუხურეს?! — შეიცხადა მეგიმ.

— შენ რა სულ დახურვა და გაუქმება გელანდება?! პირიქით, ვახომ თავისი ფირმა ისე საფუძვლიანად გააფართოვა, რომ მე და ლიკასაც მოგვიძებნა საქმე, აბა! თავად კი, ხან ალთას დარბის და ხან — ბალთას. სამსახურში ძნელადღა დაიჭერ, ამიტომ გირჩევნია, შინ შეუარო...

— კარგი, ვნახოთ... შენ და ლიკა კონკრეტულად რას აკეთებთ ვახოს ფირმაში?

— ტექსტებს ვთარგმნით და დოკუმენტების ასლებს ვიღებთ.

— ყოჩაღ! — გამხიარულდა მეგი. — ერთი კვირა არ მინახიხართ და ორივენი, საქმიანი ქალები არ გამხდარხართ?!. თქვენს ადგილზე ჩემისთანა თარს დაქალს ახლოსაც აღარ გავეკარებოდი: სანამ ჩემთან დადიოდით ხომ, ყავის სმითა და უსაქმურობით იხოცებოდით!..

— ყავას არც ახლა ვიკლებთ, მაგრამ ისე, მართლა თავის მოსაფხანადაც აღარ გვცალია. იცი, რამდენი კლიენტი გვყავს?! ნახევარი საქართველო უცხოეთში გარბის და ვის რა საბუთი აქვს სათარგმნი და გასამრავლებელი და ვის — რა...

— საწყალი თქვენი კლიენტები თქვენს ხელში!..

— კლიენტებს კიდევ რა უჭირთ?! უცხოელებმა იკითხონ, ვისაც ისინი ჩვენი ნათარგმნი საბუთებით მიადგებიან!.. — გულიანად გადაიკისკისა ანიმ...

ანისთან საუბრის შემდეგ საგრძნობლად დამშვიდებული და გულმოცემული მეგი მალევე დაწვა და ტკბილადაც დაეძინა... დილით კი, თვალი გაახილა თუ არა, კარზე ფრთხილი კაკუნი გაისმა. მეგი საწოლიდან უხმაუროდ წამოდგა და თითის წვერებზე მიუახლოვდა კარს. კაკუნი გამეორდა.

— ვინ არის? — ხმადაბლა იკითხა მეგიმ.

— მე ვარ... — მოისმა კარს იქიდან კახას შემპარავი ხმა. — ხომ არ გაგაღვიძე?

— არა, მეღვიძა.

— შეიძლება, შემოვიდე?

— არ შეიძლება!.. — სასწრაფოდ ხმა გაიმკაცრა მეგიმ.

— აბა, მარტომ რა ვაკეთო? — თავი მოისაწყლა კახამ.

— დაბლა ჩადი და მანქანასთან დამელოდე. ათ წუთში მეც ჩამოვალ.

— კარგი, საყვარელო, გელოდები. მანამდე რესტორანში საუზმეს შევუკვეთ...

როგორც კი დერეფანში კახას ფეხის ხმა მიწყდა, მეგი კარს მოსცილდა, თავი სწრაფად მოიწესრიგა და წასასვლელად მოემზადა. მანამდე ოთახი კიდევ ერთხელ გულმოდგინედ შეათვალიერა და საწოლქვეშ შეცურებული თაბახის ფურცლის კუთხე ისევ თვალში მოხვდა.

— ჯანდაბა! — საქაღალდე და მხარზე გადაკიდებული ჩანთა სავარძელზე მიყარა მეგიმ და ფურცლის ასაღებად საწოლისკენ დაიხარა.

საწოლქვეშ დანარჩენმა ფურცლებმაც თეთრად გაიელვა. ამჯერად მეგიმ აღარ დაიზარა, ყველა ფურცელი სათითაოდ გამოაცოცა, მტვერიც მოაცილა და უცბად, სიხარულისგან კინაღამ შეკივლა: ერთის გარდა, ყველა ფურცელი, საგანგებოდ შევსებულ-დამოწმებული დოკუმენტი აღმოჩნდა.

— ახლა კი მართლა გავაფრენ! — ფურცლები ხელისკანკალით გადააწყაგადმოაწყო მეგიმ. — ეს ხომ ხომასურიძის დატოვებული წერილი და სხვა დოკუმენტებია!..

სწორედ იმწუთასვე, კარზე ისევ დააკაკუნეს.

— მეგი, მე ვარ! — გაისმა კარს იქიდან კახას უკმაყოფილო ხმა. — ამდენ ხანს რას შვრები?.. ისევ ხომ არ ჩაგეძინა?..

— არა, არა, ახლავე! — მოულოდნელად აღმოჩენილი დოკუმენტები აკანკალებული ხელებით ძლივს მოკეცა და ჩანთაში უხეშად ჩატენა მეგიმ. შემდეგ საქაღალდიდან რამდენიმე სუფთა ფურცელი გამოაძრო, საწოლქვეშ შეუძახა და მხოლოდ ამის მერე გაუღო კახას კარი.

— მადლობა ღმერთს! — მაშინვე წამოიძახა მოღუშულმა კახამ. — ახლა მაინც თუ შეიძლება შემოსვლა?

— არა, არც ახლა შეიძლება! — კარში ჩადგა ეშმაკურად მოღიმარი მეგი.

— რატომ?.. — ცალი წარბი უცნაურად ასწია კახამ.

— იმიტომ, რომ საწოლქვეშ კაცი მყავს დამალული... — ღიმილს პირიდან აღარ იშორებდა მეგი.

— გინდა, მართლა მაეჭვიანო?

— არ მესმის, შენ რა შუაში ხარ?!.

— კარგი კაცი მაინც თუა, ჩემი თავი მართლა ჯანდაბას! — მეგის კითხვაზე პირდაპირი პასუხის გაცემას თავი აარიდა კახამ.

— შემოდი და თვითონ ნახე! — მოულოდნელად განზე გადგა მეგი.

კახამ ზღურბლს ცოტა არ იყოს, დაბნეულმა გადააბიჯა და მაშინვე საწოლთან გაჩნდა:

— აბა, სად არის შენი ნაქები კავალერი?

— ხომ გითხარი, საწოლქვეშ-მეთქი!

— შეიძლება, შევიხედო?

— თუ არ „გიტყდება“, შეიხედე!

კახამ საწოლქვეშ მართლა შეიხედა და იქაურობა გულმოდგინედ მოათვალიერა კიდეც.

— მოგეწონა? — ჰკითხა მეგიმ, როცა ის წელში გასწორდა.

— კი, მაგარია! — მტვრიანი ხელი ცხვირსახოცით გაიწმინდა კახამ. — მაგრამ შენ უფრო მაგარი ხუმარა ყოფილხარ!.. აღარ წავიდეთ? — კმაყოფილი ხმით დაუმატა მან. — საუზმე გაგვიცივდება...

მეგიმ და კახამ სასტუმროს კაფეში გემრიელად ისაუზმეს, შემდეგ მანქანაში ჩასხდნენ და გეზი თბილისისკენ აიღეს. კახა ჩინებულ ხასიათზე იყო და მეგის კომპლიმენტს კომპლიმენტზე ეუბნებოდა. ერთი-ორჯერ მხარზე ხელის გადახვევაც მოუნდომა და ამის გამო, კინაღამ მანქანის საჭე გაექცა.

მეგი ყოფილი შეყვარებულის შემოტევებს ოსტატურად იგერიებდა, თუმ-

ცა უწინდელივით შეუვალი მაინც აღარ ჩანდა და შიგადაშიგ, თავადაც მსუბუქად ეფლირტავებოდა. ამასობაში კი, თბილისამდე სავალი გზაც სწრაფად ილეოდა.

— მაინც, რა კარგი დღეა, ხომ? — მორიგი მოსახვევის გავლის შემდეგ, საჭეზე ხელები მხიარულად დაატყაპუნა კახამ.

— კი, ნამდვილად კარგი დღეა, — დაეთანხმა მეგი. — არც კი მჯერა, რომ უკვე ამხელა გზა გამოვიარეთ და მალე თბილისში ვიქნებით.

— ხომ არ დაიღალე? — მზრუნველად ჰკითხა კახამ.

— ისე, რა...

— გინდა, სადმე გავაჩერებ და ცოტა დავისვენოთ? — უნებლიეთ, მეგის შიშველი მუხლებისკენ გაექცა მზერა კახას.

— ჯერ არა! — კაცის მზერა არ გამოჰპარვია მეგის. — თბილისს რომ მივუახლოვდებით, მერე...

— მანამდე რატომ არა? — თვალები ეშმაკურად მოწკურა კახამ. — ხომ არ გეშინია, რომ კიდევ სადმე შეგიტყუებ და...

— შემიტყუებ, თორემ... — ალმაცერად გახედა მეგიმ. — თუ რამის თავი გქონდა, წუხელ სასტუმროში გვერდით არ გყავდი?..

— ახია ჩემზე, ახი! — შუბლზე გაშლილი ხელი გამეტებით იტკიცა კახამ. — ასე რომ „გაგაბლატავე", შენგან მეტიც მეკუთვნის!

— ჰო, გეკუთვნის, გეკუთვნის, მაგრამ მაინც არ გეკუთვნის! — მხიარულად გადაიკისკისა მეგიმ და თითქმის მთელი გზა მუხლებზე უძვირფასესი ტვირთივით დასვენებულ საქაღალდეს ორივე ხელით ისე ჩააფრინდა, თითქოს ვინმე წართმევას უპირებდა...

— ე, გოგო, სანამ არ გავგიჟებულვარ, გადადე სადმე ეგ „პაპკა" და წესიერად დამანახვე შენი ლამაზი მუხლები! — როლში შეიჭრა კახა.

— მარტო მუხლები?.. კი, ბატონო! — მოულოდნელად საქაღალდე მანქანის უკანა სავარძელზე ისროლა მეგიმ და ფეხი ფეხზე გამომწვევად გადაიდო: — ასე გაკმაყოფილებს თუ?..

— პრინციპში კი... — ბავშვივით აცმუკდა კახა. — მაგრამ თუ მართლა სადმე მოფარებულში გავჩერდებით და ოდნავ კიდევ წამოიწევ...

— აბა, ახლა მორჩი, თორემ!.. — წელში გასწორდა გაღიზიანებული მეგი.

— კარგი, ჰო! რა უცბად ავარდი?.. — სასწრაფოდ უკან დაიხია კახამ. — უბრალოდ მინდა, შენთან ყოფნა გავიხანგრძლივო, თორემ, მართლა ქალის უნახავი ხომ არ გგონივარ?!.

— კარგი... — ბოლოს მაინც მოლბა მეგი. — როგორც კი დასასვენებელი ადგილი გამოჩნდება, მაშინვე გააჩერე!

— ახლა მცხეთამდე ნორმალური აღარაფერი გამოჩნდება და ბარემ, ისევ ჩვენს ნაცნობ რესტორანთან გავაჩერებ.

— ოღონდ, იქ არა, რა! — ბავშვივით შეეხვეწა მეგი.

— რატომ? — ქვეშ-ქვეშ გამოხედა კახამ. — დაღუპულ ანდრო სვანიძეს ხომ არ გახსენებს?

— არ მესმის, სვანიძე დაღუპული რატომაა?!. — კახას სიტყვები აშკარად არ ესიამოვნა მეგის.

— იმიტომ, რომ მისი საქმე უკვე წაგებული გაქვს!

— რას მეუბნები? მართლა?!. — პატარა ბავშვივით დაეჭყანა მეგი.

— მართლა, მართლა, ჩემო კარგო! გინდა, ახლავე ერთ ადგილას დავრეკო და ისიც ზუსტად გითხრა, შენს კლიენტს რამდენს მიუსჯიან? — ხელი ქამარზე დამაგრებული მობილური ტელეფონის ბუდისკენ წაიღო კახამ, მაგრამ უეცრად, ტელეფონი თვითონ აწკრიალდა.

— მგონი, აქეთ გირეკავენ! — დამცინავად ჩაილაპარაკა მეგიმ. — ეტყობა, შენს აზრებს ხვდებიან...

— შენ იხუმრე და არც ეგაა გამორიცხული... — ტელეფონი ბუდიდან სწრაფად ამოიღო კახამ და ომახიანად ჩასძახა: — გისმენთ! რომელი?.. ა-ა!.. ჰო, რა იყო? მოხდა რამე?.. რა-ა?!. როგორ თუ აღარ არის?! შედი და ცოტა წესიერად მოძებნე!.. მაშინ გარეთ გადი და „ეტაჟნიცა" მაინც ნახე, იქნებ, შენამდე დამლაგებელი იყო შესული და ნაგავს გააყოლა!.. რა-ა?.. ბიჭო, შენ ხომ არ უბერავ?! ის საბუთები რომ მართლა დაკარგო, იცი, რა მოგივა?.. არ მაინტერესებს! საიდანაც გინდა, იქიდან მოიტანე!.. გითხარი, არ მაინტერესებს-მეთქი!.. სანამ არ იპოვი, საერთოდ აღარ დამირეკო! — ტელეფონი სწრაფად გათიშა კახამ და თან თავი ნერვიულად გააქნია.

— თუ საიდუმლო არ არის, ვინ ან რა გააყოლეს ნაგავს?

— ისეთი არაფერი... — კბილებში ბრაზიანად გამოცრა კახამ.

— ასეთი?

— არც ასეთი.

— არ გინდა და ნუ მეტყვი!.. — სავარძელში ნებიერად გადაწვა მეგი და გაიტრუნა...

ამის შემდეგ, თითქმის თბილისამდე მთელი გზა ხმის ამოუღებლად იარეს. დაბოღმილ კახას მანქანა მთელი სისწრაფით მიჰყავდა, ბოლოს კი, ისე გიჟივით გააქანა, რომ მანქანამ ტორტმანი, ბორბლებმა კი უსიამო ღრჭიალი დაიწყო. დამფრთხალი მეგი კარის სახელურს ჩააფრინდა:

— ცოტა ნელა! — შეუღრინა მან კახას. — გინდა, მაინცდამაინც მტკვარში მოვადინოთ ტყაპანი?!.

კახამ სიჩქარეს ოდნავ უკლო:

— რა იყო, ჩემო სიცოცხლევ?.. — აგდებულად ჰკითხა მან ქალს. — მართლა ხომ არ შეგეშინდა?

— შენ როგორ გგონია? — კითხვაზე კითხვითვე უპასუხა მეგიმ.

— მე რომ მგონია, ერბო ქონია, ერბო ერბოა, ქონი ქონია! — ჩაარაკრაკა კახამ.

— ყოჩაღ! — ტაში შემოკრა გამხიარულებულმა მეგიმ. — ამ სიბერეში მგონი, პოეტობაც დაგიწყია!.. თანაც, რა მარგალიტებივით აზრებს აფრქვევ!..

— აბა, რა გეგონა — მარტო ქალებმა იცით წერა-კითხვა თუ რა?!. შენ ჯერ ჩემი პოემა არ მოგისმენია!..

— ოღონდ, დღეს არ მომასმენინო, რა! — ყელი ბავშვივით გამოუწია მეგიმ. — როგორმე სხვა დროისთვის გადავდოთ!..

— ოღონდ, ერთი პირობით: მაშინ შენ უნდა წამიკითხო რამე! — ვაჭრობა დაუწყო კახამ.

— მე-ე?.. — შეწუხდა მეგი. — მგონი, ერთი წესიერი ლექსიც კი აღარ მახს-

ოვს ზეპირად... ამ ბოლო ხანებში ხომ, საჩივრებისა და სასამართლო საქმეების გარდა, საერთოდ ვეღარაფრის წაკითხვას ვეღარ ვასწრებ და მგონი, აღარც მაინტერესებს... აი, წუხელაც, ერთი კი ვიფიქრე – მოდი, საქმეს წინ წავიგდებ და კატო ბებიას ბინის საბუთებს გადავხედავ-მეთქი, – მაგრამ ისე ვიყავი დაღლილი, რომ ლოგინამდე ძლივს მივაღწიე...

– ე.ი. კატო ბებიას პირველსავე ღამეს უღალატე და მისი საქაღალდე არც კი გადაგიშლია? – შეპარვით ჰკითხა კახამ.

– პატიოსნად ვაღიარებ! – მოწაფესავით ორი თითი ასწია მეგიმ. – არც კი გადამიშლია...

ამასობაში, თბილისშიც შევიდნენ.

– შინ მიგიყვანო თუ ცოტა ხნით მართლა სადმე დავსხდეთ? – უხალისოდ ჰკითხა მეგის კახამ.

– არც ერთი და არც მეორე, – უპასუხა მეგიმ. – თუ არ გეზარება, ერთი ჩემი ახლობლის ფირმაში მიმიყვანე.

– ფირმა შორსაა?

– ლესელიძის ქუჩაზე.

– კარგი, მიგიყვან. ოღონდ, ისიც უნდა მითხრა, შენი ახლობელი კაცია თუ ქალი...

– ერთიც და მეორეც.

– ეგ როგორ?.. – უცბად გამოცოცხლდა კახა. – ჰერმაფროდიტია?!.

– ჰერმაფროდიტი შენ ხარ! – გაბრაზდა მეგი. – მე კი, ცოლ-ქმარზე გელაპარაკები: ერთად მუშაობენ.

– ეგრე, რა, წესიერად ამიხსენი! – როგორც იქნა, მანქანების ნაკადს თავი დააღწია და ლესელიძის ქუჩისკენ აუხვია კახამ. – თორემ, დღეს ქალი და კაცი ისეა ერთმანეთში აზელილი, რომ ვეღარაფერს გაიგებ!

ცოტა ხანში მეგიმ კახას მანქანა გააჩერებინა და კარი გააღო:

– აბა, ძალიან დიდი მადლობა და კარგად იყავი!

– თუ გინდა, დაგელოდები და ბარემ, სახლამდეც მიგიყვან... – შესთავაზა კახამ.

– არა, რას ამბობ?!. – იუარა მეგიმ. – ასე ნამდვილად ვეღარ შეგაწუხებ!.. თანაც, ისიც კი არ ვიცი, აქ რამდენ ხანს დავრჩები...

– კარგი, მაშინ მართლა ნახვამდის!.. – ხელი გაუწოდა კახამ.

– ნახვამდის.. – მოულოდნელად ლოყაზე ეამბორა მას მეგი და მანქანიდან სასწრაფოდ გადავიდა.

– გადამრევს ეს გოგო!.. – ლოყაზე ხელი ნაზად მოისვა კახამ. – ვეღარ გავიგე, ისევ ვუყვარვარ თუ?..

გაგრძელება იქნება

ვინ ლუხუნდ და ძალა ყინოიმყოფია

ფრენსის ფორდ კოპოლა ცოლთან და შვილებთან, რომანთან და სოფიასთან ერთად

დასაწყისი იხ, „გზა“, №31

აპოკალიფსური დარტყმა

საბოლოოდ, ფრენსისმა „ნათლიის“ გაგრძელება გადაიღო; სურათის მეორე ნაწილი 1974 წელს გამოვიდა ეკრანებზე და უნდა ითქვას, რომ იმ დროისთვის კოპოლას უკვე საოცრად მობეზრა თავი კორლეონების უჩვეულოდ სიცოცხლისუნარიანმა კლანმა. მიუხედავად იმისა, რომ განგსტერული საგის პირველ ნაწილს კინოკრიტიკოსები რეჟისორის შემოქმედების მწვერვალად მიიჩნევენ, თავად კოპოლა ფილმს მისთვის ხელსაყრელ დროს გამოჩენილ ხალტურას უწოდებს.

„ნათლია 2“-ის მიერ კინოგაქირავებაში მოპოვებულმა წარმატებამ, კოპოლას საპროდიუსერო მუშაობის დაწყების საშუალება მისცა. იმ სურათებს შორის, რომლებიც ფრენსისმა „განგსტერული“ ფულით დააფინანსა, გამოირჩევა რეჟისორის ყოფილი თანამშრომლის, ჯორჯ ლუკასის სადებიუტო ნამუშევარი – „ამერიკელი გრაფიტი“.

ამ ფულით კოპოლამ სხვადასხვა სახის უძრავი ქონება შეიძინა. იმ ადამიანების მსგავსად, ვისაც ძარღვებში იტალიური სისხლი უჩქეფს, ზომიერების გრძნობით არც ფრენსის ფორდ კოპოლა გამოირჩეოდა – ის არ შემოფარგლულა ჰოლივუდის ვარსკვლავებს შორის მოდად ქცეული ორიოდე რესტორნის ყიდვით, ფრენსისი განურჩევლად ყველაფერს ყიდულობდა. სანფრანცისკოს მახლობლად მდებარე ნაპაველის ხეობაში სცენარების დასაწერად მყუდრო სახლისა და პატარა ვენახის (იმისათვის, რომ საკუთარი ხელით ღვინის დაწურვის საშუალება ჰქონოდა) ძებნა, ბოლოს და ბოლოს, ვეებერთელა მამულის, ნამდვილი ციხე-დარბაზისა და ჰექტრობით ზვრების (დღესდღეობით აქ დაწურული ღვინო მთელ აშშ-ში იყიდება) შეძენით დასრულდა. ხოლო კარიბის ზღვის სანაპიროზე „პატარა საგარაკო ბუნგალოს“ შეძენის მცდელობა, ბელიზის (სამხეთ ამერიკაში მექსიკის მეზობლად მდებარე სახელმწიფო) ტერიტორიაზე სოლიდური მიწის ნაკვეთების ყიდვით დამთავრდა, სადაც კოპოლამ საკურორტო სასტუმროების მთელი ქსელი ააშენა.

ზოგჯერ ხდებოდა ისეც, რომ ფრენსისს ზოგიერთ შენაძენთან დროებით ან სამუდამოდ განშორება უხდებოდა. ჰოლივუდის რეჟისორთაგან ცოტა ვინმე თუ აღმოჩნდება ისეთი, ვისაც კოპოლასავით უამრავი ფული ჩაუდვია საკუთარ ფილმებში და შემდეგ დაუკარგავს: ზოგჯერ მისი დანაკარგები 100 მლნ-საც კი აღწევდა; მაშინ, ის თითქმის ყველაფერს აგირავებდა... კოპოლა ფინანსურად უმძიმეს პერიოდშიც კი, გამუდმებით ერთსა და იმავეს იმეორებდა: „მე რომ ხელში 2 მლრდ დოლარი ჩამივარდეს, მაშინვე 30-ს კიდევ ვისესხებ, რათა ბოლოს და ბოლოს, ჭეშმარიტად კარგი ფილმის გადაღება შევძლო“.

1974 წელმა მას ახალი ტრიუმფი მოუტანა: ამჯერად „ნათლიამ“ კიდევ ერთი „ოსკარი“ მოიპოვა, ხოლო ფილმმა – „ლაპარაკი“ – კანის ფესტივალის პრიზი, მაგრამ მომავალში კოპოლას ცხოვრებაში განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა მერფის ცნობილი ირონიული გამოთქმის ჭეშმარიტება: „თუკი თქვენ გეგონებათ, რომ ყველაფერი რიგზე გაქვთ, ე.ი. ჩათვალეთ, რომ თქვენ რაღაც ვერ შენიშნეთ“.

ფილმი „აპოკალიფსი დღეს“, რომელმაც რეჟისორის სამი წლის სიცოცხლე, მთელი მისი ძალები და ქონების დიდი ნაწილი შეიწირა და რომელმაც კინაღამ დანგრევის პირას მიიყვანა მისი ოჯახი, ფრენსის ფორდ კოპოლასთვის პირად „ქვეყნიერების აღსასრულად“ იქცა. ყველაზე უცნაუ-

რი კი გახლავთ ის, რომ სურათმა მზატვრული თვალსაზრისით, დამდგმელს უდიდესი ტრიუმფი მოუტანა, რასაც თან ახლდა უდიდესი ფინანსური ჩავარდნა.

ერთ მშვენიერ დღეს, ფრენსისმა ინგლისელი მწერლის, ჯოზეფ კონდორის ქარაგმული ხასიათის რომანის – „წყვდიადის გულის“ ეკრანიზება გადაწყვიტა. რომანის სიუჟეტური ქარგის მიხედვით, მთავარი გმირი, ცივილიზებული თეთრკანიანი ადამიანი აფრიკის ჯუნგლებში განმარტოვდება და იქაურ ველურებთან ერთად სამაგალითო ტოტალიტარულ „ბოროტების იმპერიას“ შექმნის. კოპოლამ ფილმში მოქმედება თანამედროვე დროში გადმოიტანა და „ვიეტნამური ომის საკუთარი ოდისეა“ შექმნა. გადაღებები რეალობასთან მაქსიმალურად მიახლოებულ, სრულიად შეშზარავ პირობებში ფილიპინებში მიმდინარეობდა.

გადაღებებს შორის პაუზები კვირაობით და ზოგჯერ თვეობით გრძელდებოდა; ამის მიზეზი კი, არა მხოლოდ ბუნებრივი კატაკლიზმები და გადამღები ჯგუფის წევრთა ავადმყოფობა იყო, არამედ ამ ყოველივეს ფინანსური პრობლემებიც ერთვოდა თან. კოპოლა მაქსიმალურად რეალისტური სურათის შექმნას ცდილობდა, ამ საქმეში კი, მას ამერიკული არმიის დახმარების იმედი ჰქონდა. მაგრამ პენტაგონმა ფილიპინების ამერიკულ სამხედრო ბაზებზე განლაგებულ პერსონალს სასტიკად აუკრძალა იმ რეჟისორის დახმარება, რომელიც „მათი ბიჭების მიერ ვიეტნამში გაწეული გმირული სამსახურისათვის ჩირქის მოცხებას ისახავდა მიზნად“. ფრენსისმა დახმარებისათვის ფილიპინელ სამხედროებს მიმართა, რომლებმაც დაინახეს რა გადამღები ჯგუფის გამოუვალი მდგომარეობა, ისეთი თანხები მოითხოვეს, რომ 12-მილიონიანი ფილმის ბიუჯეტმა 30 მილიონს გადააჭარბა (გასული საუკუნის 70-იანი წლებისათვის ეს ჰოლივუდისთვისაც კი, სრულიად წარმოუდგენელი თანხა გახლდათ). კოპოლას თითქმის მთელი თავისი ქონების დაგირავება მოუხდა. ამ სამმა წელმა ლამის დანგრევის პირას მიიყვანა კოპოლას ოჯახი: მოგვიანებით მისი ცოლის ამ პერიოდში დაწერილი დღიური საფუძვლად დაედო დოკუმენტურ „საშინელებათა ფილმს“.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ყველაფრისა, კოპოლა ამ სურათს თავისი კინომოღვაწეობის უმთავრეს ქმნილებად მიიჩნევს. მას კინოკრიტიკოსებიც ეთანხმებიან – კანში ფილმმა მთავარი პრიზი დაიმსახურა; შვეულმფრენთა შეტევის ცნობილი ეპიზოდი კი, რომელსაც ფონად ვაგნერის „ვალკირიის გაფრენა“ გასდევს, დღეს უდავო კინოკლასიკადაა აღიარებული – მის მიხედვით კინოხელოვნების უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს ასწავლიან, თუ როგორი უნდა იყოს კინოშედევრი.

მაფია უკვდავია

ფილმს სულ სხვა ბედი ელოდა კინოგაქირავებაში – აშშ-ში „აპოკალიფსი დღეს“ აშკარად ჩავარდა. კოპოლას არც სხვა, 80-იან წლებში გადაღებული ფილმები ქცეულან საკასო ჰიტებად. ჰოლივუდში ხმებიც კი დაირხა იმის თაობაზე, რომ რეჟისორი ის აღარ არის, რაც უწინ იყო და რომ მან საკუთარი თავი ამოწურა. იმ დროისთვის უკვე ლოს-ანჯელესში მდებარე მისი სტუდიის თავზე კვლავ საავდრო ღრუბლები გამოჩნდა. კოპოლამ უწინდებურად ნაცად ხერხს მიმართა და „ნაღდი“ კომერციული ფილმის – „ნათლიის“ მესამე სერიის გადაღება გადაწყვიტა.

სრულიად მოულოდნელად რეჟისორს წარმატება მოუტანა ეფექტურმა, ფერადოვანმა ფილმმაც – „ბრემ სტოკერის დრაკულა“. შექმნილ სიტუაციაში, „სისხლისმწოვლის“ გაცვეთილი თემატიკა, თითქოსდა არაფერი ახლის თქმის საშუალებას არ იძლეოდა, მაგრამ კოპოლამ სულ სხვა თვალით წაიკითხა ირლანდიელი მწერლის, ბრემ სტოკერის „დრაკულა“ (სწორედ აქედან მოდის ფილმის სათაურიც) და საკმაოდ „მოძველებული ლიტერატურული ნაწარმოები“ თანამედროვე სპეცეფექტებით, იდეალური დრამატურგიითა და შესანიშნავ მსახიობთა ანსამბლით შეაზავა. შედეგად კი შესანიშნავი ფილმი მიიღო, რომელმაც მის შემქმნელს შემოქმედებითი თვითკმაყოფილების გრძნობა და საკმაოდ სოლიდური შემოსავალიც მოუტანა.

კვლავ წარმატების მწვერვალზე ასულმა კოპოლამ, მრავალმხრივი საპროდიუსერო მოღვაწეობა განაგრძო. ის სხვადასხვა ქვეყნის ათობით რეჟისორის სურათს აფინანსებდა, დაწყებული იაპონელი გენიალური რეჟისორის აკირა კუროსავას „კაგემუშათი“ და დამთავრებული ინგლისელი კენეტ ბრანის „მერი შელის ფრანკენშტეინითა“ და რუსი ანდრეი კონჩალოვსკის „ოდისეით“ (სატელევიზიო სერიალი). გარდა ამისა, ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე ფრენსის ფორდ კოპოლა, ისევე როგორც ნებისმიერი საკუთარი თავის პატივისმცემელი იტალიელი, თავისი მრავალრიცხოვანი ოჯახის კინობაზარზე დამკვიდრებით იყო დაკავებული. სხვათა შორის, ბოლო ხანებში კოპოლათა კლანის მეთაურს სულ უფრო ხშირად მოიხსენიებენ მის სახელზე „დონის“ დამატებით; რითიც „ოჯახის“ მეორე მნიშვნელობაზე მიანიშნებენ, რისი პროპაგანდაც, სხვათა შორის, საკმარისზე მეტად გასწია „ნათლიამ“.

დონ კოპოლას მართლაც შთამბეჭდავი ოჯახობა ჰყავს. მამამისი ფრენსისმა ჯერ კიდევ 70-იან წლებში დატვირთა: ვიდრე ცოცხალი იყო, კამინე კოპოლა აქტიურად წერდა მუსიკას ვაჟიშვილის ფილმებისთვის, ხოლო „გულის ნაწილში“ მან ცოლთან ერთად ეპიზოდური როლიც შეასრულა. „ნათლიაში“ შედგა კოპოლას პაწაწინა ქალიშვილის, სოფიას დებიუტი, რომელმაც ფილმში მამრობითი სქესის ჩვილის როლი ითამაშა. როცა წამოიზარდა, სოფიამ სამოდელო ბიზნესს მოჰკიდა ხელი, შემდეგ კი კინოკარიერით დაინტერესდა: თამაშობდა, სცენარებს წერდა, თავადაც იღებდა. „წლევანდელი „ოსკარებით“ დაჯილდოების ცერემონიაზე კი, ფილმის – „თარგმანში დაკარგული“ – დამდგმელი რეჟისორი და სცენარისტი სოფია კოპოლა „ოსკარით“ დაჯილდოდა („საუკეთესო სცენარისთვის“). სოფიას საყვარელი ძმა რომან კოპოლაც ოჯახური ტრადიციების გამგრძელებელია. მისი კინომოღვაწეობა საკმაოდ ფართო სპექტრს მოიცავს: ის გახლავთ მსახიობი, პროდიუსერი, სცენარისტი, რეჟისორი, კლიპმეიკერი. გარდა ამისა, ამ უპრეცედენტო კინემატოგრაფიული ოჯახის წარმომადგენლები არიან დონ კოპოლას და, მსახიობი ტალია შაიერი და მისი ვაჟი, კინოოპერატორი, რეჟისორი და მსახიობი ჯეისონ შვარცმანი; აგრეთვე ფრენსისის ძმის, ავგუსტო კოპოლას შვილები: ყველასათვის კარგად ცნობილი მსახიობი ნიკოლას კეიჯი, მისი ძმა, რეჟისორი კრისტოფერ კოპოლა, მათი ძმა, მსახიობი და ნიუ-იორკში ცნობილი საკლუბო დიჯეი მარკ კოპოლა (დონ კოპოლა თითქმის ყოველთვის იღებს მას თავის ფილმებში). კინოასპარეზზე მოღვაწეობდა სოფიას ყოფილი ქმარი სპაიკ ჯოუნსიც, რომელიც ცნობილი კლიპმეიკერი და კინორეჟისორი გახლავთ. სულ მალე კი, კინემატოგრაფიულ ოჯახს შვილიშვილთა თაობაც შეემატება. ასე რომ, როგორც ხედავთ, კოპოლა თავისი აყვავებული ბიზნესის მემკვიდრეების ნაკლებობას ნამდვილად არ უჩივის. ■



ფრენსის ფორდ კოპოლა დისშვილთან – ჯეისონ შვარცმანთან ერთად



ნიკოლას კეიჯი, სოფია კოპოლა და მისი ყოფილი მეუღლე სპაიკ ჯოუნსი

შერონ სტოუნი Rolling Stone–ის ეროტიკულ თოფოსესიაში გადაიღეს

ამბობენ, მიმდინარე წელი ვარსკვლავისათვის ძალზე იღბლიანი იყო: 46 წლის მსახიობმა დაამტკიცა, რომ კვლავ საუცხოო არტისტულ და ფიზიკურ ფორმაში იმყოფება. ეს დაადასტურა საკმაოდ გულახდილი ხასიათის ფოტოსესიამაც, რომელიც მუსიკალურმა ჟურნალმა Rolling Stone – ამ ცოტა ხნის წინ ჩაატარა. მინიატურულ ბიკინიში გამოწყობილმა შერონმა ჟურნალის მკითხველებს გაუზიარა საკუთარი შეხედულება თავის ახალ როლზე ფილმში „ქალი-კატა“, სადაც ის მარადიული ახალგაზრდობის იდეით შეპყრობილ, კოსმეტიკური კომპანიის დირექტორს ასახიერებს. ■

კოლინ ფარელის გვერდით გავლა ეშლად დარჩენას ნიშნავს

23 წლის კელამ ბესტს, თავისი საუცხოო გვარის („ბესტ“ საუკეთესოს ნიშნავს) მიუხედავად, მტკიცედ გადაუწყვეტია, აღარ იაროს ღამის კლუბებსა და ბარებში თავის სახელგანთქმულ მეგობარ კოლინ ფარელთან ერთად, რადგან ის ყველა გოგონას „აწერს“... გამოჩნდება თუ არა სადმე 28 წლის კინოვარსკვლავი, მას უმალ შემოეხვევიან მომხიბლავი გოგონები და მის გვერდით მყოფ ბესტს აინუნშიაც არ აგდებენ. კელამის თქმით, მას მოჰბეზრდა „მეორე ვიოლინოს“ როლი... ■

სოფი ლორენი კვლავ დედა გახდომა

სახელგანთქმული იტალიელი მსახიობი სოფი ლორენი, რომელსაც სექტემბერში 70 წელი უსრულდება, პატარა გოგონას აყვანას აპირებს. ერთ-ერთი ჟურნალისთვის მიცემულ ინტერვიუში მან განაცხადა: „თუმცა ჩემი ვაჟიშვილები ძალიან მიყვარს, ყოველთვის მსურდა, ქალიშვილის დედა ვყოფილიყავი. საკმარისად მოწიფული ვარ საიმისოდ, რომ კვლავ დედა გავხდე...“ ბავშვის აყვანის აზრი მსახიობს შემთხვევით როდი მოსვლია: მას არა და არ ეღირსა ბებიობა. სოფისა და მის ქმარს – პროდიუსერ კარლო პონტის (ის მეუღლეზე 20 წლითაა უფროსი) 2 ვაჟი ჰყავთ: 34 წლის კარლო-უმცროსი (რეჟისორი) და 30 წლის ედუარდო (დირიჟორი). ორივე ჯერჯერობით დაუქორწინებელია და შვილები არ ჰყავს. აქვე დავძენთ, რომ მსოფლიოში ცნობილ მსახიობ ქალებს შორის, ვინც ბავშვები იშვილა, ნიკოლ კიდმანი, მიშელ პფაიფერი, შერონ სტოუნი და ანჯელინა ჯოლი არიან. ■

ჯონი დეპმა ძვირად ღირებული „მერსედესი“ დაამტვრია

უბრალო უყურადღებობა სახელგანთქმულ მსახიობს 18 ათასი დოლარი დაუჯდა. ის თავისი ძვირად ღირებული „მერსედესით“, საფრანგეთის სანაპიროზე მდებარე საკუთარ ვილაზე ჭიშკარს შეასკდა. უკუსვლისას, დეპი ჭიშკრის ელექტროძრავას დასჯახებია, რასაც საკმაოდ დაუზიანებია მანქანის საბარგული და ჯონი გვარიანადაც შეუშინებია: უმალ გადამხტარა მანქანიდან და თურმე, სულ იდიოტი უძახია საკუთარი თავისთვის. ჯონი დეპს ამჟამად დიდ ბრიტანეთში, ფილმში – „უილი ვონკი და შოკოლადის ფაბრიკა“ – იღებენ და სწორედ გადაღებებს შორის ხანმოკლე შუალედის დროს, შინ „მირბენისას“ მოსვლია ეს უსიამოვნება. ■

ჯულია სტაილზი სწავლას ეწათემა

ისევე, როგორც „მონა ლიზას ღიმილის“ პერსონაჟმა – კერძო კოლეჯის მოსწავლემ, რომელმაც ირწმუნა საკუთარი ძალების და სწავლის გაგრძელება გადაწყვიტა, 23 წლის ამერიკელი მსახიობი ჯულია სტაილზიც მიიჩნევს, რომ სავსებით შესაძლებელია, ახალ ფილმებში გადაღებებისა და ლონდონის სცენებზე კონცერტებით გამოსვლების შემდეგ, კვლავ დაუბრუნდეს ლექციებს ნიუ-იორკში მდებარე, კოლუმბიის უნივერსიტეტში. მართალია, მან გამოტოვა რამდენიმე სემესტრი, მაგრამ სწავლის გაგრძელებას აპირებს. „უმაღლესში სწავლა ჩემი ნებით გადავწყვიტე და ცოდნის შეძენა ნამდვილად მსურს, – თქვა მან ერთ-ერთ ინტერვიუში. – მაგრამ სულაც არ მეჩქარება. აი, გავთავისუფლდები სამუშაოსგან, კვლავ მივუჯდები სტუდენტის მერხს და ყურს დავუგდებ იმას, თუ რას ლაპარაკობენ მასწავლებლები“. ■

გასულ კვირას გალერეა „შარდენში“ გაიხსნა ფოტოხელოვან ირმა შარიქაძის გამოფენა — „ფანტომი“, სადაც XX საუკუნის 40-იანი წლების 30-მდე სტილიზებული პორტრეტი იყო წარმოდგენილი. საღამო საკმაოდ ორიგინალურად დაიწყო: სანთლების მკრთალი შუქით განათებული, დამთვალიერებლებით სავსე დარბაზი რომანტიკულ განწყობას უწყობდა ხელს. მოგვიანებით ირმასთან გასაუბრებაც მოვახერხეთ.

ქალი-მირაჟი

პროფესიული ჩიტლობა

ნათია ქივიძე

— ირმა, თავდაპირველად, სახელწოდება „ფანტომის“ არსი აგვიხსენი...

— „ფანტომი“ ილუზიას ნიშნავს. ფანტომი ჩემს წარმოსახვაში არის ქალი, რომელიც თან არსებობს რეალობაში, თან — არა... ეს არის ქალი-მირაჟი, რომელიც შევეცადე, თანამედროვე პერსონაჟად მექცია... გამოფენის საიმიჯო ფოტოებია „მარლენ დიტრიხის სერია“; მისი გმირი ულამაზესი ქალბატონი, კომპოზიტორი დალი ჩიტალაძე გახლავთ, რომელიც 10 წელი ამერიკაში ცხოვრობდა. მას ასაკი არ ეტყობა და რაც ვიცნობ, სულ ასეთი მომხიბვლელია. მე მის შინაგან სილამაზეს თაყვანს ვცემ. ის ძალიან დახვეწილია. ყოველთვის იცის, როგორ უნდა ჩაიცვას და როგორ წარმოადგინოს საზოგადოებაში საკუთარი თავი. მისი გარდერობი ჩემთვის ხელოვნების ნიმუშივითაა. „კრისტიან დიორის სილუეტის“ სერიის გმირიც ეს ქალბატონი გახლავთ. საერთოდ, უნდა აღვნიშნო, რომ დალი ჩემი მუზაა. გამოფენაზე ასევე წარმოვადგინე „ეკატერინე ჭავჭავაძის სერია“, რომელიც მის სახლ-მუზეუმში, ზუგდიდშია გადაღებული. ამ ფოტოების გმირები, მოდელები — კრისტი ყიფშიძე და სოფო ხუბერაშვილი არიან. მათი კოსტიუმები სპეციალურად ამ გადაღებისთვის შეიქმნა. კიდევ მაქვს შეყვარებული ბავშვების ფოტოები, რომლებიც მისალოცი ბარათის სტილისაა და ისინიც რეტროა. ვერნისაჟზე წარმოდგენილი მაქვს აგრეთვე ირინა ონაშვილის საკმაოდ ცნობილი ფოტოების სერია, სადაც მას აბსოლუტურად განსხვავებული იმიჯი აქვს. მაშინ მას ფართო საზოგადოება ჯერ კიდევ არ იცნობდა, რადგან „მის საქართველოს“ ტიტულს ჯერ არ ფლობდა. ჩემი 4 წლის ბიჭის ფოტოებიც მაქვს — ის ანგელოზის სახით წარმოგვიდგება.

— გამოფენაზე წარმოდგენილი სერიების გარდა, სხვა სტილის ფოტოებზე თუ მუშაობ?

— რა თქმა უნდა. გადავიღე ქეთა თოფურიას, მარიკა თხელიძის და სხვა მომღერლების აუდიოალბომებისთვის განკუთვნილი სერია. ვფიქრობ, ძალიან საინტერესო გამოვიდა. მაგრამ გასული საუკუნის ქალბატონების სილამაზის წინ წამოწევა, ჩემი ერთ-ერთი საყვარელი თემაა. სხვათა შორის, ასეთი სტილის ფოტოები მთელ მსოფლიოში მოდაშია. თუმცა მათი გადაღება ყველაზე რთულია, რადგან მათზე მუშაობის დროს უნდა გაითვალისწინო, რომ მაკიაჟი, ჩაცმულობა, სტილი და აქსესუარები ჰარმონიულად უნდა ერწყმოდეს ერთიმეორეს. თუ ამას ვერ მიაღწიე, ისეთ ნამუშევარს ვერ მიიღებ, როგორიც ჩაფიქრებული გაქვს. საქართველოში მხატვრული ფოტოგრაფიის სკოლა არ გვაქვს. აქ ეს ხელოვნება არ ისწავლება და არც დაფასებულია სათანადოდ. მოდელი ან შემკვეთი, რომელსაც მხატვრული ფოტოების გადაღება სურს, იმდენს არ იხდის, რამდენიც საჭიროა, ამიტომ შეუძლებელია, რომ ფოტოგრაფს სამუშაო ჯგუფი ჰყავდეს, ის იძულებულია, სტილისტისა და ვიზაჟისტის ფუნქციებიც თავად შეითავსოს. მას მრავალმხრივი ნიჭი უნდა ჰქონდეს, რათა სხვისი დაქირავება არ დასჭირდეს, რადგან შემოსული თანხა ყველაფერს ვერ გასწვდება. ამის გამო, მეც მარტო ვუმკლავდები ამ რთულ საქმიანობას...

— როგორც ვიცი, ეს შენი პირველი პერსონალური გამოფენაა. ფოტოხელოვნებას კი უკვე კარგა ხანია მისდევ...

— საერთოდ, ბევრ გამოფენაში მიმიღია მონაწილეობა, მაგრამ ეს ჩემი პირველი პერსონალური პროექტია. უკვე 10 წელია, ფოტოხელოვანი ვარ. ვფიქრობდი, რომ მომზადების პროცესისთვის უფრო მეტი დრო უნდა დამეთმო, რათა იდეა და პროექტი კარგად მომწიფებულიყო. მინდოდა, რომ ყველაფერი ძალიან ორიგინალური ყოფილიყო. საიმიჯო ფოტო („მარლენ დიტრიხი“) აბრუშემზე გადავ-

გამოფენის საიმიჯო ფოტოებია „მარლენ დიტრიხის სერია“; მისი გმირი ულამაზესი ქალბატონი, კომპოზიტორი დალი ჩიტალაძე გახლავთ

იტანეთ, სხვადასხვანაირი მაქმანით მოვრთეთ და მოსაწვევში ჩავდეთ. მგონი, ლამაზი გამოვიდა. ჩაფიქრებული მქონდა, რომ ჩემს გამოფენაზე მოსულ ადამიანს თავი აბსოლუტურად სხვა სამყაროში ეგრძნო...

— საუბარში აღნიშნე, რომ საქართველოში ფოტოხელოვნების შესწავლა არ ხდება. შენ სად და როგორ დაეუფლე ამ პროფესიას?

— ეს ხელოვნება კონკრეტულ სასწავლებელში არ შემისწავლია. ძალიან მინდოდა თეატრალურში ჩაბარება და ფოტოგრაფიაზე საერთოდ არ ვფიქრობდი, უბრალოდ, ჩემთვის ვხატავდი. შემთხვევით, ვიღაც ფოტოგრაფმა, როგორც მოდელი, ისე გადამიღო და ჩემი ნახატებიც ნახა. მან მითხრა — კარგი ხედვა გაქვს და იქნებ, ფოტოები გადაიღოო. მათხოვა ფოტოაპარატი, რომელიც სოფელში წავიღე და უამრავი სურათი გადავიღე. როგორც პირველი ნამუშევარი, მართლაც, ძალიან კარგი გამოვიდა და გადავწყვიტე, ამ საქმისთვის საფუძვლიანად მომეკიდა ხელი. ასეთი ტიპის შემოქმედებითი სამუშაო უფრო მეტ თავისუფლებასთან და საკუთარი თავის რწმენასთან ასოცირდება. თავდაპირველად, ავტოპორტრეტების სერია მქონდა და 15-16 წლის გოგონა უკვე გამოცდილი ფოტოგრაფების წინაშე იმდენად ამბიციურად წარვდექი, რომ გაოცებული მიყურებდნენ... მერე გავთხოვდი და მოსკოვში ვცხოვრობდი, სადაც ფოტოხელოვნების ძალიან დიდი პრაქტიკა გავიარე...

— უახლოესი მომავლისთვის რა გეგმები გაქვს?

— გასული საუკუნიდან ჩვენს საუკუნეში გადმოვინაცვლებ და ახლანდელი ქალბატონების ფოტოებს გადავიღებ, სადაც, რა თქმა უნდა, ისევ მათი სილამაზე იქნება წარმოჩენილი. კიდევ უამრავი პროექტი მაქვს ჩაფიქრებული, რომლებზეც წინასწარ საუბარი არ მსურს. ■

კრისტი ყიფშიძესთან ერთად

როგორც აღვნიშნეთ, ფოტოხელოვან ირმა შარიქაძის ე.წ. მუზა „მარლენ დიტრიხისა“ და „კრისტიან დიორის“ სერიების გმირი, დალი ჩიტალაძეა, რომელიც 10 წლის მანძილზე, ნიუ-იორკში ცხოვრობდა, ახლა კი საქართველოში დაბრუნდა და აქ ახალი ოჯახი შექმნა. ვინ აღმოაჩინა ქალბატონი დალის მუსიკალური ნიჭი? ვის გაექცა იგი საქართველოდან ამერიკაში და ვინ არის მისი ახლანდელი, იდუმალი მეუღლე? — ამ ყველაფერს მისი ინტერვიუდან შეიტყობთ.

ფოტოხელოვანი ქალის ჯუჯას ფალილაჯის და ნიუ-იორკაჯის ჯვრი ჯაუოსჯია

ნათია ქივიძე

— თავდაპირველად თქვენს მშობლებზე გვიამბეთ. როგორ ოჯახში გაიზარდეთ?

— ჩემი მშობლები ექიმები არიან, მაგრამ ჩვენს ოჯახში მთავარი ყოველთვის ხელოვნება იყო. მამას ძალიან ლამაზი ხმა აქვს, დედაც კარგად მღერის, გიტარაზეც უკრავს. ისინი ხალხურ სიმღერებს მასწავლიდნენ და სამივე ერთად ხმებში ვმღეროდით ხოლმე. მე რომ სიმღერების წერა შემიძლია, ეს ჩემი მშობლების დამსახურებაა. ერთი და მყავს, რომელიც ასევე ხელოვანია. არაჩვეულებრივად ხატავს. ძმაც მყავდა, მაგრამ 9 წლის წინ გარდაიცვალა. ისე, გენეტიკას რამხელა მნიშვნელობა აქვს: ჩემს ძმისშვილს — პატარა დალი ჩიტალაძეს ძალიან სასიამოვნო ხმა აღმოაჩნდა. მიხარია, რადგან ჩემი ძმა ამბობდა — შვილს შენი სახელი იმიტომ დავარქვი, რომ მინდა, შენ დაგემსგავსოსო. ალბათ ეს ღვთის ნება იყო... ძალიან სტუმართმოყვარე ოჯახი გვქონდა, ჩვენთან სულ გაშლილი იყო სუფრა. ჩემს მშობლებს უნდოდათ, რომ ექიმი გამოვსულიყავი, მაგრამ ფიზიკისა და ქიმიის სწავლა არ შემეძლო, მხოლოდ მუსიკა მხიბლავდა. მუსიკალურ სკოლაში რომ დავდიოდი, პედაგოგად ქალბატონი მადონა სანაძე მყავდა. შინ სულ როიალთან ვიჯექი და ვუკრავდი, გაკვეთილზე კი, რომ მივიდოდი, პროგრამა არ ვიცოდი. გაბრაზდა ჩემი პედაგოგი და დაურეკა დედაჩემს — მოუმზადებელი მოდისო. დედას გაუკვირდა: შინ სულ მეცადინეობს და მანდ რა ემართება, არ ვიციო. ამ საუბრის შემდეგ, გაკვეთილზე რომ მივედი, მასწავლებელმა მითხრა: აბა, აქ დაუკარი, შინ რასაც უკრავ ხოლმეო. ცრემლები წამომივიდა, ვუკრავდი და თან ვტიროდი. — ეს რა არისო? — მკითხა. — არ ვიცი, თვითონ მოვიგონე-მეთქი, — ისეთი ხმით ვუპასუხე, თითქოს რაღაც დანაშაული ჩავიდინე... მერე მეხმარებოდა და მასწავლიდა, მელოდია ნოტებით როგორ უნდა ჩამეწერა... კარგად მახსოვს, პირველი სიმღერა იოსებ ონნეშვილის ლექსზე — „დედა“ დავწერე. მაშინ ბატონი იოსები ცოცხალი იყო, მოისმინა ეს სიმღერა და ძალიან მოეწონა... პირველი ექსპერიმენტული სკოლა დავამთავრე. ჩემი კლასელები იყვნენ ზურა ჟვანია, ირინა სარიშვილი და ა.შ.

— როგორი ბავშვები იყვნენ ბატონ ზურა და ქალბატონი ირინა?

— ორივე არაჩვეულებრივი ნიჭით გამოირჩეოდა. ზურა ძალიან ბეჯითი, დინჯი, ჩუმი და გაწონასწორებული ბავშვი იყო. ირინა კი, „ბუნტისთავი“ გახლდათ. ის რომ იტყოდა — შატალოზე უნდა წავიდეთო, — რატომღაც მთელი კლასი ვემორჩილებოდით და ცხვრებივით მივყვებოდით. მახსოვს, ერთხელ, ირინაზე გაბრაზებულმა, მათემატიკის მასწავლებელმა თქვა — ან მე, ან სარიშვილიო!.. ახლა როგორი შემართული, მიზანდასახული და მებრძოლია ირინა, ხომ იცით, და მაშინაც ასეთი იყო... ძალიან უყვარდა მეგობრები და მათი გატანა ყოველთვის

შეეძლო. ზურა კი ისეთი წყნარი იყო, მისი პოლიტიკოსობის ამბავი რომ შევიტყვე, ძალიან გამიკვირდა... ირინასთან ახლაც ძალიან ახლო ურთიერთობა მაქვს, ხშირად ვნახულობ. ზურას კი, არ ვაწუხებ: ისედაც ბევრი შემწუხებელი ჰყავს... ასე რომ, ძალიან შემოქმედებითი კლასი გვქონდა. მერე სკოლაში ტრიო ჩამოვაყალიბე, მოგვიანებით კი მუსიკალური სპექტაკლიც დავდგი – „კონკიას ზღაპარი". ძალიან აქტიური მოსწავლე ვიყავი, ფრიადებზე ვსწავლობდი. მერვე კლასის მერე, მუსიკალურ ტექნიკუმში გადავედი. ათი კლასის დამთავრების შემდეგ, სკოლის ბოლო ზარზე მიმიწვიეს, სადაც სპეციალურად ამ დღისთვის დაწერილი საკუთარი სიმღერა შევასრულე... 16 წლის ასაკში ერთი ბიჭი შემიყვარდა და გავთხოვდი.

— თქვენი ოჯახი როგორ შეხვდა შვილის ნაადრევად გათხოვებას?

– რა თქმა უნდა, არ უნდოდათ, მაგრამ მე გამოვუცხადე – თუ არ გამაყოლებთ, გავიპარები-მეთქი. სხვა რა გზა ჰქონდათ?.. ტრადიციულად გავთხოვდი. ჩემი ახლა უკვე ყოფილი ქმარიც და მისი მშობლებიც ექიმები იყვნენ. სხვათა შორის, ძალიან კარგი ოჯახი ჰქონდა, თვითონაც არაჩვეულებრივი პიროვნებაა, მაგრამ როგორც ნაადრევად დაქორწინებულებს სჩვევიათ, ერთმანეთს ვერ შევეწყვეთ და გავიყარეთ. გვყავს შვილი – ვახო სუთიძე, რომელიც ახლა უკვე 24 წლისაა... განქორწინებიდან მეორე წელს, კონსერვატორიაში ჩავირიცხე, თუმცა მანამდე, სტაჟისთვის მუშაობა დავიწყე მასწავლებელთა სახლში კონცერტმაისტერად. საახალწლოდ გიზო ნიშნიანიძის საღამო მოაწყვეს, სადაც ორგანიზატორმა მიმიწვია და მთხოვა, რომ მემღერა. საღამოს შემდეგ, ბატონი გიზო მოვიდა და მკითხა – ვისი შვილი ხარო (მაშინ 19 წლის ვიყავი)? ვუპასუხე – დედაჩემის და მამაჩემის-მეთქი. უნდა გავიცნო შენი მშობლებიო, – მითხრა და შევთანხმდით, რომ მეორე დღეს, ჩვენთან სტუმრად მოვიდოდა... საერთოდ, ბატონი გიზო სიმღერებისთვის ლექსებს არ წერდა, მაგრამ გამონაკლისად ერთი ლექსი – „დიალოგი დიდი ინტერვალით" – მომიძღვნა, ამ ლექსზე ერთ დღეში დავწერე მუსიკა. მერე, ბატონი გიზოს იდეით, ეს სიმღერა მსახიობ ირაკლი უჩანეიშვილთან დუეტში ჩავწერე. ეს იყო გაზაფხულისა და ზამთრის დიალოგი. საწყალ ირაკლის ისეთი ლამაზი ხმა ჰქონდა... სამწუხაროდ, ეს ჩანაწერი დაიკარგა. ფირი აღარ არსებობს. ახლა მინდა, აღვადგინო და გადავწყვიტე, ბატონ გიზოს ვთხოვო, რომ ამ სიმღერაში პარტნიორობა გამიწიოს – მასაც არაჩვეულებრივი ხმა აქვს... კონსერვატორიაში ჩემი პედაგოგები იყვნენ: ანდრია ბალანჩივაძე, ოთარ თაქთაქიშვილი, სულხან ნასიძე... მაშინ სილამაზის კონკურსი ტარდებოდა. ყოველ გაზაფხულს ყვავილების დედოფალს ირჩევდნენ და 1985 წელს „მის კონსერვატორია" გავხდი.

— როგორც ვიცი, რადენიმე ქართულ მხატვრულ ფილმშიც გადაგიღეს...

– დიახ. პირველი ფილმი იყო ნოდარ მანაგაძის „ეი, მაესტრო", რომელიც ბევრი პრიზით დაჯილდოვდა – მაგალითად, სან-რემოს ფესტივალის გრან-პრით. მერე იყო გენო ჩირაძის ფილმი, სადაც პარტნიორობას აწ გარდაცვლილი ლევან აბაშიძე მიწევდა. გადაღებული ვარ აგრეთვე ქეთი დოლიძის ფილმში – „მარტოხელა მონადირე", დათო შენგელიძის „სტატისტებში", სანდრო ვახტანგოვის მოკლემეტრაჟიან მუსიკალურ ფილმში – „ღამე" და ა.შ.

— მაშინ პირველი მუსიკალური კლიპიც გადაიღეთ, არა?

– დიახ. მე და მერაბ სეფაშვილმა ჩავწერეთ დუეტი და გუდაურში გადაღებული კლიპი. ეს 1987 წელს იყო. მერაბთან გადასარევი ურთიერთობა მქონდა. ასევე ვმეგობრობდი და ახლაც ვმეგობრობ თემურ თათარაშვილთან, ნინაკა გელაშვილთან, ნუგზარ ერგემლიძესთან, ლევან უჩანეიშვილთან და ტენორ ბადრი მაისურაძესთან. ამერიკაში ლევანი ჩემი ხშირი სტუმარი იყო. ჩემი დეიდაშვილი ნენო, ზურა მანაგაძის მეუღლეა და შესაბამისად, მათთანაც ახლო ურთიერთობა მაქვს. მე რომ ამერიკაში წავედი, ბუკა სულ პატარა იყო, ახლა კი უკვე მომღერალია!..

16 წლის ასაკში ერთი ბიჭი შემიყვარდა და გავთხოვდი

— როგორ შეხვდით ირმა შარიქაძეს და როგორ გახდით მისი მუზა?

– ირმა მეგობრის ოჯახში გავიცანი. ისეთი პატარას შეხედულება ჰქონდა, ტინეიჯერი მეგონა. უცებ მოვიდა და მითხრა – მინდა, ფოტოები გადაგიღოთო. ძალიან გამიკვირდა, მაგრამ თავისი ალბომი რომ ამოიღო და ნამუშევრები მაჩვენა, გაოცებულმა ვკითხე – ეს შენი ნამუშევრებიამეთქი?.. რა თქმა უნდა, დავთანხმდი, რადგან ფოტოხელოვნება თავადაც ძალიან მიყვარს და მეც გატაცებული ვარ ამ საქმით. ირმას ძალიან კარგი ხედვა აქვს. „მარლენ დიტრიხის სერია" ჩემი დის ვერანდაზეა გადაღებული. ნოემბერი იყო და საშინლად ციოდა. სავარძლები და სხვა ნივთები, რომლებიც გადაღების დროს გამოვიყენეთ, სულ ჩემმა სიძემ გამოზიდა სახლიდან. თეთრი ვარდების შეკვეთაც იმან მისცა. მოკლედ, ჩემი დის მთელი ოჯახი აქტიურად იყო ჩაბმული გადაღების პროცესში. 4 საათის განმავლობაში ვიჯექი იმ სარაფნით და გავითოშე. საერთოდ, რა ტანსაცმელიც გადაღებებზე მეცვა, სულ ჩემი გარდერობიდან არის. 2 დღის განმავლობაში ვარჩევდით მე და ირმა. „კრისტიან დიორის სილუეტის" ფოტოები კი, მცხეთის ვაგზალზე გადავიღეთ. მაშინაც ძალიან ციოდა, მაგრამ მოთმინებით ვისხედით და მატარებლის გამოჩენას ველოდით. როგორც იქნა, გამოჩნდა მატარებელი და სადგურზე სულ 2 წუთით

თუმცა მანამდე, სტაჟისთვის მუშაობა დავიწყე მასწავლებელთა სახლში კონცერგმაისტერად...

პირდაპირ ქუჩიდან შეველი ჯანი ვერსაჩეს მაღაზიაში და ვუთხარი, რომ მათთან მუშაობის დაწყება მსურდა

სხვათა შორის, ამერიკაში მე და ვახო სადმე რომ მივდივართ, სულ ჩემი ბოიფრენდი ჰგონიათ. როცა ვუსსნი, რომ ჩემი შვილია, გაოცებულები მიყურებენ...

გაჩერდა. ირმამ გადაღება მაინც მოასწრო. ჩემი აზრით, ამ ფოტოებში მოლოდინის სევდაა ასახული. „მარლენ დიტრიხის სერია“ კი ქალურობას, რომანტიზმსა და ბოჰემურ ცხოვრებას გამოხატავს.

— ახლა ამერიკაში ცხოვრების შესახებ მოგვიყევით.

– 1993 წელს, ომის შემდგომ პერიოდში აქ საშინელი ცხოვრება იყო. ამ დროს, ჩემი შვილი გარდატეხის ასაკში იყო. პირველ რიგში დედა ვარ და გადავწყვიტე, ჩემი შვილისთვის მიმეხედა. მანამდე ევროპაში უამრავ ქვეყანაში ვყოფილვარ, მაგრამ არსად დარჩენის სურვილი არ გამჩენია. ამერიკაში მეგობართან ჩავედი და ნიუ-იორკი ისე მომეწონა, რომ მაშინვე იქ ცხოვრება გადავწყვიტე. თან ჩემს ცხოვრებაში ისეთი ადამიანი არ არსებობდა, ვის გამოც აქ დავრჩებოდი.

— არ გეშინოდათ, ასეთ დიდ ქალაქში შვილთან ერთად რომ ჩახვედით? ვისი იმედი გქონდათ?

– საკუთარი თავის. საერთოდ, ძალიან რისკიანი ვარ. 300 დოლარი მქონდა ჯიბეში და ისე წავედი იქ, ერთ კვირაში დავიწყე მუშაობა. მანჰეტენზე იყო რუსული რესტორანი „ერმიტაჟი“, სადაც ვმღეროდი ქართულ და რუსულ რომანსებს. 8 თვეში, მეგობრების დახმარებით უკვე გავაკეთე საბუთები, რომლის მიხედვითაც მუშაობის უფლება მეძლეოდა. ამის შემდეგ, პირდაპირ ქუჩიდან შეველი ჯანი ვერსაჩეს მაღაზიაში და ვუთხარი, რომ მათთან მუშაობის დაწყება მსურდა, გაოცებულები მიყურებდნენ, რადგან იქ სამსახურში მოსაწყობად რეკომენდაცია გჭირდება, მე კი ისეთი არავინ მყავდა, ვინც რეკომენდაციას გამიწევდა, მაგრამ ალბათ დავარწმუნე, რომ ხალხთან ურთიერთობა შემეძლო და ასისტენტად ამიყვანეს. მოგეხსენებათ, ვერსაჩეს ძალიან ძვირად ღირებული ტანსაცმელი აქვს, ამიტომ ჩვენი მომხმარებლები სულ ცნობილი ადამიანები იყვნენ. ცუდი ნათქვამია, მაგრამ შიშველი მინახავს მადონა, ჯენიფერ ლოპესი, მაიკ ტაისონისა და პრინცის ყველა ახლობელი ქალბატონი... ყველაზე ძვირად ღირებულ კაბას მეც ვიცვამდი და სურათს ვიღებდი ხოლმე. ალბათ გარეგნობაც ხელს მიწყობდა და ვერსაჩე თვითონ მთხოვდა ხოლმე ამა თუ იმ კაბის ჩაცმას – ვნახოთ, ტანზე როგორიაო. მეტსახელიც მქონდა: ვერსაჩე ჯორჯანას მეძახდა. მერე ამ მაღაზიის მენეჯერიც გავხდი. მოგვიანებით, ვერსაჩეს გარდაცვალების შემდეგ, მივატოვე ეს სამსახური და გადავედი საერთაშორისო ბიზნესის საბროკერო კომპანიაში, სადაც ვიცე-პრეზიდენტის პოსტი მეკავა. მცდელობა მქონდა, რომ საქართველოში წამომეწყო ბიზნესი, ამიტომ ხშირად მიწევდა აქ ჩამოსვლა...

— ამ დროს თქვენი შვილი ამერიკაში რას აკეთებდა?

– ვახომ სკოლა წარჩინებით დაამთავრა. მერე კი კოლეჯში ჩააბარა, სადაც პოლიტიკის მეცნიერებას სწავლობს. ერთი პერიოდი, ვეხმარებოდი და ვახო და მისი მეგობრები ნიუ-იორკში ქართულ გაზეთს უშვებდნენ. სამწუხაროდ, ეს გაზეთი მალე დაიხურა. ვახო არაჩვეულებრივად წერს ქართულად. ინგლისური ენის გარდა, ესპანური ისწავლა, ახლა კი იტალიურსაც სწავლობს... სხვათა შორის, ამერიკაში მე და ვახო სადმე რომ მივდივართ, სულ ჩემი ბოიფრენდი ჰგონიათ. როცა ვუხსნი, რომ ჩემი შვილია, გაოცებულები მიყურებენ...

— ახლა რამ ჩამოგიყვანათ ამერიკიდან?

– *(იცინის)* სიყვარულმა. ამერიკაში ძალიან ბევრი თაყვანისმცემელი მყავდა, მაგრამ მე ალბათ ქართველი მამაკაცის ყურადღებით ძალიან განებივრებული ქალი ვიყავი. ამერიკელებით არასოდეს დავინტერესებულვარ. ვიდრე ამერიკაში წავიდოდი, ქუჩაში ერთმა კაცმა გამაჩერა, უამრავი ყვავილი მომართვა და სახელი მკითხა, მაგრამ არ ვუთხარი. მერე მან ჩემ შესახებ ყველაფერი გაიგო, მომძებნა და ცოლობა მთხოვა, მაგრამ მაშინ ამერიკაში წასვლა მქონდა გადაწყვეტილი და სასტიკი უარი ვუთხარი. ის ბიზნესმენია და აქ მივლინებით რომ ჩამოვდიოდი, ერთმანეთს საქმის გამო ვხვდებოდით ხოლმე. ძალიან დიდ ყურადღებას მაქცევდა. მან იცის ქალის ფასი. ერთ-ერთი ჩამოსვლისას დარჩენა გადავწყვიტე. ვახოს სიურპრიზი მოვუწყვე. დავურეკე და ჩემი გათხოვების ამბავი ვახარე. ახლა ძალიან ბედნიერი ვარ, რადგან ვიპოვე ის ადამი-

...ბაგონი გიზოს (მარჯვნივ) იღეით, ეს სიმღერა მსახიობ ირაკლი უჩანეიშვილთან (მარცხნივ) ღუეტში ჩავწერე

ანი, რომელსაც მართლა ძალიან ვუყვარ-ვარ. რა თქმა უნდა, მის მიმართ მეც იგივე გრძნობა მაქვს.

ნინაკა გელაშვილთან ერთად

— ვინ არის თქვენი მეუღლე?

— ჩემი მეუღლე ბიზნესმენია. მისი ვინაობის გამხელა კი არ მსურს.

— ახლა აქ რას აპირებთ? რა საქმიანობას მოჰკიდებთ ხელს?

— ისევ ჩემს პროფესიას დავუბრუნდები. ძალიან მინდა, ისევ მუსიკა დავწერო, ვიმღერო. ჩემი ოცნებაა, რომ ოპერა დავწერო. ამას ცხოვრებისეული გამოცდილება და სიღრმე სჭირდება. ამ ოცნების ახდენას ალბათ მალე შევძლებ. მინდა აგრეთვე მერაბ სეფაშვილთან ნამღერი დუეტიც აღვადგინო და რემიქსი გავაკეთო. თუმცა ალბათ ამერიკაშიც ხშირად წავალ ხოლმე, რადგან ვახო იქ ცხოვრობს და მას დედა ჯერ კიდევ სჭირდება.

— დაბოლოს, რა არის თქვენი უბერებელი სილამაზის საიდუმლო?

— ეს ცოტა გენეტიკაზეა დამოკიდებული, ცოტა — საკუთარი თავის მოვლაზე და ცოტაც — ოპტიმიზმზე. ეს სამივე თუ არ გაქვს, ძნელია ცხოვრება. მე ყოველთვის მჯეროდა, რომ

მოდელ ნათია
მაქაცარიასთან ერთად

ყველაფერი კარგად იქნებოდა... რთული ცხოვრება მაქვს გავლილი. ჰოროსკოპით კატა ვარ და მასავით ზურგზე არასოდეს ვეცემი — ფეხებზე ვდგები. ასევე მნიშვნელოვანია სწორი კვება, ვარჯიში და რაც ყველაზე მთავარია — სიყვარული. ახლა გვერდით ისეთი მამაკაცი მყავს, რომელიც ჩემს სილამაზეზე ზრუნავს.

■

„შენ ღვთის შვილი ხარ!..“
უთხრა პატრიარქმა ირაკლი ლომაიას

სენაკელი ირაკლი ლომაიას ამბავი, რომელსაც ჯვრები ესახება და სხეულიდან მირონი სდის, მთელმა საქართველომ შეიტყო. მკურნალი, ექსტრასენსი და ნათელმხილველი უმძიმეს ავადმყოფებს კურნავს. წინასწარ ხედავს, ვის რა უბედურება უნდა დაატყდეს თავს და ცდილობს, დაიფაროს განსაცდელისგან. იგი კავშირს ამყარებს გარდაცვლილთა სულებთან. ირაკლის მაღალჩინოსნებიც ხშირად სთხოვენ დახმარებას.

— 7 წლის ვიყავი, როცა ყველანაირი სახადი (ბატონები) ერთდროულად შემეყარა. მოგვიანებით წამერთვა მარჯვენა ხელ-ფეხი, თავში აღმომაჩნდა ლიმფური ჯირკვლის სიმსივნე, ეპილეფსია და სხვა დაავადებები. 2000 წლამდე ასე ვიტანჯებოდი, ექიმებმა ვერაფერი მიშველეს. ჩვენს მეზობლად ცხოვრობს მორწმუნე ქალი, რომელმაც შემომითვალა, შეგილოცავო, მაგრამ სანამ ძალიან არ გამიჭირდა, მანამდე არ წავედი მასთან. დამინახა თუ არა, დაიჩოქა და მითხრა, — დიდი ძალა გაქვს ღმერთისგან ბოძებული. იმავე დღეს, 23 საათზე გონება დავკარგე, ყველას დასანახად ჰაერში ავიწიე და უგონოდ მყოფი ვწინასწარმეტყველებდი. პირველი, ვინც გამომეცხადა გონს მოსულს, წმიდა ნიკოლოზი იყო. იმ პერიოდში უმძიმესი ავადმყოფობები განკურნე.

— პირველად რომელ ხატს გადმოედინა მირონი თქვენს სახლში?

— მირონდენა ჯერ ღვთისმშობლის ხატს დაეწყო, მერე, თანამიმდევრობით 7 ხატს გადმოედინა მირონი ერთ კვირაში. მოგვიანებით კედლებიდანაც დაიწყო მირონდენა, სხეულზე ჯვრები და წარწერები გამომესახა და მეც გადმომედინა მირონი, რომლითაც სნეულებს ვკურნავ.

— ჯადოს თუ ხსნით?

— დიახ! მაგიური ზემოქმედებით დაზარალებულმა ჩემთან მოსვლამდე ორ თაფლის სანთელს ოცთერიანი უნდა დააკრას, ღამე სასთუმალქვეშ ამოიდოს და ოჯახის წევრების ფოტოებთან ერთად მეორე დღეს მომიტანოს, ხოლო ვინც სამკურნალოდ მოდის, თან მოაქვს ახალგადაღებული სურათი (პასპორტისთვის). დიაგნოზს თავად ვუსვამ პაციენტს. სანთელს დავანთებ თუ არა, სნეულის მფარველი ანგელოზი მეცხადება და მკარნახობს, თუ რა აწუხებს ავადმყოფს.

— ირაკლი, ვიცი, რომ არაერთხელ მიგიწვიეს საზღვარგარეთ, რატომ არ მიდიხართ?

— ქართველი ვარ და ჯერ ჩემს სამშობლოს უნდა ვემსახურო, მერე წავალ მეზობელ ქვეყნებში სხვების დასახმარებლად.

— როგორ განიკურნეთ სხვადასხვა სენისგან?

— ხილვით მეუწყა, რომ სოფელ ქვალონში ცხოვრობს ნათელმხილველი და შემლოცველი ელისო ტორჩინავა. სწორედ მან გამომიყვანა უმძიმესი მდგომარეობიდან. როცა განვიკურნე, ჩვენმა მფარველმა ანგელოზებმა გვიკარნახეს, ერთმანეთის ბედი ხართო და ვიქორწინეთ. შეგვეძინა ბიჭი, პატარა გიორგი.

— პატრიარქისგან თუ გაქვთ კურთხევა?

— უწმინდესმა და უნეტარესმა დამლოცა და კურთხევა მომცა ხალხის სამსახურში ჩასადგომად. „შენ ღვთის შვილი ხარ, შვილო!..“ — ასე მითხრა პატრიარქმა.

P.S. ირაკლის და ელისოს მისამართებია: თბილისში — მეტრო „დელისთან“, თამარაშვილის 13ა, იპოდრომი, კოტეჯი №17. სენაკში — აეროპორტის შესახვევი, I ჩიხი. მიღების დღეებია: სამშაბათი, ხუთშაბათი, შაბათი, კვირა, 14-დან 18 საათამდე. ტელეფონები: 8(99) 15.17.39 (ირაკლი), 8(99) 50.15.78 (ელისო).

წინამდებარე წერილი იხ. „გზა“ №30

აკაკი გეგენავა (მარჯვნივ) ამერიკელ კოლეგასთან ერთად

მერილენდის მოხუცთა თავშესაფრიდან ვირჯინიელი სენატორის სახლამდე...

ყოველთვის მეგონა, რომ ადამიანისთვის ყველაზე დიდი ფუფუნება ოჯახური სითბოა. ოჯახი კი, მუდამ ტრადიციული წარმომედგინა — სადაც სამი (ზოგჯერ ოთხი) თაობა ერთმანეთზე ზრუნვითა და სიყვარულით ცხოვრობს. ამერიკამ ეს ჩემი წლობით ნალოლიავები სურვილი — ჩემიანების გარემოცვაში გამეტარებინა სიცოცხლე, ერთი ხელის მოსმით დამიმსხვრა.

...მოხუცი მშობლები თავშესაფარში მიჰყავთ, 16-18 წლის შვილს დამოუკიდებლობას „ჩუქნიან“, თვითონ კი მხოლოდ საკუთარ სიამოვნებაზე ფიქრობენ...

ამიტომაც იყო, რომ დანა პირს არ მიხსნიდა, მერილენდის მოხუცებულთა თავშესაფრიდან წამოსულს: იქ ხომ ჩვეულებრივ ამერიკელი მოხუცი კი არა, ჩემი თანამემამულე დავტოვე, რომელსაც თავისი სიცოცხლის ბოლო წლებში მხოლოდ ნოსტალგია კი არა, ერთადერთი შვილიშვილის მონატრების ტკივილიც დატანჯავს. ერთადერთმა მემკვიდრემ ახალგაზრდობაში ამერიკაში გადასახლებულ ბაბუას ყველაფერი გაუყიდა და შორეულ მერილენდში დააბინავა.

აკაკი გეგენავა

...ეს ამერიკული ცხოვრების წესია!

ჩემი თანამემამულის, გაამერიკელებული ანზორ შიხაშვილის შვილიშვილს, ელენს ქართველისა არაფერი ეცხო. გულს ისიც მტკენდა, რომ სურვილიც არ ჰქონდა, თავისი ბაბუის სამშობლოს შესახებ რაიმე გაეგო...

მივდიოდი ტრაილერით ჩრდილოეთ კაროლინისკენ და მიმქონდა ძვირფასი ავეჯი და ჭურჭელი, რომელიც ელენს ბაბუისგან ერგო. ჩემს ტრაილერს ელენი მოჰყვებოდა, ბოლო მოდელის „შევროლეთი“. სხვა დროს ასეთ შემთხვევაში, ბედნიერად ჩავთვლიდი თავს — მშვენიერ ქერათმიან ქალთან ერთად მგზავრობას რა სჯობს? — მაგრამ ახლა, იოტისოდენ ყურადღებასაც არ ვაქცევდი ელენს. დიდი მიხვედრა არ უნდოდა იმას, რომ მამაკაცების ყურადღებით განებივრებული ელენი დისკომფორტს განიცდიდა. ტრაილერს დიდი სიჩქარით მივაქროლებდი და მხოლოდ იქ ვაჩერებდი, სადაც აუცილებელი იყო. ჩრდილოეთ კაროლინის ქალაქ შარლოტამდე ისე მივედი, რომ ავტოგასამართი სადგურებისა და ფასიანი ხიდების ბაჟის გადასახდელი ჯიხურების გარდა, არსად შევყოვნებულვარ. როგორც კი რომელიმე ჯიხურთან გავჩერდებოდი, ელენი მაშინვე მოაყენებდა ჩემს მანქანასთან თავის „შევროლეს“ და სასაუზმოდ მეპატიჟებოდა. მე, რა თქმა უნდა, ცივი უარით ვისტუმრებდი. თავდაპირველად ვერაფრით გაიგო, რატომ არ ვსაუზმობდი. მხრების აჩეჩვით გამოხატავდა გაოცებას. ბოლოს, ეტყობა, ვეღარ მოითმინა და ერთ-ერთი გაჩერებისას კატეგორიული ტონით მკითხა:

— გამაგებინე, შიშშილობ თუ ჩემთან ჯდომა გეთაკილება?!

— არ მშია, ქალბატონო! — ცივად ვუპასუხე.

ეჭვით ამათვალიერ-ჩამათვალიერა და ირონიულად ჩაიცინა. მოვტრიალდი და კაბინისკენ წავედი. ელენი ამედევნა, მხარზე ახლობელივით დამადო ხელი.

— რა გინდა, ქალბატონო, რამე დაგიშავე? — გავღიზიანდი.

— ძალიან გთხოვ, სადმე დავსხდეთ და ვისაუზმოთ. სალაპარაკოც მაქვს შენთან.

— მე ახლა სამსახურში ვარ, ტვირთი განსაზღვრულ დროში უნდა ჩავიტანო.

— მაგას ნუ დარდობ, ტვირთი ხომ ჩემია?! შენს ბოსსაც დაველაპარაკები, პრობლემები არ შეგექმნება... ბოლოს და ბოლოს, ჯენტლმენი ხომ ხარ!..

უარის თქმა მართლა აღარ გამოდიოდა.

მყუდრო, ჩინურ რესტორანში შევედით. ელენმა მენიუ მომაწოდა. მენიუში არც ჩამიხედავს, უბრალოდ, ცივი წვენი მოვითხოვე. ელენს აშკარად არ ესიამოვნა ჩემი უყურადღებობა.

— აკაკი, ვიცი, რატომაც ხარ ასეთი გაღიზიანებული, მაგრამ მეც უნდა გამიგო...

— ??

— ეს ამერიკული ცხოვრების წესია!.. ხანში შესულები ბოლო წლებს თავშესაფარში ატარებენ. ამისათვის თავადაც არიან შემზადებული. ბაბუამ თვითონ გამოთქვა სურვილი და მეც არ გამიწევია წინააღმდეგობა. თუმცა, რაღა დაგიმალო და, მეც ამის მომხრე ვარ. ეს ცხოვრებისეულმა პრაქტიკამ მოიტანა — ადამიანები ცდილობენ, ერთმანეთისთვის ზედმეტ ბარგად არ იქცნენ...

— შენ რომ მოხუცდები, ელენ, შენი შვილები და შვილიშვილები, როგორც ბაბუაშენს, შენც თავშესაფარში წაგიყვანენ, არა?

— ალბათ ასე იქნება... — ჩაილაპარაკა მან სევდიანად.

— ჩემთვის გაუგებარია, მშობელი ტვირთად როგორ უნდა იქცეს შვილისთვის. მით უმეტეს, თუ შვილი განვითარებულ ქვეყანაში ცხოვრობს და თვითონაც საკმაოდ მდიდარია?!

— იცი, აკაკი, კიდევ გიმეორებ — ეს ამერიკული ცხოვრების წესია. ეტყობა, შენ ჯერ ყველაფერს კარგად ვერ ჩასწვდი. მე აგიხსნი ყველაფერს...

— ელენ, მოდი, შენ ეს სხვებს აუხსენი, მე კი, თავი დამანებე. „ბიბლია“ მაინც არ წაგიკითხავს? უფალზე არაფერი გსმენია?.. ათი მცნება მაინც არ წაგიკითხავს?

— რას ამბობ, როგორ არ წამიკითხავს?! — ვერ გაიგო, რას ვითხოვდი მისგან.

ჩემი შვილები ასე რომ მოიქცნენ, ცემა არ ასცდებათ! – თავი ვეღარ შეიკავა ჯორჯმა...

– მაშინ გონებაში კიდევ ერთხელ გადაავლე თვალი მეხუთე მცნებას...

– ასე დეტალურად არ მახსოვს...

– მაშინ მე გაგახსენებ. აი, რა წერია მეხუთე მცნებაში: „პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელ იყო ქვეყანასა ზედა...“

ელენი ახლა უკვე გაოგნებული მიყურებდა. მე კი ჩემსას ვაგრძელებდი:

– არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, ვინ ხარ და სად ცხოვრობ, შენს წინაპარს პატივი უნდა სცე... თანაც, ძალიან მწყინს, რომ შენში ქართული სისხლიცაა, ქართველები კი ასე არ იქცევიან... არა, ჩვენ სხვადასხვა ენაზე ვლაპარაკობთ, ერთმანეთს ვერ გავუგებთ!

– ბაბუა ხშირად მიამბობდა საქართველოზე. ამბობდა, რომ ძალიან ლამაზი ქვეყანაა, რომ ქართველები ყველაზე ძლიერი და ლამაზი ხალხია...

– მარტო ამის ცოდნა საკმარისი არ არის. თუ ქართველი ხარ, მართლა ქართველი უნდა იყო, მთელი არსით და, შეგნებით, რწმენითაც, რაღა თქმა უნდა!.. – ახლა ლამის ქადაგად დავეცი.

ელენი დამნაშავესავით მიყურებდა და ბოლოს, თითქოს თავს იმართლებსო, წყნარად მითხრა:

– მეც დავდივარ ეკლესიაში და სანთელს ვანთებ...

– ქრისტიანობა მარტოოდენ სანთლის დანთება როდია. მთავარია, როგორ იცხოვრებ, მოეწონება თუ არა უფალს შენი ნამოქმედარი!..

– რა გინდა, აკაკი, რას გადამეკიდე? ასეთი რა დავაშავე?!. – ელენს თვალზე ცრემლი გაუკრთა.

– არა, ელენ, მე არ გაკიცხავ. უბრალოდ, ვამბობ იმას, რაც სიმართლეა. მე ვინ მომცა იმის უფლება, ვინმე განვიკითხო?..

ელენს ფერი აღარ ედო. მეც არანაკლებ აღელვებული ვიყავი. სულმოუთქმელად დავლიე ოფიციანტის მიერ მოტანილი, ცივი ფორთოხლის წვენი და რესტორნიდან ლამის სირბილით გამოვედი.

ელენს წვენიც არ დაულევია (ისეთი აღელვებულები ვიყავით, ვერც წვენის და ვერც საუზმის შეკვეთა ვერ მოახერხა). უკან არ მიმიხედავს, მაგრამ მივხვდი, რომ ისიც მაშინვე ადგა და გამომყვა.

როცა ტრაილერით კარგა მანძილი გავიარე, მაშინღა მივიხედე უკან (უფრო სწორად, მანქანის კარზე დამაგრებულ სარკეს შევავლე თვალი), ელენი „ერთგულად“ მოაცილებლა ჩემს ტრაილერს თავისი „შევროლეთი“.

ამასობაში ჩრდილოეთ კაროლინასაც მივაღწიეთ. შარლოტი პატარა, მაგრამ კოხტა ქალაქი აღმოჩნდა. ელენის სახლი ბაბუამისის სახლისოდენა იყო, დიდი ეზოთი და საოცრად ლამაზი ყვავილნარით.

წინასწარ დაქირავებული მუშები ეზოში დაგვხვდნენ. ტრაილერი ისე იცლებოდა, ელენი ახლოსაც არ გამკარებია. შორიდან მითვალთვალებდა. ვგრძნობდი, რაღაცის თქმა უნდოდა და ყოყმანობდა, ეთქვა თუ არა.

...ის-ის იყო, მანქანა უნდა დამექოქა, რომ ელენი მომიახლოვდა.

– აკაკი, შენ სასტიკი განაჩენი გამომიტანე. შენმა სიტყვებმა თითქოს თვალი ამიხილა.

– ძალიან კარგი! მაინც რას აპირებ?

– კარგად უნდა დავფიქრდე. გავაანალიზო ჩემი ცხოვრება...

– ბაბუას რას უპირებ?! უმჯობესია, მაგით დაიწყო!.. – დაუფიქრებლად მივახალე.

ელენი ამ კითხვას არ ელოდა. საცოდავად გამომხედა. ჩემთვის გავიფიქრე – ახია, ჭკუაზე მოხვალ-მეთქი, – მაგრამ არაფერი მითქვამს. ცივად დავემშვიდობე და მანქანა დავქოქე...

პრეზიდენტების „აკვანი“

ამერიკის შეერთებულ შტატებში 53 შტატია. ზოგიერთი შტატი ორ ნაწილად იყოფა. ასეთებია ვირჯინიის და კაროლინის შტატები – პირველი დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებადაა დაყოფილი, ხოლო კაროლინა – ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილებად. ჩემმა ბოსმა ედმონდმა, როცა დავალებას მაძლევდა, ხაზი გაუსვა ამ გარემოებას, რომ არ დავბნეულიყავი და იოლად მიმეგნო საჭირო მისამართისთვის.

ამჯერად აღმოსავლეთ ვირჯინიაში უნდა მივსულიყავი. გამიხარდა: ვირჯინიის შტატი ხომ გამორჩეულია ამერიკაში – იქ ყველაზე მეტი, ამერიკის პრეზიდენტი დაბადებულა. ვირჯინიაში ისიც მითხრეს, ჩვენს შტატს პრეზიდენტების „აკვანს“ ეძახიანო. თურმე იქ დაბადებულა აშშ-ის პირველი პრეზიდენტი ჯორჯ ვაშინგტონი და შემდეგ კიდევ სხვა შვიდი პრეზიდენტი. იქ ჩასულ ტურისტებს აუცილებლად ათვალიერებინებენ პრეზიდენტების სახლ-მუზეუმებს. ასე რომ, ვირჯინია მუზეუმების შტატიცაა!..

მორიგი რეისით ერთ-ერთ ამერიკელ პოლიტიკოსს უნდა მოვმსახურებოდი.

ჯეფრი კერი (ამჟამინდელ პრეზიდენტობის კანდიდატ ჯონ კერიში არ

ტესტი ერუდიციაზე

1. რისი გამოხატვის უფლება არა აძვს წარგის ოდნავი შერხევითაც კი სუმოს მოჭიდავეს?

ა) გამარჯვების სიხარულის;
ბ) დამარცხების სინანულის;
გ) არც ერთის.

2. რა ჰქონდა სიონში დასვენებულ ილია ჭავჭავაძეს შუბლზე დაფარებული?

ა) მუხის ფოთოლი;
ბ) საქართველოს დროშა;
გ) სუდარა.

3. დაასრულეთ სტენდალის ფრაზა: „თუ გსურს, ბრძნულად მოიქცე, მოუსმინე ცოლს და გააკეთე:

ა) საწინააღმდეგო“;
ბ) როგორც გსურს“;
გ) როგორც მას სურს“.

4. რა ერქვა ძველად საქართველოში პირუტყვით მოვაჭრეს?

ა) დაბაღი;
ბ) მეთულუხჩე;
გ) ჩოდარი.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

აგერიოთ) 50-ს მიტანებული მამაკაცი იყო. მთელი 8 წელი ვირჯინიის შტატის სენატის წევრი ყოფილა, ახლა კი აშშ-ის სენატორად აურჩევიათ და ვაშინგტონში გადადიოდა. მის შესახებ ინფორმაცია ედმონდმა მომაწოდა, თანაც მკაცრად გამაფრთხილა, მობილიზებული ვყოფილიყავი: ხუმრობა საქმე ხომ არ იყო? — ჩემი კლიენტი ამერიკელი სენატორი გახლდათ!

...რატომღაც მეგონა, რომ ჯეფრი კერის სახლი ყველასგან გამორჩეული იქნებოდა, მაგრამ მოვტყუვდი — მისი სახლი დანარჩენებისგან არაფრით განსხვავდებოდა. სამაგიეროდ, როგორც კი ჭიშკართან ტრაილერი მივაყენე, შეიარაღებულმა დაცვამ ალყაში მომაქცია. მცველებმა თავაზიანად მთხოვეს, კაბინიდან ჩამოვსულიყავი და ისე საფუძვლიანად გამჩხრიკეს, რომ შევშფოთდი კიდეც — ვაითუ, რაიმე საეჭვო აღმომიჩინონ-მეთქი.

მთელი ტრაილერი სპეციალური ხელჯოხით დაათვალიერეს. როცა დარწმუნდნენ, რომ ყველაფერი რიგზე იყო, ზანგი მცველი მომიახლოვდა და გამეცინო:

— ლეიტენანტი ჯორჯ სმიტი ვარ, ერთად მგზავრობა მოგვიწევს!..

ლეიტენანტის თხოვნით, ტრაილერი ეზოში შევიყვანე და ახლა უკვე ჩემი მანქანა აღმოჩნდა „ტყვეობაში“ — ეზოში უამრავი მტვირთავი დაგვხვდა, რომელსაც ავეჯი და სხვა ნივთები უკვე გამოეტანა სახლიდან. მათ სასწრაფოდ დაიწყეს ტრაილერის დატვირთვა.

ჯორჯმა მომიბოდიშა და გამაფრთხილა, კაბინიდან არ ჩამოხვიდეო. თუ მოგშივდება, საჭმელს მოგიტან, თუ არა და, ივჯექი შენთვის და რადიოს მოუსმინეო.

მოკლედ, სანამ მანქანას დატვირთავდნენ, სენატორის მცველებმა ტუსაღად მაქციეს.

ჯორჯი კაბინაში ჩემ გვერდით დაჯდა. როგორც მერე შევიტყვე, ის მანამდე არ უნდა მომშორებოდა გვერდიდან, სანამ ტვირთს ადგილზე არ მივიტანდით.

სხვა რა გზა მქონდა? ბედს დავემორჩილე და კაბინიდან ინტერესით ვადევნებდი თვალს, თუ რა ხდებოდა გარეთ.

ცოტა ხნის შემდეგ, ეზოში სამთავრობო ლიმუზინი შემოვიდა. ვიფიქრე — აი, ახლა ვნახავ სენატორს-მეთქი, — მაგრამ ლიმუზინიდან ოთხი ბავშვი გადმოვიდა, მხიარული ჟივილ-ხივილით. სახლში შევარდნენ, ველოსიპედები გამოიტანეს და სეირნობა დაიწყეს. ტრაილერს გარშემო უვლიდნენ და აშკარად უშლიდნენ ხელს მტვირთავებს. მიუხედავად ამისა, მათ შენიშვნის მიცემას ვერავინ უბედავდა. ბავშვებიც სარგებლობდნენ თავისუფლებით...

— ჩემი შვილები ასე რომ მოიქცნენ, ცემა არ ასცდებათ! — თავი ვეღარ შეიკავა ჯორჯმა. — იციან, რომ მამის შიშით ვერაფერს გაუბედავენ და თავხედობენ...

— რამდენი შვილი გყავს, ჯორჯ?

— ორი ბიჭი მყავს, მაგრამ ასეთი მხეცები კი არ არიან...

სენატორის ორი გოგო და ორი ბიჭი იქურობას მართლა იკლებდნენ, მოსვენებას არ აძლევდნენ მცველებსა თუ მტვირთავებს. უფროსი ბიჭი ერთ-ერთ მცველს იარაღზეც წაეტანა და როცა მან უხეშად მოიშორა თავიდან, სულ წიხლები დაუშინა საცოდავს. მეორე მცველმა შენიშვნა მისცა და ახლა არც მისთვის დაიშურა წიხლები.

ამასობაში, ჭიშკარს მეორე ლიმუზინი მოადგა:

— აი, ჩვენი სენატორიც მოვიდა! — წამოიძახა ჯორჯმა, კაბინიდან ჩახტა და მისასალმებლად მოემზადა.

სენატორს ყურადღება არავისთვის მიუქცევია. საქმიანი ნაბიჯით პირდაპირ შინ შევიდა. მისი მოხდენილი მეუღლე კი, ყველას მოგვესალმა და თავისი შვილისკენ წავიდა — სწორედ იმ ბავშვისკენ, რომელიც ახლახან დაცვის თანამშრომელს ეჩხუბებოდა და ისე ყვიროდა, თითქოს ქვეყნის აღსასრული დადგა...

P.S. თუ როგორ ჩავაღწიეთ ვაშინგტონამდე, ამის შესახებ „გზის“ 34-ე ნომერში გიამბობთ.

■

სენატორს ყურადღება არავისთვის მიუქცევია. საქმიანი ნაბიჯით პირდაპირ შინ შევიდა. მისი მოხდენილი მეუღლე კი, ყველას მოგვესალმა...

რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე დავით ბერძენიშვილი, როგორც პოლიტიკოსი, საკმაოდ მკაცრია, ხოლო ოჯახსა და სამეგობროში ძალიან თბილი ადამიანი ყოფილა. როგორც მისმა მეუღლემ გაგვიმხილა, როდესაც რამეს აკეთებს ან რამეზე ფიქრობს, ამის გარდა, მისთვის ქვეყანაზე არაფერი არსებობს... ყველაზე დიდი პრობლემა კი, ბატონი დავითის ცოლშვილისთვის, მისი მოუცლელობაა, რის გამოც მათი ოჯახური იდილია საკმაოდ ხშირად ირღვევა. ამას განსაკუთრებით 4 წლის ანასტასია განიცდის, რომელსაც მამა ყველაზე მეტად ენატრება. როგორია დათო ბერძენიშვილი შინ და რას მოითხოვს ოჯახის წევრებისგან — ამის შესახებ მისი მეუღლის — ნინო ინწკირველის საუბრიდან შეიტყობთ.

ძირძველ ბათუმელ პოლიტიკოსს

ცოლი აქარულ ჯერძებს არ უმზადებს

ირინა უტარაშვილი

— როგორც ვიცი, თქვენც იმყოფებოდით ბათუმში არჩევნების დროს. როგორი იყო ბათუმელების განწყობა?

— განწყობა მართლაც არაჩვეულებრივი იყო და სხვანაირად არც შეიძლებოდა, რომ ყოფილიყო... იმ პერიოდში მთელი ოჯახი იქ ვიყავით და გაოცებული დავრჩით, ისეთ სიყვარულს გამოხატავდნენ დათოს მიმართ მოქალაქეები. ხანდახან მრცხვენოდა კიდეც, მასთან ერთად ქუჩაში გავლა, რადგან მოდიოდნენ, გვეფერებოდნენ და ცდილობდნენ, რაღაც განსაკუთრებული ეთქვათ.

— ბატონი დათო თუ ნერვიულობდა?

— არა. ძალიან არ ნერვიულობდა, რადგან დათოს ბათუმელების დიდი იმედი ჰქონდა. როდესაც ხალხში ასეთი დიდი სიყვარულია, უკვე აღარ გაღელვებს, ერთ პროცენტს მოგიმატებენ თუ დაგაკლებენ. თუმცა, პოლიტიკოსისთვის ესეც ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან თავისი გათვლები აქვს...

— ხშირად თუ დადიხართ ბათუმში?

— რა თქმა უნდა. მთელ ოჯახს ძალიან გვიყვარს ბათუმი. თანაც, მთელი სანათესავო და სამეგობრო იქ გვყავს. დათოს უფრო უწევს იქ ჩასვლა და ამიტომ ახლა უფრო ხშირად დავდივართ. მარტო ყოფნა დიდხანს არც შეუძლია, რადგან ძალიან მოუხერხებელია და თავის მოვლა არ შეუძლია...

— ბათუმში საცხოვრებლად გადასვლას ხომ არ აპირებთ?

— არა, საცხოვრებლად გადასვლა ნამდვილად არ გვიფიქრია. მართალია, დათოს მთელი გული და სული იქ აქვს, მაგრამ ამხელა ოჯახით სხვა ქალაქში გადასვლა საკმაოდ ძნელია. დღეს, არც ბინა გვაქვს იქ და არც ბიზნესი, რომ ბინის შესაძენი თანხა გვქონდეს. გარდა ამისა, ბავშვებისთვის სკოლის გამოცვლაც საკმაოდ ძნელია. მით უმეტეს უფროსისთვის — ლევანი 16 წლისაა და სკოლას ამთავრებს. ზურაბი 13-ისაა, ხოლო ანასტასია — 4 წლის. მომავალში, თუ რომელიმე ჩემი შვილი ბათუმში ცხოვრებას მოინდომებს, წინააღმდეგი ნამდვილად არ ვიქნები.

დავით ბერძენიშვილი შვილებთან: ზურაბთან და ანასტასიასთან ერთად

— ქალბატონო ნინო, თქვენ და დათომ ერთმანეთი ბათუმში გაიცანით?

— არა, თბილისში. ჩვენი შეხვედრა სტუდენტობის დროს მოხდა. 1987 წელს დავქორწინდით და ორი წელი ბათუმში ვიცხოვრეთ. 1990 წელს კი დათო უკვე არჩევნებში მონაწილეობდა და პარლამენტის წევრი გახდა. იმ დროიდან მოყოლებული, თბილისში ვცხოვრობთ.

— როგორია ბატონი დათო ოჯახში?

— ისეთი მკაცრი ნამდვილად არ არის, როგორიც გარედან ჩანს. ვისაც დათო ჩვეულებრივ სიტუაციაში ან სუფრასთან გაუცნია, გაოცებული დარჩენილა. მაგრამ როცა საქმე პოლიტიკას ან ზნეობას შეეხება, მაშინ ძალიან მკაცრი და შეუვალი ხდება.

— შვილების მიმართ თუ იჩენს სიმკაცრეს?

— არა. დიდ სიმკაცრეს მათ მიმართ არ იჩენს. რა თქმა უნდა, ბიჭები უკვე იმ ასაკში არიან, რომ მამის რჩევები ესაჭიროებათ. თანაც, არასდროს მიცდია, ბავშვებისთვის დამემალა ის პრობლემები, რომლებიც ოჯახის წინაშე დგას. აღმზრდელობით საუბრებს ნამდვილად არ ვატარებთ, რადგან მამისა და მისი გარემოცვის შემხედვარე ჩვენმა შვილებმა კარგად იციან, თუ როგორ უნდა იცხოვრონ და ეჭვი არ მეპარება, რომ ცუდს არაფერს ჩაიდენენ. თანაც, მე უკვე კარგად ვიცნობ ბერძენიშვილებს და ვიცი — თუ მათთან სიმკაცრე გამოიჩინე, ამას უკუეფექტი მოჰყვება... ასე რომ, ძალიან მეგობრულად ვცხოვრობთ.

— მამასთან ხასიათით მსგავსებას ყველაზე მეტად რომელს ატყობთ?

— ზურას. მასაც ასევე ახასიათებს ლიდერობისა და პირველობისკენ სწრაფვა. თუ რაიმე სათქმელია, ყოველთვის პირველი, ზურა ამბობს და ეს ძალიან სიამოვნებს მამამისსაც.

— ოჯახში ალბათ ბევრი საქმე გაქვთ. როგორი კულინარი ხართ?

— კულინარობით ნამდვილად არ გამოვირჩევი. რომ გითხრათ, რომ სამზარეულო ძალიან მიყვარს, მოგატყუებთ. არადა, ამხელა ოჯახის პატრონს თითქმის მთელი დღის სამზარეულოში გატარება მიწევს. მაგრამ ეს არ არის ჩემი ჰობი. თუმცა, როგორც ამბობენ, რასაც ვამზადებ, ყველაფერი კარგი გამომდის.

— როგორც ძირძველ ბათუმელს, ბატონ დათოს ალბათ, აჭარული კერძები უყვარს, არა?

— კი, ძალიან უყვარს. განსაკუთრებით გამოარჩევს ბორანოს, რომელსაც მთიან აჭარაში ამზადებენ.

— თქვენ თუ გიცდიათ აჭარული კერძის მომზადება?

— არა, ნამდვილად არ მიცდია. აჭარლები თავიანთ კერძებს გამორჩეულად კარგად ამზადებენ, ამიტომ როგორც არ უნდა ვცადო, ისეთი ნამდვილად არ გამომივა...

— ქეიფი თუ უყვარს?

— ზომიერად. არ უყვარს ბევრი ღვინის სმა და დათრობა. ღვინოს, ვისკის ამჯობინებს.

— ეი. არც თამადობას ეტანება...

— არა. თამადობის მხრივ, ძალიან მოიკოჭლებს. არ უყვარს ტრადიციული დიდი სუფრა და დაუსრულებელი სადღეგრძელოები...

— დაბოლოს: აგვისტოში აჭარაში დასვენებას აპირებთ?

— კი. გონიოში გვინდა დასვენება.

■

„მაკა ასათიანის" „ქრისტეები" ღია ცის ქვეშ

საკმაოდ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, კომპანიამ — „მაკა ასათიანი" — ახალი ჩვენება მოაწყო — სასტუმრო „ივერიის" ღია ვერანდაზე ზაფხულ-შემოდგომის კოლექცია წარმოადგინა. თეონა თავართქილაძის მიერ მომზადებული 40-ზე მეტი კოსტიუმი სააგენტო „ნატალის" ექვსმა მოდელმა და მომღერალმა ქრისტინე იმედაძემ გამოიტანეს დამსწრეთა სამსჯავროზე. დარბაზში უამრავი ცნობილი სახე იყო. მათ შორის, ავთო ცქვიტინიძის მომხიბლავი მეუღლე, რომელიც ალბათ ჩვენებამ ცოტა დაღალა და იქვე, სკამზე ჩამოჯდა. აი, თავად ავთოს კი დაღლილობა სულაც არ ეტყობოდა და არც შთაბეჭდილებების გაზიარებას დაგვზარდა:

სოფო ყარალაშვილი

— მოხიბლული ვარ ჩემი მეგობრების ნამუშევრებით, ეს კოსტიუმები თავად თეონა თავართქილაძეს მომაგონებდა, თითოეული მათგანი მასავით ნაზი და ქალური იყო. თვალში საცემი გახლდათ ხელწერაც, მაკას ხელწერისგან მკაფიოდ განსხვავებული. არაჩვეულებრივი გახლდათ ის დიადემები, რომლებიც მოდელებს თავს უმშვენებდა. გოგონები ნამდვილ პრინცესებს ჰგავდნენ.

— თქვენი აზრით, რაში მდგომარეობს კომპანია „მაკა ასათიანის" წარმატების საიდუმლო?

— მის გემოვნებაში, შრომისუნარიანობაში, პროფესიონალიზმში... მაკას არაჩვეულებრივი ხალხი უდგას გვერდში.

— ყველაზე კარგ შეფასებას რომელ მანეკენს მისცემდით ამ ჩვენებაზე?

— რომელიმეს გამორჩევა გამიჭირდება. აქ იყვნენ ჩემი საყვარელი მოდელები: სალომე ღვინიაშვილი, თაკო ჩხეიძე, რომელთაც სამოსის კარგი წარდგენის უნარი აქვთ. სამწუხაროა, რომ ჩვენებაში არ მონაწილეობდა თამუნა გაბრიელაშვილი.

— თეთრი შურის გრძნობა ხომ არ გაგჩენიათ?

— თეთრი შური უკვე დიდი ხანია, აღარ არსებობს ჩვენ შორის. როცა საქართველოში ორი ძლიერი ფირმა არსებობს, ისინი ერთმანეთის მხარდაჭერაზე უფრო ფიქრობენ. მოსკოვში ჩვენებების შემდეგ, თითქმის ერთ გუნდად შევიკარით.

წარმოდგენის დასასრულს, მქუხარე აპლოდისმენტები გაისმა. კიბეზე თავად **თეონა თავართქილაძემ** *ჩამოირბინა,რომელსაც ანგელოზის ფორმაში გამოწყობილი სალომე ღვინიაშვილი მოჰყვებოდა. რამდენიმე კითხვით თეონასაც მივმართეთ.*

— თეონა, გაითვალისწინეთ თუ არა მოსკოველი კლიენტურის მოთხოვნები?

— აბსოლუტურად გათვალისწინებული იყო. მოსკოველებს უფრო თავისუფლად აცვიათ. რაც უფრო ორიგინალური და არაჩვეულებრივია მოდელი, მით უფრო მოსწონთ. საერთოდ, პირდაპირ ვაპირებდით ამ კოლექციის მოსკოვში გაგზავნას, მაგრამ 2 დღით ადრე გადავწყვიტეთ, ჩვენება საქართველოში მოგვეწყო, რადგან ვიცოდით, რომ კოსტიუმები მოსკოვში ერთ კვირაში გაიყიდებოდა და აღარ დავკარგებოდა არც ფოტო და არც ვიდეომასალა, რომლის ნახვასაც ქართველები შეძლებდნენ.

თეონამ ისიც გვითხრა, რომ ამჟამად მსოფლიოში 50-იანი წლების კაბები და რომანტიკული რეტრო სტილია მოდაში.

ბოლოს სააგენტო „ნატალის" მოდელებსაც გავესაუბრეთ.

ნინო შეშრილაძე:

— მაკა ჩემი საყვარელი დიზაინერია. აქაც და მოსკოვშიც მის ყველა ჩვენებაში ვმონაწილეობ. მაკას შექმნილ კოსტიუმში ძალიან კომფორტულად ვგრძნობ თავს, თითქოს ჩემს ტანზეა შეკერილი.

ქრისტი ყიფშიძე:

— მას შემდეგ, რაც კომპანია „მაკა ასათიანი" დაარსდა, მასთან ვთანამშრომლობთ. ძალიან სასიამოვნოა მუშაობა მაკას მხატვრებთან: თეონა თავართქილაძესთან, თიკა შენგელიასა და იკა ბობოხიძესთან. წარმოდგენილი კოლექციით აღფრთოვანებული ვარ, ძალიან შარმიანი, ნაზი, ქალური და რეტრო სტილში გადაწყვეტილი იყო.

■

ნინი პაღუჩაშვილს „კუპალნიკის“ გამო პლაჟზე ხარი დაედევნა

ახალგაზრდა მომღერალი ყოველ ზაფხულს აგვისტომდე, მცხეთაში მდებარე აგარაკზე, ხოლო შემდეგ — ზღვაზე ისვენებს. მას მთაში სიწყნარეში დასვენებას, ზღვაზე ხმაურიანი გართობა ურჩევნია. ნინი თურმე წელს, პირველად მიდის მშობლების გარეშე, მეგობრებთან ერთად დასასვენებლად და იმედი აქვს, რომ კარგად გაერთობა.

ეკა მინდაძე

— ნინი, ამ პაპანაქება სიცხეში თბილისში რატომ ხარ?

— თბილისში არც ვარ: მთელი ოჯახით მცხეთაში აგარაკზე ვისვენებთ.

— პირველად მარტო, წელს მიდიხარ დასასვენებლად?

— კი, მარტო არასდროს ვყოფილვარ. გონიოში 10 გოგო ვქირაობთ სახლს და ალბათ მაგრად გავერთობით.

— ბავშვობაში სად ისვენებდი ხოლმე?

— ბავშვობაშიც აგვისტომდე ძირითადად, მცხეთაში ვისვენებდი, მერე კი ზღვაზე მივდიოდით. პატარაობიდან ძალიან მიყვარდა ქობულეთი. ბაბუას ზღვა არ უყვარდა და ძირითადად, დედას და ბებიას დავყავდი. ხშირად დავყავდი ელდარ შენგელაიას და მის მეუღლეს, ქალიშვილთან და შვილიშვილთან ერთად.

— ლაშქრობაში თუ ყოფილხარ?

— არასოდეს ვყოფილვარ და არც წავალ ლაშქრობაში. მე არ შემიძლია კარავში ძილი, მიწასთან ახლოს ყოფნა იმიტომ, რომ ძალიან მეშინია ხვლიკების და საერთოდ, ქვეწარმავლების. ამრიგად, ჩემთვის დისკომფორტი ყოვლად მიუღებელია.

— სად უფრო გიყვარს დასვენება — მთაში თუ ზღვაზე?

— რა თქმა უნდა, ზღვაზე. მთაში დავდიოდი ბავშვობაში, კერძოდ, თიანეთში. სხვათა შორის, ცურვა მდინარეში ვისწავლე. ძალიან კარგია მთა, მაგრამ — გარკვეულ ასაკამდე. დღეს კი, არ შემიძლია დავისვენო მთაში, სადაც მშვიდი და წყნარი ატმოსფეროა. ჩემთვის დასვენება, გართობა და მეგობრებთან ერთად ყოფნაა. სოფელი კარგია, ოღონდ — სამი დღით, მეტხანს ვერ ვჩერდები, რადგანაც დეპრესია მეწყება... ჩემი აზრით, ძალიან ადრე დაბერებული უნდა იყო, რომ დასასვენებლად ლიკანში წახვიდე. ახალგაზრდა უნდა წავიდეს იქ, სადაც გართობა და ცეკვაა, ასეთი ადგილი კი, ზღვაა.

— ზამთარში სად ისვენებ ხოლმე?

— გუდაურში. ძალიან მიყვარს თხილამურებით სრიალი.

— ყველაზე მეტად საქართველოს რომელი კუთხის ნახვა გინდა?

— ძალიან ბევრ კუთხეში არ ვყოფილვარ, მაგრამ ყველაზე მეტად სვანეთის და იქაური ხალხის ნახვა მაინტერესებს.

— დასასვენებლად რომელ ქვეყანას აირჩევდი?

— დიდი სიამოვნებით წავიდოდი ჩემს საოცნებო ქვეყანაში — ბრაზილიაში.

— ზოგი სამზარეულოში ფუსფუსით ისვენებს ხოლმე. შენ თუ გიყვარს კერძების მომზადება?

— ამგვარი დასვენება შეიძლება, თვეში ერთხელ მომინდეს. ვამზადებ იმას, რაც მიყვარს. ხორცეულის და ნამცხვრის მოყვარული არ ვარ, მიყვარს სალათები. აქედან გამომდინარე, ვიცი უამრავი სახეობის სალათის მომზადება. როცა კაფეში უცხო სალათს მივირთმევ, აუცილებლად ვიმახსოვრებ მის შემადგენლობას.

— ყველაზე კარგად ვისთან ერთად ისვენებდი ხოლმე?

— პატარაობისას, ქობულეთში მე და ქრისტინე იმედაძე ძალიან კარგად ვერთობოდით. ქრისტინე ზღვაზე მულატი ეგონათ. ერთმანეთს ვეჯიბრებოდით იმაში, თუ ვის უფრო მეტი ნაწნავი ექნებოდა...

— დასასვენებლად წასულს, რაიმე კურიოზული ამბავი ხომ არ გადაგხდენია?

— ერთ-ერთ ზაფხულს, ქობულეთში წითელი „კუპალნიკი“ მეცვა. ერთხელ, ვიდრე პლაჟზე ონკანის წყალს გადავივლებდი, უეცრად საიდანღაც ხარი გამოვარდა და დამინახა თუ არა წითლებში ჩაცმული, გამომედევნა. მეც გავიქეცი — აბა, რა უნდა მექნა?.. „კუპალნიკს“ ხომ არ გავიხდიდი?!. არადა, რომ გავჩერებულიყავი, გადამთელავდა... მოკლედ, სასტუმროში შევარდნა მოვასწარი...

— დაბოლოს, ზაფხულში სასიყვარულო თავგადასავალი თუ გადაგხდენია?

— დასასვენებლად წასულს, სასიყვარულო თავგადასავალი არასოდეს მქონია. ისე, ძალიან მინდოდა, რომ ზაფხულში ასეთი რამ მომხდარიყო. იქნებ, ამ ზაფხულს მაინც გამოჩნდეს ვინმე?.. ■

ახალგაზრდა უნდა წავიდეს იქ, სადაც გართობა და ცეკვაა, ასეთი ადგილი კი, ზღვაა.

კვირის (9 - 15 აგვისტო) ასტროლოგიური პროგნოზი

ვერძი – 21/III-20/IV

ქალი: მატერიალური მდგომარეობა მკვეთრად გაგიუმჯობესდებათ და ახლობლებიც უფრო ალერსიანები იქნებიან თქვენ მიმართ. ნუ დაზოგავთ ფულს საკუთარი სიამოვნებისთვის. შეიარეთ საიუველირო სალონში და შეარჩიეთ თქვენთვის სამკაული.

მამაკაცი: საქმე თუ გაგირთულდებათ, დახმარებისათვის მეგობრებს მიმართეთ. არ გაეკაროთ ალკოჰოლს და ეცადეთ, იყოთ უფრო მობილიზებული. შემდეგი კვირა შედარებით მშვიდი გექნებათ.

კუნრო – 21/IV-21/V

ქალი: სიყვარულში სასიამოვნო ცვლილებებია მოსალოდნელი. იყავით აქტიური, გამოიჩინეთ ინიციატივა და პრობლემებს ადვილად გაუმკლავდებით. უქმე დღეები ოჯახში გაატარეთ.

მამაკაცი: წარმატებული დღეების დეკადა გრძელდება. იღბალი თქვენს მხარესაა. საქმიან პარტნიორებთან მოლაპარაკებისას მნიშვნელოვან პრივილეგიებს მოიპოვებთ, რასაც ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება მოჰყვება.

მარგალიტი – 22/V-21/VI

ქალი: წინ საინტერესო სიახლეები გელით. მოულოდნელად, თქვენთვის კარგად ნაცნობი მამაკაცი შვებულების ერთად გატარებას შემოგთავაზებთ. ნუ ეტყვით მას უარს – მასთან ერთად გატარებული დღეები დიდხანს დაგამახსოვრდებათ.

მამაკაცი: დროის მნიშვნელოვანი ნაწილი დასვენებასა და გართობას დაუთმეთ. იყავით უფრო ყურადღებიანი ოჯახის წევრების მიმართ. დაინტერესდით იმით, თუ რას ფიქრობენ თქვენ შესახებ ბავშვები.

კირჩხიბი – 22/VI-22/VII

ქალი: რატომ ცდილობთ, სპილო ბუზად აქციოთ? ნუთუ ასე მნიშვნელოვანია, რას ფიქრობენ თქვენზე ის ადამიანები, რომლებიც არცთუ ისე კარგად გიცნობენ და შესაბამისად, არც თქვენს შემფასებლებად გამოდგებიან?

მამაკაცი: ნუ უჩივით უიღბლობას. წარუმატებლობის მიზეზი საკუთარ თავში ეძიეთ. წარმატების მიზეზი კი – იმ ადამიანების თქვენდამი კეთილგანწყობაში, რომლებსაც ყოველდღიურად ხვდებით.

ლომი – 23/VII-23/VIII

ქალი: ძალიან ბევრ მიწვევას მიიღებთ. ისარგებლეთ შესაძლებლობით, რათა კიდევ ერთხელ მოხიბლოთ თქვენი მჭევრმეტყველებით გარშემო მყოფნი. წინ სასიამოვნო დასვენების დღეები გელით.

მამაკაცი: მოერიდეთ სამშაბათ დღეს ხელმძღვანელობასთან ურთიერთობის გამწვავებას. ხმამაღალი შელაპარაკება შეიძლება სამსახურის დაკარგვითაც კი დამთავრდეს. შეინარჩუნეთ სიმშვიდე და ბუნებაში განმარტოვდით.

ქალწული – 24/VIII-23/IX

ქალი: კვირის პირველ ნახევარში, ახალგაცნობილი ადამიანებით მალე განიხიბლებით. ამიტომ, ჯობს, მათთან ურთიერთობისას გულახდილი საუბრისგან თავი შეიკავოთ.

მამაკაცი: შეეცადეთ, მეტი დრო დაუთმოთ საკუთარ გარეგნობას. ჩაიცვით ახალგაზრდულად და იყავით უფრო მხიარული. მოჰყევით ანეკდოტები, ოღონდ აცალეთ, ჯერ სხვებმა გაიცინონ.

სასწორი – 24/IX-23/X

ქალი: კვირის განმავლობაში კიდევ ერთხელ დარწმუნდებით, რომ აუცილებელია გვერდით საიმედო მეგობარი გყავდეთ. არ წაგძლიოთ სულმა და არ აჰყვეთ მეგობრებს ჭორაობაში.

მამაკაცი: ახალგაცნობილი მანდილოსნებისგან საინტერესო წინადადებას მიიღებთ. ფრთხილად იყავით – შეიძლება ქალაქგარეთ გასეირნებაც შემოგთავაზონ და მოსალოდნელია, ეს სიამოვნება საკმაოდ ძვირიც დაგიჯდეთ.

ღრიანკალი – 24/X-22/XI

ქალი: შეიარეთ სილამაზის სალონში. არ არის გამორიცხული, რომ კვირის დასაწყისში თქვენი ოცნების მამაკაცს გადაეყაროთ. რა დაიბნეთ. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ფორტუნა გამბედავებს უფრო ხშირად უღიმის.

მამაკაცი: ნუ იდარდებთ ფინანსური პრობლემების გამო. არ არსებობს პრობლემა, რომლის მოგვარებაც თქვენს ძალებს აღემატება. ასე რომ, ყურებს ნუ ჩამოყრით, სამომავლო გეგმა დაისახეთ და იმოქმედეთ.

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

ქალი: გაფრთხილდით! ინტრიგების ქსელში თქვენს გაბმას შეეცდებიან. დაუკვირდით ყოველ სიტყვას. როგორც იტყვიან ხოლმე, ასჯერ გაზომეთ და ერთხელ გაჭერით.

მამაკაცი: კვირის დასაწყისში ადვილად მოაწესრიგებთ საქმიან ქაღალდებს. ბიზნესმენებს წინ განსაკუთრებით წარმატებული კვირა ელით, მაგრამ სარისკო გადაწყვეტილების მიღებისგან მაინც თავის შეკავებას ვურჩევთ.

თხის რქა – 22/XII-20/I

ქალი: წინ დაძაბული კვირა გელით. მოიკრიბეთ ძალები და მოემზადეთ საბრძოლველად. სამსახურებრივ საქმიანობაში ჯობს, პრინციპულობა გამოავლინოთ, ოღონდ, ჯერ დარწმუნდით, რომ თქვენი პოზიცია სწორია.

მამაკაცი: დიდი დრო დაუთმეთ პირადი ცხოვრების მოწყობას. ეს პერიოდი კარგია სამოგზაუროდ. გამოიჩინეთ მაქსიმალური შრომისმოყვარეობა და წარმატება გარანტირებული გექნებათ.

მერწყული – 21/I-19/II

ქალი: წარმატება გელით ყველგან და ყველაფერში. სასიყვარულო ფრონტზეც პრობლემები მინიმუმამდე დავა. საქმიან შეხვედრებზე მნიშვნელოვან გარიგებებს დადებთ.

მამაკაცი: კონფლიქტური სიტუაციების ალბათობა იზრდება, თუმცა ეს თქვენს მატერიალურ მდგომარეობაზე ნაკლებად აისახება. კვირის დასაწყისში ჭკუას უნდა მოუხმოთ, რომ ავანტიურაში არ ჩაგითრიონ.

თევზები – 20/II-20/III

ქალი: იყავით ლაღი და მხიარული, თავს დასვენების უფლება მიეცით. წვეულებაზე შეიძლება გაიცნოთ ადამიანი, რომელიც თქვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს.

მამაკაცი: სიფრთხილე გმართებთ კოლეგებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას. პირად ცხოვრებაში რადიკალური ნაბიჯებისგან თავი შეიკავეთ, რადგან შესაძლოა, იმედი გაგიცრუვდეთ.



	სამხატვრო გამოფენის გახსნის დღე	ტ	ჩასაბერი ინსტრუ-მენტი	საძრახისი ხრიკების მომწყობი	ჟარგონი ინგლი-სურ ენაში	მღვდელ-მთავართა ზოგადი სახელი	მდინარე „ტომ სოიერის თავგადა-სავალში“	მ
ვ	ე	რ	ნ	ი	ს	ა	ჟ	ი
ე	შეწყვარი ხორცი ძროხის ბარკლისგან	ო	ამერი-კული ტანკი	ნ	ლ	რ	ბერძნუ-ლი ანბანის ასო	ს
რ	ა	მ	შ	ტ	ე	ქ	ს	ი
ს	შვეიცა-რიის დედა-ქალაქი	ბ	ე	რ	ნ	ი	თაფლო-ვანი მცენარე	ს
ა	ბ	ო	რ	ი	გ	ე	ნ	ი
დ	ქვეყნის ძირძველი მოსახლე	ნ	ი	გ	ი	ლ	ინგლი-სური ლუდი	პ
	დ	ი	დ	ა	ბანქოს კიკო ფრანგუ-ლად	ი	მ	ი
გ	ა	„მილა-ნის“ მეკარე	ა	ნ	ა	ლ. ტოლ-სტოი „... კარენინა“	ო	სპარტაკის სოციალ-ური სტატუსი
ა	ერთნაირი სიმაღლის ორი ტონის ერთდ. ჟურა	უ	ნ	ი	ს	ო	ნ	ი
მ	ო	ნ	ი	იაპო-ნური ტელევი-ზორი	ი	ბ	ა	წამლის მყარი სასაქონლო ფორმა
ე	ტ	ი						
ქ	ნ	გერმანუ-ლი ავტომო-ბილი						
ც	ი	ა						
ე	კ	უ						
ძველი თბილისის კოლორიტ. პერსონაჟი	დ							
ი	რ	ი						
ხასიათი, ზნე	შეადგინა რამაზ ალანიამ							

გასაყიდი საქონლის ფასების ცნობარი	პ	პირველი ქართული საესტრადო ანსამბლი	ბ	უსინათ-ლოთათვის შრიფტის გამოგონება
კურორტი ლიტვაში	რ	ე	რ	ო
პ	ე	ლ	ა	ნ
ბრძენთა-ბრძენი	ი	რუსული თვითმ-ფრინავის მარკა	ი	იაპო-ნური თეატრი
ინგლისელთა ერთ-ერთი საყვარელი თამაში	ს	ო	ლ	ო
კოშკის ძველე-ბური საათი	კ	რ	ი	კ
თანდა-თანობა, თანამიმ-დევრობა	უ	ი	დიდი ჯოხი	ბალეტ „ყიზე-ლის“ ავტორი
გ	რ	ა	დ	ა
ლანჩის საპირესთან შემაერთებე-ლი ზოლი	ა	კ	პორტუ-გალიელი ნახევარმ-ცველი	დ
დაჩი-საპირების აღმნიშვნელი წინსართი	ნ	ეგვიპტის დედა-ქალაქი	ფრანგი მსახიობი ... ჟირარდო	ა
შეჯიბრი	ტ	უ	რ	ნ
დამუხ-ტული ნაწილაკი	ი	ო	ნ	ი



მე-19 გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-გ; 2-ა; 3-ბ.
56-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-გ; 2-ა; 3-ა; 4-გ.

ჭეშმარიტი ადამიანების ბოსტრიჭული ჭეშმარიტები

მაგიური ხმა

ერთხელ შალიაპინი მიიწვიეს ამერიკელი მომღერალი ქალის კონცერტზე, რომელიც მილიონერი იყო. მეორე დღეს, მისმა მეუღლემ ჰკითხა გამოჩენილ ბანს – როგორ მოგეწონათ ჩემი ცოლის ხმაო? – შალიაპინმა უპასუხა:

– ო, ხმა ნამდვილად მაგიურია, ჯადოსნური!

– მართლა? მაშ, მისი გამოსვლის დაწყებისთანავე რატომ დატოვეთ დარბაზი?

– სწორედ იმიტომ, რომ ვერ გავუძლებდი თქვენი ცოლის ხმის მაგიურ ძალას, – მიუგო შალიაპინმა.

„მოკრძალებული“ მაესტრო

ერთმა ნიუ-იორკელმა მილიონერმა, რომელსაც თავი მუსიკის დიდ მცოდნედ მიაჩნდა, შინ არტურ რუბინშტეინის კონცერტი მოაწყო. პიანისტმა შესასრულებლად მხოლოდ მინორული ნაწარმოებები აირჩია და კონცერტი შოპენის ნოქტიურნით დაამთავრა, რომელიც განსაკუთრებით ნაზად და გულში ჩამწვდომად შეასრულა.

კონცერტის შემდეგ, მასპინძელმა რუბინშტეინს მადლობა გადაუხადა და სასხვათაშორისოდ დასძინა:

– დამავიწყდა გამეფრთხილებინეთ, მაესტრო: შეგეძლოთ, უფრო ხმამაღლა დაგეკრათ – მე ხომ მეზობლები არ მყავს, მარტოს მიკავია მთელი შენობა...

მხატვრის გასაჭირი

გერმანული იმპრესიონიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ფერმწერი და გრაფიკოსი მაქს სლევოგტი, სანამ სახელს მოიხვეჭდა, საკმაოდ გაჭირვებულად ცხოვრობდა. ერთხელ მისი სტუმარი მხატვრის ტილოებს ათვალიერებდა, რომელიღაც სურათის წინ განსაკუთრებით დიდხანს შეჩერდა და მერე მასპინძელს უთხრა:

– ეს მართლაც, საოცარი სურათია! მისი ყურებით ვერ ვძღები!

– ვერც მე... და ამიტომაც მინდა, გავყიდო... – მიუგო მხატვარმა.

რეკლამის ძალა

1919 წელს, ჩიკაგოს საოპერო თეატრში იდგმებოდა პროკოფიევის ოპერა – „სამი ფორთოხლის სიყვარული“. ამ ამბით დაინტერესდნენ „ფორთოხლის მეფეები“ და ერთ-ერთმა მათგანმა თეატრის დირექციას შესთავაზა თანხა იმისათვის, რომ ნება დაერთოთ, თეატრის ფოიეში სარეკლამო პლაკატი გაეკრათ. პლაკატზე დიდი ფორთოხლები ეხატა, წარწერა კი იუწყებოდა:

„ეს ფორთოხლები შთააგონებენ სერგეი პროკოფიევს! ის მხოლოდ ჩვენი ფირმის ხილს მიირთმევს!“

ანეკდოტები

***

სუპერმარკეტში ნიღბიანთა ჯგუფი შევარდა.

– არ გაინძრეთ!.. დაწექით!.. ჩქარა, ფული!..

– ბოდიში... თქვენ საიდან ხართ? – ცოტა ხანში შეჰბედა ერთ-ერთმა.

– ნუ ბლატაობ, რა! საიდან უნდა ვიყოთ?! გძარცვავთ, რაღა!

– ფუი, ამათი... ტყუილად არ შემეშინდა?! – ჩუმად გადაულაპარაკა ბუღალტერმა გვერდით მწოლიარეს. – ვიფიქრე, საგადასახადოს ბიჭები არიან-მეთქი.

***

თავფეხშეხვეული ახალგაზრდა კაცი სამსახურში მთელი 3 საათის დაგვიანებით გამოცხადდა.

– რატომ დაიგვიანეთ? – ეკითხება შეფი.

– მე-5 სართულიდან გადმოვვარდი.

– კი, მაგრამ... ამას 3 საათი დასჭირდა?!.

***

კილერი ყვავილების გვირგვინს უკვეთს:

– რა დავწეროთ? – ეკითხება გამყიდველი.

– „ბოდიში, ძმაო, სხვა მეგონე“.

***

– იცით, თქვენი ქალიშვილი თანახმაა, რომ ჩემი ცოლი გახდეს.

– შენს თავს დააბრალე. რას დაეთრეოდი ჩვენთან ყოველდღე?!

***

ფირუზა პარიზის საოსკიპოდან ქუჩაში გამოვიდა, გადაფურთხა და მაშინვე დააჯარიმეს.

შინ დაბრუნებულს ცოლი ეკითხება:

– ფირუზ... მე თუ გახსენდებოდი ხოლმე?..

– მაშ... ერთხელა და მაშინაც დამაჯარიმეს...

***

ქუჩაში მიმავალ რაჟდენას დიდმა როტვეილერმა გადაუღობა გზა. იქვე მდგარი ახალგაზრდები აგულიანებენ:

– ბიძა... მიბრძანდი, ნუ გერიდება...

– არ მიკბენს?

– ჩვენც ეგ გვაინტერესებს...

***

– მიხო! მათხოვე, რა, ცული!

– რა ცული, კაცო?.. ერთი კვირის წინ რომ გამამართვი, სად წაიღე?

– აღშფოთდა მეზობელი.

– ვა-ა, მართლა?!. ჯიგო, ის სად წავიღე, არ მახსოვს და... მაშ, დღეს მასვენებ, არა?!.

***

თვითმფრინავში სტიუარდესა არაბ მგზავრს სასმლის არჩევას სთავაზობს:

– არაყი? ღვინო? ვისკი?

– არა, გმადლობ. მალე შტურვალთან უნდა დავჯდე!..

***

– ექიმო, უტვინოები დიდხანს ცოცხლობენ?

– უკაცრავად... თქვენ რამდენი წლის ხართ?!

შეგიძლიათ თუ არა იყოთ ბედნიერი?

ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაში დგება მომენტი, როცა ის თავს უსაზღვროდ ბედნიერად გრძნობს; ზოგჯერ სხვაგვარი განცდა ეუფლება და მხოლოდ საკუთარი თავი კი არა, მთელი სამყარო სძულს. ალბათ შეუძლებელია, რომ სხვაგვარად იყოს... რატომღაც ყოველთვის შურთ იმ ადამიანების, რომლებიც გარეგნულად მაინც საკუთრი თავით კმაყოფილები ჩანან და საკმაოდ ფილოსოფიურად უდგებიან ამა თუ იმ პრობლემას. ქვემოთ მოცემული ტესტი დაგეხმარებათ გაარკვიოთ: შეგიძლიათ თუ არა, რომ თქვენც ბედნიერი იყოთ?

1. როცა საკუთარ განვლილ ცხოვრებაზე ფიქრობთ, მიდიხართ დასკვნამდე, რომ:

ა) ხშირად ყველაფერი უფრო ცუდად იყო, ვიდრე კარგად;

ბ) ხშირად ყველაფერი უფრო კარგად იყო, ვიდრე ცუდად;

გ) ყოველივე შესანიშნავად იყო.

2. დღის ბოლოს ჩვეულებრივ:

ა) უკმაყოფილო ხართ საკუთარი თავით;

ბ) მიგაჩნიათ, რომ შესაძლებელი იყო, ამ დღეს უკეთესადაც ჩაევლო;

გ) საკმაოდ კმაყოფილი იძინებთ.

3. სარკეში ჩახედვისას ფიქრობთ:

ა) „ღმერთო ჩემო, რა უმოწყალოა დრო!..“

ბ) „ვჯერ ისევ საკმაოდ კარგად გამოვიყურები!..“

გ) „ყველაფერი მშვენივრადაა!“

4. თუკი შეიტყობთ, რომ თქვენმა ნაცნობმა ლატარიაში საკმაოდ დიდი თანხა ან მანქანა მოიგო, იტყვით:

ა) „მე ხომ ასე არასოდეს გამიმართლებს!“

ბ) „დალახვროს ეშმაკმა! რატომ მე არ მოვიგე?“

გ) „ოდესმე მეც გამიმართლებს!“

5. თუკი პრესის ან ტელევიზიის მეშვეობით შეიტყობთ რაიმე უბედური შემთხვევის შესახებ, გაიფიქრებთ:

ა) „შესაძლოა, ოდესმე მეც იგივე შემემთხვას!“

ბ) „საბედნიეორდ, ეს უბედურება ამცდა!“

გ) „ეს რეპორტიორები ხომ ყველაფერს უკიდურესად ამძაფრებენ!“

6. ხშირად დილაობით გამოღვიძებისას:

ა) არაფერზე არ გინდათ ფიქრი;

ბ) აწონ-დაწონით, რა შეიძლება გელოდეთ იმ დღეს;

გ) კმაყოფილი ხართ, რომ ახალი დღე დაიწყო და მისგან ახალ-ახალ სიურპრიზებს ელით.

7. ფიქრობთ, რომ თქვენი მეგობრები:

ა) სულაც არ არიან ისეთი საინტერესო პიროვნებები და გულისხმიერები, როგორსაც კაცი მართლაც, რომ ინატრებდა;

ბ) უნაკლოები არ არიან, მაგრამ მათთან მეგობრობა მაინც შეიძლება;

გ) არაჩვეულებრივები არიან.

8. როცა საკუთარ თავს სხვებს ადარებთ, ფიქრობთ:

ა) „სათანადოდ ვერ მაფასებენ“;

ბ) „არაფრით არ ვარ სხვებზე ნაკლები“;

გ) „გამოვდგები ლიდერად და ამას პრინციპში, ყველა აღიარებს!“

9. თუკი წონაში 4-5 კგ მოიმატეთ:

ა) პანიკაში ვარდებით;

ბ) მიგაჩნიათ, რომ ამაში უჩვეულო არაფერია;

გ) მაშინვე იწყებთ დიეტასა და ვარჯიშს.

10. როცა დართგუნვილი ხართ:

ა) თავბედს იწყევლით;

ბ) კარგად იცით, რომ ცოტა ხანში გადაგივლით და უკეთეს ხასიათზე დადგებით;

გ) ცდილობთ, გაერთოთ.

დააჯამეთ ქულები

პასუხების ყოველ „ა“ ვარიანტში დაიწერეთ 0 ქულა; „ბ“ ვარიანტში — 1; „გ“ ვარიანტში — 2.

17-20 ქულა: იმდენად ბედნიერი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებთ, რომ გარშემო მყოფთათვის ეს ძნელი დასაჯერებელიც კია! უსიამოვნებებსა და გაჭირვებას არაფრად აგდებთ და ბოლომდე ტკბებით სიცოცხლით. საოცრად სიცოცხლის მოყვარული ადამიანი ხართ და თქვენი ჭარბი ოპტიმიზმით ყველა მოხიბლულია. მაგრამ... დაფიქრდით, ზედმეტად ზერელედ და მსუბუქად ხომ არ უყურებთ ყოველივე იმას, რაც თქვენ ირგვლივ ხდება? გაითვალისწინეთ, მოვლენებისადმი ცოტაოდენ ფხიზელი და სკეპტიკური დამოკიდებულება ნამდვილად არ გაწყენდათ.

13-16 ქულა: შეიძლება ითქვას, რომ „ოპტიმალურად“ ბედნიერი ადამიანი ბრძანდებით: თქვენს ცხოვრებაში სიხარული უფრო მეტია, ვიდრე მწუხარება. გულკეთილი და მშვიდი ბუნებით გამოირჩევით; ნათელი გონება და მსუბუქი ხასიათი გაქვთ. ცხოვრებისეულ სიძნელეებთან პირისპირ აღმოჩენის დროს, არასოდეს ვარდებით პანიკაში, მშვიდად აფასებთ სიტუაციას და გამოსავლის მოძებნას ცდილობთ. ნაცნობ-მეგობრები თქვენ სიახლოვეს ძალზე კომფორტულად გრძნობენ თავს.

8-12 ქულა: ბედნიერება და უღლობა თქვენს შემთხვევაში გამოიხატება ფორმულით: „50X50“-ზე. თუკი სასწორის პინის თქვენს სასარგებლოდ გადაწონა გსურთ, ნუ იქნებით პასიური ცხოვრებისეულ სიძნელეებთან პირისპირ დგომისას. იქონიეთ მეგობრების იმედი და თქვენც ყოველთვის მხარში ამოუდექით ახლობლებს გაჭირვების დროს.

0-7 ქულა: თქვენ რატომღაც ყველაფერს მუქ ფერებში აღიქვამთ: მიგაჩნიათ, რომ ბედმა უღლო ადამიანის ხვედრი გარგუნათ წილად და რაოდენ უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, ზოგჯერ ამით თავსაც კი იწონებთ. ნამდვილად არ გირჩევთ ასე მოქცევას. ეცადეთ, მხიარული და ოპტიმისტი ადამიანების გარემოცვაში გაატაროთ დროის უმეტესი ნაწილი. ეს თქვენს განწყობაზე სასიკეთოდ იმოქმედებს. სასურველი იქნება. თუ რაიმე ჰობისაც გამოძებნით, რადგან ეს აუცილებლად შეგმატებთ სიცოცხლის ხალისს.

ᲐᲛᲤᲘᲑᲘᲐᲓ ᲐᲛᲯᲔᲗᲐᲓ, ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲚᲘ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲛᲔᲜᲘ ᲛᲝᲒᲖᲔᲕᲚᲘᲜᲐ

ეს ჯეიმს ბონდის შესახებ მორიგი ფილმის კადრი არ გეგონოთ – ბრიტანელი რიჩარდ ბრენსონის მიერ ახალი რეკორდის დამყარების ფაქტს ასახავს. ელეგანტურ კოსტიუმში გამოწყობილმა ბიზნესმენმა ლა-მანშის 35-კილომეტრიანი საზღვაო ტრასა – ინგლისის

სამხრეთით მდებარე დუვრიდან, საფრანგეთის ჩრდილოეთით მდებარე კალემდე – 1 სთ-სა და 40 წთ-ში დაფარა. უნიკალური ავტომობილი, რომლითაც მან იმოგზაურა, ხმელეთზე 160 კმ/სთ, ხოლო წყლის ზედაპირზე – 50 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობს. ბრენსონამდე, ლა-მანშის გადალახვის რეკორდი 2 ფრანგ მოქალაქეს ეკუთვნოდა: 1960 წელს მათ ეს მანძილი 6 სთ-ში დაფარეს და თავიანთი წინამორბედის – ინგლისელი რეკორდსმენის მაჩვენებელი – 7 სთ და 33 წთ – გააუმჯობესეს. ■

ᲯᲝᲰᲯ ᲑᲣᲨᲘ ᲡᲞᲘᲚᲝᲡ ᲜᲐᲯᲔᲚᲘᲡᲒᲐᲜ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲐᲦᲐᲚᲓᲖᲔ ᲜᲔᲘᲡ



აშშ-ის პრეზიდენტი სარგებლობს ქაღალდით, რომელიც შრილანკაში, სპილოს ნაკელისგანაა დამზადებული. მაღალხარისხიანი ქაღალდის მისაღებად კომპანია Maximus თურმე, დღეში 2 ტონამდე ამ „პროდუქტს“ გადაამუშავებს. უფრო დაბალი ხარისხის ქაღალდს გადამუშავებული მუყაოსგან აწარმოებენ. კომპანია Maximus სისტემატურად აწვდის თეთრ სახლს ქაღალდს. როგორც ერთ-ერთმა მისმა ხელმძღვანელმა სუსიტა რანასინგხმა აღნიშნა, ნაკელისგან ქაღალდის წარმოება არა მარტო მომგებიანი ბიზნესი, არამედ ადამიანთა გაცნობის საუცხოო საშუალებაცაა. „მისცემ ვინმეს შენს სავიზიტო ბარათს, – თქვა მან, – და ეტყვი, რომ ის სპილოს ნაკელისგანაა დამზადებული. ნებისმიერი ადამიანის რეაქცია ამაზე – სავიზიტოს დაყნოსვაა... მოლაპარაკების დასაწყებად, ამაზე უკეთეს საბაბს ვერც ინატრებ...“ – დასძენს რანასინგხი. მიუხედავად იმისა, რომ ძლიერი არომატიზატორების წყალობით, მყიდველი ვერაფრით მიხვდება, თუ რისგანაა დამზადებული ქაღალდი, მისი ტექსტურის კვლევისას თურმე, შესაძლებელია იმის დადგენაც კი, თუ რა უჭამია სპილოს... ■

ᲡᲐᲮᲔᲘᲑᲘᲗᲝ ᲔᲢᲚᲛᲐ ᲐᲕᲢᲝᲡᲢᲘᲐᲓᲐᲖᲔ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲥᲐᲝᲡᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲬᲕᲘᲐ

ორ შტატს შორის არსებულ ჩქაროსნულ ავტომაგისტრალზე ინვალიდის ეტლით მგზავრობა ხნიერმა მამაკაცმა იძულებით გადაწყვიტა და ვერც კი წარმოედგინა, თუ ამით ნამდვილ ქაოსსა და პანიკას გამოიწვევდა. როგორც შემდგომ გაირკვა, ექიმთან გასასინჯად მიყვანილ 73 წლის პენსიონერ უილიამსს დროულად არ მიაკითხა სპეციალურმა მანქანამ და მანაც საკუთარი „ტრანსპორტით“ შინ დაბრუნება გარისკა. მისი თქმით, ეგონა, რომ სახლისკენ მიმავალ უმოკლეს გზას დაადგა და არ უწყოდა, თუ საქალაქთაშორისო მაგისტრალზე გავიდა. მას მგზავრობა პოლიციელებმა შეაწყვეტინეს და სახლამდეც მიაცილეს. ■

ᲤᲚᲝᲠᲘᲓᲔᲚᲛᲐ ᲛᲐᲛᲐᲯᲐᲪᲛᲐ ᲜᲝᲯᲓᲐᲣᲜᲨᲘ ᲩᲐᲐᲒᲓᲝ ᲜᲘᲐᲜᲒᲘ

საზრიანობამ და საკუთარმა მუშტმა იხსნა აშკარა დაღუპისგან 43 წლის ამერიკელი გაი დელემანსი, რომელიც კინაღამ 175-კილოგრამიანი ალიგატორის მსხვერპლად იქცა. საქმე ისაა, რომ დელემანსი ტბაში ცურავდა, როცა ნაპირის საიხლოვეს მოულოდნელად, რეპტილია გამოჩნდა და პირდაპირ მისკენ გაექანა. დელემანსი არ დაიბნა, ცხვირში მუშტი უთავაზა ალიგატორს, რითიც წუთიერად

დააბნია იგი და ამის წყალობით, ნაპირამდე გამოცურვის საშუალება მიეცა. ალიგატორმა დელემანსისთვის მხოლოდ ფეხებზე ტრავმების მიყენება მოასწრო, რომელიც ექიმებმა უმალ დაუმუშავეს. აი, ნიანგმა კი, ბუნების დაცვის ორგანიზაციის მიერ გამოძახებული პოლიციელების დაგებულ ხაფანგში ამოყო თავი. ■

ფოტოკუთხეები



ყურადღება!

გამოვიდა აგვისტოს ნომერი

638/30

№7, აგვისტო, 2004

ფასი 80 თეთრი

აპრიბქე

მართლმადიდებლური ჟურნალი

აგვისტოს თემა:
სიცოცხლე მარადიულია

გამარჯობა, მოხარული ვარ, რომ შინ დამხვდით...
(იეღოვეღთა ინსტრუქციები ადამიანთა გადაბირებისათვის)

რამდენი სიკეთე ყოფილა ჩვენს ირგვლივ!..

რატომ უნდა ვიყო ქრისტიანი

გონება დიდებული რამეა, მაგრამ ღვთის ადგილის დამკვიდრება არ შეუძლია

ნაბიჯი ჭეშმარიტებისაკენ